

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტი

იოსებ ლორთქიფანიძე

გადაკტიონ ტაბიძის
თხზულებათა ვექსვოლოგიური სექითხები

გამომცემლობა „მეცნიერება“

თ ბ ი ლ ი ს ი

1965

შემოქმედებითი მოღვაწეობის ნახევარ საუკუნის მანძილზე გალაკტიონ ტაბიძემ ძვირფასი პოეტური მემკვიდრეობა დაგვიტოვა. ამასთან მის მდიდარ პირად არქივში, ლექსებისა და პოემების ავტოგრაფების გარდა, თავმოყრილია ძვირფასი მასალა, რომლის საფუძვლიანი და სათანადო შესწავლის გარეშე შეუძლებელია ქართული პოეზიის ამ სიამაყის თხზულებათა ძირითადი ტექსტოლოგიური საკითხების დაწვეტა.

წინამდებარე მონოგრაფიაში თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის მოთხოვნილებს შესაბამისად მოცემულია გ. ტაბიძის ნაწარმოებთა ტექსტოლოგიის პრობლემათიკის დახასიათება. განხილული და გამოკვლეულია ატრიბუციის, პოეტის შემოქმედებითი ლაბორატორიის, ნაწარმოებთა დათარიღებისა და ძირითადი ტექსტის არჩევის საკითხები.



အောင်ကျော်စွာ

შესავალი

მაქს მკერდს მიღებულ
ქნარი, როგორც მინდა...

გ ა ლ ა კ ტ - ო ნ ტ ა ბ - ი ე

1913 წელი. ქუთაისი. დიდი სალიტერატურო სადამო. სულმანათი აკაკი. ოდნე მოკუტეული. ცრემლმორეული თვალით. ყურადღებით უსმენდა ახალგაზრდა პოეტს. რომელიც ადღეებულ კითხულობდა ლექსს. მოხუც მგოსანს მოსწონდა მისი კითხვა. ახალგაზრდა პოეტს. ამ მისთვის ისტორიული დღის გამო, შემდეგი ხასიათის ჩანაწერი გაუკეთებია: „ყვითელი ფოთოლი“... მე ის წავეკითხე ქუთაისში ხალამოზე. რომელსაც დაესწრო აკაკი წერეთელი. მე ლექსს ვკითხულობდი ხმის აწევით. თითქოს კი არ ვკითხულობდი. არამედ ვმღეროდი. ვხმოვანებდი. ვკითხულობდი გაბედულად. როგორც „მეამბოხე“. როგორც მრისხანე მომწოდებელი:

ყვითელ ფოთოლ! ღმერთი არ სწამს...

ამ სტრიქონებს მეტი პათოსით და ძლიერებით ვმღეროდი. ვგრძნობდი სუფთა და მსმენელთა დამმორჩილებელ ბარიტონს... თეატრი სულგანაბული მისმენდა. მქუხარე ტაშისცემა იყო ჯილდო ჩემი ხმაგამეტებული კითხვისა. როდესაც ფარდა დაეშვა. აკაკიმ მკითხა:

— თქვენ რაჟველი ხომ არ ხართ?

— არა, ბატონო აკაკი, იმერეთიდან გახლავართ.

— საოცარია. როდესაც თქვენ კითხულობდით ლექსს, მე მგონა მღეროდით. ასეთი იყო ძირითადად ქართული კითხვა ძველად. ლაპარაკობდნენ გაბმით, თითქო სიმღერით. რაჟველობაც იმიტომ გკითხეთო. „ძირითადი ქართული კითხვა სიმღერით“—ასეთი იყო აკაკის შეფასება ჩემი ლექსების კითხვისა¹. ეს ახალგაზრდა პოეტი

¹ საქ. სსრ სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი (ქვემოთ ყველგან შემოკლებით სსლმ), გ. ტაბიძის არქივი, გვ. 2975.

გალაკტიონ ტაბიძე იყო. რომლის მხატვრულ-სუბიექტური თვისებებისა და ეპოქის ხასიათის ერთობლიობამ განაპირობა პოეტის მისია. მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსების პირველი წიგნი 50 წლის წინათ გამოიცა ქუთაისში. ახალგაზრდა პოეტმა იმთავითვე განსაზღვრა თავისი პოეტური სტიქია—ლირიკა, და ასეთი დარჩა იგი ბოლომდე. გალაკტიონ ტაბიძის შთამაგონებელმა და მაღალმა ლირიკამ ახალი ქლედა მისცა ქართულ ლექსს, გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა იგი; მისი ლირიკა მეოცე საუკუნის პოეტური კულტურის სათავეა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე პოეზიის განვითარებაზე.

გალაკტიონ ტაბიძის სახით მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიას მოველინა ბრწყინვალე ნიჭის წარმომადგენელი. რომლის სახელთანაა დაკავშირებული უახლოესი და თანამედროვე საბჭოთა ქართული პოეზიის შესანიშნავი მიღწევები.

კლასიკური პოეზიიდან მან შეითვისა აზრთა მაღალი სამყარო, გამონათვის უბრალოება და გრძნობის სისპეტაკე.

გალაკტიონ ტაბიძის ლირიკა იმ ბროლის სასახლესა ჰგავს. რომლის გაჩირადნებული დარბაზები ჯადოსნური სამკაულებითაა მოკაზმული და მნახველს აოცებს, თვალს ჭრის თავისი ელვარებითა და ჩუქურთმითა სიმდიდრით. აქი თვითონვე ამბობდა პოეტი:

მაღალ მთაზედა ავაგე
სასახლე ახალ-ახალი,
ლითონზე უფრო მაგარი,
პირამიდებზე მაღალი.¹

ამ სასახლის ჯეროვანი შესწავლა და გამოკვლევა თაობების მოვალეობად დარჩება.

გალაკტიონის პოეზიაზე შეიძლება გავიმეოროთ მისივე თქმა ნიკორწმინდაზე: „ისე ნაგებია, სიზმრის გეგონება“².

რთული და ძნელი გზა განვლო გალაკტიონ ტაბიძემ პირველი პოეტური ნაბიჯებიდან—უახლესი ქართული პოეზიის ფუძემდებლამდე. მის სახელოვან მეთაურამდე.

გალაკტიონ ტაბიძე მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის დიდი ნოვატორია. არავის მიუნიჭებია ქართული ლექსისათვის ისეთი სუნთქვა, ისეთი სილადე და არტისტიზმი, როგორც ეს გალაკტიონმა შეძლო. მკაფიო გამოშახველობითი ძალა, დამაჯერებლობა და სა-

² გ. ტაბიძე, თხზულებანი, ტ. 11, 1935, გვ. 603.

გ. ტაბიძე, რჩეული, 1959, გვ. 274.

ნების ემოციურობა—აი, მისი პოეზიის დამახასიათებელი თვისება.

გალაკტიონ ტაბიძე ქართულ პოეზიაში ახალი სიტყვა იყო, პირველ ყოვლისა, პოეტური ფორმის მხრივ. ჯერ კიდევ 1916 წელს ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ აღნიშნა: „უკანასკნელი წლების განმავლობაში არც ერთ ქართველ მწერალზე იმდენს არ წერენ, რამდენსაც გალაკტიონ ტაბიძის შესახებ და მიანც ვთუშუქებელია მისი შემოქმედების ზოგიერთი მხარეები. ერთი ასეთი მხარეთაგანია მისი წერის მანერა—მ თ ე ლ ი ს ა ხ ე ლ მ ძ ღ ე ა ნ ე ლ ო პ ო ე ტ ი კ ა . ე ხ ლ ა ყ ვ ე ლ ა ს შ ე უ ძ ლ ი ა ი ს ა რ გ ე ბ ლ ო ს ი მ ა ხ ლ ი ს შ ე მ ო ლ ე ბ ი თ , რ ო მ ე ლ ს ა ც გ . ტ ა ბ ი ძ ი ს ლ ე ქ ს ე ბ ი გ ვ ა ძ ლ ე ვ ს...“⁴.

მოკრძალებით შემოაღო გალაკტიონ ტაბიძემ ქართული პოეზიის კარი და მალე გვერდში ამოუდგა მხატვრული სიტყვის კორიფეებს. იგი, რასაკვირველია, აგრძელებს ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციებს, მაგრამ ამავე დროს, ნოვატორია პოეტური გამოსახვის ახალი ფორმების შექმნაში, რომლებსაც მოითხოვდა მეოცე საუკუნის ადამიანის მეტად რთული სულიერი სამყაროს გამოხატვის აუცილებლობა. ნოვატორული ძიების გზაზე გალაკტიონ ტაბიძე განიცდიდა ევროპული და რუსული პოეზიის გავლენას, ამავე დროს, შეიძლება ითქვას, იგი ქართული პოეზიის ტრიბუნიდან გვერდში ედგა ევროპისა და რუსეთის ახალი პოეტური სიტყვის დიდ მედროშეებს; გალაკტიონ ტაბიძის ნოვატორული ფორმები ესიტყვებოდა ახალი ეპოქის იდეურ მოთხოვნებს.

საქართველოში მეოცე საუკუნემ რევოლუციით დაიწყო თავისი დიდი სიტყვა. ამ სიტყვის ძალამ აიტაცა ყრმა პოეტი და მან თავის ლექსებში შესანიშნავად გამოხატა დროის მღელვარე სული.

პოეტური მოღვაწეობის დასაწყისში გალაკტიონ ტაბიძე ფიცს აძლევდა თავის დიდ წინაპრებს, რომ ღირსეულად გააგრძელებდა მათ საქმეს. მართლაც, მის პირველ ლექსებში ჩანს ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას და განსაკუთრებით ა. წერეთლის მხატვრული სახეების სამყარო, მათი სტილის მანერის ანარეკლი.

პირველი რევოლუციის დამარცხებამ დაამსხვრია სიჭაბუკის ილუზიები. მკაცრმა სინამდვილემ პოეტის სიმღერაში ბზარი წარმოშვა; ამეტყველდა სევდა, გაჩნდა ცრემლი. პოეტში დაისადგურა მარტოობის გრძნობამ. იმ დროის სალიტერატურო კრიტიკამ ასეთი შეფასება მისცა მის პოეზიას: „თავისი შემოქმედებით იგი მსოფლიო

⁴ სატურნი (ალ. აბაშელი), პოეტიკა, თურნ. „ახალი ცისკარი“, 1916, № 1, გვ. 9 (ხაზგასმა ჩვენია—ი. ლ.).

სევდის მგოდებელთ უახლოვდება“⁵, იგი „მგოსანია სევდა-კაეშნისა, ის ტლუ არის ახალგაზრდა მგოსანთა შორის. მისი ჩანგი სევდიანია, ნაზი; ფაქიზი, არავის არ შერცხვება იტიროს გალაკტიონ ტაბიძის ცრემლით“⁶. ახალგაზრდა პოეტს „მწუხარება ატკობს, მან ჰპოვა ასეთი ფორმა სევდისა და ამიტომ უყვარს მას იგი უსაზღვროდ... სევდით მიღება მსოფლიოსი—აი მისი სტიქია, მისი რელიგია მწუხარებაა“⁷.

1914 წელს გამოქვეყნებულ ლექსთა პირველი კრებულის ავტორი სალიტერატურო კრიტიკამ ერთხმად აღიარა „სევდის მგოსნად“, „ღამის მგოსნად“, „მარტოობის ორდენის კავალერად“⁸, რომელიც ქართულ მწერლობას მოევიწინა „როგორც სიმღერა მოულოდნელი“⁹.

1915—1920 წლებში, მიუხედავად დიდი ერთგულებისა ეროვნული პოეზიის ტრადიციებისადმი, გალაკტიონ ტაბიძემ ვალი მოუხადა ფრანგულ პოეზიაში აღმოცენებულ და მსოფლიო ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებულ მოდერნისტული სკოლის მოთხოვნისებებს.

ის თავისებური დამოკიდებულება სიტყვისადმი, რომელიც სიმბოლისტურ სკოლას ახასიათებდა საფრანგეთსა და რუსეთში, ქართულ პოეზიაში ყველაზე ფრთხილად გალაკტიონ ტაბიძემ გაიზიარა, თუმცა აღსანიშნავი და ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ გალაკტიონმა იმთავითვე არ მიიღო ამ დეკადენტური სკოლის თემატიკა.

1919 წელს გამოცემულ ლექსთა მეორე კრებულში „Crane aux fleurs artistiques“, რომლითაც იხსნება სრულიად ახალი ხანა ქართული პოეტური კულტურისა, გვხვდება სახელები „დაწყველილი ფრანგი ჭაბუკებისა“ ბოდლერის, ვერლენის. რემბოს, მალარმეს. აგრეთვე ვიონის, ვერჰარნის. პოს. მიუსეს. შელის, გოტიესი და სხვების. ქართული პოეზიის ტრადიციებზე აღზრდილმა გალაკტიონ ტაბიძემ კარგად გაიაზრა რის მიღება-გაზიარება. შემოქმედებითად გამოყენება შეიძლებოდა თავისი უცხოელი წინაპრებისაგან. ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში არაერთხელ აღნიშნულა, რომ სწორედ ამის გამო შეძლო გალაკტიონ ტაბიძემ მოენახა სინთეტიკური ხაზი ევროპულ და ქართულ პოეზიას შო-

⁵ ეურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, №2, გვ. 5.

⁶ გაზ. „სამშობლო“, 1916, № 341.

⁷ გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, № 341.

⁸ გ. ტ ა ბ ი ძ ე, ლექსები, 1914, გვ. I—VIII, ეურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, №№ 28, 29, 30, 32; გაზ. „საქართველო“, 1916, № 3—4.

⁹ გაზ. „შადრევანი“, 1915, № 5.

რის¹⁰. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში, თუმცა უაღრესად თავისებურად. სიმბოლისტური პოეზიის თეორია პოულობს თავის სათანადო გამოძახილს.

დიდი გაქანების შემოქმედი ახალი პოეტური განცდით, ახალი იდეებით. სამყაროს ანლებური აღქმით ეძებდა ახალ ფორმებს და პოულობდა კიდევაც მათ. ამიტომაც შეიძლება ითქვას, რომ გალაკტიონ ტაბიძე მზად შეხვდა რევოლუციას. ქვეყნის განახლებას არა მარტო იდეურად. არამედ პოეტური მხრივაც კი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის. მისი უდიდესი გარდაქმნელი იდეების შთაშავებულმა ძალამ და გრანდიოზულობამ მონიბლეს პოეტი, იგი გადაჭრით და მტკიცედ დგება რევოლუციონური საქართველოს სამაახურში. პოეტი წერდა: „...ჩვენ განვიცადეთ მსოფლიო ომი. დიდი რევოლუცია. არავინ არ უარყოფს, რომ მოვიდა ახალი ცხოვრება, ახალ ცხოვრებას სჭირდება ახალი ფორმები. ახალ ფორმებს კი ახალი სიტყვა“¹¹. ამ ახალი სიტყვის და ფორმის პირველი მესიტყვე გალაკტიონ ტაბიძე იყო. რომელმაც ვაბედულად უმღერა რევოლუციურ საქართველოს და თანამოკალმეებს (მათთან ერთად ყველას) მოუწოდა:

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალი,
და სისხლიანი ღვას ანგელოსი,
ახალ გრივალებს ვწირავთ სიცოცხლეს,
ჩვენ, პოეტები საქართველოს...¹²

ცხადია, რევოლუციურმა გარდაქმნებმა სავსებით შესცვალა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებითი თემატიკა. პოეტმა არა ერთ მშვენიერ ლექსში უმღერა „გამარჯვებული ბრძოლის სიმღერით“ საბჭოთა საქართველოს ზრდასა და აღმავლობას. მის პოეზიაში ღრმად და მრავალმხრივად აისახა სოციალიზმის გამარჯვებისათვის საბჭოთა კავშირის ხალხების თავდადებული ბრძოლა, ჩვენი ხალხის ნათელი იდეალები და მისწრაფებანი.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ღირსება, უპირველეს ყოვლისა, იმაშია, რომ მის მიერ დახატული საგანი თუ მოვლენა მკითხველის შეგნებაში აღიბეჭდება სრულიად ახალი კუთხით, ახალი ფერებით, რელიეფური და ემოციური სურათებით და სახეებით. თუ ვინმემ აგრძნობინა აკაკისა და ვაჟას შემდეგ ქართველ მკითხველს „დიდი პოეტური ძალა, ქართული ლექსის სითამამე, სილამაზე, მრავალფე-

¹⁰ ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, ტ. 1, 1962, გვ. 271.

¹¹ გაზ. „პოეზიის დღე“, 1922, № 3.

¹² გ. ტაბიძე, თხზულებანი, ტ. 11, 1935, გვ. 10.

როვნება, მისი შესაძლებლობის ფართო ველი და ფანტაზიის წრე-
შეუწერელი ნავარდი—ეს გალაკტიონ ტაბიძე იყო, რომლის მძლავრ
პოეტურ სიმფონიაში თავის საწყისებს პოულობდნენ მე-20 საუკუ-
ნის ქართველ პოეტთა მთელი თაობები. ამიტომ სავსებით ბუნებ-
რივი იყო. თუ სწორედ მან დაუდო სათავე დღევანდელ ჩვენ პოე-
ტურ მაჯისცემას, როგორც შთაგონებული ქართული ლექსის დიდმა
ნოვატორმა და ხელოვანმა¹³.

კემპარიტად გალაკტიონ ტაბიძესავით ბევრს არ შეუძლია
თქვას:

მაქვს შკერდს მიღებული
ქნარი, — როგორც შინდა
გზნებით დამპარგავი
გრძნეულ ჩუქურთმებით.
ქარგით დამქარგავი...¹⁴.

ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან ქართული პოეზიის ორფეოსი
და საუკუნეებს დაუტოვა თავისი ჯადოსნური სიმღერა:

მიდიხარ... შენს ბედს ბევრი ინატრებს
მშენიერს, ბედი სხვა არსად არი,
შენ სიერცეებმა დაგიბინადრეს,
შენ უკვდავების ხარ ბინადარი¹⁵.

ისტორია გაამართლებს გალაკტიონის რწმენას. რომ საუ-
კუნეებს წაჰყვება მისი პოეტური ქნარი.

გალაკტიონ ტაბიძემ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეო-
ბა დაუტოვა შთამომავლობას. მშობლიურ ენაზე დიდი პოეტის
მრავალი ლექსთა კრებული დაიბეჭდა. მის სიცოცხლეში თხზულე-
ბათა რვა ტომი გამოვიდა. გარდა ამისა, პერიოდულ პრესაში დაბეჭ-
დილია გალაკტიონის ასობით ლექსი, რომლებიც ნაკლებადაა ცნო-
ბილი თანამედროვე ფართო მკითხველისათვის. პოეტის არქივში
დაცულია ათასობით ავტოგრაფი—შემოქმედებით და სხვა ხასია-
თის დოკუმენტები. ჩვენს ხელთაა თითქმის ყველაფერი, რაც დიდ
პოეტს შეუქმნია თავისი შემოქმედების ვრცელ გზაზე. მაგრამ, სამ-
წუხაროდ, როგორც მართებულად აღნიშნავს აკად. გ. ჯიბლაძე, „უკვე

¹³ გ. ჯიბლაძე, „კრიტიკული ეტიუდები“. III, 1959, გვ. 160.

¹⁴ გ. ტაბიძე, რჩეული, 1954, გვ. 217.

¹⁵ გ. ტაბიძე, თხზულებანი, ტ. VIII, 1957, გვ. 184.

გამოცემული ტომები არ იძლევიან პოეტის მიერ განვლილი შემოქმედებითი გზის სრულ სურათს. მასალა დალაგებულია ჩვენთვის სრულიად უცნობი და გაუგებარი პრინციპით. არც ქრონოლოგიაა მიღებული მხედველობაში, არც ნაწარმოებთა ხასიათი. თითქმის არცერთი ტომი არ არის ისე შედგენილი, რომ თანამიმდევრული წარმოდგენა მოგვცეს პოეტის შემოქმედების გარკვეულ პერიოდზე. ბევრ ნაწარმოებს თარიღი არ უზის. რაც ამწელებს საკითხის გარკვევას. თუ როდისაა დაწერილი. ტომებში ძალიან ხშირად შეხვდებით კორექტურულ შეცდომებს, რომლებიც ლექსის მეტრასაც არღვევენ და მარცვალთა რაოდენობასაც. ეტყობა რედაქტორები ძალიან უღარდელად მოჰყიდებიან თავიანთ მოვალეობას. ამიტომ პოეტის შემოქმედების სრული, აკადემიური გამოცემა მომავლის საქმეა¹⁶.

ჯერ კიდევ 1933 წელს, პოეტის სალიტერატურო მოღვაწეობის 25 წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით სახელმწიფო გამოცემლობას დაევალა „...გ. ტაბიძის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის გამოცემა“¹⁷. ამ დადგენილებამ დასაბამი მისცა პოეტის სიცოცხლეში რვატომეულის გამოცემას. აღნიშნული გამოცემით პოეტი მთლად კმაყოფილი არ იყო. არქივში მრავალადაა ჩანაწერები. გაცხადებები, რომლებშიც ნათლად ჩანს პოეტის ეს განწყობილება. მაგალითად. პოეტის 1943 წლის 1 ოქტომბერს გაკეთებულ ჩანაწერში ვკითხულობთ: „...მწერალთა კავშირმა მუშამდგომლობა აღძრა გ. ტაბიძის ნაწარმოებთა აკადემიური გამოცემის განხორციელების თაობაზე. დადგენილებაში არაა ნათქვამი ესაგებად და დამახინჯებულია მთავრობის 1933 წლის დადგენილება, სადაც ლაპარაკია არა მხოლოდ ჩემს ნაწარმოებთა აკადემიურ გამოცემაზე. არამედ „ნაწარმოებთა სრულ აკადემიურ გამოცემაზე“...“¹⁸.

1946 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სახელზე დაწერილ ანგარიშში პოეტი-აკადემიკოსი გ. ტაბიძე აღნიშნავდა: „1933 წელს გამოქვეყნდა საქ. სსრ მთავრობის დადგენილება ჩემი ნაწერების აკადემიურად გამოცემის შესახებ. ამ დადგენილების განხორციელება დღემდე ვერ მოხერხდა. დღემდე გამოცემული ტომები არ ატარებენ

¹⁶ გ. ჯიბლაძე, „კრიტიკული ეტიუდები“, III, 1959, გვ. 18.

¹⁷ ვახ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1933, № 8.

¹⁸ სსლმ. გ. ტაბიძის არქივი, 167 დ.

აკადემიური გამოცემის სახეს. ამ დადგენილებების განხორციელება, ჩემი აზრით, სავსებით შესაძლებელია ეხლა“¹⁹.

1957 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება მომზადებულიყო გ. ტაბიძის თხზულებათა მეცნიერული გამოცემა. პოეტი ამ დადგენილებას აღფრთოვანებით შეხვდა.

„რუსთაველის სახელობის ინსტიტუტი მზადაა,—წერდა პოეტი, — იცნაროს აკადემიური გამოცემის ტექსტის დამზადება (მხოლოდ უჩემოდ ეს არ უნდა მოხდეს). უნდა შევხვდეთ ერთმანეთს. უნდა დაინიშნოს ვადა. როდესაც ვადა დაინიშნება, საქმე უკეთესად წავა. თუ ერთმანეთს არ შევხვდით, ერთმანეთს არ გავუგეთ რა გამოვა ასე? ...“²⁰. აღნიშნულ დადგენილებას სათანადო სტიმული მიუცია პოეტოათვის. რომელმაც აკადემიური გამოცემის მომზადებისათვის პედაგოგიური გეგმა შეიმუშავა. მის არქივში ვხვდებით ასეთ ჩანაწერს: ... 2. დახმარება აკადემიის აკადემიური გამოცემისათვის (უკვე არის დადგენილება).

რაა საჭირო?

ყველა ხელნაწერის გადახედვა.

მასალის დალაგება ქრონოლოგიურად. ამჟამად საჭიროა 1908—1917 წლების მასალები (მასალები პირველი ტომისათვის), აქ გამოგვადგება: ა. ქუთაისში გამოცემული წიგნი. ბ. პირველი ტომი. გამოცემული სახელგამის მიერ; „რჩეულები“: 1927. 1944. 1954 წლები. უნდა გადაიხედოს ყველა ტომები“...²¹.

პოეტმა პირადად დაათვალიერა ტექსტოლოგიის განყოფილების სამუშაო ოთახი და თანამშრომლებს ყოველგვარი დახმარება აღუთქვა²². მოულოდნელმა სიკვდილმა საშუალება არ მისცა პოეტს უშუა-

¹⁹ სსლმ, 283 დ., გვ 10, 435 დ, გვ. 8. ცოცხალი მწერლის თხზულებათა პირული აკადემიური გამოცემა შეუძლებელია, რადგანაც ავტორს თავისი შემოქმედებითი შრომისათვის წერტილი არ დაუსვამს.

²⁰ სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, 435. გ. გვ. 9.

სსლმ. გ. ტაბიძის არქივი, 461, დ. გვ. 8.

²² ამ ფაქტთან დაკავშირებით მოიპოვება ასეთი ჩანაწერი:

1. დავათვალიერეთ ტექსტოლოგიაში მომუშავეთა ოთახები. ორი კარადა უჭირავს ილიას და აკაკის; ორი ვაჟს და ბარნოვს. მეუბნებიან: დავამთავრებთ გვეგოთ გათვალისწინებულ გამოცემებს და შეუდგებით თქვენს ტომებზე მუშაობას. ამ კარადებში დაფაჩვობთ შენს ნაწარმოებებს აკადემიური გამოცემისათვის. (გ. ტაბიძის არქივი 5 დ. გვ. 16).

ლოდ მიელო მონაწილეობა თავისი თხზულებების გამოცემაში.

1959 წლის 19 მარტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ: დაადგინა: 1959—1965 წლებში განხორციელდეს საქართველოს სახალხო პოეტის აკადემიკოს გალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძის თხზულებათა გამოცემა²³.

ამ რთული და საპატიო ამოცანის შესრულება დაევალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს და საქართველოს სსრ მწერალთა კავშირს.

აღნიშნული გამოცემა მოითხოვს რიგი ტექსტოლოგიური საკითხების გადაწყვეტას. რომელთაგან ზოგიერთის გარკვევას მოზნად ისახავს წინამდებარე ნაშრომი.

²³ ვ.ზ. „კომუნისტი“, 1959 წელი, 20 მარტი.

ორიოდე სიტყვა ტექსტოლოგიის ისტორიიდან

ცნება „ტექსტოლოგია“ პირველად იხმარა ბ. ტომაშევსკიმ. ამ ცნებას საზღვარგარეთ არ იცნობენ. იქ დღემდე იხმარება „ტექსტის კრიტიკა“¹. „ედიტორული საქმიანობა“².

დებულებების ღია პროპაგანდამ, რომელიც 20-იანი წლების დამდეგს დამკვიდრდა რუსეთში, განაპირობა ტექსტოლოგიაში საკმაოდ სუბიექტივისტური, მავნე თეორია, რომელსაც ადგილი ჰქონდა (და მეტნაკლებად დღესაც გააჩნია) ჩვენს პრაქტიკაში. ამ დებულებების მიხედვით ტექსტოლოგის (რედაქტორ-გამომცემლის) ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ მან ავტორისეული ტექსტის კონსტრუირება უნდა მოახდინოს. ამ თეორიების ავტორები გვარწმუნებდნენ, რომ ავტორს არ შეუძლია შეჩერდეს ნაწარმოების განსაზღვრულ ვარიანტზე, რომ ავტორი თავის ნებას ფანტავს, აზნევს სხვადასხვა ვარიანტში და ტექსტოლოგის ამოცანა მდგომარეობს შეკრიბოს (შეაჯამოს) ავტორის ნება და ამით მიიღოს კომბინირებული ტექსტი. ამ პრინციპების მიხედვით ტექსტოლოგიური პრობლემების მეცნიერული გადაწყვეტა ათეული წლების მანძილზე შეცვლილი იყო სუბიექტივისტური პრაქტიციზმით, ხელოსნურობით. რედაქტორები ამ პრობლემებს წყვეტდნენ თავისებურად, პირადი რისკით. რედაქტორთა თვითნებობისათვის იქმნებოდა ხელსაყრელი მდგომარეობა. ავტორის ნების გაგების საკითხში, შესაბამისად პროპაგანდირებული თეორიებისა, ერთიანი გაგება არ იყო, ავტორის ნება ფიქტიურ. იურიდიულ ცნებად იყო მიჩნეული.

¹ М. Верли, Общее литературоведение (перевод с немецкого), М., 1957, стр. 46—55, შდრ.: В. Каи́зер, „Словесное искусство“, Берн, 1956. Ф. Шнайдер, „Критическое толкование стиля“, Берлин, 1954 (იხ. „Вопросы текстологии“, вып. 2, М., 1960, стр. 256—274).

² Кондрад Гурский, „Штука едугорска“, Варшава, 1956 (იხ. „Вопросы текстологии“, Вып. 2, стр. 241—255; აგრეთვე, В. Нечаева, Рейензия, „Известия“ АН СССР ОЛЯ, т. XV, 1956, Вып. 6, стр. 552—555).

ტექსტოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების, ვანვითარების გზა ამ ათიოდე წლის წინათ დაიწყო.

ტექსტის გამოცემა დაფუძნებულია მის ტექსტოლოგიურ შესწავლაზე. ნაწარმოებთა მეცნიერული გამოცემა პრაქტიკულად იყენებს ტექსტოლოგიური გამოკვლევების შედეგებს.

ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე ვანვითარების ეტაპზე ტექსტოლოგიამ თავი დააღწია ედიციონური ტექნიკის უშუალო დაქვემდებარებას და იქცა დამოუკიდებელ დისციპლინად, რითაც ლიტერატურული ნაწარმოების გამოცემა უქვეყლად იგებს.

საქმე ისაა, რომ ტექსტის გამოცემა დაფუძნებულია არა „ფილოლოგიური ხერხების სისტემაზე“, რომელიც ნებას იძლევა სტამბაში გასაგზავნად ტექსტის ადვილად და ერთფეროვნად დამუშავებისათვის. არამედ ნაწარმოების ტექსტის ისტორიის შესწავლაზე. მხოლოდ მაშინ, როდესაც შესწავლილია ტექსტის ისტორია და მუშაობა მასზე დამთავრებულია, ტექსტის გამომცემელი შეიძლება მივიღეს ობიექტურ დასკვნამდე—რომელი ტექსტი გამოიცეს და როგორი ხერხებით.

რთული და გრძელი გზა განვლო ტექსტოლოგიამ. დღეს ტექსტოლოგიას აღარ მიიჩნევენ გამოყენებით დისციპლინად, რომელიც მიზნად ისახავს ტექსტის სისწორით გადმოცემას, არამედ „ტექსტოლოგია.—წერს პროფ. დ. ს. ლიხაჩოვი.—დამოუკიდებელი მეცნიერებაა, რომელიც სწავლობს ნაწარმოების ტექსტის ისტორიას. მისი დასკვნები შეიძლება გამოყენებულნი იქნან სულ სხვადასხვა დარგში... ეს დასკვნები აუცილებელნი არიან ედიციონური ტექნიკისათვისაც, მაგრამ ედიციონური ტექნიკა არის განსაკუთრებული დარგი, რომელიც მხოლოდ პრაქტიკულად იყენებს ტექსტოლოგიის დასკვნებს, მაგრამ თვით ტექსტოლოგია სრულიადაც არა“².

ასე, რომ ტექსტოლოგია მეცნიერებაა, რომლის ბედი არსებითად გადაწყდა ლიტერატურათმცოდნეობის ამოცანებისა და საერთო მდგომარეობის საკითხებთან ერთად მისი ვანვითარების თანამედროვე ეტაპზე. ამიტომ, ბუნებრივია ის მოთხოვნილებანიც, რომლებსაც ეს მეცნიერება უყენებს მის დარგში მომუშავე სპეციალისტებს. ტექსტოლოგების ცოდნის არეძლიერ ფართო უნდა იყოს, რაც უფრო მრავალმხრივი

² Д. С. Лихачев, Текстология, М.-Л., 1962, стр. 538 (დაყოფა ჩვენია—ი. ლ.).

იქნება ტექსტოლოგიის ცოდნის არე და ერუდიცია; მით უფრო წარმატებით შესძლებს ის კვლევადიების წარმოებას და მით უფრო დამაჯერებელი იქნება მისი დასკვნები.

საბჭოთა ტექსტოლოგიას დიდი წარმატებები მოეპოვება. მეტადრე უკანასკნელ წლებში, როდესაც ტექსტოლოგიაში სუბიექტივისტურ თეორიას დაუპირისპირდა ახალი, მანამდე უცნობი კოლექტივისტური მუშაობის პრინციპი.

მიღწევები ტექსტოლოგიას ერთბაშად არ მოუპოვებია, ეს შედეგია დიდი და დაძაბული შრომისა, რომელსაც აწარმოებდნენ თაობები, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

საზღვარგარეთ კ. ლანმანის, შ. ბედეს, ა. ხაუსმანის, ე. ხემის, ე. ვინავერის, ჟ. ფურკეს, მ. როკის და სხვათა შრომებმა სათავე დაუდეს ტექსტოლოგიურ მუშაობას ევროპა-ამერიკის ქვეყნებში

რუსული ტექსტოლოგიის პრაქტიკული საქმიანობა (უმთავრესად ედიციონურ-ტექსტოლოგიური ხასიათისა) XVIII საუკუნის შუა წლებიდან იწყება, როდესაც ფეოდალური საზოგადოების წიაღში მიმდინარეობდა კაპიტალისტური ურთიერთობის სტიქიური ფორმირება (ტრედიაკოვსკი, ლომონოსოვი, ნაკოვალნინი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლები, დამასკინი—იგივე დიმიტრი რუდნევი, ნ. ნოვიკოვი, მ. პოპოვი, მ. ჩულკოვი, ვ. ლოვშინი, ალ. ვოსტიკოვი და ა. შ.).

ტექსტოლოგიური მუშაობა რუსეთში ძირითადად XIX საუკუნეში გაიშალა. ტექსტის კრიტიკის პრინციპებს სათავე დაუდო ა. შლეცერმა, თუმცა ეს პრინციპები მისი ორიგინალური კვლევის შედეგი არ ყოფილა (ამას თვით შლეცერიც აღნიშნავს)¹.

რუსულმა ტექსტოლოგიამ ამ საუკუნეში მოგვცა შესანიშნავი ტექსტოლოგები (ა. სმირდინი, პ. ბეკეტოვი, პ. პლეტნევი, ი. გლაზუნოვი, პ. ეფრემოვი, ა. აფანასიევი, ე. ტიხონრაჟოვი—აკადემიკოსი და დიდი ტექსტოლოგი).

1855—1857 წლებში განხორციელდა ალ. პუშკინის თხზულებების პირველი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა შვიდ ტომად (გამომცემელი პ. ანენიკოვი). თითქმის ამავე პერიოდში გამოდის ნ. გოგოლის, ბ. ბელინსკის, მ. კოლცოვის, პ. პოლეჟაევის, ნ. დობროლუბოვის და სხვათა თხზულებათა მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტები.

¹ А. Шлецер, Нестор, СПб, 1809, стр. 86, 411—416.

60-იანი წლების დასასრულიდან რუსი ტექსტოლოგების პლედას ემატება ახალი სახელები (პ. კულიში, ს. დუდიშკინი—ლერმონტოვის პირველი გამოცემელი, ლ. მაიკოვი, ვ. საიტოვი, ა. ეფრემოვი, პ. მოროზოვი, ს. ვენგეროვი, ვ. იაკუშინი, ე. ანიჩკოვი და სხვები).

რუსული ტექსტოლოგიის მეცნიერულად ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულეს რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა ბ. ბელინსკიმ, ნ. ჩერნიშევსკიმ, ნ. დობროლუბოვმა, აგრეთვე მწერლებმა ნეკრასოვმა და სალტიკოვ-შჩედრინმა.

თვლასაჩინო წვლილი მიუძღვის ამ საქმეში „თავისუფალ რუსულ სტამბას“, რომელიც ლონდონში დააარსეს ა. გერცენმა და ნ. ოგარიოვმა.

არსებობს რუსული ტექსტოლოგიის ისტორიის რამდენიმე ნარკვევი, რომლებშიც მიმოხილულია ის წვლილი, რაც ტექსტოლოგთა თაობებმა გააკეთეს რუსული ლიტერატურის დიდი მემკვიდრეობის ათვისების საქმეში. ამ ნაშრომთა შორის საყურადღებოა ა. გრეშენინის დიდი ნარკვევი⁵.

რევოლუციამდელ რუსეთში ტექსტოლოგების სკოლა შექმნა აკადემიკოსმა ვ. ნ. პერეტცმა, მის კალამს ამ დარგში ეკუთვნის ერთადერთი მოკლე სახელმძღვანელო ტექსტოლოგიაში. რომელშიც ავტორი მიუთითებდა აუცილებლობაზე შესწავლილყო „ძეგლის ლიტერატურული ისტორია“⁶.

* * *

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე საბჭოთა მთავრობამ დასახა ლონისძიებანი ხალხის კულტურული საჭიროებებისა და მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად 1918 წლის 11 იანვრის დეკრეტი „სახელმწიფო გამოცემლობის შესახებ“ პირველ რიგში მოითხოვდა რუსი კლასიკოსების თხზულებების გამოცემას⁷. 1919 წლის 29 ივლისს ლენინის ხელმოწერით გამოიცა დეკრეტი სახელმწიფოს მიერ კლასიკოსთა არქივებისა და ნაწარმოებების მონოპოლიზაციის შესახებ. უზარმაზარი კულტურული მემკვიდრეობა მთავრობამ ხალხის საკუთრებად გამოაცხადა.

⁵ დაწვრილებით იხ. Основы текстологии, М., 1962, стр. 11 — 136: Б. Эйхенбаум, Основы текстологии, в сб. „Редактор и книга,“ вып. III, М., 1962, стр. 48—62.

⁶ В. Н. Перетц, Из лекции по методологии истории русской литературы, История изучения. Методы изучения, Источники, Киев, 1914.

⁷ В. В. Максakov, Архивное дело в первые годы Советской власти, М., 1959, стр. 62—65.

ახალგაზრდა საბჭოთა ტექსტოლოგია თავისი პირველი ნაბიჯებიდანვე აღჭურვილი იყო კვალიფიციური კადრებით (მ. გოფმანი, ი. ოქსმანი, ს. ბონდი, კ. ხალაბევეი, ვ. გიბიუსი, ნ. იაკოვლევი, დ. იაკუბოვიჩი, კ. ჩუკოვსკი, ნ. პიკსანოვი, გ. ვინოკური, ბ. ტომაშევსკი, ბ. ეიხემბაუმი და სხვები).

რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე საბჭოთა ტექსტოლოგების წინაშე დადგა წინა თაობების რუსი ტექსტოლოგების გამოცდილების კრიტიკული ათვისებისა და მისი შემდგომი განვითარების ამოცანა. ჯერ კიდევ 1918 წლის დეკემბერში რუსული მხატვრული ლიტერატურის გამოცემის შესახებ მოხსენებით ბარათში— მაქსიმ გორკიმ წამოაყენა მოთხოვნა გამოცემულიყო კლასიკოსთა თხზულებანი „მხოლოდ ავტორის ტექსტის ხელნაწერებზე აკადემიური მუშაობის შედეგად“, ეს მეცნიერულად შემოწმებული გამოცემები დასდებოდა „საფუძვლად რუსული ლიტერატურის შესწავლას“. მ. გორკიმ დასახა გამოცემის ძირითადი ტიპები, რომელთა მოთხოვნილება დრომ წამოაყენა. საბჭოთა მთავრობის სპეციალური დეკრეტით კლასიკოსთა გამოცემა ჩვენ ქვეყანაში ნაციონალიზირებული იყო. გამოცემის ფუნქცია დაეკისრა ლიტერატურულ-საგამომცემლო განყოფილებას, რომელიც განათლების სახალსო კომისარიატთან ჩამოყალიბდა, მას მთავრობის კომისია ხელმძღვანელობდა.

კლასიკოსთა თხზულებების გამოცემის საქმე სწრაფად წავიდა წინ. დიდი ტირაჟით გამოვიდა პუშკინის, გოგოლის, ლერმონტოვის, ჩეხოვის, ნეკრასოვის ნაწარმოებები.

როგორც ძველ რუსეთში, ასევე საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ტექსტოლოგიის თეორიის საკითხები ვერ იყო სათანადოდ დამუშავებული, რის შედეგადაც რედაქტორების დილეტანტიზმი, მტკიცე მეთოდოლოგიური დასაყრდენის უქონლობა საგრძნობლად იჩენდა თავს.

ტექსტოლოგიის მეცნიერულ-თეორიული პრობლემების შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოდესტ გოფმანის შრომებს პუშკინოლოგიის საკითხებზე. ამ შრომებში არსებითი იყო თეზა (ავტორის მექანიკური გაგების მიუხედავად) ავტორის ნების საკითხი⁹.

⁹ М. Горький, Собр. соч. в тридцати томах, т. 24, М., 1953, стр. 191.

⁹ М. Гофман, Пушкин, Первая глава науки о Пушкине, Пб., 1922 (два издания) მისივე, Пропущенные строфы „Евгения Онегина,“ Пб., 1922; 18

რუსულ ტექსტოლოგიაში ნ. პიკსანოვმა პირველმა აღნიშნა და წამოაყენა მოთხოვნა და დააფუძნა კვლევა-ძიების ე. წ. „ტელეოგენეტიური“ მეთოდი (მისი ძირითადი პრინციპი მდგომარეობდა ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორიის შესწავლაში). ამ პრობლემის ნაწილობრივ გადაფასების მიუხედავად, ცნება „შემოქმედებითი ისტორია“ დამკვიდრდა საბჭოთა ტექსტოლოგიაში. ნ. პიკსანოვმა მართებულად მიუთითა, რომ „ნაწარმოების, ძეგლის შემოქმედებითი ისტორია იძლევა ძირითად მასალას მისი გაგებისათვის“; რამდენადაც „უოველი ცალკეული ნაწარმოები არის მთელი სამყარო იდეებისა... რომლებიც ორგანიზდებიან ძირითადი ჩანაფიქრის გარშემო“¹⁰.

მ. გოფმანის მოსაზრებითა წინააღმდეგ გამოვიდა ბ. ტომაშევსკი. მან გააკრიტიკა მისი ტექსტოლოგიური შეხედულებანი. განსაკუთრებით ცნება „უქანასკნელი ნების“ შესახებ¹¹. ბ. ტომაშევსკი გადაწყვეტ მნიშვნელობას ტექსტოლოგიურ მუშაობაში ანიჭებდა რედაქტორულ კონიექტურას, რაც მისი აზრით წარმოადგენს „ტექსტის კრიტიკული გამოცემის ძირითად პრინციპს“¹².

ბ. ტომაშევსკის ამ განცხადებამ ასახვა ჰპოვა მისი რედაქციით გამოცემულ პუშკინის „გავრილიადაში“. რომელიც საბჭოთა ტექსტოლოგიის ერთ-ერთ შესანიშნავ მიღწევად ითვლება¹³.

1927 წელს გამოდის გ. ვინოკურის წიგნი „პოეტური ტექსტის კრიტიკა“. რომელიც უმთავრესად თეორიული ხასიათისაა, ფილოლოგიური განხრით. ამ წიგნის ძირითადი დებულებები. გ. ვინოკურმა 1925 წელს წაიკითხა მოხსენებად. მხედველობაში ჰყავდა რა მ. გოფმანი (ნაწილობრივ ბ. ტომაშევსკიც). გ. ვინოკური აცხადებდა: „კანონიკური ტექსტის დადგენა შესაძლებელია“. მაგრამ არა მექანიკურად, რამდენადაც „მექანიკური მიდგომა ფილოლოგიური მეცნიერების ძირითადი ცოდვია... კანონიკური ტექსტის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ფილოლოგიური კრიტიკის მოშველიებით...“ ამ მეთოდოლოგიურ შრომაში გ. ვინოკური თავის ამოცანად ისახავ-

მისივე. Посмертные стихотворения Пушкина, „Пушкин и его современники“, вып. XXXIII—XXXV.

¹⁰ Н. Пиксанов, Новый путь литературной науки. Изучение творческого шедевра (принципы и методы). Журн. „Искусство“ (Российской Академии Худ. Наук) М., 1923, № 1, стр. 94—113.

¹¹ Б. Томашевский, Новое о Пушкине. Алманах „Литературная мысль.“ Пб., 1923, № 5, стр. 171—186.

¹² Там же, стр. 174.

¹³ А. С. Пушкин, „Гаврилада.“ ред. прим. и коммент. Б. Томашевского, Пб., 1922.

და ტექსტოლოგიის პრობლემების თეორიულ გააზრებას, ცდილობდა დაეყვანა ისინი სოლიდურ ფილოლოგიურ ბაზამდე¹⁴.

გ. ვინოკური არ იყო წინააღმდეგი „ავტორის ნების“, მაგრამ სასტიკად აკრიტიკებდა მ. გომფანის მექანიკურ პოზიციას. მისთვის მიუღებელია ბ. ტომაშევსკის „განურჩეველი ემპირიზმიც“, რომელიც მას უკიდურეს სუბიექტივიზმად მიაჩნდა (გ. ვინოკური იცნობს ბ. ტომაშევსკის მხოლოდ ადრეულ შრომებს, უკანასკნელის ნაშრომი „მწერალი და წიგნი“, გ. ვინოკურის შრომის დაბეჭვდიდან ერთი წლის შემდეგ გამოვიდა).

ტექსტოლოგიის საფუძვლების სისტემატური გადმოცემისა და მისი თეორიული დასაბუთების პირველი ცდა საბჭოთა ტექსტოლოგიაში ეკუთვნის ბორის ტომაშევსკის. ამ მხრივ საყურადღებოა მისი 1928 წელს გამოცემული შრომა „მწერალი და წიგნი“¹⁵, რომელიც წარმოადგენდა ავტორის პრაქტიკული მუშაობის შედეგს. ავტორი სიკვდილამდე თავისი პრინციპების ერთგული დარჩა, ხოლო მისი წიგნი ერთადერთი სახელმძღვანელო იყო ტექსტოლოგიაში იმ დიდ ძვრებამდე, რაც საბჭოთა ტექსტოლოგიაში 1952 წელს დაიწყო. ბ. ტომაშევსკის წიგნზე აღიზარდა საბჭოთა ტექსტოლოგების მთელი თაობა და, წიგნის თეორიული მხარის არსებითი ნაკლის მიუხედავად, ბ. ტომაშევსკის წიგნს საბჭოთა ტექსტოლოგიის ისტორიაში თავისი სპატიო ადგილი უკავია¹⁶.

ბ. ტომაშევსკის აღნიშნული ნაშრომი ამჟღავნებს მხატვრული ნაწარმოების ავტორისადმი უნდობლობას, ის ეჭვქვეშ აყენებს შესაძლებლობის დაშვებასაც კი „ავტორის ნების“ თაობაზე. თავისი გაუმართლებელი სკეპტიციზმის შედეგად (რაც კარგად ჩანს მის გამოსვლაში საკავშირო თათბირზე ტექსტოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით)¹⁷, ის დიდად აზვიადებს რედაქტორის როლს და არსებითად მას ხდის თანაავტორად. ბ. ტომაშევსკი, ისწრაფვის „ფილოსოფიურად“ დასაბუთოს თავისი თეორია კრიტიკული დამოკიდებულებისა მწერლის ტექსტთან. ის წერს: „ფილოლოგიაში ჩვენ

¹⁴ Г. Винокур, Критика поэтического текста, М., 1927, стр. 47—48.

¹⁵ Б. Томашевский, Писатель и книга, Очерк текстологии, Л., 1928; изд. 2. М., 1959.

¹⁶ არცერთი შრომა ტექსტოლოგიის საკითხზე არ დაწერილა დღემდე, რომელშიც ბ. ტომაშევსკის მოსაზრებანი არ იყოს გამოყენებული სათანადოდ. საყოველთაოდ მიღებული და გაზიარებული რჩება ძალაში, ხოლო გაკრიტიკებული და უარსაყოფი-უუყოფებელია საბჭოთა ტექსტოლოგიის მიერ (ამაზე ქვემოთ).

¹⁷ Стенограмма Всесоюзного Совещания по вопросам текстологии, Москва, 10—13 мая, 1954., стр. 357—384.

ხშირად ვხვდებით ე. წ. მესამის გამორიცხვის კანონის არაზომიერ ხმარებას (მოცემული მოვლენა არის ან ა, ან არა ა და მესამე გადაწყვეტილება შეუძლებელია)... მესამის გამორიცხვის კანონით ვსარგებლობთ—პირველი; მხოლოდ მოვლენებთან დაკავშირებით... მეორე. ის მისაღებია ინდივიდუალურ მოვლენებთან და არა მთელ გვართან დაკავშირებით (მოცემული სახლი ან ორპართულიანია, ან არა; და არა სახლი საერთოდ).. საქმე ის არის, რომ ყოველგვარი მსჯელობა ფლობს დიდი თუ პატარა ალბათობის თვისებას. ამიტომ, ტექსტის რედაქტირებისას არაა აუცილებლობა ყოველთვის მივდიოთ ყველაფერში ერთ განსაზღვრულ წესს...¹⁵.

ამ თვალსაზრისით არ შეიძლება იყოს კანონიკური ტექსტი, ბ. ტომაშევსკი წერს: „უკანასკნელი გამოცემის არჩევის შემთხვევაში (როგორც საბოლოო ტექსტის მომცემი), სასარგებლოა წინარე გამოცემათა შორის ვეძებოთ ყველაზე უფრო წესიერ მდგომარეობაში მყოფი გამოცემა; რომელიც შეიძლება ავირჩიოთ ძირითად ტექსტად იმ პირობით, რომ მასში შევიტანოთ ყველა ავტორისეული ცვლილებანი გვიანდელი გამოცემებიდან“¹⁶.

ბ. ტომაშევსკის აზრით ტექსტოლოგი ვალდებულია გამოვიდეს ტექსტის კონსტრუქტორის თავისებურ როლში. და ამასთანავე მისი თეორიით რედაქტორისათვის იშლება ტექსტის კომბინირების ფართო შესაძლებლობა—ე. ი. გამართლებულია რედაქტორის ნებისმიერი ჩარევა მწერლის ტექსტში.

მსგავსი „თეორია“ ვითარდება გ. ვინოკურის წიგნში „პოეტური ტექსტის კრიტიკა“.

დებულებიდან გამომდინარე, რომ „ავტორის ნება იმდენადვე ცვალებადია, რამდენადც ცვალებადია ტექსტი“²⁰. (ქვემოთ იგი წერს „ყოველი ტექსტი ყოველთვის არის მერყევი ტექსტი“)²¹, გ. ვინოკური მიდის დასკვნამდე, რომ „არაა გადაქრით არცერთი უტყუარი შემთხვევა, რომელშიც ჩვენ შეგვეძლოს თავდებობა, რომ ესა თუ ის გაფორმება პოეტური ჩანაფიქრისა არის გაფორმება ნამდვილად საბოლოო“²². ბუნებრივია, რომ ავტორის შრომისა და ნებისადმი. ასეთ უპარესად სკეპტიკური დამოკიდებულებიდან, გ. ვინოკურის წიგნში არა მარტო არ ისმება საკითხი ავტორის ნე-

¹⁵ ბ. ტომაშევსკი, დასახელებული წიგნი, გვ. 164.

¹⁶ იქვე, გვ. 179.

²⁰ Г. Винокур, Критика поэтического текста, 1927, стр. 16.

²¹ Г. Винокур, იქვე 1927, стр. 96.

²² იქვე, გვ. 17.

ბის გამოვლინებისა ტექსტოლოგიური მუშაობის დროს, არამედ თვით ცნება „ავტორის ნება“ გადაქრით უარყოფილია, როგორც მეცნიერებისათვის ზედმეტი²³.

ცხადია, ბ. ტომაშევსკისა და გ. ვინოკურის შრომები შეიცავენ ცდებს განამტკიცონ ტექსტოლოგიაში წმინდა სუბიექტივისტური მიმართულება. დაასაბუთონ მწერალთა ტექსტებისადმი „თავისუფალი“ მოპყრობის უფლება. სამწუხაროდ, ტექსტოლოგიაში სუბიექტივიზმმა თავისი ასახვა ჰპოვა არა მარტო თეორიაში. არამედ მრავალი რედაქტორის პრაქტიკულ საქმიანობაშიც.

მიხვედრებზე დამყარებული სუბიექტივისტური მიდგომა ტექსტებისადმი მექანიკურად იყო გადმოტანილი ჩვენს მეცნიერებაში ბურჟუაზიული ტექსტოლოგიიდან.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ბ. ტომაშევსკის, გ. ვინოკურის, ბ. ეიხენბაუმის და სხვათა შრომები გამოქვეყნდნენ დიდი ხნის წინათ და დროთა განმავლობაში ეს პოზიციები მათ მიერ გადაიხედა? სამწუხაროდ, ეს არ მომხდარა, ავტორები ისე გარდაიცვალნენ, რომ მათ თავიანთი დებულებები არ უარუყვიათ. სუბიექტივისტური თეორიის წარმომადგენლების დებულებებმა სერიოზული ჩავარდნები გამოიწვიეს რედაქტორულ მუშაობაში, რედაქტორთა პრაქტიკულ საქმიანობაში.

* * *

ლენინი თვალყურს ადევნებდა „სახელგამის“ მუშაობას და მოითხოვდა, რომ ყოველ წიგნს გაეელო გულდასმითი რედაქცია და კორექტურა. რომელიმე წიგნში გამომცემელთა დაუდევრობას რომ წააწყდებოდა, ლენინს ეს აღაშფოთებდა. 1919 წლის 24 აპრილს მან სასტიკი საყვედური გამოუცხადა გამომცემლობას ბროშურის „III ინტერნაციონალი. 1919. 6—7 მარტი“ უდიერად გამომცემისათვის. „გადავათვალიერე რა ბროშურა... გიცხადებთ სასტიკ საყვედურს ასეთი გამომცემისათვის და მოვითხოვ, რომ სახელმწიფო გამომცემლობის კოლეგიის ყველა წევრმა წაიკითხოს ჩემი ეს წერილი და შეიმუშაოს იმის გარანტიის სერიოზული ღონისძიებანი. რომ ასეთი უმსგავსოება აღარ განმეორდეს.

ბროშურა საზიზღრად არის გამოცემული. ეს, რაღაც ნათიბნია. სარჩევი არა აქვს. ვიღაც იდიოტს თუ დაუდევარს, აშკარა უვიცს. შეუკრებია, თითქოს მთვრალს. მთელი „მასალები“, სტატუები. სიტყვები და უწესრიგოდ დაუბეჭდავს.

²³ Г. Винокур, დასახელებული ნაშრომი, გვ. 111.

არც წინასიტყვაობა, არც ოქმები, არც გადაწყვეტილებათა ზუსტი ტექსტი, არც გადაწყვეტილებათა გამოყოფა სტატიებისაგან, სიტყვებისაგან, შენიშვნებისაგან, სრულიად არაფერი:

უმაგალითო სირცხვილია.

დიდი ისტორიული მოვლენა შერცხვენილია ამგვარი ბროშურით.

მოვითხოვ: 1. გაასწოროთ ჩაწებების გზით (დამნაშავენი საპურობილეში ჩასვით და ყველა ეგზემპლიარში აწებებინეთ)... 2. ხელახლა გამოეცით მართებული სახით. კორექტურა მიჩვენეთ, 3. შემოიღეთ წესი, რომ ყოველი გამოშვებული წიგნისათვის პასუხს აგებდეს გარკვეული პიროვნება (შემოიღეთ პასუხისმგებელ პირთა ჩანაწერების წიგნი) 4. მოწესრიგების სხვა ღონისძიებანი: შეიმუშავეთ და გამომიგზავნეთ“²⁴.

1920 წლის 11 დეკემბერს ლენინი იმავე გამომცემლობას სწერდა:

„გთხოვთ შემატყობინოთ 1. საერთოდ შემოღებულია თუ არა სახელმწიფო გამომცემლობაში ისეთი წესი, რომ უკლებლივ ყოველი წიგნისა და ბროშურის გამოცემის დროს წერილობით აღინიშნებოდეს: ა. ხელმოწერა სახელმწიფო გამომცემლობის რედაქციის წევრისა. რომელიც პასუხისმგებელია ამ გამოცემების რედაქტორულ გადასინჯვისათვის.

ბ. ხელმოწერა ტექსტის რედაქტორისა.

გ. ხელმოწერა პასუხისმგებელი კორექტორის, ან გამომცემლის ან გამომშვებისა.

2. თუ არა, რა მოსაზრებანია ასეთი წესის წინააღმდეგ“...²⁵.

როგორც ციტირებული წერილებიდან ჩანს ვ. ი. ლენინი ანსხვავებდა სამ მომენტს: საერთო რედაქტორული გადასინჯვა. ტექსტის რედაქცია და კორექტურა. კლასიკოსების გამოცემისა ეს ნიშნავს, რედაქტორ-გამომცემელმა უნდა ჩაატაროს ტექსტის მთლიანი შემოწმება, გაანთავისუფლოს ის ყოველგვარი დამახინჯებების, სტამბური და სხვა ტექნიკური შეცოდებებისაგან. რისთვისაც აუცილებელია მოვიმარჯვოთ მწერლის სიცოცხლისდროინდელი გამოცემები. მათი ხელნაწერები, გავეცნოთ არსებულ დოკუმენტურ მასალას (წერილები, დღიურები და ა. შ.), რაც ნაწარმოების შექმნის ისტორიას ეხება. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია რედაქტორ-გამომცემელს ჩაატაროს საჭირო ტექსტოლოგიური მუშაობა და მოგვეცეს ნამდვილად ავტორისეული ტექსტი.

²⁴ ვ. ი. ლენინი, თბზულებანი, IV გამოცემა, ტ. 35. გვ. 454—455.

²⁵ იქვე, გვ. 493.

ჩვენს სინამდვილეში, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის საერთო აღმავლობის პირობებში, კლასიკოსების გამოცემის საკითხმა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიიღო —ის იქცა სახალხო მნიშვნელობის საქმედ.

ასეთ ვითარებაში ყოვლად მოუთმენელია თვითნებობა და სუბიექტივიზმი. ტექსტოლოგიურ მუშაობაში ამის მკაფიო მაგალითია დემიან ბედნის ნაწარმოებთა ტექსტების ყოვლად უხეში პოლიტიკურ დამახინჯებათა ფაქტები. რის გამოც საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1952 წლის 24 აპრილს მიიღო დადგენილება „დემიან ბედნის ნაწარმოებთა ტექსტების ყოვლად უხეშ პოლიტიკურ დამახინჯებათა ფაქტების შესახებ“²⁶.

დადგენილებაში აღნიშნულია: „დემიან ბედნის ნაწარმოებთა იმ კრებულების შედგენისა და რედაქტირების დროს, რომლებიც გამოაცეს მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ („რჩეული“, 1950 წ.), და სამხედრო გამომცემლობამ („მშობლიური არმია“, 1951 წ.) დაშვებულია თვითნებობა და თავგასულობა პოეტის ტექსტებისადმი მოპყრობაში, რის შედეგად ბევრი მისი ლექსი დაბეჭდილია ყოვლად უხეში პოლიტიკური დამახინჯებით, რაც ზოგ შემთხვევაში დ. ბედნის ტექსტების ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ფალსიფიკაციამდე მიდის...

კრებულის შემდგენელმა ვ. რეგინინმა გამოიჩინა მისთვის მინდობილი სამუშაოსადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება:

კრებულში შეიტანა ნაწარმოებთა არაუკანასკნელი, არამედ უფრო ადრინდელი, თვითპოეტიკური დაწუნებულის ვარიანტები, ანგარიში არ გაუწია იმას, რომ დ. ბედნი აუმაჯობებს და თავის ნაწარმოებებს, მთელ რიგ შემთხვევებში კი შეჭკონდა მათში შესწორებანი პარტიული კრიტიკის გავლენით.

სახელმწიფო გამომცემლობის რედაქტორმა ლ. ბელოვმა... არ შეაპოწმა... წარმოდგენილი ტექსტები და მათი შესაბამისობა პოეტის მიერ შეტანილ შესწორებებთან... სამხედრო გამომცემლობის რედაქტორმა ა. კოლესენმა დ. ბედნის ნაწარმოებთა კრებულის „მშობლიური არმიის“ რედაქტირების დროს არა თუ გაასწორა რეგინინის მიერ დაშვებული დამახინჯებანი, არამედ თვითნებურად შეამოკლა ზოგიერთი ნაწარმოები, მოხსნა მათთვის დართული, თავისი პოლიტიკური აზრით მნიშვნელოვანი ეპიგრაფები, რის შედეგად მთელი რიგი

²⁶ „პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ,“ (დოკუმენტების კრებული), სახელგამი, 1956, გვ. 844—846.

ნაწარმოებები თავისი პოლიტიკური შინაარსით გაუარესებელი, ზოგჯერ კი პოლიტიკურად დამახინჯებული აღმოჩნდა...

სახელმწიფო გამომცემლობის დირექტორი ამხ. კოტოვი და სამხედრო გამომცემლობის სამმართველოს უფროსი ამხ. კობილევი კრებულების გამოცემის დროს უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ დ. ბედნის ნაწარმოებთა ტექსტების დასაბეჭდად მომზადებას და მთლიანად ეს საქმე მიანდეს ტექსტოლოგიაში უვიც. პოლიტიკურად უღარდელ და არაკეთილსინდისიერ შემდგენლებს და რედაქტორებს...²⁷.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილებით საბჭოთა ტექსტოლოგიაში დაიწყო ახალი ეტაპი.

გაზეთმა „პრავდამ“ თავის მოწინავე წერილში „მაღალი იდეურობისათვის გამომცემლობათა მუშაობაში“ ხაზი გაუსვა საგამომცემლო საქმიანობის გიგანტურ ზრდას ჩვენს ქვეყანაში, აღნიშნა, რომ ხალხის სულიერ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად გამოდის მილიონობით წიგნი, საბჭოთა წიგნი უნდა იყოს მაღალი იდეური. შინაარსიანი, სრულყოფილი თავისი ლიტერატურული ფორმით და გამოცემის კულტურით. მაგრამ, როგორც აღნიშნულია მოწინავე წერილში: „უეანასკნელ ხანებში ზოგიერთი გამომცემლობის მიერ დაქვეითებულია რუსი და საზღვარგარეთელი კლასიკოსების ნაწარმოებების დასაბეჭდად მომზადებისა და რედაქტირების ხარისხი. საბჭოთა მკითხველს სურს მიიღოს კლასიკოსებისა და საბჭოთა მწერლების ნაწარმოებების საუკეთესო გამოცემები. ეს ავალუებს გამოსაცემი თხზულებების შემდგენლებსა და რედაქტორებს სათუთად და გულდასმით მიუდგნენ საპუბლიკაციო ტექსტებს. სამწუხაროდ, რიგი გამომცემლობების ხელმძღვანელები ივიწყებენ თავიანთ პასუხისმგებლობას მკითხველთა წინაშე. ლიტერატურული ნაწარმოებების მომზადება პუბლიკაციისათვის არაიშვიათად ევალუებათ. არაკომპეტენტურ და არაკეთილსინდისიერ პირებს. უხეშ შეცდომებს და დამახინჯებებს ჰქონდა ადვილი ზოგიერთი ლიტერატურული ნაწარმოების ხელახალი გამოცემის დროს... მკითხველთა ინტერესები მოითხოვს, რათა ნაწარმოების ხელახალი გამოცემის დროს უზრუნველყოფილი იქნას ტექსტების გულდასმითი მეცნიერული მომზადება“²⁸.

1953 წელს „პრავდამ“ სარედაქციო წერილი მიუძღვნა ვ. მაიაკოვსკის თხზულებათა მეცნიერულ გამოცემის საკითხს, რომელშიაც

²⁷ „პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ“, გვ. 844 — 846, (დაყოფა ჩვენია-ი. ლ.).

²⁸ Газ. „Правда“, 1952, № 141.

ყურადღება გამახვილებულია გამოცემაში გაპარულ და დაშვებულ უხვშე შეცდომებზე. „ავტორის ნების“ დარღვევის რიგ შემთხვევებზე. ტექსტების პირდაპირ დამახინჯებებზე“²⁹.

„პრავდის“ მოწინავე წერილს გამოენამაურა „ლიტერატურნია გაზეტა“, რომელმაც რამდენიმე წერილი მიუძღვნა ტექსტოლოგიის საკითხებს. თავის ერთ-ერთ მოწინავე წერილში „კლასიკოსების სანიმუშო გამოცემებისათვის“ აღნიშნული იყო „კლასიკოსების ტექსტების სისწორის საკითხი არ არის სპეციალისტების კერძო საქმე—ეს საპასუხისმგებლო საქმე: სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისაა“.

ამ წერილში პირველად დაისვა საკითხი კოლექტიური მუშაობის ფორმისა და მეთოდის შესახებ, ამ მუშაობაში ისეთი დაწესებულებების ჩაბმის შესახებ, როგორც არიან აკადემიების სათანადო ინსტიტუტები³⁰. წერილში აღნიშნული იყო ტექსტოლოგთა კადრების სისტემატური მომზადების აუცილებლობა, სპეციალურ წიგნების და სახელმძღვანელოების გამოცემა ტექსტოლოგიაში და ა. შ.³¹

ამ ხანებში დაისვა საკითხი ახალი ტექსტოლოგიური ლიტერატურის გამოცემის შესახებ, იმ სპეციალური ლიტერატურისა, რომელიც შეაჯამებდა გარკვეულ ისტორიულ შედეგს, რაც საბჭოთა ტექსტოლოგიამ მოიპოვა და გააშუქებდა პრობლემებს, რომლებიც თანამედროვე მეცნიერების გაზრდილ მოთხოვნებს შეესაბამებოდა.

1953 წელს „ლიტერატურნია გაზეტამ“ გამოაქვეყნა სარედაქციო წერილი „სახალხო მნიშვნელობის საქმე“, რომელშიც აღინიშნა მიღწევები და ნაკლოვანებანი და წამოაყენა ტექსტოლოგიის აქტუალური პრობლემები. კლასიკოსთა გამოცემის მხრივ სავალალო შეცდომების შესახებ გაზეთი წერდა: „ზოგი რედაქტორი ლამის თანავტორი გახდეს მწერლისა. ამ თაობაზე ანდაზაც კი შეიქმნა—რამდენი ტექსტოლოგიც ჰყავს ნაწარმოებს. იმდენია მათი ტექსტიო“. მდგომარეობას ართულებდა ის გარემოებაც, რომ იმ დროისათვის არ გაგვაჩნდა ერთიანი დასაყრდენი თეორია და საფუძვლიანი გამოკვლევა ტექსტოლოგთა გამოცდილების შესახებ. „უცნაური მდგომარეობაა.—ნათქვამია წერილში,—ტექსტოლოგია მეცნიერებაა და ამავე დროს ამ დარგში არა გვაქვს არცერთი მეც-

²⁹ „Правда“, 1953, № 104.

³⁰ ამ წერილმა მისცა დასაბამი მთავრობის სპეციალური დადგენილებით აკადემიების ლიტერატურის ინსტიტუტებში ტექსტოლოგიის განყოფილებებისა და სექტორების დაარსებას 1952 წლიდან.

³¹ „Литературная газета“, 1952. 15 июля.

ნიერული გამოკვლევა. მდგომარეობას ართულებს ახალგაზრდა ტექსტოლოგთა კადრების უყოლობა. დროა აღვკვეთოთ ტექსტოლოგიის როგორც მეცნიერების შეუფასებლობა. აუცილებელია შემოდებული იქნას ერთიანი ინსტრუქცია, რომელიც დაადგენს ძირითად, სავალდებულო პრინციპებს მხატვრული ნაწარმოებების მეცნიერული გამოცემის მომზადების საქმეში...“³².

დებულების წამოყენებაჲ, რომ „ტექსტოლოგია—მეცნიერებაა“, დადებითი როლი შეასრულა ამ დარგის შემდგომ განვითარებაში.

წერილი დღის წესრიგში აყენებდა მასობრივი და აკადემიური (მეცნიერული) გამოცემების ტიპების რაობის საკითხს და მოითხოვდა ტექსტოლოგიური საკითხებისადმი მიძღვნილი საკავშირო თათბირის მოწვევას.

უნდა შევნიშნოთ, რომ „ლიტერატურნაია გაზეტაში“ აღძრული და განხილული საკითხები ძალზე შეზღუდული იყო. ზმირად მსჯელობა და კამათი სწორედ იმას ეხებოდა, რაც არ იყო საკამათო (მაგალითად, რომ კლასიკოსთა ნაწარმოებნი გაგვეწმინდა მეფისდროინდელი ცენზურული დამაზიანებებისაგან). მრავალმა საინტერესო საკითხმა კი, რომლებიც გაზეტის პირველ ნომერში წინ იყო წამოწეული, შემდეგში გაშუქება ვერ ჰპოვა.

ამ დროიდან ყურნალებმა „ნოვი მირმა“, „სოვეტსკაია ენგამა“, „რუსკაია ლიტერატურამ“, „ვოპროსი ლიტერატურაში“, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბეჲ“ (ენისა და ლიტერატურის განყოფილების სერიაჲ) და სხვებმა დიდი ადგილი დაუთმეს ტექსტოლოგიის აქტუალური საკითხები გაშუქებას (შემოიღეს ცალკე განყოფილებებიც კი „ტექსტოლოგიის“ სახელწოდებით).

1954 წელს (10—13 მაისი) მონაკოვში შეიკრიბა ტექსტოლოგთა დიდი ფორუმი, მასში მონაწილეობა მიიღეს ამ დარგის წამყვანმა სპეციალისტებმა. ძირითადი მომხსენებლები იყვნენ დ. ბლაგოი. („რუს კლასიკოს მწერალთა საბჭოთა გამოცემების ტიპები“) და ვ. ნეჩაევა („ტექსტების დადგენის პრობლემა XIX და XX საუკუნეების ლიტერატურული ნაწარმოებების გამოცემებში“). კამათში გამოვიდა 41 კაცი. თათბირმა მიიღო სპეციალური დადგენილება³³.

³² „Литературная газета.“ 1953, № 44 (11—IV).

³³ იხილეთ: „Совещание по вопросам текстологии“ — „Известия АН СССР, ОЛЯ, т. XIII, 1954, вып. 4, стр. 392—396. თათბირის სრული სტენოგრამა არ გამოქვეყნებულა. იგი დაკულია მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში (გვ. 1—601).

1962 წელს ჩატარდა საკავშირო თათბირი, „აღმოსავლეთ ტექსტოლოგიის საკითხებზე“. რომელშიც მონაწილეობა ქართველმა სპეციალისტებმაც მიიღეს (ი. მეგრელიძე, ლ. სანაძე, ტ. აბულაძე, ნ. კაპარაეა და ი. ლორთქიფანიძე) ამ თათბირის სტენოგრამა იბეჭდება და უახლოეს დროში გამოვა.

1957—1962 წლებში რუსულ ენაზე გამოქვეყნდა ვრცელი შრომები: „ტექსტოლოგიის საკითხები“ (I—1957, II—1960, III—1963); „ტექსტოლოგიის საფუძვლები“ (სახელმძღვანელო, 1962); დ. ლიხაჩოვის „ტექსტოლოგია“ (ძველი ლიტერატურის პროფილი, 1962), ბ. ეიხენბაუმის წიგნის „ტექსტოლოგიის საფუძვლების“ პროსპექტი (დაიბეჭდა კრებულში „რედაქტორი და წიგნი“. მოსკოვი, 1962 წ. ნაწილი III).

1956 წელს. ხელნაწერის უფლებით გამოქვეყნდა „XIX და XX საუკუნეების კლასიკოსების. მხატვრული ლიტერატურის. კრიტიკისა და პუბლიცისტიკის ტექსტების მეცნიერული გამოცემების მომზადების ძირითადი დებულებები“³⁴.

საბჭოთა ტექსტოლოგიის წინაშე ახალი ამოცანები დაისახა.

* * *

საბჭოთა ტექსტოლოგიის წინაშე მდგომი ამოცანების განხილვამდე საჭიროდ ვთვლით მოკლედ მიმოვიხილოთ ტექსტოლოგიური მუშაობის მდგომარეობა საქართველოში.

ტექსტოლოგია, როგორც მეცნიერება. საქართველოში აღიარებული არ იყო XIX საუკუნის 90-იან წლებამდე. ამ ხანისათვის დამახასიათებელია მდარე ედიციონური ტექნიკა. ჩვენ უმთავრესად ვგულისხმობთ ახალი ქართული მწერლობის ნიმუშების ტექსტოლოგიურ დამუშავებას, ამიტომ მხედველობაში არა გვაქვს ძველი და მედივისტური ქართული ლიტერატურის ტექსტოლოგიის პრობლემატიკა, რამდენადაც მას მაინც გარკვეული თავისებურებანი გააჩნია³⁵ და ჩვენი მიმოხილვის მიზანს არ წარმოადგენს.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მთელი ძალით გაიშალა დიდი ლიტერატურული ცხოვრება. ფართოდ იწერებოდა კერძო გამომცემელთა ქსელი ს. მელიქიშვილი, გრ. ჩარკვიანი, ე. ხელაძე, ა. თავართქილაძე და ა. შ. 80-იანი წლების დასასრულს დაარსდა „ქართველთა გამომცემელი ამხანაგობა“ (1880 წელს თბილისში, 1892 წელს ქუთაისში), რომლის მიზანს შეადგენდა თანამედროვე და ძველი ქართული მწერლობის ფართო პოპულარიზაცია. ამ მხრივ „ამხანაგობამ“ საკმაო ამაგი დასდო ქართულ კულტურას. მან პირველმა გამოცა ალ. ყაზბეგის, ილ. ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, აგრეთვე

³⁴ Издательство АН СССР, М., 1956.

³⁵ იხ. კ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, 1951, გვ. 9—26; მისივე — „ნ. შარი და ძველი ქართული მწერლობის ისტორია“, ევრნ. „მნათობი“, 1946, № 11.

სხვა ავტორთა ნაწერები³⁶. მაგრამ ამ ხანის საგამომცემლო საქმეს მდარე ედიციონური ტექნიკა ახასიათებდა.

ქართველი სამოციანელები, რომელთა სახელთანაა დაკავშირებული მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ყოველი დიდი კულტურული წამოწყება, უპირველეს ყოვლისა საგანმანათლებლო საქმეს ისახავდნენ მიზნად (ასეთია, მაგალითად, მათი ინიციატივით დაარსებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელთანაც დიდადაა დაკავშირებული ქართული წიგნის გავრცელება). მაგრამ ისინი ვერ აუღიოდნენ ყოველ წამოჭრილ საკითხს. აკაკი წერილში „საპასუხოდ“ ეხება იმ საყვედურს, რომელიც მას მოსდის მკითხველებისაგან თხზულებათა სრული კრებულის გამოუცემლობის გამო. იგი იგონებს მესამოცე წლების მოღვაწეებს, იმ საზოგადოებრივ პირობებს. რომლებშიც მათ უნდებოდათ მოღვაწეობა. აკაკის სიტყვით, ეს იყო „მარტოხელობის“ დრო, როდესაც მესამოცე წლების თაობა იძულებული იყო ყველაფერს წატანებოდა, ყველაფრისთვის მოეკიდნა ხელი და ცოტ-ცოტა ყველაფერი ეკეთებინა. „ყოველი კაცი უნდა აწმყოს მისდევდეს და აწმყოს კეთებაში იქნება მომავლის სამსახური იმდენად, რამდენადაც ეს ორი დრო ერთმანეთზე გადაკავშირებულია.. ამ აზრზე იდგნენ სამოციანი წლების ახალგაზრდა მუშები და ამიტომაც მათი გაზომ-აწონვა, იმ დროის შეუსწავლელად. ამ დროით არ შეიძლება. ისინი მხოლოდ იმ ფიქრში იყვნენ, როგორ ჯავენმართო და მკვეშველოთ მისაშველს და რაგვარად ვეწინააღმდეგოთ ამ მკვნეს და საწინააღმდეგოსო“³⁷. ეს სიტყვები შემთხვევითი არ არის. მესამოცე წლების მოღვაწეთა თაობას, მართლაც, დიდი საქმე ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ამ ამავადარების ნაწერების გამოცემის საქმე უფარესად სავალალო მდგომარეობაში იყო. აკაკის დიდი პოპულარობის მიუხედავად სიცოცხლეში მისი ნაწერები მხოლოდ პატარა კრებულებისა და ცალკეული ბროშურების სახით გამოდიოდა. თხზულებათა სრული კრებულის გამოცემას ავტორი ვერ ელირსა. ამის გამო პოეტი თავისი ცხოვრების მიწურულში, 1912 წელს, გულისტკივილით წერდა:—„ქართული მწერლობა საზოგადოდ ვერა დგას კარგ ნიადაგზე. (ავტორს აქ ნაწარმოებთა გამოცემის სავალალო მდგომარეობა აქვს მხედველობაში—ი. ლ.) მაგრამ ყველაზე მეტი უბედურება

³⁶ იხ. პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი 1629—1929, თბილისი, 1929 წ.

³⁷ ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIII, 1961, გვ. 12
29

კი ჩემ ნაწერებს ეწია: ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ორი პატარა ტომის მეტი არ გამოსულა, მაშინ, როდესაც რამდენიმე ათეული მაინც უნდა გამოცემულიყო³⁸. მსგავსი ხვედრი თითქმის ქართული ლიტერატურის ყველა დიდ წარმომადგენელს ხვდა სიცოცხლეში.

აღსანიშნავია, რომ ქართველ სამოციანელთა ნახევრეში გარკვეულად გამოსკვივის ის მოსაზრებები, რომლებიც ტექსტოლოგიურ საკითხებს ეხება. შორს არ წავალთ და მხოლოდ ილია ჭავჭავაძის ზოგიერთი მითითებით დავკმაყოფილდებით.

ილია დიდ გულისხმიერებასა და სიფრთხილეს იჩენდა თავისი თუ სხვისი ნაწარმოების ბეჭდვისას. იგი ცდილობდა, რომ ყოველი ნაწარმოები უშეცდომოდ და იმ სახით დაბეჭდილიყო, როგორადაც იგი უკანასკნელად გამოვიდა ავტორის ხელიდან. არჩილ მეფის ლექსების შესახებ ილია სწერდა გრ. ყიფშიძეს: „თუ რომელიმე სიტყვა ვერ გააჩიოთ, წერა-კითხვის ბიბლიოთეკის ეკზემპლარიდამ შეასწორეთ. ვცადეთ შეუცდომლად დაიბეჭდოს“³⁹. საგულაჩსმთა, რომ ილ. ჭავჭავაძე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა სსვა მწერალთა ნაწარმოებების გამოცემას (იქნება ეს არჩილი თუ ნ. ბარათაშვილი) და აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა დაბეჭდილიყო მათი ნაწერები შეუცვლელად, ისე, როგორც ავტორებს ჰქონდათ.

კ. ლორთქიფანიძისადმი გაგზავნილ წერილში ილია წერდა: „ძმო კირილე, გიგზავნი ბარათაშვილის წიგნებს. შენ იცი და შენმარგიანიობამ, როგორც კარგად შეუშლელად და შეუმცდარად დაბეჭდავ. მართლწერა და ნიშნების ხმარება სრულად და შეუმცდარად დედნისა არის და აგრეთვე უნდა დაიბეჭდოს... გთხოვ მაგ წიგნებს ამისთანა შენიშვნა გაუკეთო: „ეს ოთხი წიგნი, ნიკ. ბარათაშვილისაგან ერთ და იგივე პირთან მიწერილი (მაიკო ორბელიანთან—რ. ლ.) გადმოგვცა ჩვენ ერთმა პატივცემულმა პირმა. ქართული ენის და მწერლობის მოყვარემ (ი. ჭავჭავაძის სიძემ—ი. ლ.). ვისაც ესმის—რაგვარი მნიშვნელობა აქვსთ ამგვართა წერილთა ლიტერატურის ისტორიისათვის და თვით მწერლის მიმართულების და თვისების ახსნისათვის,—იგი ჩვენთან ერთად გულითად მადლობას მოახსენებს მაგა წიგნების პატივცემულ გარდმომცემელსა“⁴⁰.

კ. ლორთქიფანიძის, გრ. ყიფშიძის, პ. ნაკაშიძის და სხვებისადმი ილია ჭავჭავაძის მიერ გაგზავნილ წერილებში, აგრეთვე ნაწერებში, ვხვდებით საინტერესო ტექსტოლოგიურ მოსაზრებებს.

³⁸ ა. წერეთელი, ჩემი ნაწერები, წ. 1, თბილისი, 1912, წინასიტყვაობა.

³⁹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961, გვ. 118.

⁴⁰ იქვე, გვ. 27.

რამდენადაც კონკრეტულად საუბარი ილ. ჭავჭავაძეზე გაგვი-
გრძელდა. შეუძლებელია გვერდი ავუაროთ იმ ორ მნიშვნელოვან
ფაქტს, რომელთა უშუალო მონაწილე ილ. ჭავჭავაძე იყო და ამ
ფაქტებს, საერთოდ, ქართული ტექსტოლოგიის ისტორიაში, უდა-
ვოდ მნიშვნელოვანი ადგილი მიეკუთვნება.

1880 წლის 15 ნოემბერს „დროებაში“ გამოქვეყნდა ვრცელი
წერილი სათაურით „ვეფხისტყაოსნის რედაქცია“; სადაც ვკითხუ-
ლობთ, რომ „რაფ. ერისთავი. იაკობ გოგებაშვილი, ი. მეუნარგია
ამზადებენ „ვეფხისტყაოსნის“ დასტამბულ გამოცემას. წერილიდან
ჩანს თუ როგორი ყურადღებით და პასუხისმგებლობით ეპყრობიან
ისინი ამ დიდ ეროვნულ საქმეს. ავტორები საგანგებოდ უსვამენ
გაზეთში ხაზს. რომ „რედაქცია შეუდგა ამ საქმეზე საძნელო საქმის გაკე-
თებას“, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ ხელის ხლებას ჩვენ მარტო ვერ
ვიღებთ ჩვენ თავზე. გვინდა, რომ ამ საქმეში ყველამ მიიღოს მონა-
წილეობა. ვისთვისაც რუსთაველი შეადგენს ძვირფას ნაციონალურ
სიმდიდრეს... რედაქცია თხოვს საზოგადოებას: გამოუგზავნონ წ. კ.
გამავრცელებელ საზოგადოებას „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი ვა-
რიანტები... თბილისში მყოფი საქმით დაინტერესებული პირები
დაესწრონ რედაქციის სხდომებს. მაგრამ ჩვენ ვთხოვთ ამ რედაქ-
ციაში მონაწილეობა მიიღონ: გ. დ. ორბელიანმა. დ. ი. ყიფიანმა,
გაბრიელ იმერეთის ეპისკოპოსმა. ი. გ. ჭავჭავაძემ. ა. კ. წერეთელ-
მა, ვ. ვ. ორბელიანმა, ს. ს. მესხმა. პ. ი. უმიკაშვილმა, ნ. ტ. დადიან-
მა, დ. გ. ერისთავმა და სხვა“⁴¹. წერილს ხელს აწერენ: რაფ. ერის-
თავი, ი. გოგებაშვილი, ი. მეუნარგია.

1881 წლის თებერვალში მუშაობა დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“
ტექსტის დამდგენმა კომისიამ. 6 თებერვალს ჩატარდა რედაქციის
პირველი სხდომა, რომელსაც გრ. ორბელიანი თავმჯდომარეობდა.
ოცდაორი ცალი „ვეფხისტყაოსნის“ ჩამოტრიგეს დამსწრეთ. რედა-
ქცია შეუდგა რუსთაველის პოემაში „ობოლი მარგალიტების“ ძებ-
ნას. პირველი კითხვა პოემისა რაფ. ერისთავმა დაიწყო.

სხდომის მონაწილეთა წინ იდგა ჭალარა, მაგრამ მხნე რ. ერის-
თავი, რომელიც ბროსეს 1841 წლის გამოცემიდან ხმამაღლა კითხუ-
ლობდა პოემის სტრიქონებს. ილ. ჭავჭავაძე. გრ. ორბელიანი, ს. მე-
სხი, ი. გოგებაშვილი, პ. უმიკაშვილი და სხვები თვალყურს ადევნე-
ბენ ხელნაწერებს⁴².

მუშაობა პოემის შესწავლისა და გაგებისათვის ჯერ კიდევ ე. წ.
აღორძინების ხანაში დაიწყო. „XVII საუკუნეში არჩილ მეფის

⁴¹ „დროება“, 1880, № 241.

⁴² „დროება“, 1881, № 31.

დროს, საზოგადოებას შეგნებული ჰქონია, რომ ყველაფერი ის, რასაც იმდროინდელი ხელნაწერები შეიცავდნენ, რუსთაველს არ ეკუთვნის. თეიმურაზ I რუსთაველთან კამათში პირდაპირ ეუბნება მას: „ერთი ამბავი აიწყე, ბოლოც სხვათ შეგითავსო“. არჩილი, ამ სიტყვების ავტორი, სასტიკად ამათრახებს ყველა ჯურის ინტერპოლატორს ვინმე ნანუჩას სახით, რომლის შესახებ ამბობს: „ნანუჩას რუსთაველის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია, საბოლოოს ვერ შეუწყვია. წმინდა რამ აღმღვრევია“. ასეთი შეგნების პირობებში საკვირველი არაა, რომ XVIII საუკუნის დამდეგს ჩვენში უკვე მომწიფებულა პოემის კრიტიკული გამოცემის იდეა, რომელიც 1712 წელს განხორციელდა. ამ გამოცემის კომენტარებში ვახტანგ VI გვამცნობს, რომ კრიტიკული მიდგომა პოემისადმი დამახასიათებელი იყო არა მარტო მისთვის. ისეთ კომენტარებს, რომელიც მან დაგვიტოვა სხვებიც სწერდნენ: „მრავალთა ორთა და სამთა უთარგმნია. ერთი მე ასე მივხვდი და მიტყვამს“-ო⁴².

ბუნებრივია, რომ 1881 წლის პოემის ტექსტის დამდგენი კომისიისათვის ცნობილი იყო ეს ტრადიციული ცნობები და მის წინაშე უსათუოდ წამოიჭრებოდა რთული ტექსტოლოგიური საკითხები, რათა მოეცა პოემის კრიტიკული ტექსტი. მათი მუშაობის დახასიათება ცხადყოფს, რომ კომისიის წევრები დიდი გულისყურით ეკიდებოდნენ პოემის ყოველ სიტყვას, სტრიქონს, სტროფს; პოემის ყალბ ადგილებს, მართლწერას, პუნქტუაციას⁴³. ერთი სიტყვით, გადასაქრელი იყო რთული ტექსტოლოგიური პრობლემა: ამ მუშაობის შედეგი პოემის 1888 წლის გამოცემით დაგვირგვინდა, რაც გ. ქართველიშვილისეული გამოცემის სახელს ატარებს (პირის, რომელმაც ითავა პოემის გამოცემის დაფინანსება).

1884 წელს თბილისში დაიბეჭდა „ვისრამიანის“ პირველი გამოცემა. წიგნის თავფურცელზე რედაქტორებად მოხსენებულნი არიან: ილ. ჭავჭავაძე, ალ. სარაჯიშვილი და პ. უმიკაშვილი. „რედაქციის ასეთი სერიოზული შემადგენელობის წყალობით გამოცემა იმ დროის კვალობაზე მაღალი ღირსებისაა, თუმცა, რასაკვირველია, ნებსითი თუ უნებლიეთი ხასიათის მნიშვნელოვან ნაკლსაც შეიცავს. გამოცემული ტექსტი დამყარებულია ხელნაწერი მასალების სიავკარგის კრიტიკულ შესწავლაზე. სხვათა შორის, რედაქციას ხელთ ჰქონია და გამოცემის საფუძვლად მიუღია „ვისრამიანის“ ყველაზე კარგი ხელნაწერი... ყველაფრიდან ჩანს, რომ ილია მხოლოდ საერთო

⁴² კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 11, 1952, გვ. 95.

⁴³ ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, 1958, გვ. 11-18.

რედაქციაში ღებულობდა მონაწილეობას. ფაქტიურად რედაქტორები, ანუ ტექსტის დასაბეჭდად დამზადებელნი უნდა ყოფილიყვნენ პეტრე უმიკაშვილი და ალ. სარაჯიშვილი, უფრო პირველი...⁴⁵.

„ვისრამიანი“ 1884 წლის გამოცემა თავისი დროისათვის საწინამუშოდ არის შესრულებული. ტექსტის (ფაქტიურ) რედაქტორა პ. უმიკაშვილს დიდი შრომა ჩაუტარებია ტექსტის რიგაინად გამოცემისათვის. მართალია, ტექსტში დაშვებულია შეცდომები, განსაკუთრებული არაა მთელი რიგი ადგილები, რომლებიც ხელნაწერში დამახინჯებულად არის მოცემული, მაგრამ, როგორც ამას „ვისრამიანის“ მეორე გამოცემლები აღნიშნავენ „ამგვარი შეცდომების თავიდან აცილება არც იყო იმ დროს შესაძლებელი, რადგან წიგნი კერკადე იმ დროს გამოიცა, როცა ძველი ქართულის შესწავლის საქმე ახლად იწყებოდა“⁴⁶.

ძველი ქართული მწერლობის ისტორიის შესწავლის მეცნიერული ნაწილი აკად. ნ. მარის სკოლის სახელთანაა დაკავშირებული. „ქართული მწერლობის ისტორიის კვლევა-ძიება ნ. მარმა ტექსტების გამოცემით მყარ ნიადაგზე დააყენა...“⁴⁷, რაც შემდეგ სასელონად განაგრძეს კ. კეკელიძემ, ა. შანიძემ, პ. ინგოროვამ, ალ. ბარამიძემ, ილ. აბულაძემ, გ. ლეონიძემ და მრავალმა მათმა მოწაფემ. მათ დაუღალავი შრომა გასწიეს ტექსტოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად, ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი ძეგლების ღრმა მეცნიერული დამუშავებისა და გამოცემისათვის.

ფართო პრაქტიკული საქმიანობის დასაწყისი ახალი ქართული ლიტერატურის ძეგლების ბეჭდვის თვალსაზრისით შეიძლება დაუკავშიროთ „ქართველთა გამოცემულ ამხანაგობას“, რომელმაც ავტორების მეთვალყურეობით თუ რედაქტორობით (მაგ., ილ. ჭავჭავაძის თხზულებანი. ტ. I. II. 1892 წ.) დაიწყო ქართველ კლასიკოსთა თხზულებების გამოცემა, მაგრამ ძირითადად მაინც ეს საქმიანობა მეოცე საუკუნიდან იწყება და მის დასაწყისად ჩვენ მიგვაჩნია ილია ჭავჭავაძის თხზულებანი⁴⁸.

ამ გამოცემის განხორციელებისათვის შედგა სარედაქციო კომისია კიტა აბაშიძის, იოსებ გედევანიშვილის, ივანე გომართელის,

⁴⁵ ალ. ბარამიძე, ილია ჭავჭავაძე და ვისრამიანი. ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული. 1939 წ., გვ. 223.

⁴⁶ ვისრამიანი, ალ. ბარამიძის, პ. ინგოროვას და კ. კეკელიძის რედაქციით და შესავალი წერილით. 1938, გვ. 11—111.

⁴⁷ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 21.

⁴⁸ ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი ტ. 1, 1914 წელი, მიხეილ გედევანიშვილის გამოცემა.

ილია ზურაბიშვილის, გიორგი ლასხიშვილის, იაკობ ფანცხავას, ნიკო ჩიკოვამისა და ივანე ჯავახიშვილის შემადგენლობით.

გამოცემის ყველა საკითხი, სალიტერატურო თუ ტექნიკური, ამ კომისიის მონაწილეობით, რჩევა-დარიგებით და ხელმძღვანელობით წყდება.

რედაქციამ თავი მოუყარა იმ დროისათვის ილია ჭავჭავაძის ყველა ხელმისაწვდომ ხელნაწერ-ავტოგრაფს, ნუსხებს, ნაბეჭდ წყაროებს და მათი შეჯერების შედეგად აღგენდა ტექსტს (თუ ნაწარმოები პირველად არ იბეჭდებოდა ხელნაწერის მიხედვით). გამოცემულ თხზულებათა მიმართ პრიორიტეტი ენიჭებოდა ავტორის მეტაყურებითა და რედაქტორობით დაბეჭდილ უკანასკნელ გამოცემას („ამხანაგობა, 1892). რედაქციამ იხელმძღვანელა ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპით (ტომში შესულა ილიას მხატვრული ნაწარმოებები: ლექსები, პოემები, მოთხრობები). დათარიღებაში ხელმძღვანელობდა ილიას ხელნაწერების მონაცემებით და თუ ხელნაწერ-ავტოგრაფებში თარიღი არ იყო დასმული, ხელმძღვანელობდა „ამხანაგობის“ მიერ გამოცემული „თხზულებების“ თარიღებით (ზოგ შემთხვევაში ტექსტის შინაარსით და თვით ნაწარმოების ხასიათით), თუ არ იყო ასეთი მონაცემები, ნაწარმოები პირველი პუბლიკაციის მიხედვით თარიღდებოდა. ტომს დართული აქვს ვრცელი განყოფილება „ვარიანტები“ (გვ. 499—656). სადაც ვარიანტების ჩვენების ნაცვლად, პრინციპადაა მიღებული ადრინდელი რედაქციის მთლიანი ჩვენება. რედაქციის მიზანი იყო დაეცვა ილიას სტილი და მართლწერა. გასწორებულია კალმისეული და სტამბისეული შეცდომები. შენიშვნებში მითითებულია რომელი ხელნაწერი ვისი კუთვნილებაა, მოცემულია მათი დახასიათება, რა ნომერი აქვს ხელნაწერს.

გამოცემას დართული აქვს გრ. ყიფშიძის—ი. ჭავჭავაძის ვრცელი მეცნიერული ბიოგრაფია და კიტა აბაშიძის კრიტიკული წერილი „ილია ჭავჭავაძე“.

ეს გამოცემა წარმოადგენს ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა თხზულებების მეცნიერული გამოცემის პირველ ცდას.

ნამდვილი მეცნიერული ტექსტოლოგიური მუშაობა ახალი ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა თხზულებების პუბლიკაციის თვალსაზრისით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაიშალა, განსაკუთრებით 30-იანი წლებიდან.

ქართული საბჭოთა ტექსტოლოგიის პირველ ნიმუშად (მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ სამხადისი გაცილებით ადრე დაიწყო) ნ. ბარათაშვილის 1922 წლის „აკადემიური“ გამოცემა ოთვლება (რედაქტორი სამ. ფირცხალავა). ეს გამოცემა იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ მასში გატარებულია ტექსტოლოგიისათვის დამახასიათებელი პრინციპი და მეთოდი.

მასალა დალაგებულია ქრონოლოგიური წესით. გამოცემას ერთვის აპარატი „ნაწერის კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული განხილვა“, სადაც ყურადღებას იპყრობს ნ. ბარათაშვილის ავტოგრაფების დახასიათება (ე. თაყაიშვილი); ცალკე განყოფილებადაა წარმოდგენილი „ვარიანტების განსხვავება და ხანმარტებანი“ (სამ. ფირცხალავა); აქ მოტივირებულია ძირითადი ტექსტის არჩევა. ფართოდაა კომენტირებული ნ. ბარათაშვილის პირადი წერილები (სამ. ფირცხალავა). დახასიათებულია ნ. ბარათაშვილის ლექსების წინა გამოცემები (ს. ფ.) და მოცემულია „მასალები ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიისათვის“ (ს. ფ.). გამოცემა გადატვირთულია კრიტიკული წერილებით (დაბეჭდილია იონა მეუნარგიას, გ. ჯავახიშვილის, გ. ქიქოძის, დ. უზნაძის და ნ. გორგაძის წერილები).

1922 წელს ალ. აბაშელმა წამოიწყო ვაჟა-ფშაველას შვიდტომეულის გამოცემა.

1925—1928 წლებში ს. გორგაძის რედაქციით გამოიცა ა. წერეთლის რჩეული თხზულებანი 4 ტომად.

1925-29 წლებში პ. ინგოროყვასა და ალ. აბაშელის რედაქციით განხორციელდა ილ. ჭავჭავაძის ათტომეულის გამოცემა.

1928 წელს გამოიცა გრ. ორბელიანისა და ე. ორბელიანის ლექსები ვ. კოტეტიშვილის რედაქციით.

1931 წელს ს. ხუნდაძის რედაქციით დაიწყო ნ. ნიკოლაძის და გ. წერეთლის რჩეული ნაწერების გამოცემა.

1931—1933 წლებში ს. ხუნდაძის რედაქციით განხორციელდა ე. ნინოშვილის თხზულებათა გამოცემა სამ ტომად.

1932 წელს მ.იხ. ზანდუკელის რედაქციით გამოიცა დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“, ხოლო 1935 წელს მისივე რედაქციით გამოიცა გრ. ორბელიანის „ლექსები“.

დახასიათება ცალკეულად ამ გამოცემებისა შორს წაგვიყვანს და ის ჩვენს მიზანს არ შეადგენს.

ქართული მეცნიერული ტექსტოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ს. ხუნდაძე ასე ახასიათებდა ამ ხანას: „ჯერხნობით ჩვენში ძალიან ძნელი არის ქართველი კლასიკოსების შესაფერად გამოცემა. აკადემიურ გამოცემაზე, რომ არ ვილაპარაკოთ, როგორც ცნობილია

ჩვენში ჯერჯერობით თითქმის არცერთი მწერალი არ არის სათანადოთ შესწავლილი და მეცნიერულად გამოცემული. ეს კი მეტად აძნელებს მწერლების შესაფერისად გამოცემის საქმესაც—მათი ფსევდონიმების გამორკვევას, ნაწერების დადგენას, ტექსტის აღდგენას და მთლიანად მათი ნაწერების მეცნიერულ შესწავლას. რუსეთის მწერლობაში ათეული წლების განმავლობაში აწარმოებდნენ ამ მიმართულებით მუშაობას და თითოეული მწერალი შისწავლიდა ათეული მკვლევარისა და პროფესორის მიერ. ჩვენში მხოლოდ ამჟამად ეყრება მტკიცე საფუძველი ამ მიმართულებით მუშაობას⁵⁰. ს. ხუნდაძე აწორედ სვამდა საკითხს, როდესაც აღნიშნავდა, რომ მუშაობის დაძლევა „მხოლოდ კოლექტიური გზით შეიძლება“ და ყოველი კლასიკოსი მწერალი საზოგადოებამ იმ სახით უნდა გააცნოს. როგორითაც იგი ისტორიულად იყო მოცემული⁵¹.

1929 წელს ყურნალ „პროლეტარული მწერლობის“ რედაქციამ ჩაატარა გამოკითხვა ლიტერატურისა და ხელოვნების ძირითად საკვირობო საკითხებზე. რედაქციამ ყურადღება პირველ რიგში „კლასიკოსების პრობლემისადმი“ გაამახვილა. მან მკითხველებს შემდეგი კითხვებით მიმართა:

„1. როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება კლასიკოსებისადმი?

2 რით უნდა ისარგებლოს თანამედროვე მწერლობამ კლასიკოსებისაგან?

3. საჭიროა თუ არა კლასიკოსების მიწოდება მასიურ მკითხველებისათვის?“⁵².

ყურნალმა აღნიშნულ კითხვებზე მრავალი პასუხი მოათავსა⁵³. ჩვენთვის მნიშვნელობა მესამე კითხვაზე გაცემულ პასუხებს აქვთ. რამდენადაც მასში ერთგვარად ჩამოყალიბდა გარკვეული ტექსტოლოგიური პრინციპი 20-იანი წლების დასასრულისათვის. უმრავლესობის აზრით ფართო მკითხველისათვის კლასიკოსები შერჩევით, სათანადო ახსნა-განმარტებით და კომენტარებით უნდა გამოცემულიყო, რათა არ მომხდარიყო „თანამედროვე მწერლობის დისკრედიტაცია“⁵⁴.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ ათეულ წელში ქართველ კლასიკოსების გამოცემა დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული.

⁵⁰ გ. წერეთელი, პუბლიცისტური წერილები, ტ. 1, 1931, გვ. XLI.

⁵¹ ს. ხუნდაძე, გ. წერეთელი, ჟურ. „ნათობი“, 1929, № 11—12, გვ. 41.

⁵² „პროლეტარული მწერლობა“, 1929, № 10—11, გვ. 63.

⁵³ იქვე, გვ. 63—89.

⁵⁴ იქვე, გვ. 74.

მარქსიზმის ვულგარიზატორები (პროლეტკულტელები და რაკეტ-ბი) ყოველნაირად ცდილობდნენ ჩვენი დიდი კულტურული მემკვიდრეობის ფალსიფიკაცია მოეხდინათ. ამ ხანებში „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“ უადრესად პრინციპულ მნიშვნელობას ატარებდა და ის, ვინც ცდილობდა დაეცვა კლასიკური მემკვიდრეობა, მონათლული იყო „კლასობრივ მტრად“. „სოციალიზმის მტრად“.

1931 წელს ცალკე წიგნად გამოიცა კრებული „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“. ფ. მახარაძის წინასიტყვაობითა და რედაქციით.

ამ წიგნის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „...როგორ, გნებავთ შეერაგდეთ, მაგალითად. იმ გარემოებას, რომ ქართული ლიტერატურის ისტორია და კრიტიკა თითქმის სავსებით ჩაბარებული აქვთ მუშათა კლასისათვის სრულიად უცხო ელემენტებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, მტრულად არიან განწყობილნი, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. ისე მით უფრო სოციალიზმის მიმართაც...“⁵⁵. ასეთ ვითარებაში კლასიკოსების გამოცემისათვის მუშაობა ნამდვილად გამირობა იყო. და ხშირად გამომცემლები იძულებულნი იყვნენ ტექსტს კუპირება მოეხდინათ. რაზედაც მარქსიზმის ვულგარიზატორები გამანადგურებელი იეროშით პასუხობდნენ და ყოველ კეთილშობილ აქტში კლასიკოსის „გაწითლებას“. „გასოციალისტებას“ უკეთებდნენ გამომცემლებს (ს. ხუნდაძეს, მ. ზანდუკელს, ვ. კოტეტიშვილს, პ. ინგოროყვას, ალ. აბაშელს და სხვებს)“.

1935 წელა გამოიცა კარლო მელაძის წიგნი „კლასიკოსების წესაბებ“. რომელშიც ავტორი წერდა: „კლასობრივი მტერი. როგორც აშკარად. ისე ნიღაბაფარებული გამოდის მარქსისტულ-ლენინური სოფლმეადველობის წინააღმდეგ. ისინი ცდილობენ მარქსიზმის მიერ ამ რამდენიმე ათეული წლებს წინ დამარცხებული იდეოლოგიის აღდგენას და მის რესტავრაციას. ისინი ცდილობენ ლიტერატურის დარგში და, განსაკუთრებით. კლასიკოსების გავების საკითხში იგნორაცია უყონ მარქსიზმს და გაავრცელონ ნაციონალ-დემოკრატიების და სხვა პარტიების იდეოლოგიური ხაზი. ისინი ცდილობენ მტკიცედ და ურყევად დაიცვან არჩილ ჯორჯაძის და კიტა აბაშიძის რეაქციონული დებულებები. რომელიც მიმართული იყო მარქსიზმის წინააღმდეგ ჩვენს სინამდვილეში“...“⁵⁷.

კ. მელაძის მსგავსი კრიტიკოსები, რომლებიც ვითომდა „სოციალიზმის იდეოლოგიის სადარაჯოზე იდგნენ“, ყოველნაირად ცდი-

⁵⁵ კრებული „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“, 1931. გვ. 1.

⁵⁶ „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“, გვ. 9.

⁵⁷ კ. მელაძე, კლასიკოსების შესახებ, 1935, გვ. 8.

ლობდნენ შეფერხებინათ ქართული ლიტერატურის ისტორიის ნამდვილი მეცნიერული შესწავლა და ისინი თავიანთი არასწორი პოზიციით დიდ ზიანს აყენებდნენ კლასიკოსთა გამოცემას, კლასიკოსთა გამოცემის გარეშე კი შეუძლებელი იყო ლიტერატურის ისტორიის მეცნიერული შესწავლა. ჩვენ ზედმეტად მივიჩნევთ მსგავსი ნაშრომებიდან ვრცელი ამონაწერების მოტანას. რათა გვეჩვენებინა მათი პოზიცია კლასიკოსებისადმი დამოკიდებულების საკითხში, რაჟღენადაც ისტორიამ თვითონ გამოუტანა მათ მსჯავრი და მათი „აზრები“ სამუდამოდ ვარიყა, როგორც უკიდურესად მავნე და მიუღებელი. ვულგარიზატორთა ამ ჯგუფმა დიდი ზიანი მიაყენა ტექსტოლოგიის განვითარებასაც საქართველოში ოციანი წლების დასასრულამდე.

დღეი ამავი დასდეს ქართულ საბჭოთა ტექსტოლოგიას იმათ ვინც ანეთ ვითარებაში შესძლო ქართველი მკითხველებისათვის მოწოდებინა კლასიკოსთა თხზულებანი. ბუნებრივია, ამ გამოცემებს ნაკლიც ანასიათებს, რაც შემდეგდროინდელ გამოცემებში ნაწილობრივ ან მთლიანად გამოსწორდა. ქართული საბჭოთა ტექსტოლოგიის მეცნიერული შესწავლა აუცილებლად მოითხოვს დაწერონა ნარკვევები ამ ტექსტოლოგებზე⁵⁸, აგრეთვე ნარკვევი, რომელშიც მიმოხილული იქნება ქართულა ტექსტოლოგიის განვითარების ვნებო.

1932 წლის 23 აპრილს საკავშირო კ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „სალიტერატურო-სამხატვრო ორგანიზაციათა გარდაქმნის შესახებ“. ამ დადგენილებაში აღნიშნული იყო:

„1. მონდეს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის (პროლეტარულ მწერალთა ასოციაციების საკავშირო გაერთიანება, რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია) ლიკვიდაცია.

2. ყველა ის მწერალი, რომლებიც მხარს უჭერენ საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმას და ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში, გაერთიანებული იქნან საბჭოთა მწერლობის ერთიან კავშირში, რომელშიაც შეიქმნას კომუნისტური ფრაქცია;

⁵⁸ ცდები და წამოწყებები ასეთი ნარკვევების შექმნისა უკვე გვაქვს. დაიწერა რ. კუსრაშვილის ნარკვევი—„ს. ხუნდაძე, როგორც რედაქტორ გამოცემელი“ (იხ. ლიტერატურული ძიებანი, ტ. XIII, 1960, გვ. 387—400), რომელშიც დახასიათებულია ს. ხუნდაძის ტექსტოლოგიური მუშაობის პრინციპები.

3. გატარდეს ანალოგიური ცვლილება ხელოვნების სხვა სახე-
თა ხაზით³⁹.

პარტიის ამ ისტორიულმა დადგენილებამ დიდი მორგანიზებე-
ლი როლი შეასრულა საბჭოთა მწერლობის წინაშე დასახული ამო-
ცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

1934 წელს მოსკოვში მწერლები შეიკრიბნენ პირველ სრულიად
საკავშირო ყრილობაზე, რომელმაც შეაჯამა მრავალეროვანი საბჭო-
თა ლიტერატურის მიღწევანი და დასახა ახალი ამოცანები მწერლო-
ბის წინაშე. ყრილობამ (როგორც ძირითად მოხსენებაში, ასევე თა-
ნამოსხენებებში) დიდი ადგილი დაუთმო კლასიკური მემკვიდრეო-
ბისადმი ღამოკიდებულების საკითხს.

ამ პერიოდში მთავრობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე
დაიწყო სამზადისი სახალხო-საზეიმო ვითარებაში აღნიშნულიყო
გამოჩენილ კლასიკოსთა იუბილეები (მაგ., შოთა რუსთაველის „ვე-
ფხისტყაოსნის“ დაწერის 750 წლისთავი, ალ. პუშკინის, ილ. ქავჭა-
ვაძის, მ. ლერმონტოვის, ნ. გოგოლის, ა. წერეთლის იუბილეები).
ამ ღონისძიებებმა საკავშირო მასშტაბით გამოიწვიეს ტექსტოლოგი-
ური მუშაობის გაცხოველება. დიდი მუშაობა გაჩაღდა საქართვე-
ლოშიც. დაიწყო სამზადისი ილ. ქავჭავაძის და ა. წერეთლის თხზუ-
ლებათა კრებულების გამოცემისათვის. ტექსტოლოგიურმა მუშაო-
ბამ ფართო ასპარეზი მოიპოვა.

1935 წელს გაზეთ „კომუნისტურ განათლებაში“ დაიბეჭდა ვუ-
კოლ ბერიძის მეთოდური წერილი „როგორ უნდა გამოიციეს კლასი-
კოსები“. წერილის შესავლში აღნიშნულია: „იყო დრო (და არც
ისე დიდი ხანია მას შემდეგ) კლასიკურ მწერლობის გამოსადგობის
შესახებ ჩვენში აშკარა უარყოფით განწყობილებას ჰქონდა ადგილი:
ძველი მწერლობა ჩვენი ცხოვრების გამალებულ რიტმს და შინაარსს
არ შეეფერება... ძველი მწერლობა. ვითარცა ნაშთი. თუნდაც „წარ-
სულთა დღეთა დიდებულების“, მაგრამ დღეს არააქტუალური, მუ-
ზეუმმა ჩაიბაროს და თავისი თაროები დაამშვენოს. ჩვენ მათ პატი-
ვისცემით მოვეპყრობით, დროგამოშვებით, უამით-უამამდე. კიდევაც
მოვიწინაშულებთ, მაგრამ რაც შეეხება სიყვარულსა და ხალხში გამო-
ტანას, გამომზიურებას ნურას უკაცრაავათ: იგი ჩვენთვის უკვე აღარ
ვარგა და ჩვენს მშენებლობასთან მას არავითარი ხელი არ უნდა
ექნესო.

ეს უარყოფითი განწყობა კლასიკური ლიტერატურისადმი ახ-
ალმა უეჭველად საღმა შეხედულებებმა შესცვალა... დღეს უკვე ყვე-

³⁹ იხ. პარტიული და საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, სახელგამი.
1956, გვ. 581.

ლა იხსენებს. რომ კარლ მარქსი, ახალი დროის ის უდიდესი წარმომადგენელი, სათანადო ხარკს იღებდა წარსულისადმი და იმდროინდელ მწერალთ, როგორცაა: ესქილემ, გოეთემ, შექსპირიმ, დანტემ და სხვანი. ზეპირად სწავლობდა“⁶⁰.

წერილის ავტორი სვამს კითხვას: „რაა იმისათვის საჭირო, რომ კლასიკოსების დაუფლებას შევუდგეთ? უწინარეს ყოვლისა“;—პასუხობს ავტორი.—თვით კლასიკოსები იყვნენ ხელმისაწვდომნი: გამოცემა მათი საჭირო. ამ მხრივ, პირდაპირ უნდა ითქვას, ჯერ თითქმის არაფერი არაა გაკეთებული...“.

რა სახით უნდა გამოიცეს ესა თუ ის კლასიკოსი, რა უნდა გაკეთდეს ამისათვის და რა პრინციპებით უნდა ვიხელმძღვანელოთ? წერილის ავტორი ამ კითხვას ასე უპასუხებდა:

„თავდაპირველად უნდა დადგინდეს ტექსტი არსებულ ხელნაწერთა მიხედვით. მაგრამ ვინაიდან ხანდისხან გამოსაცემ ნაწარმოების უელნაწერებიც ვერ იძლევა სათანადო მასალას ენობრივი ნორმების დადგენისათვის, საჭირო იქნება ეპოქის სხვა ნაწარმოებთა მოხმარება, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელი იქნება დანაკლისის შეესება. ტექსტს თან უნდა დაერთოს ვრცელი ლექსიკონი (ავტორს მრავალი მაგლითი მოაქვს ლექსიკური ხასიათის—ი. ლ.)—გამოცემისათვის საჭიროა ყოველგვარი სხვა კომენტარი: ისტორიული, გეოგრაფიული. ფილოსოფიური და სხვა... ასევე აუცილებელია სრული ბიბლიოგრაფიის მოთავსება“⁶¹.

ვ. ბერიძეს უმთავრესად ძველი მწერლობის კლასიკოსების გამოცემა აქვს მხედველობაში, მაგრამ მის მიერ წამოყენებულ ტექსტოლოგიურ მოსაზრებებს გარკვეულად ჰქონდა მნიშვნელობა საერთოდ ქართული ტექსტოლოგიისათვის. ამ წერილის გარდა უკანასკნელ ხანებამდე, ტექსტოლოგიის საკითხებზე ქართულ ენაზე არაფერი დაბეჭდილა. ქართული ტექსტოლოგიის შემკვდრეობა სავსებით შეუწავლელი და დაუმუშავებელია.

ამწუხაროდ, წმინდა აკადემიური ტიპის გამოცემათა ტრადიცია ჩვენში ჯერ კიდევ სუსტია. ქართველი კლასიკოსების თხზულებათა სრული კრებულების გამოცემა ძირითადად ჩვენი საუკუნის 20-იანი წლებიდან დაიწყო და მყარ ნიადაგზე, სათანადო მეცნიერულ კალაპოტში ჩადგა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში ტექსტოლოგიის განყოფილება ჩამოყალიბების შემდეგ.

⁶⁰ ვ. ბერიძე, როგორ უნდა გამოიცეს კლასიკოსები, გახ. „კომუნისტური განათლება“, 1935. № 7,

⁶¹ იქვე.

ქართველი კლასიკოსების იუბილეებმა, რომლებიც 30-იანი წლების შუა ხანიდან დაიწყო. დიდი ბიძგი მისცეს ტექსტოლოგიური მუშაობის გამოცოცხლებას საქართველოში.

1937 წელს დაიწყო ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ხუთტომეულის გამოცემა (რედაქტორი პ. ინგოროყვა).

1951-1961 წელს შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა განახორციელა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა 10 ტომად (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა პ. ინგოროყვამ).

1940—1959 წლებში გამოიცა აკაკი წერეთლის შვიდტომეული (I—II ტომის რედაქტორები: პ. ინგოროყვა; ალ. აბაშელი; III ტომის — ი. გრიშაშვილი; IV ტომის რედაქტორი — პ. ინგოროყვა; V ტომისა — ი. გრიშაშვილი; VI ტომის რედაქტორი ლ. ასათიანი, VII ტომისა — ს. ხუციშვილი).

1950—1963 წელს შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა განახორციელა აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა 15 ტომად. (სარედაქციო კოლეგია: გ. აბზიანიძე, ლ. ასათიანი, ი. გრიშაშვილი, პ. ინგოროყვა; შ. რაღანა). ამ გამოცემის V—VI და IX—X ტომებს რედაქტორობს ი. გრიშაშვილი. დანარჩენებს გ. აბზიანიძე. I—IV ტომებს ტექსტი და ვარიანტები დაამუშავა სოლ. ყუბანეიშვილმა, VII—VIII ა. კენჭოშვილმა⁶².

1940 წელს ი. გრიშაშვილის რედაქტორობით გამოიცა ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული.

1945 წელს გამოიცა ნ. ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემა (მთავარი რედაქტორი აკად. კ. კეკელიძე).

1948—1950 წლებში გამოიცა ალ. ყაზბეგის თხზულებათა სრული კრებულის ხუთტომეული (ტექსტები და ვარიანტები მოამზადა ს. ყუბანეიშვილმა).

1951 წელს გამოიცა იოსებ დავითაშვილის თხზულებათა სრული კრებული სოლ. ყუბანეიშვილის რედაქციით. წინასიტყვაობით და შენიშვნებით.

1959 წელს აკ. გაწერელიას და ჯემბერ ჭუმბურიძის შესავალი წერილებით. რედაქციითა და შენიშვნებით გამოიცა გრიგოლ ორბელიანის თხზულებათა სრული კრებული.

⁶² დაწვრილებით აკაკი წერეთლის თხზულებათა აკადემიური გამოცემების შესახებ იხ. ზ. ჭუმბურიძის „ტექსტოლოგიური შენიშვნები“, წიგნში „სალიტერატურო ენა და მწერლობა“, 1962, გვ. 204—230.

1957 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ტექსტოლოგიის განყოფილება, რომლის ძირითადი მიზანია XIX და XX საუკუნეების ქართველი კლასიკოსების თხზულებათა აკადემიური გამოცემების მომზადება.

1961 წელს ამ განყოფილებამ გამოსცა დიდი ქართველი მწერლის ვაჟა-ფშაველას თხზულებანი 5 ტომად (სარედაქციო კოლეგია: გ. ლეონიძე, მ. ჩიქოვანი, სოლ. ყუბანეიშვილი, დ. ბენაშვილი, გ. აბ-ზიანიძე. ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს ზ. ქუმბურიძემ, ც. კალაძემ, ლ. სანაძემ და ე. შარაშენიძემ)⁶⁵.

1961—1964 წლებში გამოიცა ე: ბარნოვის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემა (სარედაქციო კოლეგია: გ. ლეონიძე, მ. ჩიქოვანი, სოლ. ყუბანეიშვილი. ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს რ. კუსრაშვილმა. ლ. ჭრელაშვილმა, ე. შარაშენიძემ და ლ. მეგრელიშვილმა).

1959—1963 წლებში მომზადდა და გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ჩაბარდა ბაჩანას თხზულებათა აკადემიური გამოცემა ორ ტომად და გრ. რჩეულიშვილის თხზულებანი ერთ ტომად (ტექსტები გამოსაცემად მოამზადა სოლ. ყუბანეიშვილმა).

ქართული საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენლებიდან მათი თხზულებათა მეცნიერული გამოცემა არცერთს არ ღირსებია. იყო ცდა ლიტერატურის ინსტიტუტის საბჭოთა პერიოდის განყოფილებას განეხორციელებინა ნ. ლორთქიფანიძის თხზულებათა სრული კრებული 4 ტომად. გამოიცა ორი ტომი (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გ. მიქაძემ).

ჩვენ არაფერს ვამბობთ სხვა გამოცემებზე, რომლებსაც აკადემიური გამოცემის პრეტენზია არა აქვთ. დღეს ქართველ მკითხველს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს ყველა ქართველ მწერალს, რამდენადაც ისინი თითქმის ყველანი (რჩეულებისა თუ კრებულების სახით) გამოცემული არიან.

მეცნიერული გამოცემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა უჩვენოს ტექსტზე მწერლის მუშაობის ეტაპები. ამისათვის კი საჭიროა მწერლის შემოქმედებითი პროცესის ამსახველი მასალის-ვარიანტების სამეცნიერო აპარატში გატანა (სწორედ ამითაა გამოწვეული ამგვარი გამოცემის ერთი თავისებურება—ის მბოლოდ ორიგინალის ენაზე შეიძლება შესრულდეს).

⁶⁵ აღნიშნული გამოცემა გამოორდა 1964 წელს 9 ტომად და დემატა მე-10 ტომი (გამოსაცემად მოამზადა სოლ. ყუბანეიშვილმა).

ვარიანტების აღნუსხვის თვალსაზრისით ქართული მეცნიერული გამოცემები (ზოგიერთის გარდა) დამაკმაყოფილებელ სურათს არ იძლევა. ამ მხრივ ყველაზე უკეთესი მდგომარეობაა აკაკის თხუთმეტტომეულში, თუმცა ამ გამოცემაში ერთი პრინციპი არაა დაცული: პირველი ოთხი ტომის სამეცნიერო აპარატი ისე განსწავვლება მე-5—6 ტომებისაგან, თითქოს ისინი ორ სხვადასხვა გამოცემას ეკუთვნოდნენ. ილიას ათტომეულსა და აკაკის შვიდტომეულში სრულიად არაა ნაჩვენები ვარიანტული წაკითხვები. ალ. ყაზბეგის თხზულებათა ვარიანტები უკანასკნელ ტომშია მოქცეული. ნ. ბარათაშვილის ტექსტს, იქვე, სქოლიოებში ახლავს ზოგი წაკითხვა. ხოლო ვაჟა-ფშაველას აკადემიურ გამოცემაში ამ წაკითხვების მხოლოდ ნაწილია წარმოდგენილი.

მთლად დამაკმაყოფილებელი არაა ეს გამოცემები ისტორიული ტერატურული და ტექსტოლოგიური ცნობების მხრივაც. მაგალითად, ნ. ბარათაშვილის 1945 წლის აკადემიურ გამოცემაში, სრულიად მართებულად, ნაწერები დალაგებულია ასე: ლექსები, პოემა, წერილები, მაგრამ კომენტარები რატომღაც უკულმაა ნაჩვენები, ჯერ წერილების, შემდეგ ლექსებისა და პოემის. რა მოსაზრებთ გაუგებარია. არა ერთ გამოცემას ტვირთავს მეტისმეტად ვრცელი შესავალი წერილი მწერლის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესახებ. მაგალითად, ილიას ათტომეულში შესავალ წერილს პირველი ტომის მეოთხედზე მეტი ადგილი უკავია, ნ. ბარათაშვილის 1945 წლის გამოცემაში კი—თითქმის ნახევარი.

აკაკი წერეთლის თხუთმეტტომეულში შეტანილი არ არის პოემები: „ანდრია პირველწოდებულა“ (1884), „სნეული“ (1895 წ.), „ასი წლის ამბავი“ (1901); „წმინდა ნინო“ (1905—1906); ლექსი „სავარცხელი“. რომელიც 1940 წელს დაიბეჭდა თხზულებათა III ტომში (გვ. 355). ხოლო თხუთმეტტომეულის VI ტომში პოემა „ვარანცოვის“ ვარიანტშია გატანილი და მას ასეთი შენიშვნა ერთვის: „დასასრულს არსებობს აკაკის ერთი დავიწყებული ლექსი, ქართულად იგი დაბეჭდილი არ გვინახავს, ლექსის სათაურია „სავარცხელი“... ჯერ არსად არ ყოფილა გამოქვეყნებული. მოგვყავს ამ ტომის შენიშვნებში“⁶⁴, მაშინ როდესაც შვიდტომეულის III ტომის შენიშვნებში იგივე რედაქტორი აღნიშნავდა: „იბეჭდება საქ. ლიტ. მუზეუმში დაცულ პოეტის ავტოგრაფიდან № 93 (მრავეითთა პოეტმა გ. ლეონიძემ), „სავარცხელი“ წარმოადგენს შავს, შეიძლება ერთადერთ ეგ-

⁶⁴ ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული 15 ტომად, ტ. VI, 1956. გვ. 396.

ზემლიარსაც⁶⁵. 15 ტომეულში აგრეთვე შეტანილი არ არის ლექსები. მაგ. „პასუხად სომხებს“ (დაიბეჭდა ჟურნ. „ერი“, 1910, № 8).

ტექსტოლოგიის სპეციალურ საკითხებზე შრომები ქართულ ენაზე მცირეა⁶⁶.

ასეთია ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის ტექსტოლოგიური მუშაობის მოკლე მიმოხილვა.

* * *

როგორც აღვნიშნეთ, კლასიკოსების გამოცემა საბჭოთა ეავშირში საერთო-სახალხო საქმეა და ბუნებრივია, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა კლასიკოსთა ნაწარმოებების გამოცემას ყოველთვის აძლევდნენ და აძლევენ დიდ პოლიტიკურ და აღმზრდელობით მნიშვნელობას. „საბჭოთა მთავრობა არ იშურებს საშუალებებს, რათა საერთო სახალხო კუთვნილებად გახადოს ყველაფერი კარგი, რაც შექმნილია ადამიანის გონების მიერ.. რუსული მხატვრული ლიტერატურის კლასიკოსების—პუშკინის, გოგოლის, გრიბოედოვის, ლერმონტოვის, გერცენის, ნეკრასოვის, სალტიკოვ-შჩედრინის, ტოლსტოის, ჩეხოვის, გორკის. მაიაკოვსკის—ნაწარმოებთა ტირაჟებმა უკვე ათეულ მილიონ ცალს მიაღწია“⁶⁷.

კომუნისტების მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამაში, რომელიც პარტიის XXII ყრილობამ მიიღო, აღნიშნულია: „პარტია დაუცებრომლად იზრუნებს ლიტერატურის, ხელოვნების, კულტურის აყვავებისათვის... კულტურის მატერიალური ბაზის შემდგომი მძლავ-

⁶⁵ ა. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული 7 ტომად, ტ. III, 1940, გვ. 703.

⁶⁶ ამ მხრივ დავასახელებთ ზოგიერთს: მ. ხანდუკელი, ილია ჭავჭავაძის ზოგიერთი ნაწარმოების ახალი ავტორგრაფები. ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, 1939, გვ. 157—171; პ. კეკელიძე, აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები (ტექსტოლოგიური გაშკვლევა), 1961; მისივე, „თორნიკე ერისთავის“ ავტორგრაფი. თსუ „შრომები“, 1946, ტ. 29-ე; ალ. კალანდაძე, ი. ჭავჭავაძის უცნობი ნაწარმები და ფსევდონიმები, ე. „წნათობი“ 1962, № 11. ტ. კალანდაძე, ქართველ კლასიკოსთა პუბლიკაციის ზოგიერთი საკითხი. „ლიტერატურული ძიებანი“ ტ. XIII, 1960, გვ. 375—386; რ. კუსრაშვილი, ს. ხუნდაძე როგორც რედაქტორ—გამომცემელი, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XIII, 1960, გვ. 397—400. მისივე, ტექსტოლოგიური დაკვირვებანი ვასილ ბარნოვის შემოკმედებით პროცესზე, „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XIV, 1962, გვ. 353—362; ლ. სანაძე, ვაჟა-ფშაველას „სოფლის სურათები“, ვაჟა-ფშაველა, საიუბილეო კრებული, 1961, გვ. 215—521. ე. შარაშენიძე, ტექსტოლოგიური შენიშვნები, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის „შობამე“, XXIV, № 2, 1960.

⁶⁷ М. И. Калинин о литературе. Л., 1949, стр. 120.

რი აღმავლობისათვის უზრუნველყოფილ იქნება: წიგნის გამომცემლობის საქმისა და პრესის ყოველი ღონისძიებით განვითარება⁴⁸. კომუნისმის მშენებელი ადამიანი სულ უფრო და უფრო მეტ კარგ გამოცემებს მიიღებს.

საბჭოთა ტექსტოლოგიამ უარყო ისეთი მანკიერი ზერხები, რომლებიც რევოლუციამდე სწორად იყო დანერგული პრაქტიკულ საქმიანობაში, როგორცაა: ტექსტებს მექანიკური ასახვა და შემთხვევითი არჩევა, ვარიანტების თვითნებური არჩევა, რედაქტორების უკონტროლო შეჭრა ნაწარმოების მსატყრუელ ქსოვილში ავტორიზებული ნაბეჭდი გამოცემების. ხელნაწერი წყაროებს და პარვანდელ რედაქციების იგნორირება.

საბჭოთა ტექსტოლოგიების შრომის ნიშანდობლივი თავისებურება მის კოლექტიურობაშია. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ აპეციალისტთა ერთობლივ მუშაობას შეუძლია უზრუნველყოს ტექსტის მომზადების მაღალი მეცნიერული დონე. კოლექტიურ ლაბორატორიაში იკვლევა და წყდება ყველ-საერთში. დიდი თუ პატარა, გამოცემის აგებულებიდან დაწყებული და წყაროს არჩევით დამთავრებული.

* * *

ტექსტოლოგია ფილოლოგიური მეცნიერებაა. ის სწავლობს ლიტერატურული ნაწარმოების ტექსტის ანალიზის სერხებს-ნაწარმოების ტექსტის სწორი გაგების, კრიტიკული შემოწმების, გასწორების და დაბეჭდვის მიზნით. შესწავლას ობიექტს შეაბამისად არჩევენ: ანტიკური ლიტერატურის, ძველი და მედავისტური ლიტერატურისა და ახალი და უახლესი ლიტერატურის ტექსტოლოგიას.

ტექსტოლოგიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს წარმოადგენს: ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორიის და მისი ტექსტების წყაროების შესწავლა, ძირითადი ტექსტის არჩევა და მისი კრიტიკული შემოწმების შედეგად კანონიერი ტექსტის დადგენა, ატრიბუცია (ავტორის განსაზღვრა). დათარიღება, კომენტირება და გამოცემის ტიპის კომპოზიცია-შედგენილობის განსაზღვრა.

საბჭოთა ტექსტოლოგიის ამოცანების განსაზღვრას ამ ათიოდე წლის წინ რამდენიმე სპეციალური წერილი მიეძღვნა⁴⁹.

⁴⁸ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, 1961, გვ. 174.

⁴⁹ Н. Ф. Б е л ь ч и к о в, Советская текстология и ее задачи, „Вестник“ АН СССР 1954, № 9, стр. 36—45; Н. К. Г у д з и й, В. А. Ж д а н о в, Вопросы текстологии, „Новый Мир“, 1953 г., № 3; Д. С. Л и х а ч е в, Задачи текстологии, „Русская литература“, 1961, № 4; его же, „Текстология“ М.—Л., 1962, стр. 9—27.

პირველი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა, რომელსაც ლიტერატურის ისტორია უყენებს ტექსტოლოგიას ეს არის შესასწავლი მწერლის ტექსტების სიზუსტით და სისრულით დადგენა.

რედაქტორების თვითნებობამ, მათ მიერ დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა (გლებ უსპენსკის, დემიან ბენდის, ვლადიმერ მაიაკოვსკის გამოცემებში, აგრეთვე გორკის ზოგიერთ პიესაში კუპირების გადაკეთებამ) საბჭოთა პრესის ფურცლებზე სამაროლიანი გულისწყრომა გამოიწვია. ამიტომ ტექსტოლოგიის მთავარი მიზანია ნამდვილი ავტორისეული ტექსტის დადგენა.

საბჭოთა ტექსტოლოგია მხედველობაში იღებს ავტორის ყოველგვარ შესწორებას, რომელიც მას ტექსტში შეაქვს. ამიტომ კლასიკოსების ნაბეჭდი ტექსტები (მათი სიცოცხლის დროს გამოქვეყნებულნი) წარმოადგენენ ერთ-ერთ ძირითად წყაროს ტექსტოლოგებისათვის. ავტორის სიცოცხლეში ნაბეჭდი ტექსტები კონკრეტულად უნდა იქნას შესწავლილი. ტექსტოლოგს ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ მისი მუშაობა კონკრეტულია და არავითარ წინასწარ შემუშავებულ რეცეპტს მის მუშაობაში არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს აღილი.

ლიტერატურათმცოდნეობიდან ტექსტოლოგი იღებს საკვლევა-ძიებო სამუშაოს თანამედროვე მოთხოვნათა მიხედვით. მწერლის შემოქმედებითი შესწავლა წინ უნდა უსწრებდეს ტექსტოლოგის მუშაობას.

მეთოდი, რომელსაც ტექსტოლოგი იყენებს, კონკრეტულია, მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას ტექსტოლოგია დავიყვანოთ ერთ რომელიმე სავალდებულო პრინციპამდე ანდა ხელოსნობამდე, რომელსაც არა აქვს არავითარი თეორიული პრინციპები.

ტექსტოლოგი პირველ რიგში უნდა გამოდიოდეს საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის პრინციპებიდან, აგრეთვე საბჭოთა ისტორიული მეცნიერებისა და ენათმეცნიერების მიღწევებიდან. ტექსტოლოგმა სწორად უნდა შეაფასოს კლასიკოსის ნაწარმოების იდეურ-ისტორიული მნიშვნელობა. მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ იდეოლოგია და ტექსტოლოგია მჭიდრო კავშირშია⁷⁰.

ტექსტოლოგიის მეთოდი შეიძლება იყოს ყოვლისმომცველი. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში არსებითად უნდა იქნას შესწავლილი და დაუფლებული მასალა. გამოსაცემი კლასიკოსის ტექსტების კონკრეტული ანალიზის ერთადერთი სწორი გზა არის მისი ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა, ნათელი წარმოდგენა კონკრეტულ შემ-

⁷⁰ Б. Бурсов, Текстология и идеология, „Новый мир“, 1960, № 8, стр. 118.

თხვევაზე და მნიშვნელობა იმ მასალისა. რაც შესასწავლი საკითხის გარშემო ინახება მწერლის არქივში (ან სხვა დოკუმენტურ წყაროში). მხოლოდ ღრმა, ყოველმხრივი შესწავლა ყველა რედაქციისა და ვარიანტის, ისტორიული გარემოცვის, რომელშიაც შექმნილია ნაწარმოები. მწერლის ბიოგრაფიის, მსოფლმხედველობისა და ენისა. მეცნიერული შერჩევა და მკაცრი მოტივირებული გათვალისწინება ერთი დოკუმენტის მონაცემისა მეორესთან შეფარდებით—აი, ია პირობები, რომლებსაც შეუძლიათ განახორციელონ ნამდვილი, სრულყოფილი გამოცემა.

საბჭოთა ტექსტოლოგი მეცნიერია, ლიტერატურული მემკვიდრეობის პროპაგანდისტი. „ტექსტის გამომცემელი; (შემდგენელი, რედაქტორი) ჩვენს საბჭოთა ყოფაში არის შემოქმედებითი მუშაკი, მაძიებელი, მკვლევარი, რომელიც თავის თავს უძღვნის მწერლის მრავალწლოვან. კომპლექსურ შესწავლას. რომელსაც ის ადგენს. რედაქტორობს. მან იცის გამოსაცემი ავტორის... ბიოგრაფია, ყოველმხრივია ცნობილი ეპოქა, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ავტორი. ტექსტის გამომცემელი პუნქტუალური გულდასმით ასახავს და სშირად აღადგენს მის კანონიკურ ტექსტს“¹¹.

ტექსტოლოგის ყურადღება ძირითადად გამახვილებულია ავტორის მუშაობის ფორმების ანალიზზე—დაწყებული ხელნაწერი შავიდან დამთავრებული ნაბეჭდი ტექსტით. ეს სავესებით კანონზომიერია რამდენადაც ავტორი არის ლიტერატურული ნაწარმოების შემქმნელი. ამიტომ ტექსტოლოგს, უპირველეს ყოვლისა, აინტერესებს მხატვრული ნაწარმოების შემოქმედებითი ისტორია, მისი სხვა რედაქციები, ავტორის უკანასკნელი ნება და ა. შ. ყველაფერი ეს, ეკვვარეშეა, ტექსტოლოგიური შესწავლის უმნიშვნელოვანესი ელემენტებია, მაგრამ შეცდომა იქნება ჩაკვეთვალა ისინი ერთადერთ ელემენტებად.

ავტორი ნაწარმოების ერთპიროვნული შემოქმედია, მაგრამ არა ერთპიროვნული შემქმნელი იმისა, რასაც მკითხველი იღებს ხელში—ხელნაწერ თუ ნაბეჭდ წიგნს. აქ მწერალი მხოლოდ პროცესის მონაწილეა, რომელშიაც ის ხან დიდ და ხან მცირე როლს თამაშობს. მას შემდეგ რაც წარმოიშვა წიგნი და მასთან ერთად მთელი ტექნიკური პერსონალი (გადამწერი, გვიან მემანქანე, ცენზორი, სტამბის მუშა. კორექტორი, მეტრამპაყე. ახალ დროში გამომცემლობის მუშაკები: რედაქტორი, გამომშვები. ტექნიკური რედაქტორი და ა. შ.),

¹¹ Корней Чуковский, Люди и книги, М., 1960, стр.372.

ტექსტოლოგების მიერ დადგენილია, რომ რაც უფრო მეტია შუალედური ინსტანციები მწერალსა და მკითხველს შორის, მით უფრო მეტი შესაძლებლობა აღმოცენდება ტექსტის არასწორი ასახვისა (მაგ. ბევრმა არ იცის, რომ ი. გრუზდევმა მ. გორკის თხზულებათა მეორე გამოცემის დროს (1928—1934 წლები) გაასწორა დაახლოებით ტექსტის 700000 დამახინჯება, გამოწვეული სტამბის მიზეზით)¹¹. თანამედროვე ტექსტოლოგიაში „შუამავლობის“ პრობლემამ დიდი მნიშვნელობა მოიპოვა. ტექსტოლოგები ყურადღებას ძირითადად ამახვილებდნენ „ავტორისეულ“ მხარეზე და ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ „წარმოებითი“ მხარის ანალიზს. ამიტომ საჭიროა და აუცილებელი ტექსტოლოგის ყურადღება ამ მხრივაც გამახვილდეს¹².

სამწუხაროდ, დღემდე მთლიანად არაა აღმოფხვრილი შესვლულება. რომელიც ტექსტოლოგიას აფასებს. „როგორც ხელოვნებას“ ანდა „როგორც ხელოსნობას“, რომელშიაც შეუძლებელია იყოს კანონზომიერებანი და ობიექტური კრიტერიუმები. მაგვასი შეხედულებანი ჩვეულებრივ უპირისპირდება ტექსტოლოგიაში ფართოდ აღიარებულ სახელმძღვანელო პრინციპებს (ავტორის შემოქმედებითი ნების დაცვა, ობიექტურობისაკენ სწრაფვა და ა. შ.).

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში პირველი შემთხვევა როდესაც მზადდება თანამედროვეობის უდიდესი პოეტის მეცნიერული გამოცემა. გ. ტაბიძემ მრავალი დაბეჭდილი წიგნი და პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული ლექსი დაგვიტოვა, რომლის სისრულით გამოცემა, მათი მეცნიერული დამუშავება ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა თანამედროვე ქართული საბჭოთა ტექსტოლოგიისა. ამ პრობლემატიკის გაშუქებას ენსახურება წინამდებარე ნაშრომი, რომელშიაც გ. ტაბიძის თხზულებათა ტექსტოლოგიური საკითხების პარალელურად განხილულია თანამედროვე მეცნიერული ტექსტოლოგიის აქტუალური საკითხები. რომლებიც ქართულ ენაზე დღემდე არ ყოფილა ყურადღების ღირსი. ჩვენი მიზანია განვიზილოთ ვალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ტექსტოლოგიური საკითხები, რომელთა მართებული გადაწყვეტა დიდად შეუწყობს ხელს პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის სრულყოფილად დამუშავებას.

¹¹ И. Грудев, О тексте собрания сочинений М. Горького. М. Горький, соч. изд. 2. дополненное, М., 1934, т. 25, стр. 411.

¹² П. Берков, Корректурa и текстология, Известия АН СССР, Оля, 1960, т. XXI, вып. I, стр. 70 აგრეთვე, О. Рнсс. „Беседы о мастерстве корректора,“ Искусство, М., 1959.

ტექსტოლოგმა, რომელიც გამოსაცემად ამზადებს მწერალ-კლასიკოსის თხზულებას, როგორც წესი, მუშაობის პროცესში უნდა გაიაროს ორი თანამიმდევრული ეტაპი:

I. გამოავლინოს ყველა არსებული ხელნაწერი და ნაბეჭდი წყარო, მათი შესწავლის საფუძველზე აირჩიოს ყოველი ცალკე ნაწარმოების ძირითადი ტექსტი.

ძირითად ტექსტად შეარჩიოს ის ტექსტი, რომელიც წარმოადგენს ავტორის შემოქმედებითი შრომის უკანასკნელ ეტაპს.

II. გააანალიზოს ძირითადი ტექსტი, გამოააშკარავოს მასში არსებული დამახინჯებანი და დაადგინოს ნაწარმოების კანონიკული—ე. ი. ნამდვილი, ქვეშარიტი ავტორისეული ტექსტი. აღნიშნული ძირითადი ეტაპების გავლის გარეშე, რომლის დროსაც უნდა გადაწყვიტოს ყველა წამოჭრილი საკითხი, ტექსტოლოგი ვერ შესძლებს გადასწყვიტოს მის წინაშე მდგარი მთავარი ამოცანა: მის ცეს მკითხველს ნაწარმოების უტყუარი, ნამდვილად ავტორისეული ტექსტი.

გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა კანონიკური ტექსტის დადგენის პრობლემის გადაწყვეტისათვის აუცილებელია ამ ორი ეტაპის გავლა.

ტექსტის ხელნაწერებისა და ნაბეჭდი წყაროების შესწავლა წინ უნდა უძღოდეს ნაწარმოებზე ტექსტოლოგის ყოველგვარ მუშაობას.

ტექსტის წყარო—ამ სახელწოდების ქვეშ იგულისხმება ყველა ხელნაწერი, ნაბეჭდი წყარო, რომლებიც მომდინარეობენ ავტორისაგან ე. ი. ისეთები, რომელთა შესახებ დანამდვილებითაა ცნობილი, რომ ავტორმა შექმნა ისინი, ან მუშაობდა მათზე: იქნება ის შავი თუ სუფთა ხელნაწერები, გადაწერილი ნუსხები, ასლები, კორექტურის ანაბეჭდები და ბოლოს ავტორიზებული ნაბეჭდი გამოცემები. რომლებისათვისაც ავტორი თვითონ ამზადებდა ტექსტებს; ან კითხულობდა მათ, წერილობით თუ ზეპირად იწონებდა მის მონაწილეობის გარეშე მომზადებულ გამოცემებს (უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა დავრწმუნდეთ ავტორის მიერ გამოცემის მოწონების შესახებ არსებული ცნობების ავტორიტეტულობაში).

ტექსტოლოგისათვის მეტად საინტერესოა ავტორის წერილები, ანდა წერილები ავტორისადმი, რომლებშიაც ხშირად შეიძლება აღმოჩნდეს ძვირფასი ცნობები ნაწარმოების შემოქმედებითი თუ ცენზურული პირობების ისტორიიდან, ავტორის მონაწილეობა ან არმონაწილეობაზე მის სიცოცხლეში განხორციელებულ გამოცემებში, ავტორის მიერ ამა თუ იმ გამოცემის შეფასება. ამ თვალსაზრისით ხშირად საკმაოდ ფართო და დიდ მასალას შეიცავენ ავტორის დღე-

ურები (ანდა მისი ახლო ნაცნობების ცნობები), რომლებშიაც, არცთუ ისე იშვიათად, გახსნილია გამოცემის კულისების იქითა მხარე. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთი მასალა შეიძლება წარმოგვიდგეს როგორც ტექსტის წყარო. ამიტომ მათი კრიტიკული ანალიზი აუცილებელია ტექსტოლოგისათვის.

ამრიგად, პირველ ეტაპს კანონიკური ტექსტის დადგენის პრობლემის გადაწყვეტაში წარმოადგენს ძირითადი ტექსტის არჩევა. მაგრამ ძირითადი ტექსტის არჩევა, თავისთავად, შეუძლებელია ზოგიერთი დამოუკიდებელი საკითხის შესწავლის გარეშე. ასეთი საკითხებია: ატრიბუციის, ნაწარმოების დაწერის ისტორიის და პუბლიკაციის, ტექსტის ხელნაწერი და ნაბეჭდი წყაროების, დოკუმენტური მასალის შესწავლის საკითხები. მხოლოდ ამ მონაცემების ანალიზის შედეგად შეუძლია ტექსტოლოგს მივიდეს მეცნიერულად დასაბუთებული ძირითადი ტექსტის წყაროს არჩევასთან.

ატრიბუციის საკითხებისათვის

მწერლის თხზულებათა მეცნიერული გამოცემის მომზადების პროცესში უმნიშვნელოვანეს პრობლემად წამოიჭრება საკითხის დოკუმენტური შესწავლა: აქვეყნებდა თუ არა მწერალი თავის ნაწარმოებებს ხელმოუწერლად, ინიციალებით, ფსევდონიმებით და კრიპტონიმებით, რომელთა გაუხსნელად შეუძლებელია მწერლის შემოქმედების სრული სახით წარმოდგენა.

ბეჭდვითი სიტყვის აღმოცენების შემდეგ როგორც ცალკეულ გამოცემებში, ასევე პერიოდულში თავი იჩინა ავტორის ნამდვილი ვინაობის დაფარვამ. ამ ტენდენციამ დიდი გაქანება ჰპოვა რუსეთშიც, სადაც მკაცრი ცენზურული პირობების გამო აუცილებელი ხდებოდა ნაწარმოების ავტორის ვინაობის დაფარვა, განსაკუთრებით მთავრობის საწინააღმდეგო გამომხატველ ნაწერებში. ამიტომ პერიოდულ გამოცემებში (როგორც რუსეთში ასევე საზღვარგარეთ) ათავსებდნენ უამრავ პუბლიცისტურ და კრიტიკულ წერილს ხელმოუწერლად, ინიციალებით, ფსევდონიმებით და კრიპტონიმებით.

ამ ტენდენციამ საქართველოს სინამდვილეშიც დიდი გავრცელება ჰპოვა წარსული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოდან ჩვენი საუკუნის 30-იანი წლების დასასრულამდე.

ქართველ მეცნიერთა მიერ ჩატარებულია დიდი საკვლევამდებო მუშაობა ანონიმ ავტორთა ვინაობის დადგენისა და ფსევდონიმების ამოხსნის საქმეში (იხილეთ: „წიგნების მატანე“. 1. „ქართული წიგნი“ (ბიბლიოგრაფია) I და II: „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“; „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ I, II; გ. ბაქრაძის „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია“, ვლ. ჯოჯუას „მნათობის ბიბლიოგრაფია“, ტ. კასრაძის „პირველი ქართული გაზეთის ბიბლიოგრაფია“ და სხვა, რომლებშიც ახსნილი და გაშიფრულია მრავალი ავტორის ვინაობა). მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებით, დღესაც ბევრია გასარკვევი და დასადგენი. ამიტომაცაა, რომ ხელმოუწერელ ნაწარმოებთა ვი-

ნაობის ამოცნობა წარმოადგენს საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის აქტუალურ ამოცანას¹.

დღემდე ქართულ ენაზე არ მოიპოვება სპეციალური მონოგრაფიული ნაშრომი, რომელიც მრავალ დაინტერესებულ პირს საგრძნობლად გაუადვილებდა მისთვის საძიებელი ავტორის ვინაობის ამოხსნას².

ხელმოუწერელი ნაწარმოებების ავტორების პრობლემამ დიდი ხანია მიიპყრო მეცნიერთა ყურადღება, და მის ირგვლივ დიდძალი სპეციალური ლიტერატურა შეიქმნა³. მკვლევართა მუშაობა ამ პრობლემის სფეროში მრავალმხრივია. კვლევა-ძიების ხასიათი მკიდროდაა დაკავშირებული ნაწარმოების ინდივიდუალურ თავისებურებებთან, ეპოქასთან, შექმნის ადგილთან და ხელოვნების იმ სფეროს სპეციფიკასთან, რომელსაც იგი განეკუთვნება. ამის გამო არსებითად განსხვავდება გზები, რომლითაც მიდიან, ერთი მხრივ, ხელოვნებათმცოდნეები, მეორე მხრივ. ლიტერატურის მკვლევარები ანონიმ ნაწარმოებთა ავტორების განსაზღვრა შეადგენს საინტერესო, მაგრამ ამასთანავე ფილოლოგიური მეცნიერების რთულ დარგს. ტექსტის ისტორიის და ბიოგრაფიული მასალების შესწავლა, არქივებისა და პერიოდულ გამოცემათა გულდასმითი გამოკვლევა, ნაწარმოების იდეურ-მხატვრული ანალიზი—აი, ამოცანები, რომლებიც გარდუვალად წამოიჭრება მკვლევართა წინაშე ატრიბუციის პრობლემის გადაწყვეტის დროს.

საავტორო კუთვნილების საკითხის დასაბუთება კვლევაძიებით პრაქტიკაში ჩვეულებრივ იშლება სამი მიმართულებით: დოკუმენტური მასალის მეოხებით, ნაწარმოების იდეურ-შინაარსობლივი გა-

¹ Вопросы текстологии, вып. 2, М., 1960, стр. 4.

² ამ აქტუალური საკითხის მიმართ ყურადღება გაამახვილა ა. აბრამიშვილმა წერილში „ქართულ მოღვაწეთა ფსევდონიმების შესახებ“ (იხ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1959, № 11). ცალკეული პირები (ლენინგრადში—ა. აბრამიშვილი თბილისში—გ. მიქაძე), მუშაობენ ამ საკითხზე.

³ დიდძალი ლიტერატურა შეიქმნა ამ მიმართულებით როგორც რუსეთში ასევე სახლვარგარეთ თითქმის 200 წლის მანძილზე (მათ შორის მთელი რიგი ფუნდამენტური ნაშრომები, მაგალითად, რუსულ ენაზე კრებულები: „Звенья“, „Литературное наследство“-ს ტომები: ვ. ბოგრადის მონოგრაფიული ნაშრომი: „Современник.“ 1847—1866. Указатель содержания, мосკოვი, 1959. ი. მასანოვის „Словарь псевдонимов“, М., 1956—1960, I, II, III, IV, ოთხ ტომად და ა. შ. ტექსტოლოგიური თვალსაზრისით საყურადღებოა ნაშრომები, რომლებიც უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა როგორც ჩვენში, ისე სახლვარგარეთ: В. В. Виноградов—„Проблема авторства и теория стилей.“ М.,

ზნით და მისი ენისა და სტილის ანალიზით. ცხადია, ამ კატეგორიებით სარგებლობა ურთიერთისაგან მოწყვეტით შეუძლებელია. ეს საკითხები მკიდრო ურთიერთობაში იმყოფებიან და მკვლევარი ყოველთვის ცდილობს თავი მოუყაროს მაქსიმუმ დამამტკიცებელ საბუთებს, ვინაიდან „...ტექსტის ლიტერატურული კრიტიკის და ლიტერატურული ევრისტიკის უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგენს ავტორთა განსაზღვრის ობიექტურ-ისტორიული მეთოდების სიღრმით დამუშავება“⁴.

ატრიბუციის საკითხი უფრო ხშირად დგება იმ ნაწარმოებთა მიმართ. რომლებიც გავრცელებულია ავტორის ხელმოწერადად ან ხელმოწერილია ნაკლებად ცნობილი ფსევდონიმებითა და კრიპტონიმებით.

მთლიანი ხელმოწერა. აგრეთვე ხელმოწერა საყოველთაოდ ცნობილ ფსევდონიმით ან კრიპტონიმით წარმოადგენს სავსებით უტყუარ მოწმობას მოცემული ავტორისათვის ნაწარმოების მიკუთვნების სასარგებლოდ. მაგრამ აქაც დაზღვეული არა ვართ ყოველთვის საშიშროებისაგან მივაწერთ ნაწარმოები მოგვარე ან სინამდვილედ მივიღოთ მეტნაკლები ყალბისმქნელობა. ასეთი შემთხვევები ჩვენს ლიტერატურაში მრავალია. შორს რომ არ წავიდეთ გ. ტაბიძისა და ტ. ტაბიძის მაგალითზე მივუთითებთ. რღ შესახებ ი. გრიშაშვილი წერს: „...მე ტაბიძის გვართ სხვა პოეტი ვერ წარმომედგინა... პეტრე სურგულაძის „ერში“ ასეთი კუროზი შემემთხვა: მომიტანეს კორექტურული ფურცლები. ერთ ლექსს მოწერილი ჰქონდა: „ტ. ტაბიძე“! მე ეს შეცდომა მეგონა: „ტ“ ამოვიღე და ჩავწერე „გ“ მერე, ჩემი ქუთაისში გასტროლების დროს შევიტყე. რომ ეს ლექსი, რომელიც დაიბეჭდა „საქართველოს მოამბეში“ (1909. №9) გალაკტიონს არ ეკუთვნოდა, არამედ ტიცოან ტაბიძის კალამს (ბოდიში ტ. ტაბიძის წინაშე. რომ ამ კორექტურის გაწორებას 25 წელი მოუწდა“ (იხ. „სალიტერატურო გაზეთი“, 1933. № 15—ი. გრიშაშვილი „ჩემი მოგონება გალაკტიონზე“).

ატრიბუციის გადამწყვეტი არგუმენტებია დოკუმენტური წყაროს მონაცემები. ასეთებს წარმოადგენს სხვადასხვა სახის ხელნაწე-

1961., М. Верли, „Общее, литературоведение“ (перевод с немецкого), М., 1957; კრებულში—„Вопросы текстологии“, вып. П. М., 1960. მოთავსებულია ლ. თაყულსკაიას, ე. ეფრემენკოს, ა. გრუშინინის, ე. პარონოროვის, ვ. ბორისოვისა და ვ. ვოლკვიჩის სტატიები.

⁴ В. В. Виноградов. Проблема авторства и теория стилей. М., 1961. стр. 160; იხ. აგრეთვე: П. Берков. Об установлении авторства анонимных произведений. . . „журн. „Русская литература“. 1958. № 2.

რები (ავტოგრაფები, ასლები—ავტორისეული გასწორებებით, შენიშვნებით. დღიურებსა და უბის წიგნაკებში ჩანაწერებით, ავტორის მიერ წიგნების აშიებზე საკუთარი ხელით აღნიშნული ცნობები და თავისი ნაწარმოების სიაში არსებული მითითებანი).

ამათ უერთდება ავტორისეული ცნობები წერილებში, დღიურებში; ზეპირ განცხადებებში, რომლებიც თანამედროვეთა მიერ არის ჩაწერილი.

ატრიბუციის წყაროების მეორე ჯგუფს შეადგენენ ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც მოიპოვება საცენზურო, პოლიციის სათანადო განყოფილებებისა და რედაქციების არქივებში.

დოკუმენტურ წყაროთა შორის, რომლებსაც საავტორო კუთვნილების დადასტურება შეუძლიათ, პირველხარისხოვანი როლი მიეკუთვნება ხელნაწერს. რომელიც ასახავს მწერლის შემოქმედებითი შრომის შედეგს, წარმოადგენს უცილობელ მოწმობას საავტორო უფლების მოპოვებისათვის. ასეთი ხელნაწერის აღმოჩენა საშუალებას იძლევა დავადგინოთ ხელმოუწერელ ნაწარმოებთა ნამდვილი ავტორის ვინაობა.

* * *

გ. ტაბიძეს თავისებულო შეხედულება ჰქონდა ფსევდონიმებსე. რამდენიმე წლის წინათ რუსულ პრესაში კამათი მიმდინარეობდა ფსევდონიმთა გამოყენების შესახებ. „გალაკტიონი თვალს ადევნებდა პოლემიკის მსვლელობას და იწონებდა იმათ პოზიციას, რომლებიც მასალაზე სახელისა და გვარის მოწერას მოითხოვდნენ. თავდაც იშვიათად იყენებდა ფსევდონიმს (განსაკუთრებით რევოლუციის შემდეგ), მხოლოდ სიკაბუჯის ჟამს მიუმართავს მისთვის“⁵.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა გაზეთ „კომუნისტი“-ს საშუალებით მიმართა ქართველ საზოგადოებას, ცალკეულ პირებსა და ორგანიზაციებს, ვისაც მოეპოვებოდა გ. ტაბიძის ხელნაწერები (ავტოგრაფები) დროებით სარგებლობისათვის დაეთმოთ ინსტიტუტისათვის, ეცნობებინათ ფსევდონიმები და კრიპტონიმები, რომლებითაც პოეტი გამოდიოდა ქართულ პრესაში⁶.

⁵ ნ. ტაბიძე. „სული ჰქონდა უსპეტაკეს თოვლისა,“ გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი,“ 1961, 133.

⁶ გაზეთი „კომუნისტი“, 1960, № 150.

განცხადებამ ნაყოფი გამოიღო, დაიბეჭდა ნ. ტაბიძისა და ს. გერსამიას⁸ წერილები, სადაც ამ საკითხის შესახებ საინტერესო ცნობებია გამოქვეყნებულია. ატრიბუციის საკითხი უფრო მეტი სიმწვავეთ დადგა დღის წესრიგში⁹.

დადასტურდა, რომ გალაკტიონ ტაბიძის ნაწერებს სხვადასხვა დროს ხელმოწერილი ჰქონია:¹⁰

„გალ. ტ-ბ-ძე“

ასეთი ხელმოწერით დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის პირველი ლექსი*** („მთვარე კაშკაშებს“) გაზ. „ამირანი“, 1908, № 169 და ლექსი*** („ვითარცა გედი“) გაზ. „დროება“, 1908, № 29.

„ტაბი“

„ტაბი“-ს ხელმოწერით დაიბეჭდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსი*** („როცა ბულბული განთიადისა“) ჟურნ. „საქართველო“, 1908 წ. № 11, გვ. 12.

ხელმოწერა „ტაბი“ ავტორისაგან დამოუკიდებლად გაჩნდა. თუ როგორ და რატომ გაჩნდა „ტაბი“. გ. ტაბიძის „პოეტური ნათლია“ საქართველოს სახალხო პოეტი იოსებ გრიშაშვილი ამის შესახებ შემდეგს წერს:

„1908 წელს ჟურნალ „საქართველოს“ მდივანი ვიყავი. ქუთაისიდან აუარებელი ლექსი მოდიოდა... მათ შორის თავისი უშუალო განცდით და კარგი ხელის მოსმით განირჩეოდა გ. ტაბიძის ლექსები. ვალერიან გუნია ამ ჟურნალის რედაქტორი იყო და ქართული დრამატიული დასის რეჟისორ-ხელმძღვანელიც.

რედაქცია ხშირად ჩემს ხელში იყო, რასაც მინდოდა იმას დავბეჭდავდი. პატივცემული ვ. გუნია მე, 17—18 წლის ბიჭს მენდობოდა და მაქეზებდა.

როცა გ. ტაბიძის ლექსები მივიღე, მაშინვე გადავწყვიტე მისი დასტამბვა. მაგრამ ორივე ლექსი გაჰიანურებულად მომეჩვენა. გან-

⁷ ნ. ტ ა ბ ი ძ ე, დასახელებული წერილი.

⁸ ს. გ ე რ ს ა მ ი ა, „მცირე შენიშვნა გალაკტიონის აბალგაზრდობის წლებზე“, „ახალგაზრდა კომუნისტი“ 1962, № 2.

⁹ ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, „გ. ტაბიძის ფსევდონიმების გარკვევისათვის“, გაზ. „თბილისი“, 1962, № 16.

¹⁰ ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, „გ. ტაბიძის ფსევდონიმები“, ჟურ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1964 წ. № 4, გვ. 41—44.

საკუთრებით მეორე, რომლის ყოველი ხანა ერთფეროვან „როცა“-თი იწყებოდა. რედაქტორებს ერთი სენი სჭირთ: უეჭველად უნდა შეამოკლონ მასალა. ავდექი და მეც ამ ათ კუბლეტიან ლექსიდან მხოლოდ ათი სტრიქონი დავტოვე. ფინალისათვის ვითომდა ჩემი შემოქმედებაც გამოვიყენე: ბოლოში ორი ბწყკარი ჩაუმატე და ამ სახით დავსტამბე...¹¹.

ლექსს მივაწერე „ტაბი“ რატომ აწერია ამ ლექსს „ტაბი“?

ვ. გუნიას ფსევდონიმები უყვარდა. ამას ორი მიზანი ჰქონდა. ჯერ ერთი ამით ცენზორს უხვევდა გზაკვალს და მეორეც: ახალგაზრდა პოეტებს არ ანებივრებდა სრული სახელგვარის მოწერით. მეც იმის შეგირდი არ ვიყავი?! სახელი „გალაქტიონი“ არ მომეწონა. ასე მეგონა პოეტს, რომელიც ვარდულებზე ლაპარაკობდა, სახელიც შესაფერი უნდა ჰქონოდა (ალბად, ამიტომ გაზღაპრდა ორი ასეთი ფსევდონიმი: „მთის ნიავი“ და „ცვარანამი“), „გალაქტიონი“ სულ ამოვადგე; დარჩა „ტაბიქე“. ტაბიქესაც არ ვიცე რატომ „ქე“ წარუქვეთე და დარჩა უხეირო „ტ ა ბ ი“. აი, ასე დაამახინჯა „საქართველოს“ რედაქციამ „გალაქტიონ ტაბიძის“ პირმშო ყვავილები¹².

„გა“ და „გ“

ინიციალები — „გა“ და „გ“ დასტურდება ხელნაწერი წყაროს საშუალებით¹³.

1908 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეებმა გამოსცეს ხელნაწერი ჟურნალი „შუქი“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი ვ. ტაბიქე იყო (ჟურნალი დაწერილი და მხატვრულად გაფორმებულია ვ. ტაბიძის მიერ).

ჟურნალში ინიციალებით— „გა“ და „გ“ ხელმოწერილია ლექსები: „შუქი“ და „ნიავი“, წერილები და კორესპონდენციები: „თბილისი, 9 ნოემბერი“, „როდის ჩამოგვეწვდება შუქი“ და „აკაკის იუბილე“¹⁴.

¹¹ ი. გრიშაშვილს ლექსში ჩაუმატებია შემდეგი სტრიქონები: „რა გენაღვლებათ მეც იმთ შორის მქონდეს მცირედი თავისუფლება“.

¹² ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, „ჩემი მოგონება გალაქტიონზე“, „სალიტერატურო გაზეთი“, 1933, № 15.

¹³ სსლმ. გ. ტაბიძის არქივი, გვ. 8410—8420.

¹⁴ ე. შუშანია შეცდომით მიუთითებს თარიღს, ის წერს: „...1909 წელს ვ. ტაბიქე თბილისის სასულიერო სემინარიაში შედის... 1909 წელს ვ. ტაბიქე სცემს მოსწავლეთა ჟურნალს „შუქს“ (იხ. ე. შუშანია. „გალაქტიონ ტაბიქე“, 1956, გვ. 16.

1912 წელს ქუთაისში გამოიცა ჟურნალი „ჯოჯობეთის მაშხალა“, რომელშიაც დაიბეჭდა იუმორისტული ამბავი „ნამწვავები“. მას ხელს აწერს „გალაშკა“¹⁵. ეს ფსევდონიმი გალაკტიონ ტაბიძეს ეკუთვნის.

პოეტის არქივში ინახება ამ ნაწარმოების ხელნაწერი. საყურადღებო ცნობა ამ საკითხის გარკვევისათვის გამოაქვეყნა ჟურნალ „მაშხალის“ რედაქტორ-გამომცემელმა სერგი გერსამიამ, იგი წერს: — „1912 წელს ასეთ აღმანახებს ქუთაისში მეც ვცემდი. პირველ გამოცემას ერქვა „მაშხალა“... პირველი ნომერი გამოვიდა 25 მარტს. აღმანახის უახლოესი თანამშრომლები ვიყავით გალაკტიონი, ქუთაისის ქალაქის მმართველობის ბიბლიოთეკის თანამშრომელი პროკოფი გუჯაბიძე და ამ სტრუქტურების ავტორი... „მაშხალა“ გამოვიდა ორი ნომერი, მერე სახელი გამოუცვალე და დავარქვე „ჯოჯობეთის მაშხალა“, ესეც ორი ნომერი გამოვიდა და ამას მოჰყვა „ეშმაკის მაშხალა“... გალაკტიონი ამ აღმანახების გამოცემაში იღებდა უახლოეს მონაწილეობას. იუმორისტული ამბავი „ნამწვავები“ გამოაქვეყნდა „მაშხალაში“¹⁶. მაგრამ რომელ ნომერში არ მახსოვს. ის ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია...

ხსენებულ აღმანახების ერთ-ერთ ნომერში „გალაშკას“ ხელმოწერით გალაკტიონმა მეორე იუმორისტული ნაწარმოებიც გამოაქვეყნა — „ძველი ქული“¹⁷. გ. ტაბიძეს „გალაშკას“ ფსევდონიმით მეტი არაფერი დაუწერია.

ასევე არ შეეფარდება სინამდვილეს თიოქო - გ. ტაბიძე ჟურნალ „შუქში“ ათავსებს ლექსს - „გადანახული დროშები“ (იხ. ს. ქალია. - გალაკტიონ ტაბიძის პოეზია, 1951, გვ. 12; ე. შუშანიას, დასახელებული წიგნი, გვ. 16) „გადანახული დროშები“, პირველად გამოქვეყნდა 1950 წელს, თბილეთში VII ტომში.

ლექსი „შუქი“ ხელნაწერი ჟურნალის შემდეგ დაიბეჭდა 1950 წ. თბილეთში VII ტომში, გვ. 137.

ლექსი „ნიაი“ დაიბეჭდა ჟურნალში „ფასკენი“, 1909, № 5. და მის შემდეგ ის პოეტის არცერთ ლექსთა კრებულში არ შესულა.

¹⁵ ცნობა „გალაშკას“ შესახებ პირველად მოგვაწოდა 1959 წელს რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსმა მეცნერ-თანამშრომელმა გ. მიქაძემ.

¹⁶ აქ ლაფსუსია: „ნამწვავები“ დაიბეჭდა არა „მაშხალაში“, არამედ „ჯოჯობეთის მაშხალა“-ში, № 1, გვ. 5. (1912 წ.).

¹⁷ ჟურნ. „ჯოჯობეთის მაშხალა“. 1912 წ., №2, გვ. 5. იხ. ს. გერსამიას, „მეორე შენიშვნა გალაკტიონის ახალგაზრდობის წლებზე“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1962, № 2.

ამავე აღმანახების ზოგიერთ ნომერში დაბეჭდილი იუმორისტული პასუხები დაწუნებული მასალების ავტორების მიმართ მასვე ეკუთვნის¹⁸. „გალაქტიონმა ზოგი რამ ამ აღმანახებში გამოაქვეყნა ინიციალით—„გ“¹⁹... იმ დროს, როცა გალაქტიონი ქუთაისში ცხოვრობდა, გამოდიოდა სხვა იუმორისტული აღმანახებიც. ზოგი მათგანი გამოსცა ცნობილმა ყურნალისტმა ილია ბანტაძემ... გალაქტიონი მის აღმანახებშიც იბეჭდებოდა“²⁰.

ინიციალი—„გ“ გვხვდება დედისადმი (მაკრინე ადვიშვილი-ტაბიძისა) მიწერილ წერილში²¹.

ინიციალით „გ“ დაიბეჭდა გალაქტიონის ბიბლიოგრაფიული ცნობა გაზეთ „სამშობლოში“ (ამაზე ქვემოთ).

„ახალი მწიგნობარი“ და „გ“

გ. ტაბიძის არქივში „ახალი მწიგნობარი“-ს ხელმოწერით დატულია ავტოგრაფი²², რომელიც წარმოადგენს ჯაჭუ ჯორჯიკიას თხზულებათა 1914 წელს გამოცემულ პირველი ტომის რეცენზიას²³. ის „ახალი მწიგნობარი“-ს ხელმოწერით დაიბეჭდა გაზ. „სამშობლო“, 1915 წ., № 87.

ჯ. ჯორჯიკიას საქალაქო აღმოჩნდა ამონაბეჭდები გაზეთ „სამშობლოდან“ (1915 წ. № 24 და № 87), რომლებიც წარმოადგენს აღნიშნულ რეცენზიას და ბიბლიოგრაფიულ ცნობას ჯ. ჯორჯიკიას თხზულებათა I ტომის გამოსვლის გამო.

ბიბლიოგრაფიული ცნობა „ჯ. ჯორჯიკია“ ხელმოწერილია ინიციალით „გ“²⁴. ორივე ამონაწერი ჯ. ჯორჯიკიას ერთად შეუყრავს და მიუწერია: „ეს წერილები ეკუთვნის გ. ტაბიძეს, რომელსაც მე ფრან-

¹⁸ ეურნ. „მამხალა“, 1912 წ., № 2, გვ. 6.

¹⁹ ეურნალები: „ჯორჯიკიის მამხალა“, 1912 წ. № 1 და „მამხალა“, 1912 წ. № 1.

²⁰ ს. გერსამია, „მცირე შენიშვნა გალაქტიონის ახალგაზრდობის წლებზე“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1962 წ. № 2, მაგრამ ილია ბანტაძის იუმორისტულ ეურნალში გ. ტაბიძის მონაწილეობა არ დასტურდება (ამ საკითხზე ჩვენ პირადად ვესაუბრეთ ს. გერსამიას ცნობის დასადასტურებლად და მან აღნიშნა, რომ „შეიძლება მე ვცდებოდეთ“).

²¹ სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, გვ. 021372—1—3.

²² იქვე, გვ. 021371—17.

²³ ჯ. ჯორჯიკია, თხზულებანი, 1911—1924 „ნარგიზის“ გამოცემა. ქუთაისი, გაზეთები: „იმერეთი“, 1914, № 68, 69, 71, 72—74, 75. „შრომა“, 1914, № 40 და ა. შ. აუწყებდენ ს. ზოგადოებას, რომ დაიწყო ხელმოწერა ჯ. ჯორჯიკიას „თხზულებებზე“ თხზულებათა გამოსვლას იუწყებოდნენ გაზეთები: „იმერეთი“, 1915, № 14, 15, 16, „სამშობლო“, 1915, № 58 და ა. შ.

²⁴ გაზ. „სამშობლო“, 1915, № 24.

გულს ვასწავლიდიო“.

ამრიგად, გაზეთ „სამშობლოში“ დაბეჭდილი რეცენზიისა და ბიბლიოგრაფიული ცნობის ავტორი გ. ტაბიძეა.

„ზ. ზ.“.

1922 წლის მაისში ქართველმა საზოგადოებამ აღნიშნა ცნობილი საზოგადო მოღვაწის ზაქარია ჭიჭინაძის მოღვაწეობის 50 წლის-თავი.

ამ იუბილესთან დაკავშირებით 1922 წელს დაიბეჭდა მონოგრაფია „ზაქარია ჭიჭინაძე“—წიგნის ავტორათ აღნიშნულია „N. N.“ (ნომენ ნესციო—სახელი უცნობია). მონოგრაფიის ავტორის ვინაობა გაურკვეველი იყო. „ქართული წიგნის“ შემდგენლებმაც მონოგრაფიის ავტორის ვინაობის გრაფა ღიად დასტოვეს²⁵.

ხსენებული მონოგრაფიის ავტორი გალაკტიონ ტაბიძეა. მონოგრაფიის „ზაქარია ჭიჭინაძე“ ავტორის შესახებ პირველად ცნობა მოგვაწოდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორის იოსებ იმედაშვილის ვაჟმა—ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა გაიოზ იმედაშვილმა 1959 წელს. ამავე საკითხზე პოეტის ავტობიოგრაფიაში აღნიშნულია შემდეგი: „1922 წელს .. გალაკტიონი აქვეყნებს მონოგრაფიას ზაქარია ჭიჭინაძის შესახებ“²⁶. ამ მონოგრაფიაში სწორედ შემოდასახელებული წიგნი („ზაქარია ჭიჭინაძე“, თბილისი. 1922 წელი) იგულისხმება.

პოეტი ვარაუდობდა შეეტანა ეს მონოგრაფია თავის რომელიმე ტომში. პოეტის არქივში ერთ-ერთ ფურცელზე, რიგით მესამე დასახელებულია „ზ. ჭიჭინაძე, 48 ფურც. —96 გვ.“²⁷.

„კერძო საუბარშიც,—აღნიშნავს ნ. ტაბიძე.—გალაკტიონს არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ მწერალთა კავშირმა ზ. ჭიჭინაძის იუბილეზე სიტყვით გამოსვლა ლეო ქიაჩელს სთხოვა. მას კი წიგნის დაწერა დაავალეს, იგი მობოდიშებით ამბობდა, ძალზე მცირე დრო მქონდა და ნაშრომს აჩქარებული მკვლევარის ხელი ეტყობაო“²⁸.

²⁵ ქართული წიგნი, ტ. 11, ნაკ. 11, 1951, გვ. 1370 (№16448); აგრეთვე ნაკვეთი III, 1954, გვ. 035.

²⁶ სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, გვ. 021371—110.

²⁷ სსლმ, 129 და გვ. 16.

²⁸ ნ. ტ ა ბ ი ძ ე, დასახელებული წერილი.

ლუო ქიანელმა დაადასტურა, რომ მონოგრაფია „ზ. ჭიჭინაძე“ გ. ტაბიძის კალამს ეკუთვნის, მან, რატომღაც ხელი არ მოაწერაო²⁹.

№№-ის ხმარება აღნიშნული მონოგრაფიით არ ამოიწურება. გ. ტაბიძემ ამ ხელმოწერით ისარგებლა მის მიერ დაარსებულ „გალაქტიონ ტაბიძის ჟურნალში“. სადაც ამ ხელმოწერით დაიბეჭდა მისი ლექსი „ცისფერი“ (ავტოგრაფი ამ ლექსისა დაუტულია პოეტის არქივში) და ფელეტონი „სახელმწიფო გამომცემლობა“³⁰. აღნიშნული ხელმოწერით დაიბეჭდა გ. ტაბიძის რეცენზია კონსტანტინე ჭიჭინაძის ლექსების კრებულზე³¹ (რასაც კ. ჭიჭინაძე ადასტურებს)³².

ასეთია №№ ისტორია. დოკუმენტურად მტკიცდება, რომ ამ კრიპტონიმის ქვეშ ამოფარებული იყო ჩვენი დროის უდიდესი პოეტი—გალაქტიონ ტაბიძე.

ცრემლი

პოეტის არქივის შესწავლამ გამოავლინა, რომ გალაქტიონ ტაბიძეს განზრახული ჰქონდა ფსევდონიმად ეხმარა „ცრემლი“. ასეთი ხელმოწერა დასტურდება ლექსების „კანტანტა“³³ და „ყვავილთ სული მოგიპარავს“³⁴ ავტოგრაფებზე. ლექსები პოეტის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა. ორივე ლექსი 1914 წლით თარიღდება.

ლექსის „კანტანტა“ ავტოგრაფზე „ცრემლი“ გადასახულია და მიწერილია „გ. ტაბიძე“³⁵.

რამ გამოიწვია პოეტში განზრახვა ეხმარა ფსევდონიმად „ცრემლი“?

ლექსის „ყვავილთ სული მოგიპარავს“ ავტოგრაფზე ზემო მარცხენა კუთხეში ძნელად იკითხება ფანქრით მიწერილი „აკაკი“, რომლის გასწვრივ პატარა რომბისებური შემონახაზებია, ალბათ, ცრემლის გამომხატველი. 1914 წელს აკაკი წერეთელს თვალის ქუთუთოს დამბლა დაეცა და თვალიდან გამუდმებით ცრემლი სდიოდა. გალაქტიონისათვის აკაკი იდეალი იყო. ვფიქრობთ ამ გარემოებამ გამოიწვია პოეტში სურვილი ეხმარა ფსევდონიმი „ცრემლი“, რომელიც პოეტს პრესაში არ გამოუქვეყნებია.

²⁹ ნ. ტაბიძე, დასახელებული წერილი.

³⁰ „გალაქტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1923, № 9, გვ. 3 და გვ. 7—9.

³¹ ჟურნ. „მნათობი“, 1924, № 3, გვ. 313—314.

³² კ. ჭიჭინაძის დამადასტურებელი წერილი ინახება გ. მიქაძის ოჯახში.

³³ სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, 134 დ., გვ. 4.

³⁴ იქვე, გვ. 8751.

³⁵ იქვე, გვ. 8752.

„Accordj — სამშაბათელა“

ავტოგრაფი ლექსისა „მუსიკა“ ხელმოწერილია ორმაგი ფსევდონიმით: „Accordj — სამშაბათელა“³⁶. ეს ფსევდონიმი გ. ტაბიძეს არ გამოუყენებია.

„გაფრინდაშვილი“ და „ტობანიერელი“

„გაფრინდაშვილი“ ასეა ხელმოწერილი ლექსის „ეს გრიგალია ხაჯლის“ ავტოგრაფი³⁷.

„ტობანიერელი (იგივე გალაკ. ვასილის ძე ტაბიძე)“ მიწერილია ერთ-ერთ ავტოგრაფზე³⁸. არცერთი ამ ფსევდონიმაგანი პოეტს არ უხმარია.

„რიმანელი“

არის ცნობა, რომ თითქოს გ. ტაბიძეს ფსევდონიმად ეხმარა „რიმანელი“³⁹, მაგრამ ამ ფსევდონიმით გ. ტაბიძის ნაწერი არ ჩანს.

ბანოვანი

1928 წ. ეურნ. „მნათობში“ დაიბეჭდა რომანი „სამართალს სისხლით მოგძებნი“, რომელიც ხელმოწერილია ბანოვანის ფსევდონიმით⁴⁰.

ამ რომანის შესახებ ერთ-ერთ თავის ჩანაწერში გ. ტაბიძე აღნიშნავს, რომ მან 1928 წელს „მნათობში“ მოათავსა რომანი „სამარ-

³⁶ სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, ვვ. 97. ლექსი „მუსიკა“, რომლის ავტოგრაფი ორმაგი ფსევდონიმით არის ხელმოწერილი. დაბეჭდილია მხოლოდ ერთხელ გაზ. „კოლხიდაში“, 1911, №152, და ხელმოწერილია „გ. ტაბიძე“.

³⁷ იქვე, გვ. 484.

³⁸ იქვე, გვ. 4083 (691).

³⁹ სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, 100 დ. გვ. 18. „რიმანელის“ ხსენება ხშირია მის ჩანაწერებში (მაგ. არქივი, 529 დ. გვ. 9—20), „რიმანელის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა ერთი ლექსი „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, №4, რომელიც ეკუთვნის ირ. ყანჩელს.

⁴⁰ ეურნ. „მნათობი“, 1928, № 5—6, 7—8—9.

თალს სისხლით მოვძებნი“⁴¹. ეს რომანი ეკუთვნის დ. გელოვანს (ბანოვანი). ეტყობა გ. ტაბიძემ ხელი შეუწყო მწერალი ქალის ლიტერატურულ დებიუტს და ამიტომ აღნიშნავს თავის ჩანაწერში „მოვათავსე“-ო⁴².

გალაკტიონ ტაბიძე ორმოცდაათი წლის განმავლობაში თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში და ყველგან, გარდა ზემოაღნიშნული შემთხვევებისა, ყოველთვის მისი ნაწერები ხელმოწერილია სრული სახით: „გ. ტაბიძე“, „საქართველოს სახალხო პოეტი გ. ტაბიძე“ (ერთ დროს „გ. ტაბიძეს“ წინ უძღოდა სიტყვა „ორდენოსანი“) და „გალაკტიონი“.

ამრიგად, დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით ნათელი ხდება ტაბიძის თხზულებათა ედიციონური გამოცემის მნიშვნელოვანი საკითხი—ატრიბუციის პრობლემა.

⁴¹ სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, გვ. 021371—47.

⁴² დაწვრილებით იხ. ი. ლორთქიფანიძე, გალაკტიონ ტაბიძის ფსევდონიმები, ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1964 წ., №4, გვ. 41—44.

პოეტის შემოქმედებითი ლაბორატორია

I

მწერლის შემოქმედებითი პროცესის ყველაზე მკაფიო დოკუმენტურ მასალას წარმოადგენს ხელნაწერები, პირველ რიგში ავტოგრაფები. ამიტომ ტექსტზე მუშაობის პირველ აუცილებელ ეტაპს წარმოადგენს ტექსტის ყველა ხელნაწერი წყაროს გამოვლენა და შესწავლა.

არცერთ ქართველ მწერალ-კლასიკოსს შთამომავლობისათვის არ დაუტოვებია ისეთი დიდი მოცულობის არქივი, როგორიც გ. ტაბიძემ. მისი მდიდარი არქივი 1960 წლიდან დაცულია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში.

არქივი შეიცავს ლექსების, პოემების, დღიურების, შენიშვნების, წერილების, ეპისტოლური მემკვიდრეობის ათასობით დედანს და პოეტის ხელით ნასწორებ დაბეჭდილ ცალებს.

გ. ტაბიძის ედიციონური გამოცემის მომზადებლებისათვის პოეტის არქივის შესწავლა-დამუშავება ყამირის გატეხას შეიძლება შედარდეს. არქივი წარმოადგენდა ქაოტურ გროვას, რომლის ყოველი ცალკეული ფურცელი ზედმიწევნით შესწავლას მოითხოვდა. შეუსწავლელი არქივის სისტემაში მოყვანა. მისი მეცნიერული აღწერა, წარმოადგენდა A. discretion-ს. სამ წელზე მეტმა დაუზოგველმა თავდადებულმა შრომამ შესაძლებლობა მისცა გ. ტაბიძის თხზულებათა გამოცემის მოსამზადებელ ჯგუფს გასცნობოდა არქივს.

შრომის ძირითადი ამოცანა მდგომარეობდა გამოვლინებულიყო ყოველი ცალკეული ლექსისა და პოემის ხელნაწერ-ავტოგრაფები და შემდგარიყო პოეტის არქივის სრული ბიბლიოგრაფია.

მასალის გულდასმითი შესწავლის შედეგად გამოვლინდა და დადგინდა ათასობით ავტოგრაფი (ზოგჯერ თითო ლექსს 30 და მეტი ხელნაწერი გააჩნია, ხოლო ყოველი პოემა რამდენიმე რედაქციითაა წარმოდგენილი).

პირადი არქივის გარდა გ. ტაბიძის ავტოგრაფები აღმოჩნდა კერძო პირთა ხელში. ასე მაგალითად, პროფ. შ. რადიანის პირად

ბიბლიოთეკაში დაცულია გ. ტაბიძის ავტოგრაფების 183 ერთეული. თითო-ოროლა ავტოგრაფი გამოვლინდა მწერალ ლ. მეგრელიძის, გ. მეტუკის, ვ. მიქაძის, ექიმ გასვიანის, ნ. კეჭეყმაძის, მეტრეველ-რატიანის, შინატეხელის ღჯახებში. ამით რა თქმა უნდა, არ ამოიწურება გ. ტაბიძის ავტოგრაფების სისრულე, ისინი უთუოდ აღმოჩნდება მომავალში ცალკეულ პირთა მფლობელობაში.

ამჟამად, გამოცემისათვის დამუშავებულია ყველა ხელმისაწვდომი ხელნაწერი წყარო¹.

ხელნაწერი წყაროების სისრულით გამოვლენა და მისი გულდასმითი შესწავლა ტექსტოლოგისათვის: *Couditio sine gua non*-ის წარმოადგენს.

გ. ტაბიძის ხელნაწერთა დახასიათება და მათი ცალკეული განხილვა არ წარმოადგენს ამ შრომის მიზანს. ჩვენ გვსურს ვუჩვენოთ ის ძირითადი და არსებითი, რაც მთავარია, ტექსტის ხელნაწერ წყაროზე მუშაობის დროს.

გ. ტაბიძის, ისე, როგორც ყველა მწერლის, მიერ ნაწარმოების შექმნის პროცესი ჩანადიქრიდან—თეთრამდე შეიძლება ზოგადად გავყოთ ორ ნაწილად: მასალის შეგროვება, ნაწარმოების მთლიანი მოფიქრება—ასე ვთქვათ დაფარული, „საიდუმლო“ ნაწილი და ნაწარმოების უშუალო წერა, მისი დამუშავებისა და გადაკეთების ყველა ეტაპით—ე. წ. ნამდვილი, შემოქმედებითი პროცესის შესწავლისათვის ხელმისაწვდომი ნაწილი, რომელშიაც თითქმის დეტალურად შეიძლება თვალყური ვადევნოთ მწერლის მუშაობის ყოველ უწვრილმანეს ფრეზს.

შემოქმედებითი პროცესის პირველი ნაწილი უშუალოდ არაა დაკავშირებული ხელნაწერის შექმნასთან. რაც შეეხება მეორე ნაწილს, მას უშუალო კავშირი აქვს შემოქმედებით პროცესთან, ე. ი. იმ სტადიასთან, რომელშიც იქმნება ხელნაწერი წყაროს დოკუმენტი, რომელშიც ფორმირდება მწერალ-შემოქმედლის აზრი. ამ პერიოდში პოულობენ თავის ასახვას მწერლის შრომის მიმართულებანი, მისი ყოველგვარი სიძნელენი, რყევანი და გზები მათი დაძლევისა. სწორედ ამიტომ იქცევა დიდ ყურადღებას შემოქმედებითი პროცესის ეს მეორე ნაწილი.


შემოქმედებითი პროცესი ზოგჯერ ძლიერ ხანგრძლივია. მაგალითად, გ. ტაბიძე პოემა „აფეთქების“ შექმნაზე მუშაობდა 1941 წლიდან 1949 წლამდე, პოემაზე „ძაუგიდან ბერლინამდე“ 1941—1945 წლებში.

¹ ი. ლ. ო. რ. თ. ქ. ი. ფ. ა. ნ. ი. ბ. ე, გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა ტექსტის ხელნაწერი წყაროები, ჟურნ. „ცისკარი“, 1964, № 5, გვ. 95—103.


აღნიშნულ პოემათა ხელნაწერები ნათელყოფენ პოეტის შემოქმედების ყოველ წვრილმან დეტალს, პოეტის მიერ ამ პოემების მიმართ იდეური ჩანაფიქრის ცვალებადობას. „ფეთქების“ პირვანდელი რედაქცია 30-ანი წლების დასასრულის ევროპის დაძაბულ საერთაშორისო ვითარების ფონზეა აგებული, „ძაუჯიდან“... ვერმანიის ფაშიზმის მიერ საფრანგეთის დამორჩილებაზე მოგვეთხოვოს მეორე მსოფლიო ომის დროს (პირვანდელ ვარიანტში პოემას „კომპიენის ტყე“ ეწოდებოდა). ორივე პოემა საბოლოო ვარიანტში ხლებურად დასმულ იდეურ გადაწყვეტილებას პოულობს.

შემოქმედებითა პროცესის მეორე სტადიაში. ე. ი. როდესაც ფორმირდება პოეტის ჩანაფიქრი. როდესაც ის ქალაქზე გადადის, გ. ტაბიძისათვის დამახასიათებელია ტექსტში შესწორებების შეტანა: გადაკეთება ადგილისა თუ სტრიქონისა, გადახაზვა და უარყოფა, დაწუნებული სიტყვისა, სტრიქონისა, სტროფისა. მთლიანად ლექსისა. ხელნაწერების შესწავლისას შეიმჩნევა შესაფერი ლექსიკური მარაგის ძიება. იგი ყოველთვის ეძებს ისეთ სიტყვას, რომელიც ყველაზე მკაფიოდ და სისრულით გამოხატავს მის ჩანაფიქრს. პოეტი ისწრაფვის განავითაროს, განავრცოს ან შეამოკლოს, უფრო ლაკონიური გახადოს თავისი პოეტური ნაწარმოები. წიგნში ტექნიკურად შეუძლებელია ყველა ამის ჩვენება. ზოგადი წარმოდგენისათვის კი აქვე ვათავსებთ „აკაკის ლანდის“ ავტოგრაფების ფოტო-პირებს. (იხ. გვ. 66).

შემოქმედებითი პროცესის ამ სტადიაზე გალაკტიონ ტაბიძისათვის დამახასიათებელია ზოგიერთი სპეციფიკური თავისებურებანი: 1. პოეტური ჩანაფიქრი გადააქვს ქალაქზე. ლექსი მთავრდება, ის საბოლოო სახეს ღებულობს (იმავე შავში), მაგრამ გამოქვეყნებისას იგი ლექსს რამდენიმე დამოუკიდებელ ლექსად ყოფს. მაგალითად, 1923 წელს ცნობილი ფრანგი მსახობი ქალის სარა ბერნარის გარდაცვალების გამო ის წერს ლექსს „გარდაიცვალა სარა ბერნარი“ (პოეტის არქივი, გვ. 5533—34), რომელიც პირველად 1927 წლის ლექსთა დიდ ტომეულში ორ დამოუკიდებელ ლექსად დაიბეჭდა სათაურებით: „კორები“ (1927, გვ. 104), და „იხდება ფარდა“ (იქვე, გვ. 105 და თხზულებანი, ტ. I, 1937 წ., გვ. 157). მეორე მაგალითი: ლექსები „ლილიან ფრთებით“ და „ლურჯი ხომალდი“ (პირველი დაიბეჭდა: ლექსები, 1927 წ., გვ. 412; ტ. I. 1937, გვ. 459; „რჩეული“, 1944, გვ. 489; „ოქრო აჭარის ლაქვარდში“, 1944, გვ. 113 და „რჩეული“, 1959, გვ. 514; მეორე დაიბეჭდა: ლექსები, 1927. გვ. 412 და „რჩეული“, 1944, გვ. 433) თავდაპირველად წარმოადგენდა ერთ



გ. ტაბიძის ლექსის „აკაკის ლანდის“ პირველი შავი ავტოგრაფი
(არქივი, 2 დ. გვ. 6).



3. ტაბიძის ლექსის „აკაკის ღანდის“ ერთ-ერთი შავი ავტორგრაფი
(არქივი, გვ. 5528).

ლექსს „აჰა, ბათუმიც გამოჩნდა შორით“ (პოეტის არქივი, გვ. 5658), რომელიც პირველი გამოქვეყნების შემდეგ, 1927 წელი. ისინი პოეტმა დამოუკიდებელ ლექსებად დაპყო და ასევე ბეჭდავდა ყველა შემდეგდროინდელ გამოცემაში.

არის პირუკუ მოვლენებიც. ხელნაწერში ლექსები დამოუკიდებელი სახით არიან წარმოდგენილნი, ხოლო გამოქვეყნებისას პოეტი მათ აერთიანებს. მაგ. ხელნაწერში ლექსი „გახსოვდეს მარად“ (არქივი, გვ. 6396—97) და *** (არქივი, გვ. 6242—43)—გამოქვეყნებისას გაერთიანდა ერთ ლექსად „მზის ამოსვლა საქართველოში“ („ზღვა ანჰაურდა“, 1948, გვ. 76), ან „ზღვის სიყვარული“ (არქივი, 5512: 4917) და „ხალხთ მეგობრობა“ (არქივი, გვ. 8115)—გამოქვეყნებისას ერთ ლექსადაა დაბეჭდილი * (ხალხთ მეგობრობა). ტ. VIII, 1957, გვ. 80.

პოეტი აქვეყნებს ლექსს. შემდეგდროინდელ გამოცემებში ავტორი მას დამოუკიდებელ ლექსებად შლის. მაგ. უფრნალ „ლომისში“ (1922 წ., № 1) დაბეჭდილია ლექსი „ზამთარი“. 1927 წელს პოეტმა ის სამ ლექსად აქცია: „დგება თეთრი ღღეები“, „მეოცნებე აფრებით“ და „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა“ (ლექსები, 1927 წ. გვ. 136, 418 და 136), რომლებიც ასევე იბეჭდებოდნენ ყველა შემდეგდროინდელ გამოცემაში (დაყოფის შემდეგდროინდელია ავტორაფები „დგება თეთრი ღღეები“ (არქივი, გვ. 345). „მეოცნებე აფრებით“ (არქივი, გვ. 966, 7739, 7692).

2. პოეტი წერს ლექსს, ამთავრებს, მაგრამ გამოქვეყნებისას ცვლის ლექსის მეტრს (ათმარცვლოვანის ნაცვლად ბეჭდავს ხუთმარცვლოვანს).

ეს თავისებურება გ. ტაბიძის თხზულებათა მომზადებელს დიდი სიძნელის წინაშე აყენებს, თუ არა გულდასმითი შესწავლა მასალისა და დაკვირვებულნი თვალი, გამომცემელმა შეიძლება შეცდომები დაუშვას. ამ თავისებურების მაგალითია:

ხელნაწერი

ნაბეჭდი

ჩემო...

ჰქროდენ სიონი

აი, ჩემს თვალწინ ძველი სიონი
გულდახურულა, დინჯი, ზვიადი
შორს მოუძარტავს მზერა დიადი,
აღმოსავლეთით ქრიან სიონი.
მიწა ზურმუხტის, ზეცა იისა,

ძველი სიონი
დინჯი, ზვიადი.
მზერა დიადი.
ჰქრიან სიონი.
ზეცა იისა,

ღმერთო მკვლე მას გადაარიდე,
გადაუსახე იმედს ჭვარელი
ოქროთი მქრონი ბიზანტიისა.
გამოუვლონე ერს ანგელოსი.
აუკეთესო მიეცი მშვიდი,
რომ დაშთეს მარად განტქარველი
ღირება დიდი საქართველოსი.
(პოეტის არქივი, გვ. 206).

გადაარიდე
იმედს ჭვარელი
ბიზანტიისა,
ის ანგელოსი
აწ არ არს მშვიდი,
ოღესმე დიდი
საქართველოსი.
(ლექსები, 1927 წ., გვ. 69).

3. პოეტი ერთი ლექსის საფუძველზე აკეთებს მეორე, მის იდენტურ ლექსს. გარკვეული ვარიანტული სხვაობებით. მაგალითად მოვიტანთ ერთს (ისიც პოეტის გამოუქვეყნებელი ლექსებიდან):

უნდა კი მშვიდობით! ნახვამდის,
წასვამდის ლექსებო, კამარა,
ჩვენს გზაზე რაც უნდა დ ღმრთეს
ჯარ თქვენზე ოცნების ამარა!
მესაჯობა გქონდეთ კეთილი
და მინდა გისურვოთ მხოლოდ ეს,
რომ როგორც ქვიციორა კვდელი,
მგარველად სიმართლე გყოლოდეთ.
მე სძრახდეთ მართებულ ყოენას,
ხელი რისხვა გაყოლობდეთ უხვეო,
დალი არ უქციოთ მტრის ჭინას
დაღლილსაც ხომ უნდა ნუგეში.
უახაროთ ცხოვრების ნამკალი
ვატყუდოს, მოხაროს, მიხაროს.
რომ აწვე ბეერია სამკალი.
რომელიც იმღევა სიხარულს.
ნახვამდის ლექსებო! მძლე გუნდით
ვატყუეთო ქარი და ნატბარი.
ვაწვიეთ და ისევე დაბარენდიო
მეოხველის გრანობებით გამოხარი!
11 ნოემბერი, 1923 წ.
(პოეტის არქივი 330 დ., გვ. 33.
33. ე. -დროშა, 1962 წ., №3, გვ. 8
ჩვენი პუბლიკაცია).

უნდა კი გავეშვათ, გავეშვათ მეხრით,
ავილოთ ციხეთა კამარა!
უაროთ თაერისთვის ამარა
და კიდევ გლეხების.
ღარიბი გლეხების ამარა.
ზარალი არ გექონია კეთილი,
რის ღენა ან რა დროს დარდა,
ჩვენ როგორც ქვიციორის კვდელი
წინ გვიძღვის ღენის პარტია!
ნუ ვუყრითო მართებულ ყოენას,
თუ ზოძოლა გვექნება უხვეო
ის მხაჟდ ეტყევა მტრის ჭინას,
რომ მშრომელი მიუღზას ნუგეში.
მოსი ცხოვრების ნამკალი,
ვატყუდოს, მოხაროს, მიხაროს
ოქტომბერს მოყვება სამკალი,
რომელიც იმღევა სიხარულს.
(პოეტის არქივი, გვ. 5320
და 5593).

4. ნაწარმოები. რომელიც შემოქმედებით პროცესის სტადიაში ერთიანი იყო, გამოქვეყნების დროს პოეტი ცალ-ცალკე ნაწარმოებად ჰყოფს. მაგ. პოეტმა „აფეთქების“ ერთ-ერთი ხელნაწერის (არქივი, გვ. 2617—2644) ბოლო, საკმაოდ მოზრდილი ნაწილი, პოეტმა დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით დაბეჭდა 1957 წელს. თხზულებათა VIII ტომში (გვ. 135) „პარიზის“ სახელწოდებით.

პოემაში „ძაუგიდან“ შეტანილია 1941 წელს დაბეჭდილი ლექსი „ჩვენ გავიმარჯვებთ“ (რომლის რამდენიმე ხელნაწერი არსებობს). არქივში ამ პოემის ცალკე ნაწყვეტები დამოუკიდებელ ლექსებადაა წარმოდგენილი. მაგ., „ვერ გავიმარჯვებს“ (არქივი, გვ. 5809) და „ღღ გზაზე“ (არქივი, გვ. 5810). პოემის „გაერთიანება მშენებლობისთვის“ ვრცელი ნაწილი ავტორს არქივში დამოუკიდებელი ლექსის სახით (სათაურით „გელათი“) აქვს წარმოდგენილი. ასეთი შემთხვევები ხშირია (განსაკუთრებით პოემა „აკაკი წერეთლიდან“ და „საუბარი ლირიკის შესახებ“).

5. დამახასიათებელი თვისებაა ლექსის სტროფების გადაადგილება. ისეთი შთაბეჭდილება რჩება თითქოს სხვა ლექსთან გვაქვს საქმე, მით უმეტეს, თუ სათაურიც განსხვავებულია. მაგ., ცნობილი ლექსი „ვისმენ დანატრულ ხმას“ (პირველად გამოქვეყნდა ჟურნ. „მნათობში“. 1925 წელს, ხოლო შემდეგ 4-ჯერ გადაიბეჭდა კრებულებსა და ტომებში) ასეა წარმოდგენილი ხელნაწერსა (გვ. 4065) და ნაბეჭდში.

ხელნაწერი

ნაბეჭდი

გზით მიმავალი გზად

ვისმენ დანატრულ ხმას

მზე გიოქროვებს თმას,
ვით შეღამების რულს,
ვისმენ დანატრულ ხმას
და ვერ ვიმშვიდებ გულს.
ფრთადალებული დღე
ცდება დასავალ ცას,
გარინდებული ტყე
ფიქრობს, არ ვიცი რას!
აღვა მწვერვალებს ხრის—
ეფემერივით სწორს,
მთიდან ნიავი ქრის,
შორს, უბოლოოდ შორს..
შევხედით ისევე ჩვენ
გზით მიმავალი გზად
კვლავ მოგონებებს მფენ
და აღარ ვიცი რად!
ფრთადალებული დღე
ცდება დასავალ ცას,
გარინდებული ტყე
ფიქრობს არ ვიცი რას.

აღვა მწვერვალსა ხრის,
ნაზი ტანივით სწორს,
მთიდან ნიავი ქრის
შორს, უბოლოოდ შორს.
შევხედით ისევე ჩვენ.
გზით მიმავალი გზად.
კვლავ მოგონებებს მფენ
მაგრამ არ ვიცი: რად?
მზე გიოქროვებს თმას,
ვით მონიავე ტოლს,
ვისმენ დანატრულ ხმას
და ვერ ვიმშვიდებ გულს.
ფრთადალებული დღე
ცდება დასავალ ცას,
გარინდებული ტყე
ფიქრობს არ ვიცი—რას.

1915

17 ივლისი, 1922 წელი
ტფილისი

6. გ. ტაბიძის ხელნაწერებში ვხვდებით სხვა მისივე ლექსების გამოყენებას. პოეტი იმეორებს როგორც აღრინდელ ისე გვიანდელი ლექსების რიგ პასაჟებს. მაგ. ლექსის „ყველა საქმეები“ ავტორაფი (არქივი. გვ. 4180), იმეორებს მთელ ლექსს „პროლოგი 100 ლექსის“. ახსნა იმისა თუ რატომ სკირდებოდა პოეტს მიემართა ასეთი ზერხისათვის მომავლის კვლევა-ძიების საქმეა.

7. ხელნაწერთა თავისებურება გამოსჭვივის აგრეთვე პირვანდელი ტექსტის შემდგომ შემცირებაში, მაგ.

ხელნაწერი

გალაკტიონ

ქალაქის ქალას გრიგალი ღრღნიდა,
ხიდეებს ხრიდა ღრიალი წყალის,
მე მივდიოდი წინანდელ ხნიდან
და წვიმა ცრიდა ღამიან ხალისს.

მე მივდიოდი და ქარი ქროდა
და ვეცემოდი და კვლავ ვდგებოდი,
მეზმანებოდა მაღალი ოდა
და მაღალ კედლებს ვეხეთქებოდი.
და ვეცემოდი ისევ და ისევ
და ისევ ისე ვდგებოდი დაღლით,
ქალაქის ქალას გრიგალი ღრღნიდა
და წვიმა წვიმებს მიშენდა მაღლით.
მე მივდიოდი და ვეცემოდი
და სიბნელეში მუხლი ტყდებოდა,
მე მივდიოდი და ვეცემოდი
და იყო ღამე... არ თენდებოდა.
მინდოდა წყაროს წყალი გემოთი
და მშობლიური სუნთქვა სიოთი,
მე მივდიოდი და ვეცემოდი,
ისევ ვდგებოდი და მივდიოდი.
უცებ თოფების ატყდა ქუხილი,
ზარბაზნის ცეცხლთა აატეხეს ქეჭა,
მე ერთადერთი მქონდა წყურვილი:
ჩვენი სოფლების ღვია და ღვკა.
მოკვდა რაღაცა კარგი და წმინდა,
გულიდან სისხლი მდიოდა ლალის...
ქალაქის ქალას გრიგალი ღრღნიდა,
ხიდეებს ხრიდა ღრიალი წყალის,
ქვეყანა იყო ვით ცივი ლოდი,
ცა ამღვრეული როგორც იოდი,
მე მივდიოდი და ვეცემოდი,
ისევ ვდგებოდი და მივდიოდი.

19 აპრილი, 1923 წ. (არქივი, გვ. 211 ა)

ნაბეჭდი

მე ერთად ერთი მქონდა წუხილი

მინდოდა წყაროს წყალი გემოთი
და მშობლიური სუნთქვა სიოთი,
მე მივდიოდი და ვეცემოდი,
ისევ ვდგებოდი და მივდიოდი.

როცა თოფების ატყდა ქუხილი
და ზარბაზნების გრგვინვა და ქეჭა,
მე ერთადერთი მქონდა წუხილი
თქვენი სოფლების ღვია და ღვკა.
შორს ერთადერთი ენთო სანთელი
უუჭველესი ბალის ტოტოთი,
აქ კი გრიგალი, კორიანტელი
და ტყე მშფოთვარე თავგამოდებით.

1915

(დაიბეჭდა ე. „მნათობი“, 1925,
№ 10, გვ. 100; ლექსები, 1927, გვ. 427,
„რჩეული“, 1944, გვ. 489; „რჩეული“,
1954 წ., გვ. 421. ნაწყვეტი დაიბეჭდა
„იგი ომის“ შემადგენლობაში „ეპოქა“,
1920, გვ. 10—11; ტ. II, 1935, გვ. 108
და ლირიკა, 1940, გვ. 7).

ხელნაწერებიდან, რამდენადაც ისინი ტექსტის ისტორიის შესასწავლად ნიშანდობლივ წყაროს წარმოადგენენ, პირველ რიგში, უნდა გამოიყოს ავტოგრაფები (ავტორის საკუთარი ხელით ნაწერი ან ნაბეჭდში ჩასწორებული) და ასლები (სხვის მიერ გადაწერილი), ეს ტერმინები უნდა ვიხმაროთ მათი ზუსტი მნიშვნელობით.

ავტოგრაფებში ვარჩევთ გეგმების, მონახაზების, ჩანაწერების, შავსა და თეთრ ხელნაწერებს.

მონახაზები ყოველთვის უეჭველად დაუმთავრებელი ტექსტის ნაწყვეტ-ნაკუწებია, რომლებშიაც აღბეჭდილია ავტორის წინასწარი ვარაუდი. ის შეიცავს ნაწარმოების ცალკეულ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ დეტალებს.

შავი ჩვეულებრივ შეიცავს დაკავშირებულ ტექსტს ან მთლიანად ნაწარმოებს (შეიძლება მის გარკვეულ ნაწილსაც).

რთულია განმასხვავებელი ნიშნების დადგენა თეთრ და შავ ავტოგრაფებს შორის. ტექსტოლოგები არა ერთხელ შეხებიან ამ საკითხს².

ტექსტოლოგიურ მუშაობაში სასურველი არაა თეთრისა და შავის გამოყოფა აუცილებელი იქნეს აბსოლუტურ პრინციპამდე. გალაკტიონ ტაბიძის არქივში დაცული ხელნაწერების დაყოფა თეთრ და შავ ხელნაწერებად მეტად რთულია, რადგანაც წერის დროს თეთრი, ეჭვმდებარება ასალ გადამუშავებას და იქცევა შავად, ხოლო შავი, რომელიც ასახავს მწერლის შემოქმედებითი პროცესის მეორე სტადიას, არაიშვიათად საბოლოო (დამთავრებულ) სახეს ღებულობს. ამიტომ არ შეიძლება მტკიცება, რომ მართო შავი ასახავს ნაწარმოების შექმნის პროცესს.

გ. ტაბიძის შემოქმედებით პროცესში ხშირია შემთხვევა, როდესაც მოფიქრებული და გააზრებული ლექსი ავტორის მიერ პირდაპირ თეთრად დაწერილი. არის შემთხვევები, როდესაც ავტორი არაერთხელ წერს (ან აწერინებს სხვას) უკვე დამუშავებულ ნაწარმოების ტექსტს, რასაც „ასლს“ უწოდებენ.

ჩვეულებრივ, შავი იწერება შემოქმედებით პროცესში და ის თავისთავში ასახავს ავტორის მერყეობას, გამოთქმის საშუალებების

² ან თვალსაზრისით აღსანიშნავია: Б. Томашевский, „Писатель и книга“, М., 1957; Г. М. Гофман, Пушкин, Первая глава науки о Пушкине. Пб., 1922 г.; Г. Винокур, „Критика поэтического текста“, М., 1927 г.; Бонди. С. М., Новые страницы Пушкина. М., 1931 г.; Бонди, С. М., О чтении рукописей Пушкина, Известия АН СССР, 1937, № 2—3, стр. 569—606; Пушкин, Временник Пушкинской комиссии АН СССР. т. II, 1936; т. IV—V, 1939 г., „Основы текстологии“. М., 1962, стр. 223—248; там же, стр. 488—494.

არჩევას, ნაწარმოების ტექსტში ცვლილებებისა და შესწორებების შეტანას. ნაწილების გადაადგილებას და ა. შ. გ. ტაბიძის ხელნაწერ წყაროებში ხშირად ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც შავი გადათეთრებულია იმ სახით, რა სახითაც იყო იგი მოტოვებული, ხოლო შემდეგდროინდელი მუშაობა გაგრძელებული იყო ამ შავის გადათეთრებულ ასლზე, რის შედეგად ჩნდება დოკუმენტი. რომელიც უაღლოვდება შავს, მაგრამ მას საფუძვლად ედება გადათეთრებული ასლის ტექსტი. ასეთი ტიპის ავტოგრაფს ტექსტოლოგიაში უწოდებენ „ავტორისეულ კრებისს“ [„Авторыская сводка“]³.

„შევ ხელნაწერებს ძირითადი ტექსტის შემოწმებისათვის.— წერს ბ. ეიხენბაუმი.— ნაკლები მნიშვნელობა აქვს. რამდენადაც შავში წარმოდგენილ ტექსტსა და ნაბეჭდ ტექსტს შორის შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი განსხვავება. მაგრამ მთლიანად მათი იგნორირება ნაბეჭდი ტექსტების შემოწმებისას და მათით სარგებლობა მართო შავი რედაქციებისა და ვარიანტების პეზლიკაციის დროს არ იქნებოდა მართებული“⁴. ამ აზრის გაზიარება მთლიანად არ იქნებოდა სწორი. რადგანაც ყოველ მწერალს მუშაობის საკუთარი დამახასიათებელი სპეციფიკა გააჩნია შავიდან თეთრზე გადასვლისას.

გ. ტაბიძის შემოქმედებითი გზა შავიდან თეთრისაკენ ხასიათდება თანდათანობითი ცვლილებებით და დამატებებით. პოეტის სწორად იყენებდა საბეჭდ მანქანას⁵. რის შედეგადაც მის არქივში ასლების დიდი რაოდენობაა. ამ ასლებს გარკვეულ ცალებს პოეტი ასწორებდა. ცვლიდა ტექსტს. ავრცობდა ან აკლებდა მას. ხევეწდა. თითო ნაწარმოებს ზოგჯერ 15—20 ნაბეჭედი. ავტორის მიერ ნაწარმოები (ე. წ. ავტორისირებულ ასლი) ცალა მოეპოვება და ისინი ამ შემთხვევისათვის აღარც ასლებია და აღარც თეთრები. უამრავი შემთხვევა ვაქვს. როდესაც პირვანდელი ავტოგრაფი ექვემდებარება გადამუშავებას. მასში კარვად ჩანს. როგორც პირვანდელი რედაქცია, ასევე მეორე. მესამე და ა. შ. ამდენად. გ. ტაბიძის არქივში შავები სჭარბობს. ამიტომ ძირითადი ტექსტის შემოწმებისას საჭიროა შავი ხელნაწერების შესწავლა და მათზე ყურადღების გამახვილება. აღბაა. ეს ჰქონდა მხედველობაში ბ. ეიხენბაუმს. რომელიც იძულებული იყო თავის შრომაში ელარებინა: „ამრიგად, ძირითადი ტექს-

³ Б. Томашевский, *დასახელებული წიგნი*. გვ. 65

⁴ Б. Эйхенбаум, *Основы текстологии*, „Редактор и книга“. вып. III. М., 1962, стр. 70.

⁵ პოეტი ხშირად თვითონ ბეჭდადა მანქანაზე (არქივი. 424 დ. გვ. 53, მეუღლის ჩანაწერი).

ტის შემოწმებისათვის საჭიროა ყურადღება მივაქციოთ არა მარტო თეთრ ხელნაწერებს, არამედ შავებსაც⁶.

რისთვისაა საჭირო ხელნაწერის წაკითხვა, რა სურს ტექსტოლოგს მიიღოს მისი წაკითხვის შედეგად? დამთავრებული ტექსტი (პუბლიკაციის დოკუმენტი), თუ ტექსტის ვარიანტი ე. ი. უჩვენოს მკითხველს შემოქმედებითი მუშაობის პროცესში რა არის უარყოფილი მწერლის მიერ. ტექსტის რა ნაწილებია წაშლილი და ა. შ; თუ მას—ტექსტოლოგს—აინტერესებს თვით მუშაობის პროცესი. მისი თანამიმდევრობა, ხელნაწერის შექმნის ისტორია?

პირველი ორი შემთხვევა არსებითად ერთგვაროვანია. ორივეში ტექსტოლოგი ეძებს ტექსტს, დაკავშირებულ ფრაზებს თუ იზოლირებულ ნაწყვეტებს, ცალკეულ სიტყვებს. ტექსტოლოგს აინტერესებს თვით სიტყვა. შინაარსი (ფორმა) მათი წარმოშობის და განადგურების ისტორიისგან დამოუკიდებლად, რამდენადაც უკანასკნელ შემთხვევაში სწორედ ეს საკითხი წარმოადგენს ძირითადს. ტექსტოლოგი არსებითად ანსხვავებს ყოველთვის ორ შემთხვევას; ტექსტის ძიების (დასრულებულისა ან ვარიანტებისას) და ავტორის ტექსტზე მუშაობის პროცესის გამოკვლევას.

რიგ საკითხებთან ერთად, რომლებიც დგება პოეტის ხელნაწერების წაკითხვისას პირველი საკითხია რას წარმოადგენს ხელნაწერი—თეთრს თუ შავს?

ხშირად „თეთრი“ და „შავი“ ისმარება განსაკუთრებული კრიტიკული დამოკიდებულების გათვალისწინების გარეშე. თუ ხელნაწერი გამოიყურება სუფთად, დაწერილია გარკვეულად—ყოველგვარი გადახაზვებისა და ცვლილებების გარეშე, მაშინ—„თეთრია“, თუ პირიქითაა, მაშინ—„შავია“ ასეთ განსაზღვრებას აძლევს ამ ტერმინებს ბ. ტომაშევსკი, რომელიც ამავე დროს იძლეოდა სავესებით სწორ დახაზვებას ამა თუ იმ ხელნაწერის შესწავლისათვის, მათი წარმოშობისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით⁷. იგი წერდა „ხელნაწერთა კლასიფიკაცია უნდა ამოდიოდეს მოცემული დოკუმენტის მატერიალური თავისებურებებისაგან, დოკუმენტის შინაარსისაგან დამოუკიდებლად“.

სხვა მოსაზრებისაა პროფ. ს. ბონდი, მისი აზრით: „თეთრი და შავი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სავესებით, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად თავისი წარმოშობითა და მნიშვნელოვანობით. შავი ესაა ხელნაწერი, რომელიც იქმნება მუშაობის უშუა-

⁶ Б. Эйхенбаум, დასახელებული ნაშრომი, გვ. 71.

⁷ Б. Томашевский, „Писатель и книга“, 1959, стр. 66.

⁸ იქვე. გვ. 68.

ლო პროცესში, იწერება თავისთვის, იმ თანამიმდევრობით, რომელ-
შიაც მიმდინარეობს შემოქმედებითი პროცესი და ამიტომაც თავისი
გარეგნული ფორმით ასახავს ამ პროცესის თავისებურებებს. არავი-
თარი ზრუნვა გარეგნულობაზე (ხელის გარკვეულობა, თანამიმდევ-
რობა წერის დროს და ა. შ.) მწერლის შავს არ ახასიათებს. შავი იწე-
რება თავისთვის იმ ანგარიშით, რომ ის შემდეგში გადათეთრდება.

თეთრი ხელნაწერი ასახავს არა მუშაობის პროცესს, არამედ
დასრულებულ შედეგს: ის იწერება ყოველთვის სხვისთვის და ამი-
ტომ გარეგნულ ფორმას მნიშვნელობა ეძლევა (გარკვეული ხელი,
თანამიმდევრობა, კომპოზიცია და ა. შ.). თეთრი ხელნაწერი შედე-
გია წმინდა მექანიკური შრომისა (რითაც ის განსხვავდება შავისაგან).
ეს პრინციპული სხვაობა იმდენად მნიშვნელოვანი და უდაოა, რომ
მათი განსხვავებისათვის არაა საჭირო სხვა დოკუმენტებისადმი მი-
მართვა⁹.

ვერ გავიზიარებთ ს. ბონდის მოსაზრებას, რომ თითქოს „თეთ-
რი... ყოველთვის შედეგია წმინდა მექანიკური შრომისა“, რამდენა-
დაც ავტორს თავისი ნაწარმოები. განააკეთებთ ლექსი, შეუძლია
დაწეროს ყოველგვარი შავის გარეშე. ბონდისეულ დამოკიდებულე-
ბას თეთრი და შავი ხელნაწერების მიმართ ტექსტოლოგის მუშაო-
ბაში მხოლოდ სიძნელის წარმოშობა შეუძლია.

გ. ტაბიძის ხელნაწერების ერთმანეთთან შედარების დროს. მათ
შორის ხშირად თვალსაჩინო ნაირწყაობებს ვხვდებით და ტექსტის
შემსწავლელი შეიძლება მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ შესასწავლ
ხელნაწერთა შორის არსებობდა კიდევ, რომელიღაც შუალედური
ხელნაწერი, რომელმაც ჩვენამდე არ მოაღწია. ამიტომ ს. ბონდის
მკვეთრი გამოცხნა თეთრ და შავ ხელნაწერებს შორის დამაჯერებე-
ლი არაა.

ავტოგრაფების გარდა ხელნაწერთა რიცხვს ვანეკუთვნება ას-
ლები, ნუსხები და კორექტურები.

ასლად შეიძლება იწოდოს მხოლოდ ისეთი ხელნაწერი, რომ-
ლის დამზადება მიმდინარეობდა გარკვეული მიზნობრივი დანიშნუ-
ლებით—ორიგინალის ზუსტი გადმოღებით (გ. ტაბიძესთან ასეთი
ასლები ბევრია).

ნუსხად იწოდება ინტერპოლატორული ხელნაწერი, რომელსაც
ტექსტის დადგენისათვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

⁹ С. Бонди. О чтении рукописей Пушкина, Изв. АН СССР. 1937, № 2—3, стр. 569—606. См. главу—„Черновые и белые рукописи.“

ასლები და ნუსხები შეიძლება იყვნენ ავტორიზებული, ე. ი. გადათვლიერებულნი და შემოწმებულნი ავტორის მიერ. ასეთ შემთხვევაში მათი მნიშვნელობა დიდია.

სმირად, ნაწარმოების ცალკეული ავტოგრაფები, რომლებიც განეკუთვნება შემოქმედებით პროცესის სხვადასხვა სტადიას, იწოდება „რედაქციებალ“ მაგ. გ. ტაბიძის ცნობილი ლექსის — „მოვა... მაგრამ როდის?“ ავტოგრაფებზე შემოქმედებითი შრომის სხვადასხვა სტადიას ახასიათებს და მათ შორის ნაწილობრივი შინაარსობლივი სავაობებია. ასევეა ლექსი „მშობლიურო ჩემო მიწავ“, რომელსაც მრავალი ავტოგრაფი მოაპოვება.

გ. ტაბიძეთან ზოგიერთ შემთხვევაში გადაამუშავება იმდენად შორს მიდის, რომ ჩვენ ვღებულობთ სულ ახალ ნაწარმოებს. ასეთებია: პოემა „კაფე კორსოა ქუჩაზე“ — შემდეგ „აფეთქებად“ წოდებული. პოემა „ძაღვიდან“, რომელიც პირვანდელი პოემის „კომპიენის ტყის“ გადაამუშავებას. წარმოადგენს. ლექსი „ვარდები“, რომელიც 1927 წელსაა დაწერილი. 1954 წელს იმდენად გადაამუშავა, რომ ახალი შინაარსის ლექსი მივღეთ „ოქროს თავი ორნამენტებით“. რომელიც ერთ-ერთ გამოცემაში პარალელურად დაიბეჭდა (იხ. 1959 წელს. რჩეული, გვ. 555 და 284: არსებობს ორივე რედაქციის ავტოგრაფები).

ავტორის ხელნაწერების შესწავლის პროცესში, ჩვენ ვიპოვებთ მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში, ვარკვევთ ტექსტის დაწერის ისტორიას და ვაღგნთ ყოველი ცალკეული წყაროს ადგილსა და როლს სხვა მასალათა შორის, რომლებიც განეკუთვნებიან მოცემულ ნაწარმოებს.

ამ ამოცანის შესრულება შეუძლებელია ავტორის სამწერლო მანერის ცოდნის გარეშე. „სამწერლო მანერაში“ უნდა გავიგოთ არა მარტო მწერლის შემოქმედებითი მანერა (სახის შექმნის ხერხები, ხასიათების დამუშავება, პოეტური სიმწიფე, ტიპიზაცია და ა. შ.), არამედ ისიც. რაც შეადგენს მის ტექნიკური ოსტატობის მხარს.

სხვადასხვა მწერალს თავისებური წერის მანერა აქვს. გ. ტაბიძე ტექსტზე ბევრს მუშაობდა, მისთვის დამახასიათებელია ტექსტის მრავალჯერ გადაწერა, მისი ახლებური დამუშავება, ცვლილებების შეტანა. ერთხელ დაწერილს იგი მრავალჯერ უბრუნდებოდა. ამის დამადასტურებელია ის გარემოება, რომ ცვლილებები ხშირად ერთდამავე ხელნაწერში შეტანილია სხვადასხვა ფერი მელნით. ან ფანქრებით. რაც საშუალებას იძლევა დავადგინოთ, რომელია პირვანდელი, შუალედური და ბოლოდროინდელი ჩასწორება. მაგ. ლექსი დაწერილია ლურჯი მელნით — პირვანდელი რედაქცია, შემდეგ ცვლი-

ლება შეტანილია წითელი მელნით, მივიღეთ ე. წ. შუალედური რედაქცია. რომელიც კვლავ ჩასწორებულია მწვანე მელნით და ამ გზით მიღებულია საბოლოო ტექსტი.

გ. ტაბიძე თავის ნაწერებს რემინგტონზე აბეჭდინებდა და საამისოდ კარგ მემანქანეს დაეძებდა (ზოგჯერ თვითონაც ბეჭდავდა) ერთ-ერთ ჩანაწერში (1941 წ. 12 თებერვალი) ვკითხულობთ:—„არ უნდა მისცე კაცმა ნაწერები გამოუცდელ მემანქანე ქალს. აი, მაგალითად, ლექსში „ახალი წელი“ ბოლოში აკლია ორი სტრიქონი. ლექსში „საშობლოს“ კიდევ ორი სტრიქონი. ალბათ, ასევე უამრავი შეცდომები იქნება სხვა ლექსებშიც. ეხლა ძალიან გულდასმით უნდა გადათვალიერდეს მათ მიერ გადმობეჭდილი მასალა. უკეთესი არ იქნებოდა გამოცდილ მემანქანისათვის მიმეცა დასაბეჭდად ლექსები? რა ვუყოთ, რომ ცოტა მეტს აიღებენ. სამაგიეროდ უშეცდომოდ და კარგად დაბეჭდავენ“¹⁰.

პოეტს უყვარდა წერა მელნითაც და ფანქრითაც. კალიგრაფია გალაკტიონს კარგი ჰქონდა. წერდა ლამაზი, მრგვალი, გარკვეული ასოებით, ადრინდელ ხანაში უყვარდა ძლიერ წვრილი ასოებით წერა. დროთა განმავლობაში იცვლებოდა მისი ხელიც. სიტყვების შემოკლება მას არ უყვარდა. ლექსების ტექსტს წერდა სხვადასხვა ქალაქებზე. ბლოკნოტებში, პაპიროსის კოლოფზე, გაზეთის მინდვრებზე. სიგარეტის ყუაზე, ხელსაწმენდ ქალაქზე და ა. შ. ერთი სიტყვით რაც ჩანაფიქრის აღმოცენებისას მოხვდებოდა ხელში.

იოსებ იმედაშვილის ცნობით, გ. ტაბიძეს თავისი ადრინდელი ლექსების დიდძალი ხელნაწერები გაუნადგურებია¹¹. ალბათ, ამიტომაცაა, რომ მისი ადრეულ ლექსების ავტოგრაფები თითქმის მოუღწეველია გალ. ტაბიძის არქივში ამ ფაქტთან დაკავშირებით აღმოჩნდა ასეთი ჩანაწერი: „...დავკარგე. გავანადგურე ყველაფერი რაც მიწერია ბავშვობიდანვე. არასოდეს არ მიგვძნია რაიმე მსგავსი.. თითქო მომკვდარიყო ჩემი სიყმაწვილე... მრავალი გათენებული ღამე. მრავალი გრძნობა სიხარულისა. მუყაითი შრომის. ერთგული თავგამოდების... ჩემი დღიურები, ჩემი ლექსები... ვერასდროს მე მათ ვერ ვნახავ. . რა თავდადებული წარსულის შუქი გააშუქებდა თქვენ გადაფურცვლაზე, ეხლა ყოველივე მკვდარია...“, რა იყო მიზეზი პოეტის ასეთი მოქმედებისა საკუთარი ხელნაწერებისადმი ძნელი დასადგენია, მაგრამ ფაქტია, რომ დაიკარგა პოეტის შემოქმედებითი პროცესის ამსახველი ძვირფასი მასალა.

¹⁰ სსსმ, გ. ტაბიძის არქივი, 68 დ, გვ. 6.

¹¹ ცნობა მოგვაწოდა გაიოზ იმედაშვილმა. იხ. აგრეთვე, არქივი, 435 დ.

ჩვენამდე არ მოუღწევია პოემებს „ძველი კოშკი“ და „ალვის ზეები“, რომლებსაც გ. ტაბიძე ასახელებს მინა ბოჭორიშვილისადმი 1912 წლის 22 ოქტომბერს მიწერილ წერილში¹². ასევე არ ჩანს პომეროსის პოემის „ოდისეას“ თარგმანი, რომელიც პოეტს 1912—1913 წლებში შეუსრულებია¹³.

„ეპოქის“, და „რევოლუციონური საქართველოს“ პირვანდელი ხელნაწერები სტამბაში დაკარგულა და მათი აღდგენა პოეტს ვერ მოუხერხებია¹⁴.

ტექსტის ხელნაწერი წყაროების შესწავლა და მათი განლაგება ქრონოლოგიური წესით შეუძლებელია ცალკეულ წყაროზე დამატებითი მუშაობის გარეშე, რაც დაკავშირებულია ნაწარმოების დათარიღება-გადათარიღებასთან. ამ მხრივ გ. ტაბიძის ავტოგრაფები სასურველ ცნობებს იძლევა.

ასეთია საკითხები, რომლებიც ყურადღებას მოითხოვენ პოეტის ზეუნაწერი წყაროების შესწავლისას.

II

გალაკტიონის ნაწარმოებთა ტექსტების ყოველი ცალკეული ნაბეჭდი წყაროს საფუძვლიანი გამოვლენა და მისი ყოველმხრივ შესწავლა ძირითადი ტექსტის არჩევის პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. ამ მხრივ არსებითია: თითოეული ნაწარმოების ნაბეჭდი წყაროს გამოვლენა და გ. ტაბიძის დამოკიდებულების შესწავლა თხზულებათა გამოსაცემად მომზადებაში.

გალაკტიონის თხზულებათა ნაბეჭდი წყაროების შესწავლა რთულდება იმ გარემოებით, რომ არ არსებობს მისი ნაწარმების ბიბლიოგრაფია (ეს ბიბლიოგრაფია დგებოდა და ზუსტდებოდა გამოცემის მომზადების პერიოდში). ტექსტის დადგენისათვის საჭიროა ყველა პუბლიკაციისა და ცალკეული ავტორიზებული გამოცემების სრული სია. ავტორიზებულ გამოცემათა გამოვლენა (განსაკუთრებით თხზულებათა ტომები, ცალკე კრებულები) სავსებით არ ნიშნავს იმას, რომ ყოველი ტექსტი, შესული ანეთ გამოცემებში, აუცილებლად წარმოადგენს ავტორიზირებულს. ამიტომ სავალდებულოა ცნებების განსხვავება —ავტორიზირებული გამოცემა და ავტორიზებული ტექსტი. მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მივიჩნიოთ ესა თუ ის გამოცემა ძირითად ტექსტად თუ დადასტურდება, რომ აღნი-

¹² წერილი „მიხასადში“, ჟურნ. „ისიკარი“, 1962, № 12.

¹³ სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, გვ. 02371—110.

¹⁴ სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, გვ. 2917.

შნული კამოცემა (ან ნაწარმოების ტექსტი) ძოძხადებულია ავტორის მიერ.

კამოცემის მასალა უნდა დალაგდეს ქრონოლოგიური წესით, რაც მოვეცემს უფლებას, დავადგინოთ პოეტის მუშაობა ტექსტზე პირველი პუბლიკაციიდან ბოლო გამოცემამდე. ნაბეჭდი წყაროების შესწავლის დროს ყურადღება მხოლოდ ავტორის სიცოცხლეში გამოქვეყნებულ ნაწერებს უნდა მიექცეს. ავტორის გარდაცვალების შემდეგდროინდელი პუბლიკაციები (რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ პირველ პუბლიკაციაზე) გულდასმით უნდა იქნას შესწავლილი, რომ არ მოხდეს უკვე დაბეჭდილი ტექსტის დაუბეჭდავად გამოცხადება. რასაც სამწუხაროდ, ხშირად აქვს ადგილი.

ნაბეჭდი წყაროების სრულყოფილი გამოვლენა და შესწავლა ყოველი მწერლის თხზულებათა ტექსტოლოგიური საკითხების წარმატებით გადაწყვეტის საწინდარია¹⁶.

აი, რა გამოავლინა ამ ხაზით წარმოებულმა კვლევა-ძიებთმა მუშაობამ:

ა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე (1908—1920)

გ. ტაბიძის პოეტური „ნათლობა“ შედგა 1908 წლის 28 სექტემბერს. ამ დღეს დაიბეჭდა მისი ორი ლექსი: *** (მთავარე კაშკაშებს), გაზეთი „ამირანი“, № 169 და „შავი ღრუბელი“, ჟურნ. „ჩვენნი კვალი“¹⁷ № 19, გვ. 298. „პირველი ჩემი ლექსები,— წერს გ. ტა-

¹⁶ რამდენადაც გ. ტაბიძე ჩვენი თანამედროვე პოეტია, ხოლო მისი აკადემიური გამოცემა პირველად ხორციელდება, ამის გამო ტექსტის ნაბეჭდი წყაროების სხვა საკითხებზე, რომლებიც უმთავრესად XIX საუკუნის მწერალთა თხზულებათა გამოცემებისათვისაა დამახასიათებელი, ყურადღებას არ ვამახვილებთ. ამ საკითხზე დაწერილებით იხილეთ: Вопросы текстологии, М., I, 1957, стр. 78—90; Основы текстологии. М., 1962, стр. 223—248; Б. Томашевский, „Писатель и книга“, М., 1959, стр. 32—65.

¹⁷ ს. კილაიას აზრით, გ. ტაბიძემ პირველად ჟურნალ „ახალ კვალში“ და გაზეთ „ამირანში“ დაბეჭდა ლექსები „შავი ღრუბელი“, „ღამე“ (იხ. გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“, 1951, გვ. 4), აქ მკვლევარს ორი ლათსუსი აქვს დაშვებული: პირველი არა „ახალი კვალში“, არამედ „ჩვენნი კვალში“ და მეორე—ლექსი „ღამე“ არც „ამირანში“ და არც „ჩვენნი კვალში“ 1908 წელს არ დაბეჭდილა. „ღამე“ დაიბეჭდა ჟურნ. „ფასკუნჯში“ 1909, № 4, გვ. 3.

ბიძე—„შავი ღრუბელი“ და „მთვარე კაშკაშებს“ დაიბეჭდა. 1908 წელს. პირველი „ჩვენს კვალში“, მეორე „ამირანში“... ჩემი ორი პირველი ლექსი ერთდამავე დღეს დაიბეჭდა და ეს იყო ყველაზე უკეთესი და ბედნიერი დღე ჩემს ცხოვრებაში“¹⁸.

1908—1920 წლებში გ. ტაბიძე თანამშრომლობდა და ბეჭდავდა თავის ლექსებს, სკეტჩებს და იუმორისტულ ამბებს:

გ ა ზ ე თ ე ბ შ ი: „ამირანი“, „დროება“, „საბალხო გაზეთი“, „კოლხიდა“, „მნათობი“, „თემი“. „ჩვენი ცხოვრება“, „განთიადი“, „მერცხალი“, „აზრი“, „ახალი აზრი“. „შრომა“, „თანამედროვე აზრი“, „ახალი კვალი“, „სამშობლო“, „სოციალ-დემოკრატი“, „სახალხო საქმე“, „ერთობა“.

ე უ რ ნ ა ლ ე ბ შ ი: „ჩვენი კვალი“. „საქართველო“. „ფასკუნჯი“. „თეატრი და ცხოვრება“, „საქართველოს მოამბე“. „განათლება“. „ტალღა“, „ახალი ტალღა“, „ნაკადული“, „ოქროს ვერძი“, „მამხალა“, „ჯოჯოხეთის მამხალა“, „განთიადი“, „ცისფერი ყანწები“, „ახალი ცისკარი“, „ლეგია“, „მზიური საქართველო“. „თოლაბულისის სარტყელი“. „კრეიონის სარკე“. „თეატრი და მუსიკა“. „სმარაკდა“. „ტფილისი“.

ა ლ მ ა ნ ა ხ ე ბ შ ი: „პირველი ტალღა“. „პირველი ნაბიჯი“, „ჩვენი ნაბიჯი“.

კ რ ე ბ უ ლ ე ბ შ ი: „ჩანგი“, „გრდემლი“, „სხივი“, „ახალი პოეზიის ანთოლოგია“ (1919 წ. ქუთაისი).

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი თანამშრომლობა გაზეთებში: „კოლხიდა“, „განთიადი“. ეურნალებში: „ფასკუნჯი“. „განათლება“ და „თეატრი და ცხოვრება“.

¹⁸ სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, 238 ფ. გვ. 47.

პირველი ლექსების გამოქვეყნების შესახებ არსებობს ასეთი ჩანაწერიც: „როდესაც ჩემი პირველი ლექსები დაიბეჭდა, ჩემს ცხოვრებაში შემოიჭრა რაღაც ახალი, მე შეჩვენებოდა, რომ სადღაც გაიღო კარი და მე ვიწრო და ბნელ საკანთან ამოვედი თავისუფალ ასპარეზზე და ყველგან, სადაც თვალი გამწვდებოდა იყო მზე, შობრაობა და სინათლე. ამ სულეურმა განწყობილებამ ვასტანა მხოლოდ რამდენიმე დღეს. მე მოველოდი უფრო მეტს - (პოეტის არქივი, 1920, გვ. 22).

მოიპოვება ჩანაწერი ლექსად (სსლმ, გვ. 6709—6710), რომელიც გამოხატავს პოეტის ალტაცებას პირველი ლექსების დასტამპვის გამო:

აბა როგორ გამოეთქვა
გრძნობის შეათასეთი,
დღეს პირველად ჩემს ლექსებს
ბეჭდავს ეურნალ-გაზეთი:
დღე-ღან მომაჯლისკენ

პოეტი ერთ-ერთ ჩანაწერში გვაუწყებს: „უნდა ვთქვა, რომ არც პირველი წიგნი (1914) და არც მეორე (1919) არ წარმოადგენს სრულ კრებულებს და მთლიანად მათზე დაყრდნობა მკვლევარს ყოველთვის შეცდომაში შეიყვანს. მათში შეტანილი არაა ის უამრავი მასალა, რომელიც გაფანტულია ქართულ ჟურნალ-გაზეთებში 1908 წლიდან დაწყებული 1919 წლამდე“¹⁸.

1908—1920 წლების ქართული პერიოდული პრესის შესწავლამ ცხადჰყო, რომ ზემოთ დასახელებულ პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილია გ. ტაბიძის მრავალი ლექსი, რომლებიც პოეტის სიცოცხლეში გამოცემულ არცერთ ლექსთა კრებულსა და ტომში არ არის შეტანილი. მაგალითად: „მთვარე კაშკაშებს“ (გაზ. „ამირანი“. 1908 წ., № 169); „როცა ბულბული განთიადისას“ (ყურნ. „საქართველო“, 1908 წ., №11); „ვითარცა გედი ზღვისა სივრცეში“ (გაზ. „დროება“, 1908 წ., № 29); „ღამე“ (ყურნ. „ფასკუნჯი“, 1909 წ., № 4); „ნიავი“ (იქვე, 1909 წ., № 5); „მომაკვდავი“ (იქვე, № 9); „ფიქრი“ (იქვე, № 12); „გაზაფხულის მოლოდინში“ (იქვე, №14); „ვარდი კოკობი გადაფურჩქენილი“ (იქვე, № 16); „სასაფლაოზე“ (იქვე, № 17); „ფანტაზია“ (ალმანახი „პირველი ტალღა“, 1909 წ., № 1); „მწუხარება“ (იქვე, № 2); „ყვავილი“ (ყურნ. „საქართველოს მოამბე“, 1909 წ., № 6); „მსახიობ ქალს“ (ყურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910, № 1); „ბოეზია“ (იქვე, № 3); „მსახიობის დღიურიდან“ (იქვე, №6); „მხოლოდ ბუნება“ (იქვე, №6); „ფარვანა“ (იქვე, №18); „მუზაგ, შენც სულით“ (იქვე, №18); „დილა“ (იქვე, №22); „არ მშორდება სევდა მწარე“ (იქვე, №24); „გაზაფხულის ღამე“ (იქვე, №35); „ათას ფერად მოქარგული“ (ყურნ. „ნაკადული“, 1910 წ., №8); „შუა ღამეა ზღვის ნეტარ გულში“ (გაზ. „კოლხიდა“, 1911 წ., №86); „მუსიკა“ (იქვე, № 152); „შემოდგომა“ (ყურნ. „განათლება“, 1911 წ., № 10); „რა ვქნა?“ (გაზ. „ჩვენი ცხოვრება“, 1912 წ., № 2); „ახალი წლის ღამეს“ (გაზ. „თემი“, 1913 წ., № 104); „სასაფლაოზე“ (ყურნ. „განათლება“, 1912 წ., № 9); „ელეგია“ (გაზ. „ახალი აზრი“, 1914 წ., № 75); „ყვითელი ფოთოლი“ (ყურნ. „განათლება“, 1915 წ., № 9); „აკაკის ვარდაცვალების გამო“ (ყურნ. „განთიადი“, 1915 წ., №3)²⁰.

გაიკვლევიან ვხანი: •
 ჟურნალით - ჩვენი კვალი.
 გაზეთით - ამირანი“.

საინტერესო მოგონება გ. ტაბიძის პირველი ლექსების გამოქვეყნებაზე დაწერილი აქვს გ. მიხეილიძეს (იხ. ყურნ. „მნათობი“, 1962, № 11, გვ. 173—179).

¹⁹ სსსრ. გ. ტაბიძის არქივი, გვ. 3160—3165.

²⁰ იხ. ი. ლორთქიფანიძე, „გალაკტიონის ლექსი“, „ლექტორატურულ გაზეთი“. 1960, № 50.

„ფანტაზია“ (ყურნ. „თეატრი და ცხოვრება“. 1915 წ. №9); „თეთრი ლანდები“ (კრებული „სხივი“, 1916 წ. გვ. 84); „კოშკი“ (ყურნ. „ახალი ცისკარი“, 1916 წ. №1; ყურნ. „კანდელი“, 1922 წ. №2); „შენი ღიმილი“ (ყურნ. „ლეგენია“, 1917, №1); „ქალის ქანდაკება“ (ყურნ. „მზიური საქართველო“, 1920 წ. №1);

1911 წელს გაზ. „თემში“ (№ 43—45) დაიბეჭდა პოემა „მწყემსი“.

დიდ სიძნელეს ქმნის ის გარემოება, რომ საქართველოს ბიბლიოთეკებში არ მოიპოვება ქართული ჟურნალ-გაზეთების სრული კომპლექტები. განსაკუთრებით ეს ითქმის 1915—1920 წლების პერიოდისაზე. არცერთი დასახელება არაა შემონახული, რომელსაც არ აკლდეს ნომრები, გვერდები ან დაზიანებული არ იყოს. ამდენად ამ პერიოდის სრული სურათის წარმოდგენა გ. ტაბიძის მიერ გამოქვეყნებულ ლექსებზე ძნელდება²¹.

ლექსების კრებულის გამოცემაზე ზრუნვა გ. ტაბიძეს 1912 წლიდან დაუწყია. პოეტი წერს: „...მსურს გამოვეცე პირველი წიგნი. წიგნი წინასწარ ხელისმომწერით უნდა გამოსულიყო. განზრახვა წარუმატებელი კატასტროფით თავდება. წიგნს წინასწარ ხელი მოაწერა მხოლოდ 15 კაცმა“²².

1913 წელსაც უცდია პოეტს თავისი სურვილის განხორციელება, მაგრამ „წიგნის გამოცემის განზრახვა მეორეჯერაც სრული ფასკოთი დამთავრდა,—წერს გ. ტაბიძე.—გამომცემლები, როგორც ქუთაისისა ისე ტფილისისა, კატეგორიულ უარს აცხადებენ ჩემი წიგნის გამოცემაზე. ეს გარემოება სულით ხორცამდე მაშფოთებს. მაგრამ მე თავს ვიჭერ და მოთმინებით ვუცდი: ვიცი. გამოიღარებს“²³.

²¹ ამ მიზნით შესწავლილი იყო ლენინგრადის ალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის სსრკ ხალხთა ლიტერატურის ქართული პერიოდულ გამოცემათა მდიდარი ფონდი. სადაც ქართული პერიოდიკა 1914 წლამდე კაოგადაა დატული (იშვიათი შემთხვევაა, რომ კომპლექტს №№ აკლდეს. გამოწავლისია გაზ. „შრომა“, 1914 წ., რომელსაც აკლია 1—20 ნომრები). 1915 წლიდან კი ხშირია №№ ნაკლებობა და ზოგიერთი დასახელება სულ არაა. 1915—1922 წლების ქართული პერიოდიკა იქ ლარბადაა წარმოდგენილი.

²² სსლმ. გ. ტაბიძის არქივი. 192 დ. გვ. 19—22.

²³ სსლმ. გ. ტაბიძის არქივი. გვ. 19—22.

სათუთა გ. ჩიქობავას მტკიცება თითქო გალაკტიონმა „თავისი პირველი ლექსთა კრებული, რომელიც 1914 წელს გამოიცა. რაღაც ორი კვირის განმავლობაში გააშავა დასახეჭდა. მასთან მთელი რიგი ლექსები ახლად დაწერა. ხოლო ბევრი, უკვე გამოქვეყნებული, საფუძვლიანად გადააკეთა“ (გ. ჩიქობავა, „გალაკტიონის ახლო“, ყურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, № 2, გვ. 83). პოეტი ორი წელი ცდილობდა წიგნის გამოცემას და როგორც იქნა მესამე წელს მიაღწა მიზანს.

1914 წელს გაზეთები: „აზრი“ (№№ 38; 43, 46, 52, 55, 62, 65), „შრომა“ (№№ 10; 14) საზოგადოების საყოველთაოდ აქვეყნებენ გამომცემელ ტუტუ გვარამიას განცხადებას:

„იბეჭდება და მოკლე ხანში ხელის მომწერთ დაურთავდებათ გ. ტაბიძის ნაწერების 1 წიგნი. წიგნში მოთავსებული იქნება: 1. ავტორის სურათი, 2. ბიოგრაფია, 3. ლექსები, (ქერ დაუბეჭდავებრიც) და იპ. ვართაგავას, ივ. გომართელის და მიხ. წულუკიძის კრიტიკული წერილები. ტომში იქნება 200—250 გვერდამდე და დაიბეჭდება კარგ ქაღალდზე“.

იმავე წლის 3 და 7 ივლისს გაზეთების „შრომა“ და „აზრის“ რედაქციები -ახალ ამბებში“ ათავსებენ შემდეგ ბიბლიოგრაფიულ ცნობას:

„რედაქციამ მიიღო ახალგაზრდა მგოსნის გ. ტაბიძის ლექსთა კრებულის 1 ტომი. გამოცემა ტუტუ გვარამიასი. წიგნი ძლიერ ლამაზად არის გაფორმებული. მოზრდილი ფორმატისაა და ღირს 60 კაპ.“ ამ ცნობების მიხედვით მტკიცდება, რომ გ. ტაბიძის ლექსების 1 ტომი გამოვიდა 1914 წლის ივნისის ბოლოს. ეს გ. ტაბიძის ლექსების პირველი კრებულია. ტომში არ შესულა იპ. ვართაგავას და მ. წულუკიძის წერილები, რამაც გამოიწვია წიგნში დაპირებული გვერდების სიმცირე. ტომში შესულია 157 ლექსი, რომელთაგანაც 35 ადრე იყო გამოქვეყნებული პერიოდულ გამოცემებში. (სახელდობრ: „შემოქმედება“ (ყურნ. „განათლება“, 1912, № 9); „გაშლილ წალკოტში ნორჩ ყვავილის“ (ყურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910, № 13); „რა მშვენიერი იყო ნამი“ (იქვე, № 13); „ყვავილები“ (იქვე, № 23); „ნიაღვარი“ (იქვე, №26); „ტყეში“ („სახალხო გაზეთი“, 1910 № 142); „შემოდგომა“ (იქვე, № 156); „ველთა შორის გამოისმა“, (გაზ. „კოლხიდა“, 1911, № 107 და გაზ. „განთიადი“, 1913, №1); „დარიალის ვიწრო კლდეებში“ (გაზ. „მნათობი“, 1911, № 51); „უბილავი“ (ყურნ. „ოქროს ვერძი“, 1913, №2); „მუხა“ (გაზ. „თემი“ 1912, № 97); „დახუჭული თვლები“ (კრებ. „გრდემლი“, 1912 წ.); „მე და ღამე“ (ყურნ. „ოქროს ვერძი“, 1913, № 4); „მესაფლავე“ (ყურნ. „განათლება“, 1913, № 1); „ყვითელი ფოთოლი“ (იქვე, 1912, № 9); „Ave Maria“ (იქვე); „სარკმელიდან“ (იქვე); „ხომლი“ (იქვე); „ხშირად ვოცნებობ“ (იქვე); „თვალწვდენელი დაუსაბამო“ (გაზ. „თემი“, 1913, № 123); „ქალი და ხელოვნება“ (ყურნ. „ოქროს ვერძი“, 1913, № 1); „ყველაფერმა იცვალა ფერი“ (გაზ. „თემი“, 1913, № 132); „წუთი“ (გაზ. „განთიადი“, 1913, №1); „10 წლის წინად“ (იქვე); „სად“ (იქვე); „მალე ფერგადამოლილი“ (იქვე); „ხალხი ირევა-

ხალხი ფუნფუნებს“ (იქვე); „ავრორა“ (იქვე): „ტყემ წამიყვანა“ (გაზ. „მერცხალი“. 1913. № 87); „ქრისტე“ (გაზ. „აზრი“. 1914. № 22); „სიჩუმეა“ (იქვე. № 22); „გურიის მთები“ (იქვე. № 43); „ვერსად. ვერასდროს“ (ყურნ. „თეატრი და ცხოვრება“. 1914. № 12); „ელეგია“ (გაზ. „ახალი აზრი“. 1914. № 75); „ქალს მთებიდან“ (გაზ. „შრომა“. 1914 წ., № 207)²⁴.

გ. ტაბიძეს პირველი წიგნი დიდი სიყვარულითა და მონდომებითა შესრულებული. ასალგაზრდა პოეტს ტექსტზე დიდი დაკვირვებით უმუშავია, მიუხედავად ამისა, ლაპსუსი მაინც შეიმჩნევა. მაგ. ლექსი „უკანასკნელი დღე“ ტომში ორჯერაა დაბეჭდილი (გვ. 32 და 33). წიგნი არაა დაზღვეული კორექტურული შეცდომებისაგანაც.

1914 წლის ლექსების ტომი პირველი ავტორიზებული გამოცემაა. რომლის მომზადებასა და გამოცემაში ავტორი გადამწყვეტ როლს ასრულებდა. ამ ტომში შემავალმა ლექსებმა შემდგომ გამოცემებში სტილისტური და რედაქციული ცვლილებები განიცადეს, განსაკუთრებით 1927 წლის გამოცემაში.

გალაკტიონის პირველმა წიგნმა დიდი გამოამაჟრება კპოვა იმდროინდელ პრესაში (იხ. ა. პაპავა. გ. ტაბიძის ლექსები. გაზ. „შრომა“. 1914. № 20; ვ. ყიფიანი. „გ. ტაბიძის ლექსები“. „ცხოვრება და მეცნიერება“, ქუთაისი. 1914. განყ. III. გვ. 10; მ. წულუკიძე. „გ. ტაბიძის ლექსები“. გაზ. „შადრევანი“. 1915. № 3; ს. აბ—ელი (ალ. აბაშელი). „ყვითელი ფოთოლი“. გაზ. „შადრევანი“, 1915 № 5; იოსებ არიმათელი (იმედაშვილი). „გ. ტაბიძე“. „თეატრი და ცხოვრება“, 1915. № 2; მ. აბრამიშვილი „ლამის მგოსანი“. „თეატრი და ცხოვრება“. 1915. № 28. 29. 30. 32. 35; სატურნი (ალ. აბაშელი). „პოეტთა“. ყურნ. „ახალი ცისკარი“. 1916. № 1; ტ. ტაბიძე. „მარტოობის ორდენის კავალერი“. გაზ. „საქართველო“. 1916. № 3 4).

გ. ტაბიძის პირველი წიგნის შეფასებისას ქართულმა კრიტიკამ ხაზი გაუსვა, რომ „...წიგნი ერთგვარ ნახ და სევდიან განწყობილ-

²⁴ 1914 წლამდე გ. ტაბიძემ ქართულ პერიოდულ პრესაში სხვა ლექსებიც გამოაქვეყნა: „სურენადა“ (ყურნ. „განათლება“. 1912. № 9); „ზევით ასწიეთ მზე. ზევით“ (იქვე. № 16); „ოცნება კლდეზე“ („ღმანახი ჩენი ნაბიჯი“. 1910. № 1); „გამოსალმება“ (ყურნ. „განათლება“. 1912. № 9); „ექვი“ (გაზ. „კოლხიდა“. 1911, № 142); „გარდაცვალება“ (გაზ. „განათალი“. 1913, №2); „სანთლები“ (ყურნ. „თეატრი და ცხოვრება“. 1914. № 31); ეს ლექსები დაბეჭდა 1927 წლის წიგნში და შემდეგ გამოცემებში. „გარსობათა ფერფლი“ (ყურნ. „განათლება“. 1912 წ., №9) და „პირველი ენკენისთვე“ (იქვე. 1911. № 1)—ეს ორი ლექსი განმეორებით დაბეჭდა გ. ტაბიძის თხზ. V ტომში.

ბას ქმნის ჩვენში და ეს განწყობილება დაცულია ბოლომდე“,—წერდა ა. პაპავა.—გ. ტაბიძის სევდა ყველასათვის საყვარელი და ძვირფასია. რადგან იგი ჩვენი სულის ინტიმობაა, ჩვენი ცხოვრების ტრაგიკული წუთებია... იგია ღვიძლი შვილი ჩვენი ეპოქისა... მისი სულის სარკე“²⁵.

„გალაკტიონ ტაბიძე.—წერდა ი. იმედაშვილი.—რომელმაც პირველი ორიოდ ლექსი 1908 წელს გამოაქვეყნა, ხოლო უფრო მეტად 1910 წლიდან „თეატრსა და ცხოვრებაში“ და სხვაგან გაშალა ფრთები. თავის ლექსთა თაიგული გასულ წელს გამოსცა ცალკე წიგნად. არ ეკუთვნის იმ მოლექსეთა ჯგუფს, რომელთა სახელი ლევიონია... გ. ტაბიძემ ...საუცხოოდ გადაგვიშალა მუდამ მაძიებლის, სულით ღელვილ ადამიანის სწრაფვა. აღბეჭდა უკანასკნელი ათეული წლების ინტელიგენციის რწმენის მერყეობა. ახალი გზების ძებნა, იმედის გაცრუება, უნუგეშობა“²⁶.

კრიტიკა გამოთქვამდა რწმენას, რომ „განმარტოებით მდგომარე მგოსანი ფართოდ გაიშლება, ღრმად ჩახედავს მსოფლიო საიდუმლოებას“²⁷.

გ. ტაბიძის შემოქმედება უხვად არის დაჯილდოებული ღვთაების ცეცხლით... მისი სევდა... უნივერსალურია. მსოფლიო სევდა... მშვენიერია მისი პოეზია, ვით ფრთამოქარგული პეპელა და ნაზი, როგორც ძილში მონასმენი სტვენა ბუღბუღლისა; იგი ისე მოველინა ჩვენს მწერლობას „როგორც სიმღერა მოულოდნელი“.—წერდა ალ. აბაშელი²⁸.

1916 წელს მოსკოვიდან გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას მოსდის ტიციან ტაბიძის ვრცელი წერილი: „მარტოობის ორდენის კავალერი (გალაკტიონ ტაბიძე)“, წერილი ამავე დროს წარმოადგენს რეცენზიას გ. ტაბიძის ლექსების ტომზე. ამ წერილში, რომელიც არაა შესწავლილი, ფრიალ საინტერესო საკითხის ინტერპრეტაციასთან გვაქვს საქმე.

1916 წლის დასაწყისიდანვე საორგანიზაციო საფუძვლები ეყრება ახალ ლიტერატურულ გაერთიანებას საქართველოში—„ცისფერ ყანწებს“, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი და თეორეტიკონი ტ. ტაბიძე იყო. ეს ლიტერატურული გაერთიანება ცნობილია, რო-

²⁵ ა. პაპავა. გ. ტაბიძის ლექსები, გაზ. „ზრომა“, 1914, № 20.

²⁶ ი. არიმათელი, „ქართველი მწერლები. გ. ტაბიძე“, „თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 2, გვ. 5.

²⁷ ნ. აბრამიშვილი, „ღამის მგოსანი“. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, № 35, გვ. 13.

²⁸ ს. აბელი. „ყვითელი ფოთოლი“, გაზ. „შადრევანი“, 1915, № 5.

გორც ევროპული და რუსული სიმბოლიზმის მემკვიდრე საქართველოში. სიმბოლიზმის თეორიული საფუძვლების პირველი ნიშნები საქართველოში სწორედ ამ წერილში გამოსჳვივის. ტ. ტაბიძე ვრცელ ექსკურსს აკეთებს „აზიური რომანტიზმისა“ და ევროპულ-რუსულ პოეზიაზე (ვერლენი, მალარმე, ბოდლერი, ლამარტინი, ბლოკი და ა. შ.). ეხება გ. ტაბიძეს და ასკვნის: „მისი პიროვნების გარდა, ეროვნული სული ლაპარაკობს, ქართველი პოეტი ჯერ ვერ შენიშნავს, რომ პეტრონიუსივით თავის სიკვდილის ანტრაქტებში ეროტიული ლექსი დაწეროს... ჩვენი პოეტის სიმღერა არ გავს ადრინდელ რომანტიკოსთა მწუხრიან მელანქოლიას, მაგრამ მასში არც გლადიატორის კენესაა ბოდლერისა და ფრანგების „დაწყველილთა“... ჩვენ ვიციით სასტიკი სიტყვები და თეთრი ექსტაზი“... ტ. ტაბიძის აზრით, მარტოობისა და ტანჯვისათვის ნიადაგი საქართველოში „არ არის ყამირი. საქართველომ მხოლოდ ერთხელ გაიცინა თამარ მეფის შემხედვარემ იმ სიცილით, რომლითაც იცინიან ჯავარ აყრილი ეროვნებანი და ეს სიცილიც ეხლაც დაჰქრის ჩვენში, როგორც ღიმილი მგლოვიარ ტუჩებზე... მორცხვად შემოდგა ფეხი მწერლობაში გალ. ტაბიძემ. რომ დაერეკა გლოვის ზარები და უკვდავ მეზარეთა ჩრდილები არ გასწყრებიან მის დანახვაზე. ეს მწერალი საინტერესო სახეა ქართველი მწერლისა არა მარტო სამგოსნო ტალანტით, უფრო წერის მანერით და ლიტერატურული გავლენით... პოეტი მიღის ნამდვილ მოდერნისტულ გრძნობის ჟონგლიორობამდე და თვრება მარტოობით... მისი ლექსი... უჩვეულო მოკლე სიტყვებში იშლება... მას აქვს რაღაც ჯადო, რომლითაც სულ უბრალო ფერადები წარმტაცად ბრწყინავენ... საქართველოს ჯერ შეუძლია მარტო ტანჯვის და წამების მოცემა, მაგრამ ეს დიდი ძღვენია... გ. ტაბიძის ქნარმზუნდა ამდეროს ეს ტანჯვა, სთქვას საქართველოს ნაწამები ქეზანი...“²⁹.

სპეციალური წერილი „პოეტიკა“ უძღვნა გ. ტაბიძის ლექსთა I ტომს ალ. აბაშელმა, რომელმაც საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმ სიახლეს. რაც გ. ტაბიძემ შემოიტანა თავისი წიგნით, ის „მთელი სახელმძღვანელო პოეტიკაა, სრულიად ახალი პოეტიკა... რომლითაც... ბევრს შეუძლია ისარგებლოს“. წერილის ავტორი ეხება გ. ტაბიძის

²⁹ ტ. ტაბიძე, „მარტოობის ორდენის კავალერი“, გაზ. „საქართველო“, 1916, №, 4—5. რამდენადაც ეს წერილი უცნობია, ადგილები ცოტა კარბად მოვიტანეთ.

სიახლეს ასონანსების, შინაგანი რითმების და ანაფორის ხმარებით.³⁰

1915—1920 წლებში ქართულ პერიოდულ პრესაში გ. ტაბიძე აქვეყნებს რიგ ლექსებს. ამ ხანებში გამოქვეყნებულ ერთ წერილში ვკითხულობთ: „...პირველი წიგნის გამოცემის შემდეგ,—წერს ივ. ვომარათელი. გაკალტიონ ტაბიძე დიდხანს სდუმდა. ეს გარემოება განსაკუთრებით იყო საწყენი ჩვენთვის, რადგან პირველ ტომში უტყუარი ნიქი სჩანდა მგოსნისა...“³¹, მართლაც, 6 წლის განმავლობაში გ. ტაბიძემ სულ 34 ლექსი გამოაქვეყნა ჟურნალ-გაზეთებში, რომელთაგან შვიდი არასდროს არ შესულა პოეტის არცერთ ლექსთა კრებულში³². (1915—1920 წლებში გ. ტაბიძემ ჟურნალ-გაზეთებში გამოაქვეყნა ლექსები: „ბედისწერა“ (ჟურნ. „განთიადი“. 1915, №2); „ვაგნერი“ (იქვე. №3); „შენ ზღვის პირად“ (იქვე. №8); „ატმის ყვავილები“ („თეატრი და ცხოვრება“ 1915, №2); „რომ მომცა ფრთები“ (იქვე. № 9) „მერი“ (იქვე, № 36); „პრიმიტივი“ (გაზ. „თანამედროვე აზრი“. 1915, №37); „ის“, „ალეები თოვლში“, „ვერხები“, „თეთრი ლანდები“ (კრ. „სხივი“. 1916. გვ. 84—85); „უვითელი ფოთლი“ (ჟურნ. „განათლება“. 1915. №9); „აკაკის გარდაცვალების გამო“ („ჟურნ. „განთიადი“, 1915, №3); „კოშკი“ (ჟურნ. „ახალი ცისკარი“, 1916. № 1 და „კანდელი“. 1922, №2); „აკაკის ლანდი“ (გაზ. „ახალი კვალი“, 1915. № 1 და 1916, № 1); „მთაწმინდის მთვარე“ („ცინფერი კანწები“, 1916, №1); „ლურჯა ცხენები“ (იქვე და „ახალი პოეზიის ანთოლოგია“, ქუთაისი, 1919); „გზაში“ (გაზ. „ახალი კვალი“, 1916. № 33); „შენი ღიმილი“ (ჟურნ. „ლეგია“. 1917, №1); „დროშები ჩქარა“ (გაზ. „სოციალ-დემოკრატი“, 1917, № 1 მარტი).

„ნიკოლაოზი“ — „ათრობდა ხალხთა მწუხარება“ (იქვე. № 3); „სილაყვარდე ანუ ვარდი სილაში“ („თეატრი და ცხოვრება“, 1917, № 1 და „ახალი პოეზიის ანთოლოგია“ 1919); „მზეო თიბათვისა“ (გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917, № 157); „შემოდგომა „უმანკო ჩასახების“. „მამათა სავანეში“. (ჟურნ. „თოლაბულისის სარტყელი“. 1919, №1); „ანგელოზს ეპირა გრძელი პერგამენტი“, (იქვე. № 2); „ქარი არხვედა იტალიურ შობის ხეს ტრიპოლისში“, ჟურნ. „სმარაგდა“, 1919, №7. „გოტიეს“ (გაზ. „ერთობა“, 1920,

³⁰ ს ა ტ უ რ ნ ი. (ალ. აბაშელი), „პოეტიკა“, ჟურნალი, „ახალი ცისკარი“, 1916. № 1).

³¹ ი. გ. ო მ ა რ თ ე ლ ი, „ჩვენი სიტყვაჯამბული მწერლობა 1919 წელს“, გაზ. „ერთობა“, 1920, № 2.

³² ეს აიხსნება იმ გარემოებითაც, რომ გ. ტაბიძე 1916 და 1918 წლებში მოსკოვსა და პეტერბურგში იმყოფებოდა.

№ 199); „დგება შემოდგომა“. „შენ და შემოდგომა“. (იქვე. № 214); „პოეზია უპირველეს ყოვლისა“. „პირველ თავლებს“. „თვალს ნაზი და ძთვარეული“ (იქვე № 284); „თბილისი“ (ყურნ. „ტფილისი“. 1920, №1); „ქალის ქანდაკება“ (ყურნ. „მზიური საქართველო“. 1920. № 1). ხაზგასმული ლექსები პოეტის კრებულებსა და ტომებში არ ყოფილა შეტანილი).

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გამოთქმულია აზრი, რომ ლექსი „დროშები ჩქარა“ პოეტის მიერ დაწერილია პეტროგრადში (იხ. გ. ჯ ა ბ ლ ა ძ ე. „კრიტიკული ეტიუდები“. III, 1959. გვ. 17; ს. ჭ ი ლ ა ი ა, „გალაკტიონ ტაბიძის პოეზია“. 1951. გვ. 5) გ. ჯ ა ბ ლ ა ძ ე, ლექსს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის „მბურვალე მისალმებად“ მიიჩნევს. (იქვე). „დროშები ჩქარა“. დაიწერა ქუთაისში, პოეტის არქივში ინახება ვრცელი ჩანაწერი, თუ რა ვითარებაში დაიწერა ეს ლექსი (იხ. სსლმ, გ. ტაბიძის არქივი. გვ. 6864—6865). იხ. აგრეთვე, დ. თ ე ვ ზ ა ძ ე. „გ. ტაბიძის ზოგიერთი ლექსის დათარიღებისა და სწავლების შესახებ“. გაზ. „სახალხო განათლება“, 1959, № 47. ა. ჩ ა ჩ ი ბ ა ი ა. „გ. ტაბიძის ორი ლექსის დათარიღებისა და სწავლების საკითხისათვის“. (გაზ. „სახალხო განათლება“ 1960, 4 მისი)

გაზეთი „რევოლუციონური ნობათი“³³. იუწყებოდა ყურნალ „ლეგეიას“ გამოსვლას (№ 2—3). რომელშიც მოთავსებული ყოფილა გ. ტაბიძის ლექსები. აღნიშნულ ყურნალებს ვერ მივაკვლიეთ. ასევე ვერ მივაკვლიეთ გაზეთ „სახალხო საქმის“ ქრონიკაში მითითებულ ყურნალს—„პარნასი“ (№ 2). რომელშიაც გ. ტაბიძის ლექსებია დაბეჭდილი³⁴. გაზეთ „ივერიის“ ქრონიკაში მითითებულია, რომ გ. ტაბიძე³⁵ მონაწილეობა უნდა მიეღო ყურნალში „შვილდოსანი“³⁵, აღნიშნულ ყურნალში გ. ტაბიძეს მონაწილეობა არ მიუღია.

ყურნალ „ცისფერ ყანწებში“ გ. ტაბიძის ლექსების: „მთაწმინდის მთვარის“ და „ლურჯა ცხენების“ მოთავსებამ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ზეპირი გადმოცემის თანახმად (პოეტი-აკადემიკოსი გ. ლეონიძე) გ. ტაბიძის ლექსები „ყანწელთა“ ორგანოში ავტორის ნებართვას გარეშე დაიბეჭდა. ზეპირმა გადმოცემამ თეორიული დასაბუთებაც კპოვა. მაგალითად, პროფ. დიმიტრი ბენაშვილი ამ ფაქტის გამო წერს: „1916 წელს ქართველმა სიმბოლისტებმა ყურნალ „ცისფერ ყანწებში“ და-

³³ გაზ. „რევოლუციონური ნობათი“, 1918. № 43. 44. 45, 46.

ყურნ „ლიგეიას“ უნიკალური ნომერი დატულია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ნ. ა ლ ა ნ ი ა ს ბიბლიოთეკაში.

³⁴ გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, № 790.

³⁵ გაზ. „ივერია“, 1919 № 33.

ბექდეს გალაქტიონის ლექსები. სიმბოლისტებს აქტივ სურდათ საკუთარი ლიტერატურული „ორდენის“ ავტორიტეტის ამაღლება ქართველი მკითხველის თვალში. მაგრამ ამ აქტმა, რომელიც გალაქტიონის სურვილის გარეშე მოხდა, გამოიწვია საზოგადოების პროტესტი... საზოგადოების გულისწყრომა დაცხრა მას შემდეგ, როცა გალაქტიონის მეშვეობით გაიგეს (?) რომ ეს იყო ქართველი სიმბოლისტების თვითნებობა და პოეტის სურვილის გარეშე ჩადენილი აქტი. ამ გარემოებას ადასტურებს აკ. ფაღავას მიმოხილვა 1916 წლის სიტყვაკაზმულ მწერლობაზე³⁶.

ქართველმა საზოგადოებამ ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ გამოსვლამდე დიდი ხნით ადრე გაზეთების საშუალებით იცოდა, რომ ჟურნალში მონაწილეობას მიიღებდა გ. ტაბიძე. მაგალითად, ქუთაისის გაზეთები: „მეგობარი“ (1916, №№ 106, 108, 111); „ახალი კვალი“ (1916, №№ 73, 83, 91) იუწყებოდნენ—„იბექდება და 14 თებერვალს გამოვა აღმანახი „ცისფერი ყანწები“. I პირველთქმა — პ. იაშვილი. II პოეზია: გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, ელენე დარინი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, ი. ყიფიანი, ლ. ჯაფარიძე, პ. იაშვილი. „ამიტომაც იყო. როდესაც საზოგადოებამ ჟურნალის ნამდვილი სახე შეიტყო, სასტიკი პროტესტი გამოუცხადა გ. ტაბიძეს და სხვა ზოგიერთ ქართველ მწერალს. გაზეთი „სამშობლო“ ბექდავს „ისარი“-ს (ალ. წერეთლის) დიდ წერილს — „ლიტერატურული გადაგვარება“, რომელსაც რედაქციამ შემდეგი შენიშვნა დაურთო: „ცისფერი ყანწები“ მხოლოდ ავადმყოფური მოვლენაა ჩვენში და რაც ადრე მოისპობა ეს ავადმყოფობა, მით უფრო უკეთესი იქნება ჩვენი მომავლისათვის“. წერილის ავტორი სინანულს გამოსთქვამს, რომ ამ ჟურნალში მოხვდა გ. ტაბიძე³⁷. გაზეთ „სამშობლოში“ „სტუდენტის“ ხელმოწერით დაბეჭდილ წერილში აღნიშნული იყო: „ვწუხვართ და ჩვენს გულისწყრომას ვუცხადებთ მგოსან გალაქტიონ ტაბიძეს. რომ ასეთ უნიადაგო და გარყვნილ ჟურნალში მიიღო მონაწილეობა“³⁸.

ამავე გაზეთის რედაქტორი ია ეკალაძე (იაკობ ცინცაძე) წერილში „სამი ჟურნალი“ წერდა: „ვწუხვართ, რომ ამ ჟურნალში

³⁶ იხ. დ. ბენაშვილი, „გალაქტიონ ტაბიძე, კოლაუ ნადირაძე“, თბილისი, 1961, გვ. 7—8. აკაკი ფაღავას წერილი „წლის ნაკვეთები“, „გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1917, № 768, ასეთი დასკვნის საბაზს არ იძლევა (დაყოფა ჩვენი-ი. ლ.). დაწვრილებით იხ. ი. ლორთქიფანიძე, „გ. ტაბიძე და ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, გაზ. „ქუთაისი“, 1964 წ. № 137.

³⁷ გაზ. „სამშობლო“, 1916, № 304.

³⁸ იქვე, № 305.

(ცისფერ ყანწებში“—ი. ლ.) მოპყვენ: გ. ტაბიძე, ნ. ლორთქიფანიძე³⁹.

ია ეკლადეს დიდხანს ახსოვდა ეს ფაქტი და ყოველთვის საყვედურობდა გ. ტაბიძეს ამ ცთუნებას⁴⁰.

საზოგადოებისათვის ცნობილი იყო, რომ გ. ტაბიძემ თავისი ნებით მიიღო მონაწილეობა ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“ და ამიტომაც იგი პროტესტსა და გულისწყრომას გამოხატავდა. საზოგადოებამ იცოდა, რომ ეს არ იყო „ბოეტის სურვილის გარეშე ჩადენილი აქტი“. ამას ადასტუდებს ცაცა დ-ძის ასულის წერილი:—„ყანწების ზოგიერთ ავტორთ და გაზ. „მეგობრის“ რედაქციას“, სადაც ვკითხულობთ: „...ამიტომ მივმართავთ „ყანწების ზოგიერთ ავტორთ (ნ. ლორთქიფანიძეს, გ. ტაბიძეს, ი. ყიფიანს, ა. ფაღავას). რომელთა ადამიანობა ჯერ კიდევ გვჯერა. ჩამოხადონ ნიღაბი ელენე დარჩანს და დაგვანახვონ მისი ნამდვილი სახე“⁴¹. სწორედ საზოგადოების პროტესტმა და გულისწყრომამ ჩამოაშორა გალაკტიონ ტაბიძე „ცისფერ ყანწელთა“ სალიტერატურო ჟურნალს (და ჯგუფსაც). გ. ტაბიძე თვითონ თვლიდა თავის თავს „ცისფერ ყანწების“ ძირითად და უმთავრეს თანამშრომლად“ (არქივი. 196დ.).

* * *

ქართული პრესა დიდი აწმლავით იუწყებოდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსთა მეორე კრებულის „crane aux fleurs artistigves“ გამოსვლას⁴². ამ წიგნით იხსნება ქართული პოეტური კულტურის სრულიად ახალი ხანა. (გ. ტაბიძეს ლექსთა ამ კრებულის სათაურის გამო ასეთი ჩანაწერი აქვს გაკეთებული: „გავრცელებული იყო არა სწორი შეხედულება მეორე წიგნის სათაურზე... წიგნის სახელწოდება ირონიულია „crane aux fleurs“ ანუ „თავის ქალა არტისტული ყვავილებით“. იგულისხმება თავის ქალა (სიკვდილი). არტისტული ყვავილები (ხელოვნება) ე. ი. სიკვდილი და ხელოვნება. რომელმა უნდა გაიმარჯვოს? რა თქმა უნდა ხელოვნ-

³⁹ გაზ. „სამშობლო“. 1916, № 341.

⁴⁰ დ. კასრაძე, „ლიტერატურული პორტრეტები.“ თბილისი, 1962, გვ. 292—304.

⁴¹ იხ. გაზ. „ახალი კვალი“, 1916, № 4 (დაყოფა ჩვენია—ი. ლ.).

⁴² იხ. გაზეთები: „ერთობა“, 1919, №№ 126, 127, 128, 130, 131, 193, 197, 198, 200, 207. 214; „სახალხო საქმე“, 1919, 540, 509, 548; ჟურნალები: „თოლაბულისის სარტყელი“, 1919, № 1.2; „თეატრი და ცხოვრება“. 1919, № 7 და ა. შ.

ებამ! რა არის ხელოვნება? ხალხისადმი, სამშობლოსადმი სამსახურ-
რი. ლექსი „შერიგება“—შერიგებაა ცხოვრებასთან:

ამაღლდი სულო თეთრ აკლდამაზე
მშვენიერების ლექსით მკვებელი!
დღეს ყველგან მზეა და სიღამაზე
სიკვდილთან შენი შერიგებელი.

აეთი საკითხები საერთოდ ფილოსოფიის საგანს შეადგენს,
„საბრძენისაა ერთი დარგი“. იგი გარდუვალაა. მაგრამ არსებობს ხე-
ლოვნება (არტიტული ყვავილები), აქ საჭიროა აზროვნების გამახ-
ვილება. მკითხველი. რომელსაც აქვს გამახვილებული აზროვნება
არასდროს არ აურევს მცნებას სიკვდილსა, ხელოვნებისა და რევო-
ლუციისას. თუ ამ თვალსაზრისით მივიუდგებით, ამ საკითხზე სწერ-
დნენ ჩვენი კლასიკოსები. მაგრამ მათ არ ჰქონდათ ასე მკვეთრად
დაპირისპირებული სიკვდილი—სიცოცხლესთან, სიკვდილი—ხელო-
ვნებასთან. სიკვდილი—რევოლუციასთან“ (იხ. სსლმ, გ. ტაბიძის
არქივი. გვ. 3161—3163).

გ. ტაბიძე ერთ-ერთ ჩანაწერში აღნიშნავს, რომ 1917 წელს
ის წერდა წიგნს „ქართული ორნამენტის“ სახელწოდებით. მაგრამ
მისი დამთავრება, როგორც პოეტი აღნიშნავს „სადიდხნოდ გადამა-
დებინა რევოლუციამ... ბევრი რამ დაგვარგე, ის (წიგნის—ი. ლ.)
ხელნაწერიც დამეკარგა (იხ. სსლმ, გ. ტაბიძის არქივი. 154 და გვ.
021—371—52).

მეორე ტომში მოთავსებულია 86 ლექსი, რომელთაგან 13 სხვა-
დასხვა დროს გამოქვეყნდა 1915—1918 წლებში. ავტორს დიდი სი-
ფაქიზით და გულისყურით შეურჩევია ნაწარმოებთა ტექსტი, უზრუ-
ნია მათ უნაკლოდ დაბეჭდვაზეც. წიგნში არცერთი კორექტურული
შეცდომა არ არის. ამდენად ეს გამოცემა ერთ-ერთი საუკეთესოთა-
ვანია ავტორის მიერ სიცოცხლეში გამოცემულ ტომებსა და კრე-
ბულებს შორის. მასში იმდენად ძლიერად ჩანს ავტორის უშუალო
მონაწილეობა, რომ ლექსების (რომლებიც ამ კრებულშია შესული)
ძირითადი ტექსტის არჩევისას ყველაზე სანდო წყაროდ ეს გამოცემა
უნდა იქნას მიჩნეული (მით უმეტეს, რომ აქ დაბეჭდილ ლექსებს
შემდეგ რაიმე ცვლილება არ განუცდიათ. ერთს შეეცვალა სათაუ-
რი 1954 წელს. ისიც გარკვეული მიზნით)*.

* 1919 წელს გ. ტაბიძის ლექსების II ტომის გამოსვლასთან დაკავშირე-
ბით გახუთმა „სახალხო საქმემ“ (1919, № 612) წიგნიდან გადმობეჭდა პოეტის
ლექსები: „მთაწმინდის მთვარე“, „თოვლი“, „რტმის ყვავილები“, „შიშველი“,
„სიკვდილი მთვარისაგან.“ „შენ ერთი მაინც“, სარედაქციო შენიშვნებით:
„გადმობეჭდილია წიგნიდან“, ე. ი. ავტორისაგან დამოუკიდებლად.

მეორე წიგნს დიდი აღფრთოვანებით შეეგება ქართული სალიტერატურო კრიტიკა. (იხ. ი. გომართელი. „ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობა 1919 წელს“. გაზ. „ერთობა“. 1920. №2: მართთა შუამდინარელი (ი. გრიშაშვილი). „გ. ტაბიძის მეორე ტომი“. ეურნ. „ლეილა“. 1920, №1; იოსებ არიმათელი (იმედაშვილი). „თეთრი მეფე“. ეურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1920. №8: ი. ი-ანი (იოსელაანი). „გენიალური გალაკტიონი“. ეურნ. „ტფილისი“. 1920. №1: კ. ნადირაძე. „ქართული პოეზია“ (გ. ტაბიძის II ტომის გაშო) ეურნ. „შვილდოსანი“. 1920. №1; ა. პაპაია. „ფიქრები მშობლიურ ლიტერატურაზე“. (გაზ. „სახალხო საქმე“. 1920. № 729, 730, 733). „...მეორე წიგნში გალაკტიონი იმდენად გაიზარდა, რომ ასეთი დიდი ნაბიჯი ჩვენს მწერლობაში მეტად იშვიათი მოვლენაა.—წერდა ი. გომართელი,— გრძნობათა სიმდიდრე, სიღრმე და სიწრფელე. განცდათა სიუხვე და სილამაზე, ფორმის მრავალფერობა და სისრულე, მუსიკისა და რითმების სინაზე და კეთილშობილება. მოცეკვავე. მომღერალ რითმების ნარ-ნარობა და სილამაზე ერთმანეთს ეკიბრებოდნ და ასეთი ყოველმხრივი სიმდიდრე ხელოვნებისა პირველად მკითხველს ათრობს, აბრუნებს, როგორც ცხოველი მზე ვასწორებულ თვალს... გალაკტიონის ახალი წიგნი სარკეა პოეტის სულისა. აქ მან ჩაგვახედა იშვიათი ლირიზმით გაყენთილ პოეზიაში. გალაკტიონ ტაბიძემ გადაგვიშალა დიდი ესტეტიური ნიჭი. რომელიც ყველაჟერს ზომავს და აფასებს... გალაკტიონი რითმის, სიტყვათა მუსიკისა და კეთილხმოვანების ბატონია...“.

იოსებ იმედაშვილმა გალაკტიონ ტაბიძეს ახალი წიგნის გამო „ჩვენი გრძნობათა თეთრი მეფე“ უწოდა“.

ეურნალ „ტფილისში“ დაიბეჭდა ი. ი-ანის ვრცელი წერილი სათაურით „გენიალური გალაკტიონი“. სადაც სხვათა შორის ნათქვამია: „მე მეათეჯერ წავიკითხე ეს თეთრყდიანი წიგნი და ვიცი: კიდევ მრავალჯერ დავუბრუნდები მას... ახალი ქართული პოეზია ზეიმობს თავის ფერისცვალებას და ამ განახლების პირველი ჩუმი და წრფელი აღსარება ეს წიგნია... საქართველოში მოდის დიდი მწერალი და მას გზას ულოცავს ერის ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლება... ახალი პოეზია... ჩვენ მოწმე ვართ ამ მიმართულებას

⁴² ი. გომართელი, „ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობა 1919 წელს“, გაზ. „ერთობა“ 1920, № 2.

⁴³ იოსებ არიმათელი, „თეთრი მეფე“, ეურნ. „თეატრი და ცხოვრება“ 1920, № 8.

პირველი თაჰამი ნაბიჯებისა. აქ ცხადდება... ახალი და ცხოველი შემოქმედებითი ძიება, ხშირია ნიჟიერი მიღწევა და გვერა, რომ ეს მიმართულება მალე ჩამოიქნის თავის ბუნებრივ სახეს. სრულიად განსაკუთრებული გზით მიდის გალაკტიონ ტაბიძე. ასეთი გზა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. წარსულის პოეზიამ მას უანდერძა ბუნებრივობა, ესთეტიკური სისპეტაკე და ლიტერატურული სინდისანობა... ამავე დროს იგი მთელი თავისი ტემპერამენტით.. და ნაღვლიანი ოცნებით ახალი კულტურის წინამორბედია“⁴⁵.

გ. ტაბიძის ლექსების მეორე წიგნს უძღვნა რეცენზია „ცისფერი ყანწების“ წარმომადგენელმა კოლაუ ნადირაძემ. წერილს ეტყობა, რომ ავტორის მოსაზრება ემყარება არა მარტო პირად განცდილს წიგნის გაცნობის შემდეგ. არამედ ქართველი სიმბოლისტების აზრს გ. ტაბიძეზე. კ. ნადირაძის წერილი ერთგვარი დაგვიანებული პასუხია საზოგადოების იმ პროტესტზე, რომელიც გაზეთების „სამშობლოსა“ და „მეგობრის“ ფურცლებიდან გაისმა ახალი სკოლის საწინააღმდეგოდ. კ. ნადირაძე წერს: „...გ. ტაბიძე ქეშმარიტი პოეტი არის—მაღალი რანგის. ეს ბევრს ავალებს მას. მისი ლიტერატურული ბიოგრაფია 1907 წლიდან იწყება... პირველ წიგნში მან ვალი მოიხადა თავისი ახალგაზრდობის წინაშე. რამოდენიმე წლის შემდეგ მისი მეორე წიგნი გამოდის. ჩვენ დიდს ყურადღებით შევხვდით მას, მით უფრო რომ ჩვენ ის დასრულებულ პოეტად მიგვაჩნდა. „ცისფერ ყანწებში“ მოთავსებული ლექსების შემდეგ „ლურჯა ცხენები“ შედევრია, თუმცა გალაკტიონ ტაბიძის ქმედით ინდივიდუალობას არ ეთვისება. ამ ლექსის შემდეგ ჩვენ სხვა შედევრებს ველოდით. მაგრამ წიგნში ვერსად ვერ აღმოვაჩინეთ. ირაციონალური პოეზია „ლურჯა ცხენებისა“ არსად არ მეორდება მისი საოცარი დინამიკით. იქნებ ეს უკანონო მოთხოვნილება იყოს. შეიძლება ის შემთხვევითი ლექსია—აღკაგოლის კოშმარი, ცრემლებით და რითმებით გაკეთილშობილებული. მთელი წიგნის მიღება გასაჭირია: აქ არ არის დაცული ესთეტიკური კულტურა და მხატვრული სისწორე...“⁴⁶. წერილის ფინალში იგრძნობა გესლიანი კილო ივ. გომართელის, აკ. პაპავას და სხვების მიმართ, რომლებიც აღტაცებით შეხვდნენ გ. ტაბიძის მეორე წიგნს. რეცენზენტი, აფრთხილებს პოეტს, რომ

⁴⁵ ი-იანი. „გენიალური გალაკტიონი“, ჟურნ. „ტფილისი“, 1920 № 1.

⁴⁶ კ. ნადირაძე, „ქართული პოეზია“, გ. ტაბიძის მეორე ტომის გამო, ჟურნ. „შვილდოსანი“, 1920. № 1, გვ. 18—19.

არ დაუჭეროს „აგრალურ საკითხზე კკუა დაქინი“ კრიტიკოსების ქებას, რომლებმაც „სწრაფად მიიღეს“ მეორე წიგნი¹⁷.

ასეთია გ. ტაბიძის ლიტერატურული ცხოვრება და მისი ტექსტების ნაბეჭდი წყაროების ისტორია 1921 წლამდე—საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

ბ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1921—1959)

საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარის გამარჯვებამ, რევოლუციისაგან მიღებულმა იმედმა და რწმენამ ათქმევინა პოეტს: „ახალი ეპოქის ვარ მე მხედარი“-ო.

1922 წელს თავისი ორგანოს „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“-ს ფურცლებიდან პოეტი მოუწოდებდა ხელოვნების მოღვაწეებს რევოლუციური სინამდვილის უშუალო ათვისებისაკენ: „თქვენ, პოეტებო, მხატვრებო, არტისტებო, მწერლებო! შესძლებთ თუ არა განიცადოთ ყოველივე ეს ისე, როგორც მოითხოვს თანამედროვეობა? გრძნობთ თუ არა, რომ ჩვენ ეპოქას უნდა ანათებდეს შესაფერი ხელოვნება... მე გეძახით თქვენ, გმირებო, შემოქმედების ცეცხლით საესე ახალგაზრდობავ. შეითვისეთ და შეიყვარეთ ახალი საქართველოს ხმა: განახლება ან სიკვდილი! გაუმარჯოს ახალ შემოქმედებას! მომავალი საქართველოს წინაშე ჩვენ წარგსდგებით ამჟამინდით, რომ პლანეტების კვილში და ქვეყანათა მსხვერვის გრიალში ჩვენი ძახილია: „სიკვდილი ან გამარჯვება!“¹⁸.

ახალი საქართველო—საბჭოთა საქართველო, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის დიდი იდეა გახდა პოეტის შემოქმედების წამყვანი თემა. მან პოეტური განცდის უშუალოდ მხატვრულ სახეებში განაზოგადა „გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა“.

1921 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე გ. ტაბიძე თანამშრომლობდა მრავალ ქართულ საბჭოთა პერიოდულ გამოცემაში. გაზეთებში: „კომუნისტი“, „საბჭოთა აპარა“, „საბჭოთა აფხაზეთი“, „ინდუსტრიალური ქუთაისი“, (ეს გაზეთი სწავლასწავა სახელწოდებით გამოდიოდა). „მუშა“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „სახალხო განათ-

¹⁷ იქვე. კ. ნადირაძის ახრს, უახლოვდება მ. შუამდინარელის სიტყვები: „მისი მეორე ტომი დიდად განირჩევა მისი პირველი ტომისაგან და როგორც პირველ ტომში, ისე აქაც მხოლოდ რამდენიმე ლექსია კარგი“, ჟურნ. „ლეილა“, 1920, № 1.

¹⁸ „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი“, 1922, № 1, გვ. 1.

ლება“ (ეს გაზეთიც სხვადასხვა სახელწოდებით გამოდიოდა), „საბ-
ჭოთა ოსეთი“. „პოეზიის დღე“, „ლიტერატურული საქართველო“
(ეს გაზეთიც სხვადასხვა სახელწოდებით გამოდიოდა). „კომუნისტის
ლიტერატურული დამატება“, „ლიტერატურული აპარა“, „წითელ-
აზმიელი“. „ნორჩი ლენინელი“, „პიონერი“; რაიონულ გაზეთებში:
„კომუნისმის დროშა“, „საბჭოთა სოფელი“, „ავანგარდი“, „კომუ-
ნარი“. „ჭიათურის მალაროელი“, „ტყვარჩელის მალაროელი“, „დამ-
კერელი“, „ქობულეთის კოლმეურნე“, „წითელი დროშა“, „გამარ-
ჯების დროშა“, „ოქტომბრის დროშით“ და „ბოლშევიკური
სიტყვა“.

ეურნალებში: „ლომისი“, „გალაქტიონ ტაბიძის ეურნალი“,
„მნათობი“. „პროლეტარული მწერლობა“, „ჩვენი თაობა“, „რემედა-
სი“, „დროშა“, „დილა“, „პიონერი“, „საბჭოთა ქალი“, „ციცკარი“.
აღნიშნულ პერიოდულ გამოცემებში დაიბეჭდა პირველად მრავალი ასეული ლექსი (მათი ჩამოთვლა შეუძლებელიც არის), რომელთაგან ოთხის გარდა, ყველა დაიბეჭდა მის ლექსთა კრებულებსა და ტომებში.

1921 წელს გ. ტაბიძე ეურნ. „ლომისის“ რედაქტორია. ამ ეურნალის პირველ ნომერში (1922 წ.) იბეჭდება მისი საპროგრამო წერილი „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, სადაც მოუწოდებს მწერლებს ემსახურონ ახალ დროს. ამავე №-ში, იბეჭდება მისი ლექსი „ზამთარი“, რომელიც პოეტმა 1927 წლის კრებულში სამ დამოუკიდებელ ლექსად აქცია („დგება თეთრი დღეები“, „მეოცნებე აფრებით“ და „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა“).

1921 წელს გაზეთში „პოეზიის დღე“ (№ 1, ბათუმი) დაიბეჭდა გ. ტაბიძის ორი ლექსი: „ოფორტი“ და „ავდრები“—ეს უკანასკნელი პოეტის არცერთ კრებულში არ შესულა. 1922 წელს გაზ. „პოეზიის დღეში“. №3, იბეჭდება გ. ტაბიძის მეთაური წერილი „პოეზიის დღე“. 1928 წელს კი ამავე გაზეთში იბეჭდება მისი ლექსი „გუშინ რა ცეცხლი სწევავდა ქუთაისს“.

1922 წელს⁴⁹ გ. ტაბიძე აარსებს საკუთარ ორგანოს „გალაქტიონ ტაბიძის ეურნალი“, რომელშიც ლექსებთან ერთად იბეჭდება მისი წერილებიც. გამოვიდა ეურნალის 10 ნომერი⁵⁰.

⁴⁹ და არა 1923 წელს, როგორც ს. ჰილაია აღნიშნავს (იხ. „გ. ტაბიძის პოეზია“, 1951 წ., გვ. 6).

⁵⁰ იხ. ლ. „გალაქტიონ ტაბიძე“, „სალიტერატურო გაზეთი“ 1933, № 15; ჩვენს მერ მიკვლეულია ამ ეურნალის მე-9 ნომერი, რომელიც დაკულია მოქ. შ. ასათიანის პირად ბიბლიოთეკაში. გ. ბაქრაძის „ქართული პერიოდიკის პიბლოგრაფიაში“, 1947, გვ. 74, მითითებულია მარტო რვა ნომერი.

ეურნალში დაიბეჭდა ლექსები: „ეს მშობლიური ქარია“ (1922, №1); „ეს იყო ოქტომბრის დამლევს“ (1923, №5); „ეფემერა“ (1922, №3); „ისევ ეფემერა“ (1922, №4); „ზღვის ეფემერა“ (1923, №5); „მშობლიური ეფემერა“ (იქვე); „საახალწლო ეფემერა“ (იქვე); „ეფემერა“ (1923, №6—ეს ლექსი არცერთ შემდეგდროინდელ კრებულსა თუ ტომში არ შესულა); „ქალაქში“ (1923, №7); „გრიგალი“ (1923, №9); „ცისფერი“ (იქვე. არც ეს ლექსი გამოქვეყნებულა სადმე ეურნალის შემდეგ); წერილები: მოწინავე (1922, №1); „იაკობ ნიკოლაძის იუბილეს გამო“ (1922, №2); „სახელგამომცემლობა“ (1923, №9). ეურნ. „კანდელში“ (1922, №1) იბეჭდება მისი ლექსი „ვილანელი“.

1924 წელს დაარსდა პირველი დიდი ქართული საბჭოთა ეურნალი „მნათობი“, რომელის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მუშაობითანამშრომელი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იყო გ. ტაბიძე. ამ ეურნალში დაიბეჭდა გ. ტაბიძის საბჭოთა პერიოდის შემოქმედებითი ნაყოფის ასეულობით ლექსი, რაც კარგად არის თავმოყრილი და აღწერილი „მნათობის“ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში⁵¹.

გაზეთსა და ეურნალებში ნაწარმოებების ბეჭდვას ზოგჯერ თვით ავტორი აღევენებდა თვალყურს, ამის შესახებ პოეტი წერს: „1932 წ. 11 დეკემბერი. საღამოთი ვიყავი სტამბაში. სადაც „წითულ-არმიელი“ იწყობა. იქ იბეჭდება ჩემი ლექსი „რწმენით იარ. იარ, მტკიცე გქონდეს ბიჭი“... 12 დეკემბერი. ჩემი ლექსი „წითულარმიელის“ სალიტერატურო ფურცელში მოთავსებულია პირველ ადგილას, ორ სვეტზე. სტამბას ნუ თუ არა აქვს კარგი საღებავი? პირველი სტრიქონები ლექსისა საეხებით არ სჩანს. ალბად. გამომშვების ბრალია“⁵², ან მეორე მსგავსი ცნობა: „სტამბაში ვნახეთ ჩემი ლექსი (კავკასიონის ქარი), დიდებულადაა დაბეჭდილი. 13 თებერვალი, 1941 წ.“⁵³.

საერთოდ, გ. ტაბიძე უმეტეს შემთხვევაში თავის ლექსებს პირველად პერიოდულ გამოცემებში ბეჭდავდა. შემდეგ კი ლექსთა კრებულებსა და ტომებში შექტონდა ისინი.

1924 წელს ჯერ ეურნალ „მნათობში“ იბეჭდება. ხოლო შემდეგ ცალკე წიგნად იცემა. გ. ტაბიძის პოემა „ჯონ-რიდი“⁵⁴.

⁵¹ ელ. ჯოჯუა, „მნათობის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“. 1956. გვ. 162—165 (№ 2709—2756) ბიბლიოგრაფიაში მოხედრილია მასალა 1954 წლის ჩათვლით.

⁵² სსსმ, გ. ტაბიძის არქივი, 41 დ და გვ. 021370, 254დ. გვ. 2.

⁵³ იქვე, 84 დ, გვ. 26.

⁵⁴ იხ. ეურნ. „მნათობი“, 1924 წ. № 4—5, რეცენზია ცალკე წიგნზე დაიბეჭდა „მნათობში“ (1925, № 1), ავტორი გ. ა. (გობრონ აგარელი).

1927 წელს შაისში ქვეყნდება გ. ტაბიძის ლექსების დიდი კრებული.

პოეტმა დიდი ენერგია და სიყვარული ჩააქსოვა წინგის მომზადებისა და გამოცემის საქმეში. პოეტი ამ კრებულს „დიდ წინგს“ უწოდებს და გამოცემულ წიგნთა შორის უპირველეს ადგილს აკუთვნებს⁵⁵. კრებულში შეტანილია 695 ლექსი და ერთი პოემა, დაყოფილია 12 განყოფილებად. ტექსტოლოგიური თვალსაზრისით კრებული იმ მხრივაც საინტერესოა, რომ ის წარმოადგენს ავტორის ტექსტზე მუშაობის ახალ ეტაპს. პოეტს ლექსები დაუხვეწია, ზოგი მათგანი არსებითად გადაუმუშავებია, შეუცვლია სათაურები და უფრო განზოგადოებული ხასიათი მიუცია მათთვის. მაგალითისათვის მოვიტანთ ერთ ლექსს:

მიმღერე რამე

1914

1927

როგორ მიყვარდა! მაგრამ ხსოვნა
ამ ტრფობის სრულის
დარჩა ჩემს გულში წაუშლელი
და მოკამკამე
იმას იგონებს უძლეურება
და დაღუღულ გულის
ჩემონუგეშო, იმსიციხის,
იმ სიყვარულის.
მიმღერე რამე!
ყმაწვილკაცობა, სიხალისე.
სიცოცხლე დილის,
ისე გამიქრავით ბურუსი,
როგორ ვეწამე!
ეს ლავ მაშინებს კმუნვარება
მომავლის ჩრდილის
ჩემონუგეშო, იმსიცოცხლის
იმ სიყვარულის
მიმღერე რამე!
შქონდა მიზანი... ბრძოლა
იყო ცამისი მცნების,
მაგრამ კაცთ გვერდით დავუძლე
რდი და მოვიშხამე;
აი ნაყოფი ქარიშხლიან სიცოცხლის
ვენების
ჩემონუგეშო, იმ ბრძოლის
და გატაცების
მიმღერე რამე!

როგორ მიყვარდა! მაგრამ
ხსოვნა იმ ტრფობის სრულის,
დარჩა ჩემს გულში წაუშლელი
და მოკამკამე,
იმას იგონებს დაღუნება
და დაღუღულ გულის...
იმ სიყვარულის მიმღერე რამე!
ყმაწვილკაცობა, ყვაილები
სიცოცხლის დილის,
ბურუსებს იქით გადაიკარგა...
როგორც ვეწამე!
ეს ლათავს მაღვას კმუნვარება
მომავლის ჩრდილის
იმ სიყვარულის მიმღერე რამე!
დიდი მიზანი, ბრძოლა იყო
ახალ დღეების,
არდაცემულ ღვარ, მაგრამ
გენსლით მე მოვიშხამე
აი ნაყოფი, ქარიშხლიან
სიცოცხლის ვენების
მე იმ ბრძოლების მიმღერე
რამე!
ახალგაზრდათა ბრძოლის შემდეგ
დაუძლეურების
და წარუშლელი მწუხარების
გავხდი მოწამე,

⁵⁵ სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, გვ. 3163.

ახალგაზრდათა დაცემის და
დაუძღვრების,
ახალგაზრდათა მწუხარების
მე ვარ მოწამე;
მეციმათ შორის უკურნებელ
წყლულეებით ეკვდები,
მიმღერე რამე, გევედრები,
გემუდარები, მიმღერე
რამე!

მოწამე გავხდი ცეცხლისა
და განაღგურების
გემუდარები, მიმღერე რამე!

გამოცემას გააჩნია ნაკლიც. მაგ. განმეორებულია ერთი და იგივე ლექსები (შდრ.) „უნაზესი ხელნაწერი“. გვ. 24 და 89. მათ შორის არავითარი განსხვავება ტექსტში არ არის, გარდა სტამბური შეცდომისა. 89 გვ. მოთავსებული ლექსი დათარიღებულია.

„უკანასკნელ დღეს“. გვ. 187 და გვ. 322, მათ შორის ვარიანტული სხვაობებია. წიგნი დაზღვეული არაა უამრავი კორექტურული შეცდომისაგან. ასოთა ნაკლოვანებებისაგან (მაგ. გვ. 108. დაბეჭდილია „მოცისფერო“ უნდა იყოს, რითმის მოთხოვნით, „მოცისფერონი“ და ა. შ.).

არეულია წიგნის სარჩევი. რომელშიც ბევრი ლექსის სათაური გამოტოვებულია.

კრებულში პოეტმა პირველად მოგვცა ზოგიერთი ლექსის თარიღი. მაგრამ უმრავლესობა მაინც უთარილოდაა წარმოდგენილი. ეს გამოცემა საფუძვლად დაედო შემდეგდროინდელ გამოცემებს.

1927 წლის ლექსთა კრებულმა ქართველი საზოგადოების ყურადღება დაიმსახურა. „სალიტერატურო ბიულეტენის“ სპეციალურ გამოშვებაში⁵⁶ ერთხმადაა აღიარებული „წიგნის დიდი გამარჯვება“. პოეტთა-პირველ ჯგუფს უნდა მიემართოს გალაკტიონ ტაბიძე.—წერდა ზ. კიკინაძე.—ამის გამოთქმის უფლებას მაძლევს გ. ტაბიძის... ახლად დაბეჭდილი ლექსების ვრცელი ტომი. რომლის ფურცელთა რიცხვიც შედგება 542 გვერდისაგან. ჩვენს მწერლობაში ასეთი უხვი, დიდი ტომი ლექსებისა ახალგაზრდა კაცისაგან დიდ მოვლენად უნდა ჩაითვალოს და უმაგალითო მოჩვენებად. ვინაიდან ჩვენს მწერლობასა და ცხოვრებაში ასეთი მაგალითი არავის უნახავს, ეს ნამდვილი ფაქტია და ცოცხალი მაგალითი ჩვენს მწერლობაში“⁵⁷.

⁵⁶ გალაკტიონი, სალიტერატურო ბიულეტენი. ტფილისი, 1927.

⁵⁷ ზ. კიკინაძე. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის შესახებ. „სალიტერატურო ბიულეტენი“, 1927.

„ლექსთა კრებული მომძიმო ტანის. ჰაეროვანი ციაგი ნაზთა გრძნობათა განცდათ წალკოტი. პირდაპირად ყვავილით სავსე. მგრძნობიარე ქართველთ სული შუქთა მფენელი,—აღნიშნავდა ვ. ბარნოვი,—საოცნებო სახეთ სიუხვე წვრილ ლექსებში ველარ ეტევა...“⁵⁸.

„შენ თანამედროვე ეპოქას ღრმად ჩასწვდი. ვინც ხალხის გენიას თვალით იხილავს—უცვდავია, — წერდა ს. შანშიაშვილი. — ახალი ხილვით თვით აენთე და აანთე სხვაც“⁵⁹.

„სალიტერატურო ბიულეტენში“ დაბეჭდილი წერილების ავტორები სამართლიანად აღიარებდნენ გ. ტაბიძის დიდ პოეტურ ტალანტს, რომლის სახით საქართველოს მოეველინა „მშვენება და სიამაყე ქართული პოეზიისა“. „უდიდესი ლირიკოსი“, „გამარჯვებული პოეტი საქართველოსი“ და „რევოლუციის მგოსანი“.

1927 წლის ლექსების ტომი პოეტის შემოქმედებითა პროცესის ახალი გამოვლინება იყო⁶⁰.

1930 წელს ცალკე წიგნად გამოდის „ეპოქა“. რომელიც პირველად „მნათობში“ დაიბეჭდა 1928 წელს⁶¹. „1930 წლის გამოსულ წიგნში, —წერს გ. ტაბიძე,—ბევრი ლექსი არაა შეტანილი [„მათობიდან“]... ხელნაწერიდან, რედაქციის მიერ ამოღებული იქნა ბევრი ლექსი, რომელთა აღდგენა შეუძლებლად მიმაჩნია. მრავალი ლექსი დაიკარგა აგრეთვე სტამბაში. სადაც „მნათობი“ იბეჭდებოდა.

ამგვარად,—წერს გ. ტაბიძე,—1. „ეპოქა“ დამახინჩებული იქნა სტამბის მიერ (შეცვლილი იქნა); 2. ნაწილი მასალებისა დაიკარგა სტამბაში. 3. წიგნად დაბეჭდვის დროს გამოაყლდა „მნათობში“ მოთავსებული მასალები. 4. წიგნი (1930 წ.) სავსეა კორექტურული შეცდომებით და სხვა ტექნიკური დეფექტებით, 5. თვით ხელნაწერი „ეპოქისა“ დაკარგულია და მისი აღდგენა ყოველად შეუძლებლად მიმაჩნია. ხელნაწერი წარმოადგენდა დაახლოვებით ორჯერ მეტი მოცულობის ნაწარმოებს“...⁶².

სალიტერატურო კრიტიკამ იმთავითვე მიუთითა პოეტს, რომ „ეპოქა“—ეპოპეია არ არის“, რომ მიზანშეწონილია მისი „დაწმენ-

⁵⁸ ვ. ბარნოვი, გალაცტიონ ტაბიძე, იქვე.

⁵⁹ ს. შანშიაშვილი, დიდი ლირიკოსი, იქვე.

⁶⁰ პირველ რეცენზია ამ წიგნზე დასწერა შ. რაღინაშა. „ლიტერატურული თანამგზავრები საქართველოში“. გ. ტაბიძე „მნათობი“, 1928, № 8—9.

⁶¹ იხ. „მნათობი“, 1928, №: 5—6, გვ. 56—58; № 7, გვ. 8. № 8—9, გვ. 29—40; №10, გვ. 9—16; №11—12, გვ. 5—10.

⁶² სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, გვ. 2917.

და. შემკვრივება“⁶⁵. კრიტიკამ და საზოგადოებრივმა აზრმა პოეტში სასურველი რეაქტია გამოიწვია და შემდეგ გამოცემაში (1935 წ.) პოემა ცალკე ლექსებად დაშალა.

1930 წელს ცალკე წიგნად გამოიცა პოემა „პაციფიზმი“⁶⁶.

1931 წელს ასევე ცალკე წიგნად გამოდის პოემა „საით მიდის რევოლუციური საქართველო“⁶⁷; რომლის შესახებ პოეტს აღნიშნული აქვს: „პოემა იბეჭდებოდა „მნათობში“ (1930); ცალკე წიგნად გამოვიდა... 1931 წელს... ამ წიგნზე იგივე ითქმის, რაც „ეპოქაზე“. რედაქციაში. შემდეგ სტამბაში. დაკარგულია მასალა. რომლის აღდგენა შეუძლებელია...“⁶⁸.

წიგნის ბეჭდვასთან დაკავშირებით გ. ტაბიძეს ასეთი ჩანაწერი გაუყეუებია: „19 სექტემბერი. 1931 წელი. მაშ ასე. „რევოლუციური საქართველო“ დაბეჭდილია. არაა ყდა. ყდის გაკეთების და აკინძვის შემდეგ წიგნი მზად იქნება. მე მგონი წიგნი მაინც არ იქნება მზად ერთი თვის განმავლობაში. ის უნდა გამოსულიყო ჯერ კიდევ მაისში...“⁶⁷.

„რევოლუციური საქართველოს“ ცალკე გამოცემის დროს ავტორს ახალი მასალით შეუვსია. წინ ერთვის მისი ცნობილი „რევოლუციურ საქართველოს“ და ბოლოს „არა თუ წლები გადაეშვა ტყდომად“.

„ეპოქა“. „პაციფიზმი“ და „რევოლუციური საქართველო“ ცალკე წიგნებად გამოსცა სახელგამმა. ავტორი. როგორც ირკვევა, ზედამხედველობდა მათ ბეჭდვას. ძმისადმი მიწერილ წერილში გ. ტაბიძე წერს: „...განა მე არ მინდა თქვენთან ყოფნა. მაგრამ არ მოხერხდა („ეპოქა“. მართალია დაიბეჭდა. მაგრამ ეხლა იბეჭდება სხვა წიგნი--- „პაციფიზმი“). ვამზადებ სხვა მასალებსაც. ეხლა ისეთი დროა, როცა საქაროა უფრო მეტად მუშაობა“⁶⁸.

⁶⁵ ბ. ბუაჩიძე, რევოლუციური ეპოქის ენთუზიასტი, გაზ. „კომუნისტი“, 1930, 26 აპრილი. აგრეთვე მისი ივე. კრიტიკული წერილების კრებული, 1960. გვ. 78; გ. ნ. გ. ტაბიძის „ეპოქა“, 1930. „სახელგამი“, ჟურნ. „პროლეტარული მწერლობა“, 1930, №2; გ. მეხევე. გ. ტაბიძის „ეპოქა“, ჟურნ. „დროშა“, 1930, № 1.

⁶⁶ „პაციფიზმი“ პირველად დაიბეჭდა „მნათობში“, 1930, № 1, გვ. 7—31.

⁶⁷ რევოლუციონურ საქართველოს (ლექსები) პირველად დაიბეჭდა „მნათობში“, 1930, № 8—9, გვ. 1—16; № 10, გვ. 39—54; № 11—12, გვ. 79—90; 1931, №1—2, გვ. 13—24.

⁶⁸ სსსმ, გ. ტაბიძის არქივი, გვ. 2917.

⁶⁷ იქვე, 116 დ.

⁶⁸ იქვე, 65 დ., გვ. 26.

№37 წელს შ. რადიანის რედაქტორობით სახელგამმა გამოსცა გ. ტაბიძის „ლექსები“ (კრებული შეადგინა რედაქტორმა), სადაც შესულია სხვადასხვა დროს პოეტის მიერ დაწერილი 51 ლექსი. ეს ლექსები ამოკრებილია გ. ტაბიძის თხზულებათა I და II ტომებიდან (ამ ტომების შესახებ ქვემოთ გვექნება ლაპარაკი).

შემდგენლის ცნობით, გ. ტაბიძეს კრებულში შემავალ ნაწარმოებთა ტექსტებზე მუშაობა არ ჩაუტარებია და მის გამოცემაში მონაწილეობა არ მიუღია.

ლექსთა კრებულს დართული აქვს პოეტის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები⁶⁹.

1940 წელს „საბლიტგამმა“ სასკოლო ბიბლიოთეკის სერიაში გამოსცა გ. ტაბიძის ლექსთა კრებული—„ლირიკა“ (რედაქტორი— ა. მაშაშვილი). კრებულში შესულია 1915—1940 წლებში დაწერილი 26 ლექსი. კრებული შედგენილია ა. გაბუნაძის მიერ.

ლექსები ამოკრებილია წინა გამოცემებიდან. პოეტს კრებულის შედგენაში მონაწილეობა არ მიუღია.

ლექსთა კრებულს დართული აქვს გ. ტაბიძის ბიოგრაფიული ცნობები.

კრებულში შემავალი ლექსთა ტექსტები რედაქტორის მიერ თანამედროვე გრამატიკული ნორმების შესაბამისადაა გასწორებული⁷⁰.

1940 წელს „მნათობში“ გამოქვეყნდა პოემა „საუბარი ლირიკის შესახებ“ (№ 2, გვ. 3—19).

ამავე წელს გამომცემლობა „ფედერაციამ“ ცალკე წიგნად გამოსცა გ. ტაბიძის პოემა „აკაკი წერეთელი“. პოემის გამოქვეყნება პოეტმა „მნათობში“ დაიწყო⁷¹, მაგრამ ჟურნალში პოემის ბეჭდვა არ დამთავრებულა. ცალკე წიგნად გამოცემული აკაკი წერეთლის ტექსტი „მნათობში“ დაბეჭდილ რედაქციისაგან განსხვავებულია. ცალკე გამოცემას ავტორის მიერ მომზადებული ტექსტი უძვეეს საფუძვლად (შემდეგ წლებში პოემის ტექსტის სრულყოფაზე ავტორს მუშაობა არ შეუწყვეტია).

⁶⁹ რეცენზიები ამ კრებულზე: ე. ა. „გალაქტიონ ტაბიძის ლექსები“. „ლიტერატურული საქართველო“, 1937, № 23; გ. მ. (გივლა მებუჯე) „გ. ტაბიძის ლექსები“, „მეშა“ 1937, № 167.

⁷⁰ რეცენზიები: რ ა დ ი ა ნ ი შ., „გ. ტაბიძის ახალი ლექსები“, „ლიტერატურული საქართველო“, 1940, № 9 და შ. რ. (შალვა რადიანი) „გ. ტაბიძის „ლირიკა“, „ლიტერატურული საქართველო“, 1940, № 36.

⁷¹ „მნათობი“, 1940, № 5—6, გვ. 67—110. ნაწევრები ამ პოემიდან იმავე ხანებში დაიბეჭდა „კომუნისტის ლიტერატურული დამატება“, 1940, №3. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1940, № 140, „აკაკის საიუბილეო კრებული“, თსუ, 1940, გვ. i. (შემდეგ პოემის ცალკე ადგილები იბეჭდებოდა ლექსებად).

მართლაც. რჩეულის შემდეგი ლექსები „ის ჩამომშორდა როგორც სიზმარი“ (გვ. 455) და „მაშინ ცას უფრო სხვაფერი ჰქონდა“ (გვ. 396). „ყველაფერმა იცვალა ფერი“ (გვ. 417 და 443) ერთი და იგივე ლექსებია ვარიანტულ სხვაობებით. ასევეა ლექსები: „დასძინებია ალერსიან ბალს“ (გვ. 348) და „სთვლემს ტყის ნაპირი“ (გვ. 454). „სადღეგრძელო იყოს მისი“ (გვ. 28 და 278) არის შემთხვევები. როდესაც ერთი და იგივე ლექსი ორჯერაა დაბეჭდილი. მაგ. „ოდესღაც საღდაც“ (გვ. 331 და 451).

ლექსი „გადია“ (გვ. 325) გაწყვეტილია შუაზე და მისი მეორე ნაწილი („თბილ ბაღიშებზე ისვენებს კატა“, გვ. 327) ცალკე ლექსადაა დაბეჭდილი. „რჩეული“ დაზღვეული არაა კორექტურული შეცდომებისაგან. მაგ. გვ. 21 დაბეჭდილია „მწყობრ“ უნდა იყოს „მწყობრით“, „მხარი“ უნდა იყოს „მხარე“, გვ. 45 არის „იერთა“ უნდა იყოს „ქერთა“ და ა. შ.

მეცნიერული გამოცემის დროს ამ კრებულს დიდი მნიშვნელობა მიენიჭება⁷⁵.

იმავე 1944 წელს აჭარის სახელგამმა გამოსცა გ. ტაბიძის ლექსების კრებული—„ოქრო აჭარის ლაქვარდში“ (რედაქტორი—ნ. მაღაზონია).

კრებული დაყოფილია განყოფილებებად, მასში შესულია 72 ლექსი და 3 პოემა. კრებული შედგენილია ავტორის მიერ. თითოეულ ლექსს და პოემას ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ციტატები „ვეფხისტყაოსნიდან“⁷⁶. კრებულში შეტანილი ლექსები და პოემები სხვადასხვა დროს არის დაწერილი. ამ კრებულის შესახებ გ. ტაბიძე წერს: „წიგნი ეხმაურება „ძმობასა და გატანას“. სწორედ ამ გატანაზე იხსნა კავკასიონი მოსალოდნელი საშინელი რბევისაგან, რომელიც გველოდა ძაუგიდან საქართველოში გერმანელები რომ შემოსულიყვნენ... წიგნი დიდი მუშაობის შედეგია“⁷⁷. პოეტი კრებულის მასალაზე გულმოდგინედ მუშაობდა, როგორც შედგენამდე, ასევე შედგენის შემდეგ⁷⁸. განზრახული იყო „ოქრო აჭარის ლაქვარდში“ გა-

⁷⁵ პროფ. შ. რადიანის პირად ბიბლიოთეკაში დაცულია გ. ტაბიძის მიერ ამ რჩეულისათვის მომზადებული 183 ლექსის ავტოგრაფი, რომელიც აკადემიურ გამოცემაში R ლიტერით აღინიშნება.

⁷⁶ სსლმ. გ. ტაბიძის არქივი, გვ. 1887.

⁷⁷ იქვე, 191 დ., 83. 9.

⁷⁸ იქვე, გვ. 1792; დღიურები 72 და 68. 78 დ გვ. 10. ასეთი ჩანაწერია: „სამაგე პოემა „ოქრო აჭარის ლაქვარდში“. „დამაკმაყოფილებელია, რა ტყვილა სუსტები შეგონა“.

რეცენზია. დ. დ. (დავით დუმბაძე) „ოქრო აჭარის ლაქვარდში“, „საბჭოთა აჭარა“, 1944, № 137.

მოცემულიყო ორ წიგნად. გამოიცა მხოლოდ ერთი. წიგნის ბეჭდვა მიმდინარეობდა ავტორის უშუალო მონაწილეობით.

1946 წელს „მნათობში“ (№ 9—10, გვ. 68—79; № 11, გვ. 23—28) გამოქვეყნდა გ. ტაბიძის ლექსების ციკლი „ზღვა ახმაურდა“. ციკლში დაბეჭდილია 28 ლექსი.

1948 წელს აფხაზეთის „სახელგამმა“ გამოსცა გ. ტაბიძის ლექსების კრებული—„ზღვა ახმაურდა“ (რედაქტორი—გ. ჯიბლაძე). კრებულში შესულია 97 ლექსი და ერთი პოემა. ლექსთა ციკლიდან „ზღვა ახმაურდა“. რომელიც 1946 წელს „მნათობში“ გამოქვეყნდა. წიგნში შევიდა 14 ლექსი. დანარჩენი ლექსები ზოგი სამამულო ომის წინა ხანისა და ზოგი მია შემდეგდროინდელია. ავტორსა და რედაქტორს შორის საქმიანი ურთიერთობა დამყარებულია. 1948 წელს პოეტს ჩაუწერია: „გ. ჯიბლაძესთან უნდა მივიღე ოთხშაბათს 12 საათზე... ვიყავი გ. ჯიბლაძესთან. მან მოიწონა გეგმა ჩემი მუშაობისა წიგნზე“⁷⁸. ტექსტი კრებულისათვის მოამზადა ავტორმა. მის მიერ წარდგენილ მაკეტიდან კრებულის რედაქტორს გ. ჯიბლაძეს პოეტთან შეთანხმებით შეუცვლია ცალკეული სიტყვები ლექსებში (სახელდობრ რომელში არ ახსოვს). არავითარი თვითნებური ჩარევა რედაქტორს არ უწარმოებია. „გ. ტაბიძე ბოლო ხანებში თავისი სწორებებით ნამდვილად აყენებდა ზიანს თავის ლექსებში“—გაგვიცხადა წიგნის რედაქტორმა აკად. გ. ჯიბლაძემ პირად საუბარში. კრებული დაიბეჭდა ავტორის მეთვალყურეობით⁷⁹.

1953 წელს საბლიტგამმა გამოსცა გ. ტაბიძის „ლექსები“ (რედაქტორი—ა. გაბესკერია). წიგნში შესული ლექსების უმრავლესობა დაწერილია ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. ამასთან. პოეტის განვლილი გზის ჩვენების მიზნით კრებულში წარმოდგენილია ადრინდელი ლექსებიც. სულ კრებულში 87 ლექსია. კრებული შედგენილია ავტორისაგან დამოუკიდებლად, ტექსტები ამოკრებილია სხვადასხვა გამოცემებიდან. ამდენად ის ავტორიზირებული გამოცემა არ არის.

1953 წელს „მნათობში“ (№ 7, გვ. 73—77) ქვეყნდება ნაწყვეტი რკალიდან „ყრმობის ლექსები“ (1905—1907).

1954 წელს გამოდის გ. ტაბიძის „რჩეული“ (შემდგენელი ბ. ჩიქობავა). „რჩეული“ დაყოფილია თემატურ რკალებად: „გამარჯვებული ბრძოლის სიმღერა“, „ახალი ქვეყანა შენდება“, „სამშობლოს“,

⁷⁸ სსსმ, გ. ტაბიძის არქივი. 372 დ., გვ. 12.

რკეუნი: დ. შ ა მ თ ა ვ ე ა. „ზღვა ახმაურდა“, გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, 1948, № 94 და ეურნ. „მნათობი“, 1948, № 6.

⁷⁹ იქვე. 424 დ., გვ. 12—16.

„ჩვენში და მათთან“, „სამშობლოსათვის, მშვიდობისათვის“, „გადა-
ნახული დროები“, „გზადაგზა“, „რაც დავიწყებით არ იბინდება“
და „პოეტი ტრიბუნი“.

ამ გამოცემის შესახებ ბ. ჩიქობავა წერდა: „...ჩემს მიერ შედ-
გენილი 1954 წლის რჩეულის დამზადების დროს გალაკტიონმა და-
ხვეწა თითქმის მთელი თავისი პოეტური თხზულებანი. როგორც ამ
ხანგრძლივი მუშაობის უშუალო მონაწილეს, თანარედაქტორს, შე-
მიძლია ვთქვა, რომ ამ რჩეულში მოქცეულ ყველა ლექსს თუ პოემას
შეეხო სწორება, ხოლო ზოგიერთი მათგანი იმდენად გადაიკაშმა,
რომ პირვანდელთან შედარებით ცალკე ვარიანტს წარმოადგენს.
უდაოა, პოეტის მიერ გამართული ტექსტი უნდა მივიღოთ ძირითად
ტექსტად, ის იბეჭდებოდეს შემდგომ გამოცემებში“⁸¹.

ამრიგად, ბ. ჩიქობავას აზრით, მის მიერ შედგენილ რჩეულში
უკვე გამოსჭვივის ავტორის უკანასკნელი ნება, რაც საეჭვოა.

ჩვენ არ ვუარყოფთ ფაქტს, რომ გალაკტიონი მონაწილეობას
იღებდა 1954 წლის „რჩეულის“ მომზადებაში. თუ დოკუმენტური
მონაცემები დაასაბუთებენ, რომ 1954 წლის „რჩეულში“ ამა თუ იმ
ნაწარმოების მიმართ მართლაც დასტურდება პოეტის „უკანასკნე-
ლი ნება“, რა თქმა უნდა, გ. ტაბიძის ნაწარმოებთა გამოცემაზე
მომუშავე მას გვერდს ვერ აუვლის და ახალ გამოცემაში მას სათა-
ნადო ადგილს გამოუნახავს.

გ. ტაბიძის 1954 წლის „რჩეულში“ ტექსტის დადგენის თვალ-
საზრისით დაშვებულია ისეთი ხასიათის შეცდომები, რაც შეუძლე-
ბელია, ავტორისაგან მომდინარეობდნენ, მაგალითად, შეუძლებელია
ვინმემ დაგვარწმუნოს, რომ გ. ტაბიძეს ლექსში „შენ რაღას იტყვი
ყანა“ სარიტმო სიტყვა „ეხლა“ შეეცვალა სიტყვით „ახლა“, რო-
გორც ეს 1954 წლის „რჩეულშია“ (გვ. 160):

იყო ზვირთების შეხლა
თერჯის რბევის და რიხის,
შენ რაღას იტყვი ახლა
ქელო (!) მშობლიურ ლიხის?

ანდა ლექსში „ჩვენ პოეტები საქართველოსი“, სიტყვა ანგელო-
სი. რომელიც შერიტმულია სიტყვასთან — საქართველოსი. ანგელო-
ზად გადაკეთებულიყო (გვ 228). ეს პრინციპული საკითხებია⁸².

⁸¹ ბ. ჩიქობავა, „გალაკტიონ ტაბიძის ახალი რჩეული“, თბილისი, 1960, № 124.

⁸² ეტყობა 1954 წ. „რჩეულის“ შემდგენელ-რედაქტორი ზოგიერთ ლექსს
თავისებურად აკეთებდა რისი დადასტურებაცაა ბ. ჩიქობავას შემდეგი სიტყვები:
„...უნდა აღინიშნოს, რომ ნაწარმოების („გემი დალანი“—ი. ლ.) მეორე სტრო-

სავსებით მართებულია აკაკი ხინთიბიძის შენიშვნები წერილში „ლექსწყობის გაუთვალისწინებლობის შედეგად...“⁵³, რომელშიც ავტორი, აღნიშნულთან ერთად, მრავალ სხვა მნიშვნელოვან ხარვეზზე მიუთითებს 1954 წლის „რჩეულის“ შემდგენელს. ჩვენ ვერ გავიზიარებთ ა. ხინთიბიძის დებულებას, რომლის მიხედვითაც „უმართებულა, რომ ყოველთვის, ყველა შემთხვევაში ბრმად მივყვეთ ავტორის მიერ ბოლო დროს გასწორებულის ძირითად ტექსტად შინნევის პრინციპს. შესაძლებელია, პოეტის ზოგიერთი ახალი გასწორება ვარიანტულ სხვაობათა რიგში მოვაქციოთ“⁵⁴. ეს დებულება ტექსტის არჩევის ე. წ. „ესთეტიკურ-ზნეობრივი პრინციპის“ გამოძახილია, რომელიც დიდი ხანია უარყოფილია საბჭოთა ტექსტოლოგების მიერ.

1959 წელს „სახელგამმა“ გამოსცა გ. ტაბიძის ახალი „რჩეული“ (შემდგენელი ვ. ჭავჭავაძე) რომლის გამოცემაში ავტორს მონაწილეობა არ მიუღია, ეს გამოცემაც არაა დაზღვეული შეცდომებისაგან.

მაგალითად, ერთი ლექსი ორი რედაქციითა დაბეჭდილი (გვ. 284 „ოქროს თასი ორნამენტებით“ და „ვარდები“ გვ. 555) გამოცემაში დაშვებულია მძიმე კორექტურული შეცდომები (მაგ. გვ. 441. ნაცვლად „მოაქვს ქალების სული მცურავი“-სა, დაბეჭდილია: „მოაქვს ქალების სული მცურავი“. „დაწყვეტილი“ ნაცვლად „დაწყველილი“-სა, „ტარივით“ ნაცვლად „ტანივით“; „გულით“ ნაცვლად „გულთა“ და ა. შ. მრავალი სხვა).

წიგნი ხელმოწერილია დასაბეჭდად 1. IV. 59 წელს— პოეტის გარდაცვალებიდან ორი კვირის შემდეგ.

* * *

1935--1957 წლებში სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა რვა ტომი.

ფის მეორე ტაპის გასწორება (1954 წლის რჩეულის მიხედვით), რ ა ც მ ა შ ი ნ ჩ ე შ ი წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი თ გ ა კ ე თ დ ა, უ ა რ ს ა ყ ო ფ ი ა, რადგან ამით იკარგება მშვენიერი... მხატვრული შედარება... (გაზ. „თბილისის“, 1965 წ. № 38, დაყოფა ჩვენია—ი. ლ.).

⁵³ გაზ. „თბილისი“, 1960, № 141.

⁵⁴ იქვე.

ტექნიკური მიზეზების გამო პირველი ტომის გამოსვლა დაგვიანდა. გამოცემა დაიწყო II ტომით, რომელიც 1935 წელს გამოვიდა (რედაქტორი—შ. რადიანი).

ტომში ძირითადი ადგილი დაიკავა „ეპოქამ“, „პაციფიზმმა“ და „რევოლუციონურმა საქართველომ“. აღნიშნულ ნაწარმოებებთან ერთად დაიბეჭდა აგრეთვე 1927 წლის გამოცემიდან 35 ლექსი და პოემა „ჯონ რიდი“. 20 ლექსი კი სხვადასხვა გამოცემიდან იყო ამოკრებილი.

შ. რადიანის ცნობით: „ტომების რედაქტორები პოეტის ნაღვაწში იშვიათად ერეოდნენ (თუ ერეოდნენ მხოლოდ პუნქტუაციის გამო), ტომებში შეტანილი მასალა ავტორისეულია. ტექსტები მის მიერ იყო მომზადებული...

1935 წელს, II ტომისათვის, ავტორმა თვითონ დაშალა პოემები: „ეპოქა“, „პაციფიზმი“ და „რევოლუციური საქართველო“ ლექსებად და თვითონვე დაასათაურა...

პოეტის ნაწარმოებების გამოცემის დროს ენობრივი გასწორებანი (რაც ნაწილობრივ I ტომში განვახორციელე) არ მიმაჩნია მართებულად. გალაკტიონის თხზულებების ახალი გამოცემის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს 1914, 1919 და 1927 წლების გამოცემებს. როგორც ავტორის უშუალო ზედამხედველობით გამოცემულებს“⁸⁵.

II ტომის გამოსვლასთან დაკავშირებით არსებობს პოეტის რამდენიმე ჩანაწერი: „წიგნის გადათვალისწინების დროს აღმოჩნდა, რომ საბელგამის მიერ გამოცემულ მეორე ტომში (1935) ამ წიგნიდან [„ეპოქა“] შეტანილი არ არის 83 ლექსამდე. ჩემს მიერ ეს ლექსები შეტანილი იქნება ეხლანდელ გამოცემაში... „პაციფიზმი“. 1935 წელს გამოცემულ წიგნში შეტანილია მხოლოდ ცხრამეტი ლექსი. ნაცვლად 50-სა. რომლებიც დაიბეჭდა „მნათობში“ და ცალკე წიგნად გამოვიდა 1930 წ... „რევოლუციონურ საქართველო“-დან მეორე ტომში გამოკლებულია 20 ლექსი“⁸⁶.

⁸⁵ ტექსტოლოგიის განყოფილების 1961 წლის 24 მარტის სხდომის ოქმიდან (№ 11).

⁸⁶ რეკონი: ა ს ტ ვ ა ც ა ტ უ რ ო ვ ი ე. გ., ტაბიძის ლექსების ახალი წიგნი. ეგრნ. „მნათობი“. 1936. № 4.

კ ა ნ დ ე ლ ა კ ი ნ. გ., ტაბიძე, თხზულებანი. ტ. II. გვ. „საპოეზო აქაზა“. 1936. № 21.

⁸⁶ სსსრ. გ. ტაბიძის არქივი, გვ. 2917. პოეტი შენიშნავს, რომ „ეხლანდელ სწულ გამოცემაში აღდგენილი იქნება 1930 წლის წიგნში მოთავსებული და 1935 წლის ტომში გამოტოვებული მასალა, ასეთივე განცხადება „პაციფიზმის“ და „რევოლუციონური საქართველოს“ მიმართაც.

1935 წლის 9 მაისს პოეტს ასეთი აღნიშვნა გაუკეთებია:

1. წიგნი არის არა ცხრაასი, არამედ 600 გვერდიანი.

2. დიდძალი ლექსები ამოღებულია.

3. უკანასკნელი ლექსები არ სჩანს.

4. არ სჩანს ლექსების ორიგინალები, რომლებიც სტამბას უნდა ჰქონდეს.

5. თურმე რედაქტორები აძნელებენ საქმეს.

6. რედაქტორებს არც ერთი გვერდი უზარმაზარი წიგნისა ჩემთვის არ მოუციათ წასაკითხავად (გადასათვალისწინებლად).

7. ყოველგვარი ღონე აქვთ მიღებული. რომ წიგნი იყოს არა ჩემი. არამედ მათი რედაქტორების (რომელთაც მოხვდებათ მაგრაღ)“⁵⁷.

ეს ჩანაწერი კომენტარს მოითხოვს, რამდენადაც მასში ავტორის საკმაოდ კატეგორიული განცხადებებია: რომ მას „არც ერთი გვერდი უზარმაზარი წიგნისა არ წაუკითხავს“, „წიგნი „რედაქტორებისა“ და „არა მისი“ და ა. შ. ჩანაწერი გაკეთებულია 1935 წლის 9 მაისს, წიგნი გადაეცა წარმოებას დასაბეჭდად 20/XI-34, ხოლო ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/III-35 წელს; წიგნი მთავლიტს გადაეგზავნა 20 ნოემბერს 1935 წელს.

გვიანდელ ჩანაწერებში ავტორის ასეთი „გალიზიანებული“ ტონი უკვე აღარ იგრძნობა, პოეტი, როგორც ჩანს, კარგად ყოფილა საქმის კურსში⁵⁸.

1937 წელს იცემა გ. ტაბიძის თხზულებათა I ტომი (რედაქტორი—შ. რადიანი) ტომში მოთავსებულია 1908—1927 წლებში დაწერილი 400-მდე ლექსი. პოეტის არქივში ამ ტომთან დაკავშირებით ასეთი ჩანაწერია დაცული: „15.II.37. 1. გავასწორე რამდენიმე ლექსი. 2. ძველი ხელნაწერებიდან მოგნახე 70 ლექსი. 3. შევადარე ხელნაწერი „ოქტომბრის სიმფონია“ ნაბეჭდს, აღმოვაჩინე: 1. ლექსი გამოტოვებულია, 2. გამოვიანგარიშე რიცხვი ლექსებისა ამ ტომისთვის, ჯერჯერობით იგი სულ 297 (მეორე ტომში კი არის 336. მაშ

⁵⁷ სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, გვ. 11. 37.

⁵⁸ ამ ვარემოების დამამტკიცებელია პოეტის შემდეგი ჩანაწერი-განცხადება, სადაც ვკითხულობთ: „დედის შვიმე ავადყოფობის გამო დღეს მივდივარ იმერეთში... წიგნის ბეჭდვას ნუ შეაჩერებთ. თუ არის რაიმე გაუგებარი ამოიღეთ სტრაქონი, ტაბი, მთელი ლექსი, მხოლოდ წიგნის ბეჭდვას ნუ გააჩერებთ. ამოღებული ლექსის ნაცვლად ვაღმოიჩინეთ ლექსი სხვა, უფრო შორი ფორმიდან. როდესაც ჩამოვალ მე შევაგებ—ყოველი ეს სრულიად ადვილი საქმეა, უჩემოდ მოახერხებთ. ასე: ნუ შეაჩერებთ წიგნის ბეჭდვას, ილონეთ რამე. 1935. 20/11 (არქივი, 354 დ., გვ. 20).

აკლია კიდევ 29 ლექსი). 3. გამოვიანგარიშე დანამდვილებით, რომ ეს 297 და შვიდ წიგნში⁸⁹ მითითებული ლექსებიდან საჭირო იქნება 459 ლექსი ეს უკვე მთელი ტომია, მაგრამ საჭიროა კიდევ დაახლოებით 150 გვ.⁹⁰

1940 წელს გამოიცა პოეტის თხზულებათა III ტომი⁹¹ (რედაქტორი შ. რადიანი). ტომში ძირითადი ადგილი უკავია 1935—1940 წლებში დაწერილ ლექსებს, განსაკუთრებით ციკლს, რომელიც დაიწერა პოეტის საფრანგეთში ყოფნასთან დაკავშირებით.

მესამე ტომის მომზადების დროს პოეტს აღუნუსხავს, თუ საიდან რამდენი ლექსი უნდა შეეტანა მასში: „1. ლურჯი რვეული 40 ლექსი; 2. სვეთ-42; 3. პაპკა 2500 სტრიქონი—60 ლექსი, 4. აქ—2. 5. საავადმყოფოს წიგნში („მზერა დაქქრის“)—27 ლექსი; 6. ბლოკნოტში—9 ლექსი; 7. გადარჩეული—28 ლექსი, 8. გაუსწორებელი—70 ლექსი, 9. ლენინი ყდაში—70 ლექსი; 10. ბლოკნოტი № 9. 11. ოქტომბრის სიმფონია—3 ლექსი...“, პოეტის ვარაუდით III ტომში უნდა შესულიყო 308-ზე მეტი ლექსი. რიცხვი სავსებით ეფარდება III ტომში შესულ ლექსების რაოდენობას. ავტორი უშუალოდ მოწინააღმდეგეობდა ტექსტების მომზადებაში და ტომის გამოცემაში.

1947 წელს ქვეყნდება პოეტის თხზულებათა IV ტომი (რედაქტორი გ. ნატროშვილი). ტომში შესულია 1941—1945 წლებში დაწერილი ლექსები. ამ ტომის მიმართ არსებობს ავტორის ჩანაწერი, სადაც სხვათა შორის 20 ნომბრის თარიღით აღნიშნულია, რომ „ხელნაწერი გადაეცა ტექნიკურ რედაქტორს სტამბაში გასაგზავნად“⁹². 1947 წლის ჩანაწერში ვკითხულობთ „ორ სამ დღეში მზად იქნება ჩემი IV ტომი, დავაფუძვნოთ დღეთ წიგნის გამოსვლისა 9 ივლისი (ოთხშაბათი)“⁹³.

ავტორის მეორე ჩანაწერში საკმაოდ დიდი ჩანაწერი. რომელშიც აღნიშნულია: „...ოცი დღეა. რაც ჩავაბარე IV ტომი სახელგამს. ოცი დღის განმავლობაში რედაქტორმა, გ. ნატროშვილმა, ნუ თუ ვერ მოახერხა მისი გადათვალისწინება? გამომცემლობის სალიტერატურო განყოფილების გამგემ მითხრა, რომ რედაქტორი გულდასმით სინჯავს წიგნს, რომ იგი დიდი მცოდნეა ლიტერატურ-

⁸⁹ პოეტი გულისხმობს: 1914, 1919, 1927, 1930, 1931 და 1935 წლებში ცალკე გამოცემულ წიგნებს.

⁹⁰ სსსმ, გ. ტაბიძის არქივი, გვ. 5579; 6201.

⁹¹ რეცენზიები: „გ. ტაბიძის თხზულებათა III ტომი“, ვახ. „ლიტერატურული საქართველო“, 1940, № 36 და „კომუნისტი“, 1941, №8.

⁹² სსსმ, გ. ტაბიძის არქივი, 135 დ. გვ. 1—3.

⁹³ იქვე, გვ. 6313.

რის... შენს პირს შაქარი—ვიფიქრე მე—თუ მართლა ასეთი რედაქტორი ხვდა ჩემს წიგნს, ჩემს ბედს ძალიც არ დაჰყეფს მეთქი. არაფერი, რომ ოცი დღე წიგნის გადათვალეიერებას უნდებოდა, სერიოზულ რჩევას მივიღებ... გადის კვირა... წიგნზე პასუხი ჩემი წიგნი რედაქტორმა გადმოსცა სახელგამს. როდესაც მიჩვენეს, ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: 11 ათასი სტრიქონის მაგიერ სულ ორი ათასი სტრიქონი დაეტოვებია. დანარჩენი ეხაზა თანქრით...

ავიღე და კარგად, შემჭიდროვებული ლექსები გავშალე, ორი ათასი სტრიქონიდან გავაკეთე 5.200 სტრიქონი⁹⁴, წიგნი ხელახლა გადავაბეჭდინე მანქანაზე... წიგნი ამჟამად ჩემს ხელშია, სუფთად გადაბეჭდილი, გამზადებული სტამბაში გადასაცემად. ხვალ ჩავაბარებ. 15 გიორგობისთვე, 1946 წ.“.

20 გიორგობისთვის (ნოემბრის) რიცხვით აღნიშნულია: „წიგნმა განვლო პირველი პერიოდი... და ასეთი სახით როგორც იქნა გადავიდა მეორე პერიოდში. ხელნაწერი გადაეცა ტექნიკურ რედაქტორს სტამბაში გასაგზავნად...“⁹⁵.

1949 წელს გამოიცა პოეტის თხზულებათა VI ტომი (რედაქტორი გრ. აბაშიძე). ტომში შესულია სხვადასხვა დროს დაწერილი 59 ლექსი და 4 პოემა.

1950 წელს გამოვიდა პოეტის თხზულებათა VII ტომი (რედაქტორი—გრ. აბაშიძე) ტომში შესულია 110 ლექსი და 6 პოემა.

1952 წელს გამოიცა გ. ტაბიძის თხზულებათა V ტომი (რედაქტორი—ა. თევზაძე). ტომში შევიდა 43 ლექსი და შვიდი პოემა.

მეხუთე ტომის მომზადების პერიოდში პოეტს ასეთი გეგმა მოუხაზავს:

„1. უნდა საფუძვლიანად გასწორდეს პოემა, „1940“, გადაიწეროს ხელახლა. თუ აუცილებელი იქნა გადაიბეჭდოს.

2. უნდა საფუძვლიანად გადაკეთდეს „სამი პალმა“, შესაძლებელია მიეცეს თანამედროვე ხასიათი.

3. შედარებული იქნას „ზღვა ახმაურდა“ და მეოთხე ტომი, რაც ამ წიგნში შეტანილი არაა გადაირჩეს, მანქანაზე გადაიბეჭდოს მეხუთე ტომში შესატანად.

4. მოძებნილი იქნას ყურნალ „განათლებაში“ დაბეჭდილი სიმები (აგრეთვე „ლიტერატურა და ხელოვნება“. „პიონერი“).

5. გადაწერილი იქნას ხელნაწერი პოემისა „ასწლოვანი“.

⁹⁴ ავტორი გულისხმობს სტრიქონის გატეხვას.

⁹⁵ სსსრ, გ. ტაბიძის არქივი, 135, და გვ. 1-3.

6. მონახულ იქნას სია პოემებისა, შედგენილი კოჯორში და დალაგდეს ცალკე.

7. გადაბეჭდილ იქნას პოემა „აკაკი წერეთელი“.

8. გადაწერილ იქნას მეორე ვარიანტი „ივერიის დაბრუნებისა“.

9. ხელახლა გადაიბეჭდოს მანქანაზე „ოქრო აქარის ლაქვარდში“ და „ზღვა ახმაურდა“—ში აღმოჩენილი, ტომებში შეუტანელი მასალები.

10. მონახული იქნას რომელიღაც წიგნის ყდაზე წარწერილი შესავალი „სამი პალმისათვის“.

11. შედგენილი იქნას ზუსტი სია დაგროვილ მასალაზე, როგორც გასწორებულისა, ისე გასასწორებლის.

12. დაიყოს თავებად და მონახული იქნას პირველი სია⁹⁶.

პოეტმა ამ გეგმიდან ბევრი რამ განახორციელა მეხუთე ტომის გამოცემისას. სახელდობრ გადაამუშავა „პოემები, „1940“. „კაფე სამი პალმა“ და ა. შ.

1957 წელს გამოიცა პოეტის თხზულებათა VIII ტომი (რედაქტორი რ. ორჯონიკიძე). ტომში შესულია 87 ლექსი და ადგილები პოემა „მშვიდობის წიგნიდან“. ამ ტომის გამოსაცემად მომზადებაზე პოეტი ინტენსიურად მუშაობდა: „დეკემბერი VIII ტომის დამთავრება,—წერს გ. ტაბიძე,—აპრილი. VIII ტომი უსათუოდ გამოსული უნდა იქნას“⁹⁷. ტომი წარმოებას გადაეცა 4 მაისს, ხელმოწერილი იქნა დასაბეჭდად 14 აგვისტოს. პოეტის სურვილი, რომ ტომი აპრილში გამოსულიყო უსათუოდ, არ გამართლდა, მაგრამ მას ვადაში ჩაუბარებია ტომი გამომცემლობისათვის.

შვიდი ტომის გამოცემის შემდეგ, ე. ი. 1953—1957 წლებს შორის, ჩანს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალს“ გათვალისწინებული კჰონდა გ. ტაბიძის ნაწარმოებთა გამოცემა.

პოეტის არქივში დაცულია გამომცემლობა „საბჭოთა მწერლის“ რედაქტორისადმი მიწერილი შემდეგი წერილი:

„ძვრიფასო ელიზბარ!

თქვენ მიერ გამოგზავნილი წერილი მივიღე. დიდად სასიამოვნოა. რომ „საბჭოთა მწერალი“ იწყებს მუშაობას ჩემი კრებულის გამოცემისათვის. უფრო გასახარელი იქნება, თუ გამომცემლობა მზედველობაში მიიღებს იმ დიდ შვიდ ტომს, რომელიც ქართულ ენაზე გამოვიდა. ამით მკითხველებს შესაძლებლობა მიეცემათ გაეცნონ საქართველოს სახალხო მწერალს შედარებით. უკანასკნელი

⁹⁶ სსლ მ, გ. ტაბიძის არქივი, 462 დ. გვ. 9.

⁹⁷ იქვე, გვ. 5147.

2 წლის განმავლობაში, მძიმე ავადმყოფობის გამო, ბევრი არა დამიბეჭდია რა, მაგრამ რაც დაიწერა ვეცდები მოკლე ხანში შევაგროვო და გამოგიგზავნო.

ჩემის აზრით ძლიერ კარგი იქნება, თუ კრებულს შვიდ ნაწილად დაყოფთ, რა თქმა უნდა, თუ ის მოსახერხებელი და შესაძლებელი იქნება. 1. ლექსები 1908—1914 წლამდე. 2. 1914-დან 1918 წლამდე, 3. 1917 წ. ცალკე განყოფილებად, 4. განსაკუთრებული თავი ანტი-ფაშისტური (მესამე ტომი). 5. სამამულო ომის პერიოდი. 6. ომის შემდგომი პერიოდი და 7. მშვიდობაზე. ამით მე მსურს ნაჩვენები იქნას კრებულში ჩემი შვიდი ტომი. ძლიერ კარგი იქნება, თუ ეს განყოფილებები ერთმანეთთან კავშირში იქნება, რითაც წიგნს მთლიანი სახე მიეცემა.

საინტერესოა რა ფორმატის და რამდენი სტრიქონის შემცველი იქნება წიგნი.

თუ მართლაც, თქვენ წიგნს იანერის დამლევამდე ჩააბარებთ. ეს დიდად სასიხარულოა⁹⁵.

გ. ტაბიძის სავარაუდო კრებული გამომცემლობა „საბჭოთა მწერალს“ 1953—59 წლებში არ გამოუცია.

ტომების ტექსტების დამუშავებაში და მათ გამოსაცემად მომზადებაში პოეტი უშუალო მონაწილეობას ლეებლობდა. ხშირია პოეტის მიერ საყვედური, რომ წარდგენილი მომზადებული ტომები სარედაქციო პერიოდში, მოცულობის თვალსაზრისით, ცვლილებას ვანიციდინენ, რის გამოც ავტორი ყოველთვის უკმაყოფილებას გამოსთქვამდა. ტომების შესწავლამ ცხადპყო, რომ ტომიდან ტომში ხშირია ერთი და იგივე ლექსის, ზოგჯერ ციკლის განმეორება (მაგ. IV ტომის ლექსები დაბეჭდილია VI ტომში, ასევე V და VIII ტომებში განმეორებულია I და II ტომებში დაბეჭდილი, 1927 წლის გამოცემაში მოთავსებული ლექსები). პოეტის მიერ წარდგენილ შაკეტებში სწორედ ამ განმეორებებს ექნებოდა ადგილი. რის გამო ტომები მოცულობით სარედაქციო პერიოდში მცირდებოდა.

ამრიგად, გ. ტაბიძის ნაწარმოებთა ტექსტის ნაბეჭდი წყაროების შესწავლამ გამოავლინა გ. ტაბიძის ყოველი ცალკეული ნაწარმოების დღეისათვის ყველა ხელმისაწვდომი წყარო, გამოავლინა ყველა არსებული ავტორიზებული გამოცემა. დადასტურებულია თუ რომელ გამოცემაში იღებდა ყველაზე აქტიურ მონაწილეობას, როგორც ავტორი-შემდგენელი (1914, 1919, 1927): სხვასთან თანარედაქტორობით („აკაკი წერეთელი“, „მშობლიური ჩემო მიწავ“, „მამულო. სი-

⁹⁵ სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, გვ. 8051 - 8053.

ცოცხლო“, „ოქრო აქარის ლაქვარდში“, „რჩეული“, 1944 და 1954 წლები და თხზულებათა ტომები I—VIII). უმრავლეს შემთხვევებში გამოცემებში ტექსტი ავტორიზებულია, რაც კარგ მასალას იძლევა აკადემიური ტექსტის დასადგენად. ნაბეჭდი წყაროების ქრონოლოგიური შესწავლა ავლენს პოეტის შემოქმედებითი შრომის ეტაპებს. რაც გვეხმარება პოეტის „უკანასკნელი ნების“ (როგორც აბსოლუტურის, ისე ქრონოლოგიურის) დადგენაში.

გალაკტიონ ტაბიძის ნაწარმოებთა დათარიღების საკითხი

ტექსტოლოგიური საკითხების გადაჭრა უშუალოდაა დაკავშირებული ნაწარმოებთა დათარიღებასთან—მწერლის შემოქმედებითი მოღვაწეობის დადგენასთან.

ხელნაწერი და ნაბეჭდი წყაროების ქრონოლოგიის დადგენის გარეშე შეუძლებელია იმ არსებითი პრობლემის გადაწყვეტა, რომელსაც დათარიღება ეწოდება. მეცნიერულ (აკადემიურ) გამოცემაში შეუძლებელია ტექსტოლოგიური კომენტარების შედგენა. თუ განსაზღვრული არ არის ნაწარმოების შექმნის, პირველი პუბლიკაციის და განმეორებითი გამოცემების თარიღები.

ტექსტოლოგი გვერდს ვერ აუვლის ნაწარმოების დათარიღებას, რამდენადაც სავალდებულოა (გამოცემის ტიპის მიუხედავად) ჰკითხველს მივაწოდოთ მინიმალური ცნობები მწერლის შემოქმედებითი ისტორიიდან.

ლიტერატურული ნაწარმოების დათარიღება მიზნად ისახავს განსაზღვროს დროის მონაკვეთი ჩანაფიქრის ჩასახვიდან შემოქმედებითი მუშაობის დამთავრებამდე. ბოლო ავტორიზირებულ გამოცემის ჩათვლით (გამოუქვეყნებელი ნაწარმოების შემთხვევაში უკანასკნელი ავტორისეული ხელნაწერის გამოვლენით).

ტექსტოლოგიური საკითხების გადაწყვეტისას, რომლებიც, კერძოდ, დაკავშირებულია ძირითადი ტექსტის დადგენასთან, სხვა რედაქციებისა და ვარიანტების გამოყოფასთან და ა. შ. ცოტაა ვიცოდეთ ნაწარმოებზე მუშაობის დასაწყისი და დასასრული თარიღი. აუცილებელია, თუნდაც პირობითად, შემოქმედებითი მუშაობის სტადიის ქრონოლოგიის დადგენა. ავტორიზებული გამოცემების თანამიმდევრობის ცოდნა.

იშვიათი არაა შემთხვევა, როდესაც ავტორს სიცოცხლეში ნაწარმოები გამოუქვეყნებელი, ანდა დაუმთავრებელი რჩება (მსგავსი მაგალითები გ. ტაბიძესთან არა ერთია, მის არქივში გვხვდება მრავალი გამოუქვეყნებელი და დაუმთავრებელი ნაწარმოების ხელნაწერი). ამ შემთხვევაში დათარიღება ხდება ერთადერთ საშუალებად, რომლითაც ტექსტოლოგი ხელმძღვანელობს თავის მუშაობაში

და საკითხი, თუ რომელი ხელნაწერი (ავტოგრაფები, ასლები, ნუსხები) ასახავს ავტორის მუშაობის პირვანდელ, შუალედურ და ბოლოდროინდელ სტადიას. წყდება მხოლოდ გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების აკადემიური გამოცემის მომზადების დროს, მაგ. ავტოგრაფები და ასლები, გ. ტაბიძის გამოუქვეყნებელი პოემისა. „ძუგუგუდან ბერლინამდე“. მკაფიოდ ასახავენ ავტორის მუშაობის პირვანდელ, შუალედურ და ბოლოდროინდელ სტადიას. პირვანდელ რედაქციაში. დაწერილია 1941 წელს. პოემას ეწოდება „კომპიენის ტყე“, ეს პოემა მან საფუძვლად დაუდო დიდი სამამულო ომის მძინვარე წლებში წარმოებულ კავკასიონის დაცვის გმირულ ეპოპეის ამსახველ პოემას. შუალედური სტადია ასახავს პირვანდელი რედაქციის გადამუშავებას. ახალი შინაარსით ხორცშესხმას, ბოლო ეტაპი კი მის საბოლოოდ ჩამოყალიბებას. აღნიშნული ტექსტოლოგიური საკითხების გადაწყვეტისას ხელნაწერი ნუსხის შესრულების თარიღი იმდენად არაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ ავტორის მუშაობის რომელ სტადიას (პირვანდელს, შუალედურს თუ ბოლოდროინდელს) შეესაბამება არსებული ხელნაწერის ნუსხა და რამდენადაა ის ავტორიტეტული.

იმ ნაწარმოებებისათვის. რომლებიც დაიბეჭდა ავტორის სიცოცხლეში. ტექსტოლოგიისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია პირველი პუბლიკაციის დადგენა და ყველა შემდეგდროინდელი გამოცემების თარიღების ზუსტი აღრიცხვა. ეს საშუალებას აძლევს ტექსტოლოგს არა მარტო აღადგინოს ნაწარმოების ბეჭდვითი ისტორია, არამედ განსაზღვროს, დაადგინოს ნაწარმოების შექმნის თარიღი.

თარიღის აბსოლუტური სიზუსტით დადგენა ყოველთვის არ ხერხდება. რიგ შემთხვევებში დაკმაყოფილება გვიხდება მხოლოდ პირობითი დათარიღებით — არა უადრეს ამა და ამ წლისა (ე. წ. *terminus ante quem*) და არა უგვიანეს ამა და ამ წლისა (ე. წ. *terminus post quem*) რის გამოც ტექსტოლოგიაში გასათვალისწინებელია დათარიღების ორი სახეობის—აბსოლუტურის და პირობითის შესაძლებლობა. აუცილებელია ვიცოდეთ, რომ დათარიღების ხერხები და პრინციპები ძველი და ახალი ლიტერატურის ნაწარმოებებისათვის სხვადასხვაა¹.

¹ კ. კეკელიძე. ძველი ლიტერატურის ძველთა გამოცემისათვის, «რტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან» 1, 1956, გვ. 309.

Д. С. Лихачев, Текстология, Москва—Ленинград, 1962, стр. 268—280; „Основы текстологии“, М., 1962, стр. 171—189.

ახალი ლიტერატურის ნაწარმოებთათვის შესაძლებელია დად-
კინდეს აბსოლუტური თარიღი. დეტალური სიზუსტით. მაგ. გ. ტაბი-
ძის ლექსი „აკაკის ლანდი“ დაწერილია 1915 წ. 30 მარტს; „აკაკის
გარდაცვალების გამო...“ 1915 წლის 26 იანვარს ლამის 1 საათზე;
„მოვა... მაგრამ როდის“ პირველი რედაქცია დაიწერა ქ. მოსკოვში,
1918 წ. 21 ივნისს, სალამოს 10 საათზე და ა. შ. ყოველთვის არ არის
აბსოლუტური თარიღის დადგენის ასეთი შესაძლებლობა.

დათარიღების პირველ და ჩვეულებრივ უტყუარ წყაროს წარ-
მოადგენს ავტორისეული ხელნაწერები და ბეჭდვითი გამოცემები.
თუ მათში მოიპოვება ავტორის მიერ დასმული თარიღები. მაგრამ
ავტორისეული თარიღი ყოველთვის სისრულით არ განსაზღვრავს
ნაწარმოების შექმნის ზუსტ დროს. თარიღი ნაწარმოებს შეიძლება
ჰქონდეს, მაგრამ ის შეიძლება ნიშნავდეს ჩანაფიქრის აღმოცენებას,
შემოქმედებითი მუშაობის დაწყებას. შემოქმედებითი მუშაობის
ყველაზე დაძაბულ მომენტს, ნაწარმოებზე მუშაობის დამთავრებას
ან პირველი თუ ბოლო კორექტურის წაკითხვის თარიღს. ხელნაწე-
რებში არაიშვიათად გვხვდება რამდენიმე ავტორისეული თარიღი,
რომლებიც ფიქსირებენ უკეთეს შემოქმედებითი პროცესის სტა-
დიებს და შეიძლება აღნიშნავდნენ მხოლოდ შავი რედაქციების და-
თარიღებას.

იმ ბედნიერ შემთხვევებშიც კი, როდესაც ცნობილია ავტორისე-
ული თარიღი, ტექსტოლოგი ვალდებულია დაადგინოს რას ნიშნავს
ეს თარიღი და მხოლოდ ამის შემდეგ ვადასწევითს მეცნიერული
დათარიღების საკითხი.

სხვადასხვა მიზეზის გამო. ავტორისეული თარიღი შეიძლება
არ შეესაბამებოდეს ნაწარმოების შექმნის დროს (მახსოვრობის უზ-
უსტობანი და აქედან გამომდინარე შეცდომები. შეგნებული ან გან-
გებ დამახინჯება თარიღისა, ავტორის მიერ ცენზურის თვალის ახვე-
ვის მიზნით და ა. შ.).

ავტორისეული თარიღი შეიძლება აღმოჩნდეს აშკარად არასწო-
რი. რამდენადაც ზოგჯერ სხვადასხვა მიზეზის გამო ავტორი იძულე-
ბულია უჩვენოს არასწორი თარიღი (ასეთი მოვლენები გ. ტაბიძეს-
თან გვხვდება).

დიდია ნაწარმოებების რაოდენობა. როგორც ხელნაწერების.
ასევე ნაბეჭდი წყაროებისა. რომლებიც ავტორის მიერ არ ყოფილან
დათარიღებულნი. ასეთი ნაწარმოებების დათარიღების წყაროები,
საშუალებები და ხერხები სხვადასხვაა. დათარიღების წყაროდ შეიძ-
ლება იქცეს ყოველგვარი პირდაპირი და ირიბი მოწმობა. რომელიც
მოიპოვება როგორც ტექსტში, ასევე მის გარეთ, მის ფაქტობრივ.

იდეურ და მხატვრულ შინაარსში, მაგალითად, გ. ტაბიძის ლექსი „ახალ მერნების წყება“ (იხ. ლექსები, 1927, გვ. 389) უთარიღოა 1922 წელს ჟურნალში „ლომისი“ (№ 1) დაიბეჭდა გ. ტაბიძის მეთაური წერილი „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, ეს წერილი ავტორის ცნობით დაწერილია 1921 წელს (რაც სინამდვილეა). ლექსი „ახალ მერნების წყება“ წარმოადგენს ამ წერილის პოეტურ ასახვას (გ. ტაბიძისათვის დამახასიათებელია პროზად დაწერილის პოეტურად გარდაქმნა). წერილსა და ლექსს შორის დიდი ტექსტუალური ხასიათის დამთხვევაა. განმეორებულია სიტყვები, გამოთქმები და სახეებიც კი. მაგალითად, წერილში ვკითხულობთ: „ეხლა ეს მერნები დგანან ახალი ეპოქის კარებთან და უცდიან გაბედულ მხედრებს. საქართველოში მხოლოდ ეხლა გვიახლოვდება სივრცე, შემოკლებული ნაბიჯებით: რადიო. უმავთულო ტელეგრაფი, აერო, ავტო. მათი საშუალებებით საკითხი. რომელიც ეხლა ირჩევა ვერსალში. სამკედრო-სასიციოცხლოა საქართველოსთვისაც“... ლექსში კი ვკითხულობთ:

ახალ მერნების მსუბუქი წყება
 დგას ჩვენი დროის კართან ვედრებით,
 მათ ენატრებათ თავდავიწყება
 და გაბედული უნდათ მხედრები.
 გზას შემოკლებულს ისინი გრძნობენ
 და გივანტურ ნაბიჯის ლანდებს,
 საღ ტელეგრაფის ისმის სისინი,
 სადაც ჰაერი ქარში ცეცხლს ანთებს.
 რადიო, ავტო! თქვენი ზარებით
 კიბხვა. რომელსაც ვერსალი არჩევს
 ეხლა სამკედრო და სასიციოცხლო:
 უელსის ბრუნვა იტყვის დანარჩენს.

(ლექსის ზოგიერთი სიტყვა და სტრიქონი ზუსტად მეორდება წერილის სწვადანსვა ადგილას). ასეთი დეტალური დამთხვევა როგორც ტექსტში; ასევე მის ფაქტობრივ. იდეურ და მხატვრულ შინაარსში ნათლად მეტყველებს. რომ წერილიც და ლექსიც ერთი და იმავე პერიოდს განეკუთვნება და ამის მიხედვით ლექსი 1921 წლით უნდა დათარიღდეს².

მეორე მაგალითი. ლექსში „ალარ არის მენესტრელი“ (პირველად დაიბეჭდა 1927 წელს, შემდეგ განმეორდა 5 გამოცემაში) ჩანს,

² შეიძლება ვინმემ იუიტიროს, რომ ჯერ წერილია დაწერილი და რამდენიმე ხნის შემდეგ ლექსი, ანდა პირუკუ, მაგრამ ასეთი შემთხვევა გალაკტიონისათვის არაა დამახასიათებელი. ლექს და პროზას ის ერთდროულად წერდა-

რომ პოეტი განიცდის დიდ მწუხარებას, სულიერ ტკივილს, რისი მიზეზიც ისაა, რომ:

აღარ არის მენესტრელი—
უნაზესი დამისა...

ამჟამად, რომ პოეტს კონკრეტული ფაქტი უნდა ჰქონდეს მხედველობაში. ლექსის ავტოგრაფი³ ხსნის ამ ფაქტს. ლექსის პირვანდელი სათაურია „ალექსანდრე ბლოკი“, რომელიც გადახაზულია და მის ნაცვლად ახალი სათაურია მიწერილი—„აღარ არის მენესტრელი“ (ალ. ბლოკს გალაკტიონმა „მენესტრელი“ უწოდა)⁴. უეჭველია, რომ ლექსი დაწერილია ალექსანდრე ბლოკის გარდაცვალების გამო (1921 წელი).

ასეთი პირდაპირი და არაპირდაპირი ცნობები საშუალებას გვაძლევს ნაწარმოების თარიღის დადგენისათვის.

დათარიღებას გააჩნია ზოგიერთი სპეციფიკური თავისებურებანი.

ხელნაწერის შესწავლისას დიდ როლს თამაშობს პალეოგრაფია, ქალაღის ხარისხი, თვისება, კვირნიშნები, კალიგრაფია—ყოველი ეს განეკუთვნება დოკუმენტურ მონაცემებს თარიღის დასადგენად. ძლიერ ხშირია ასეთი დოკუმენტური მონაცემების გამოყენება ძველი ლიტერატურის ძეგლის დათარიღებისას, მაგრამ არც ახალი ლიტერატურის ნაწარმოებების დათარიღებისას არის ეს ფაქტორები უგულველყოფილი. ვინც კარგად გაიცნობს გ. ტაბიძის არქივს, დარწმუნდება თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მონაცემებს თარიღის დასადგენად. აღრეული ქალაღი, ქალაღის ოციანი წლებისა და ომისდროინდელი მელანი, მისი ხარისხი. ავტოკალამი, ბურთულიანი ავტოკალამი, კალიგრაფიული მონაცემები—ყოველი ეს ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორებია და გარკვეულ როლს თამაშობენ ნაწარმოების დათარიღებისას. ამიტომ ხელნაწერების დათარიღება ავტორის არქივის შესწავლასთან ერთად იწყება. ყურადღება უნდა მიექცეს ხელნაწერის განლაგებას რვეულში, დღიურში, უბის წიგნაკში, ხომ არ იძლევა რაიმე ნიშანი საბაბს შესაბამისად დათარიღდეს ლექსი. აქ უნდა ვერიდოთ თარიღის მექანიკურ განსაზღვრას იმის მიხედვით, რომ ნაწარმოები მოთავსებულია რვეულში, რომელსაც საერთო თარიღი აქვს. ასეთი შემთხვევები გ. ტაბიძესთან ხშირია—ეს თარიღი

³ სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, გვ. 5684, ავტოგრაფი უთარიღოა.

⁴ მენესტრელი-პოეტი და მომღერალი შუა საუკუნეების ინგლისსა და საფრანგეთში.

რომელიმე ცალკე ნაწარმოების კუთვნილებაა და მათი განზოგადოება შეცდომაში შეგვიყვანს.

საერთოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს აბსოლუტური დათარიღების საკმარისი საფუძველი იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ მიახლოებითი დათარიღებით. მაგრამ ზოგჯერ ასეთი თარიღის დადგენა არ ხერხდება, ასეთი ნაწარმოები კი უნდა მოთავსდეს გამოცემის სპეციალურ განყოფილებაში, რომელსაც „უთარიღონი“ ეწოდება. ტექსტოლოგიური საქმიანობის ისტორიაში ჯერ არცერთი გამოცემა არ ყოფილა კომპაროტივების ამისგან. ასეთი წინდახედული თავშეკავება უმჯობესია ტექსტოლოგიურ მუშაობაში, ვიდრე გაუმართლებელი „გაბედულობა“; რომელიც აუცილებლად შეცდომებისკენ გვიბიძგებს.

დათარიღების საკითხი მარტო ზემოაღნიშნულით არ ამოიწურება. საკითხის გადაწყვეტისას მნიშვნელოვანია ავტორისა და მის თანამედროვეთა მიერ მოცემული ცნობები დღიურებში, მიმოწერაში და ა. შ. ყველა ეს დამადასტურებელი ცნობა წინასწარ უნდა იქნას შესწავლილი, როგორც თავისი ჭეშმარიტების. ასევე თავისი მნიშვნელობის მხრივ.

ნაწარმოების თარიღის დადგენა შეიძლება განისაზღვროს იმითაც, თუ რა ისტორიულმა ფაქტებმა პოვეს გამოხატულება ტექსტში, რა პირებია დასახელებული მათში. მაგ. გ. ტაბიძეს საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში გამოჩენილ არნახულ გმირობასა და თავდადებაზე არა ერთი ათეული ლექსი აქვს დაწერილი, რომელთა შორის მრავალი უთარიღოა, მათი დათარიღების გასაღებს სწორედ მომხდარი ისტორიული ფაქტი განაპირობებს. ლექსი „ბასეინო ღონის“ დაწერილია საბჭოთა არმიის მიერ დონბასის განთავისუფლების დღეს.—„დღეს რადიოს მოაქვს ცნობა“—ამბობს პოეტი. მსგავსი მაგალითების მოტანა უხვად შეიძლება.

დათარიღების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ნაწარმოების ენა და სტილი. ენისა და სტილის ანალიზით ნაწარმოების დათარიღება დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული იმ მხრივ, რომ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში ნაკლებადაა გამახვილებული ყურადღება ამ კუთხით მწერალთა შესწავლაზე (თვით გამოჩენილ კლასიკოსების მიმართაც კი) იმ შემთხვევაში. თუ გამოკვლეული იქნება მწერლის ენობრივი და სტილისტური თავისებურებანი მწერლის მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში, მხოლოდ მაშინ გამოდგება სტილისტური ანალიზი დათარიღების მიზნად⁵.

⁵ 1961 და 1963 წელს გამოქვეყნდა ვ. ვ. ვინაგრაძოვის ორი მონოგრაფია „Проблема авторства и теория стилей.“, М., 1961 г. „Стилистика.“

ცალკეული ნაწარმოების ნაბეჭდი გამოცემების დათარიღება, ბელნაწერებისა და ნუსხების დათარიღებასთან შედარებით, ნაკლებ სიძნელეს წარმოადგენს, რადგანაც უკანასკნელს გააჩნია დაბეჭდვისა და ცენზურის ნებართვის ცნობები. რაც მკვლევარს საშუალებას აძლევს დააზუსტოს ნაწარმოების შექმნის დროც. მდგომარეობა უფრო რთულია, როცა ლექსთა კრებულთან გვაქვს საქმე, სადაც უთარილო ლექსებიცაა მოთავსებული და მათი თარიღის საკითხი გამოსარკვევი ხდება. ამ შემთხვევაში, თუ არ დადგინდება ცალკეული ლექსის თარიღი, იძულებული ვხდებით კრებულის გამოცემის თარიღით დავკმაყოფილდეთ.

მკვლევარის განკარგულებაში შეიძლება აღმოჩნდეს სხვა ოფიციალური მონაცემებიც, რომლებიც პუბლიკაციის თარიღებს აზუსტებენ. ყოველგვარი განცხადებანი პრესაში (მაგ. ბიბლიოგრაფიული ცნობები: „გამოვიდა ჟურნალი „ლეგია“, რომელშიც მოთავსებულია... გ. ტაბიძე—„შენი ღიმილი“ (1917), ან ჟურნალი „მზიური საქართველო... გ. ტაბიძე „ქალის ქანდაკება“ (1920) და აგრეთვე არაოფიციალური დოკუმენტები (სხვადასხვა პირთა ცნობები).

ნაწარმოების ეშქმნა ხანგრძლივი პროცესის შედეგია. რომელიც არაიშვიათად მოიცავს მრავალ შავ რედაქციას. რომლის დამუშავება არ წყდება ნაწარმოების სტამბაში ჩაბარებამდე. ავტორი მუშაობს კორექტურაზე. გამოცემიდან ახალ გამოცემამდე და ხშირად ცვლან ნაწარმოების პირვანდელ სახეს. თითქოს უკვე აბსოლუტურად დამუშავებულ ნაწარმოებს ახალი რედაქციით ბადებს, ე. ი. ნაწარმოების შექმნის პროცესი გრძელდება პირველი პუბლიკაციიდან ბოლო გამოცემამდე. ამიტომაცაა, რომ მნიშვნელოვანი ნაწარმოებების უმრავლესობა არ შეიძლება აღნიშნოს ერთი თვით ან წლით. ისინი განისაზღვრებიან შუალედური დროით, რამდენიმე წლით (ეს უმთავრესად შეეხება დიდი ტანის ნაწარმოებებს). ასეთ შემთხვევაში ორივე თარიღს (თუ ნაწარმოები დათარიღებულია რამდენიმე წლით) გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და პაექრობა იმის თაობაზე. თუ რომელი წელია უფრო გადამწყვეტი—ჩასახვისა თუ დასასრულისა—მოკლებულია ყოველგვარ აზრს.

ნაწარმოების დათარიღება. მისი შექმნის ისტორიასთან დაკავშირებით, შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი.

Теория поэтической речи. Поэтика“, М., 1963. უკანასკნელში ავტორი აღნიშნავს: Интерес проблемам стилистики и поэтики, подлерживаемый новейшими идеями и размышлениями, как в области общего языкознания, так и в области теории литературы, сильно возрастает и у нас и за рубежом“. (см. В. В. Виноградов, „Стилистика. Теория поэтической речи. Поэтика“. М., 1963, стр. 3).

ტექსტოლოგიაში ყველაზე გავრცელებული შემთხვევებია:

ზ უ ს ტ ი თ ა რ ი ლ ი. ასეთებია გ. ტაბიძის ლექსები: „ქრისტე“, 1914 წ., 3 მარტი; „აკაკის გარდაცვალების გამო“, 1915, 26 იანვარი, „აკაკის ლანდი“, 1915, 31 მარტი, „ძველი ხელები წყდება კალასოს“; 16 აპრილი. აღდგომა, 1922 წ.; „მე ერთად ერთი მქონდა წუხილი“. 19 აპრილი, 1923 წ. და ა. შ. ზოგ შემთხვევაში ასეთი თარიღი გამოიხატება თვისა და წლის სიზუსტით, თუმცა უცნობი რჩება თვის სახელდობრ რომელ დღეს ან საღამოს დაიწერა ნაწარმოები, მიუხედავად ამისა, (მაგ. „ენკენისთვე, 1923 წელი“) რჩება საკმარისად ზუსტ თარიღად:

შ უ ა ლ ე დ უ რ ი თ ა რ ი ლ ი. ასეთი სახით თარიღდება ნაწარმოები როდესაც ის იწერებოდა წლების ფარგლებში. მაგ. გ. ტაბიძის პოემა „აფეთქება“ იწერებოდა 1941—1949 წლებში⁶, მისი დათარიღება ამ წლებით მოხდება.

ო რ მ ა გ ი თ ა რ ი ლ ი. ასეთი თარიღი განისაზღვრება ნაწარმოებზე მუშაობის ქრონოლოგიით, თუ ის იწერებოდა შესამჩნევი შესვენებებით. მაგალითად მწერალმა მუშაობა ნაწარმოებზე დაიწყო 1935 წელს, დასწერა გარკვეული ნაწილი. ხოლო დანარჩენი რამდენიმე წლის შემდეგ (გალაქტიონ ტაბიძესთან ასეთი შემთხვევა არ შეინიშნება). ბუნებრივია, რომ ასეთი ნაწარმოები დათარიღდება ორმაგი თარიღით: 1935, 1942 წწ. ამ შემთხვევაში პრიციპიალური მნიშვნელობა ენიჭება მძიმეს (.), რომელიც ყოფს ამ ორ თარიღს. ისინი უჩვენებენ იმაზე, რომ ნაწარმოები შექმნილია ორჯერადი მიმართვის შედეგად 1935 და 1942 წლებში და ამ თარიღებს შორის, როგორც მტკიცება. ნაწარმოებზე მუშაობა არ წარმოებულა. ასეთი სახის დათარიღება არსებითად განსხვავდება ე. წ. ფ ა რ თ ო თ ა რ ი ლ ი ს ა გ ა ნ, სადაც ორი თარიღი შეერთებულია ტირეთი (—). აქ ტირე მიუთითებს შემოქმედებით პროცესის ხანგრძლივობაზე, რომელიც შესაძლებელია მითითებულ დროში შეწყვეტილი იყო (და არა ერთხელ). მაგრამ არც ეს შეწყვეტა და არც ქრონოლოგია ნაწარმოებისადმი შემოქმედებითი მიმართვისას არ ექვემდებარება ზუსტ განსაზღვრას. ასეთი შემთხვევების დროს მიზანშეწონილია ნაჩვენები იქნას ნაწარმოებზე მუშაობის დასაწყისის და დამთავრების თარიღი. ამის ნათელი ნიმუშია გ. ტაბიძის პოემა „ძაუგიდან ბერლინამდე“, რომელიც იწერებოდა 1941—1945 წლებში.

⁶ და არა 1950 წელს, როგორც ამას გ. ჩიკობავა აღნიშნავს. იხ. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1960 № 2, გვ. 83.

აღნიშნული დათარიღებანი არ იწვევენ ეჭვებს, მაგრამ ისინი ყოველთვის არ აღნიშნავენ აბსოლუტური სიზუსტით დროს, როდესაც იქმნებოდა ნაწარმოები.

პირობითი დათარიღება გამოიხატება მ ი ა ხ ლ ო ვ ე ბ ი თ დათარიღებაში. მიხსლოვებითი თარიღი უჩვენებს ნაწარმოების შექმნის სავარაუდო წელს. თვეს და ამიტომ მას თან ახლავს კითხვის ნიშანი (?)—“ 1924?“, ეს დათარიღება მიზნად ისახავს ნაწარმოების შექმნის შესაძლებელი დროის უკიდურესი ქრონოლოგიური ზღვარის დადგენას.

გვხვდება ასეთი დათარიღებაც 192... ე. ი. ნაწარმოები დაიწერა 1920—1929 წლებში, მაგრამ არ ვიცით ზუსტად როდის ჩამოყალიბდა იგი.

გამოცემის კომპოზიციაში, რომელიც შენდება ქრონოლოგიურ ან ქანრობრივ-ქრონოლოგიური ნიშნების მიხედვით (მით უმეტეს, აკადემიურ გამოცემაში), პირველხარისხოვანი როლი მიეკუთვნება იმ თარიღებს. რომლებიც დადგენილია მკვლევართა მიერ, რადგან ასეთ გამოცემაში მეცნიერული დათარიღება გაცილებით მნიშვნელოვანია ავტორისეულ დათარიღებაზე: გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა გამოცემა მეცნიერული მნიშვნელობით editio princeps წარმოადგენს და უდავოა. რომ ამ გამოცემაში მეცნიერულ დათარიღებას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

პირველ პუბლიკაციასა და შემდეგდროინდელ გამოცემებში, თუ ავტორმა არ მოახდინა თავისი ნაწარმოების არსებითი ცვლილება. ნაწარმოები თარიღდება მასზე ავტორის მუშაობის დაწყებიდან იმ ხელნაწერამდე. რომელიც გამომცემლობას ჩაბარდა.

თუ ვადაშუავება ეჭვმდებარება სტილისტურ დახვეწას. ნაწარმოები თარიღდება დაწერის დროით (მით უმეტეს ლექსი) და არა პირიქით.

ის ნაწარმოებები, რომლებიც ცნობილია არიან ორი ან რამდენიმე დამთავრებული რედაქციით და სხვადასხვა თარიღით. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ავტორის უკანასკნელ ნებას. პირველი რედაქციისა და მისი თარიღის შესახებ ყველაფერი აღნიშნული უნდა იქნას შენიშვნებში. მაგ. 1940 წელს თხზულებათა III ტომში უთარიღოდ დაიბეჭდა ლექსი („შუქი აღმოსავლეთისა“). რომლის ავტორგრაფი (არქივი, გვ. 3323) იძლევა ზუსტ თარიღს: 1936 წ. 8 ივნისი. 1947 წელს ეს ლექსი ცვლილებებით დაიბეჭდა თხზულებათა IV ტომში (გვ. 30), თარიღით 1941 წელი, ხოლო თხზულებათა VII ტომში (გვ. 23) და „რჩეული“ 1954 წელი (გვ. 81) ლექსი ახალი სათაურით — „კრემლი“ დაიბეჭდა და დათარიღდა 1942 წლით (გამო-

რაცხული არაა. რომ ასეთ შემთხვევაში დათარიღების ამოსავალი წერტილი ტექსტის ისტორიის შესწავლა გახდეს.

დგება საკითხი: რომელი თარიღი ჩავთვალოთ ძირითადად — დაწერისა (1940) თუ გამამუშავებისა (1941), თუ ისინი. როგორც წესი. თანასწორუფლებიანნი არიან?

არავითარი სავალდებულო გადაწყვეტილებანი აქ არ შეიძლება უქნას რეკომენდებულს. მხოლოდ ისტორიულ-ლიტერატურულ და ტექსტოლოგიურ ანალიზს შეუძლია უჩვენოს გზა მართებული გადაწყვეტილებისაკენ. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ თვით ავტორი როგორ ბეჭდავდა ასეთ ნაწარმოებებს.

თუ ავტორის მსოფლმხედველობის ევოლუციის შედეგად ნაწარმოები კარდინალურად არის გამამუშავებული—ასეთი ნაწარმოები აუცილებელია არა მარტო დათარიღდეს ორმაგი თარიღით. არამედ აუცილებელია გამოცემაში განლაგდეს გამამუშავების თარიღის შესაბამისად.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმ ნაწარმოებების დათარიღება, რომლებიც შედიოდნენ ციკლებში, ანდა გვიანდელ პერიოდში გაერთიანდნენ სხვადასხვა დროს დაწერილი ცალკეული ნაწარმოებები ერთ ციკლში. ჩვენ არა გვაქვს უფლება. ზუსტი ქრონოლოგიის დაცვის მიზნით. დავარღვიოთ ავტორის მიერ სიცოცხლეში გამოცემული ციკლები და კომპოზიციური აგებულება. მაგ. გ. ტაბიქემ „ეპოქაზე“ მუშაობის დროს ერთ ნაწარმოებად აქცია 1924—1927 წლებში დაწერილი ლექსები: „ქარი მსოფლიო ომის მათუწყებელი“ (1924); „ცეცხლი“ (1927); „არ ბრწყინვალე არ ენთები“ (1927); „სანატორია“ (1927); „დაღალული ჯარისკაცი“—„იგი ომის“ სასელწოდებით).

„ეპოქა“, „პაციფიზმი“, „რევოლუციური საქართველო“ პოეტმა თვითონ დაშალა ცალკე ლექსებად და დაასათაურა კიდევ. თუმცა ამავე დროს მან ზოგიერთი ლექსი ამ ციკლებიდან ადრეული წლებით დაათარიღა. მაგ. ლექსი „თანასწორი“, რომელიც პირველად დაიბეჭდა ჟურნ. „მნათობში“ (1928. № 8—9, გვ. 34), შემდეგ „ეპოქაში“, გვ. 161; „თხზულებანი, ტ. II, 1935, გვ. 300; „რჩეული“, 1944. კვ. 146 და „რჩეული“ 1954, გვ. 22—დათარიღებულია მხოლოდ უკანასკნელ გამოცემაში 1917 წლით.

ციკლების დათარიღება მნიშვნელოვან სიძნელეს წარმოადგენს. ნათი თარიღი დგება, ერთი მხრივ. ცალკეულ ნაწარმოებთა დაწერის, თუნდაც არა სავსებით დამოუკიდებელ ნაწარმოებთა თარიღისაგან და. მეორე მხრივ. ციკლის ფორმირების თარიღისაგან (მისი შემდეგ-

დროინდელი, მრავალრიცხოვან გადაშეშვების თარიღის გათვალისწინებით) ციკლის ზოგადი ქრონოლოგია ხშირად ათეული წლებით იფარგლება და მისი ზუსტი მეცნიერული დათარიღება მოიცავს დროის მთელ პერიოდს. მაგ. გ. ტაბიძის პოემა „მოგონებები იმ დროისა, როცა იელვა“ 1924 წელი, შეიცავს ლექსს. რომლის ავტოგრაფი დათარიღებულია 1921 წლით (ავტოგრაფი ნამდვილად პირველადია). პოემაში შერწყმის შედეგად მან გარკვეულ ვარიანტული ცვლილებები განიცადა, მიუხედავად ამისა. პოემა 1924 წლით უნდა დათარიღდეს.

დათარიღების პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ისტორიულ-ლიტერატურული, არქეოგრაფიული, წყარომცოდნეობის მასალების სათანადო ცოდნით. დათარიღების პრობლემის მთელი რიგი დებულებები, რომლებიც დამუშავებულია საბჭოთა ტექსტოლოგიების მიერ, ჩვენი მხრივ გამოყენებულია მთლიანად და რიგ შემთხვევებში მათ ვეყრდნობით. ამ თვალსაზრისით საკითხის ირგვლივ დიდძალი ლიტერატურის ერთგვარ შემაჯამებელს წარმოადგენს ავტორთა კოლექტივის მიერ სახელმძღვანელოდ დამუშავებული „ტექსტოლოგიის საფუძვლების“ სპეციალური თავი „ნაწარმოებთა დათარიღების პრობლემა“⁷.

თარიღი ავტორისეული ტექსტის განუყოფელი ნაწილია. იმ შემთხვევაში. როდესაც დოკუმენტური მასალა, ტექსტის ისტორიის მეცნიერული შესწავლა იძლევა საბუთს დაარღვიო ავტორისეული თარიღი. ტექსტოლოგი ვალდებულია გადამწყვეტი. პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მიანიჭოს კვლევა-ძიებით დადგენილ თარიღს.

მხედველობაშია მისაღები ერთი გარემოება. სახელდობრ, პოეტის ინდივიდუალური თვისება ლექსების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

პირველი სიძნელე ახალბედა პოეტმა გ. ტაბიძემ 1908 წელს გადალახა, როდესაც მან, ალბათ, მოკრძალებით შეაღო იმდროინდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციების კარი და მათ მესვეურებს გაუბედავად წარუდგინა თავისი ლექსები.

პირველი ლექსების გამოქვეყნების შემდეგ გ. ტაბიძე აქტიურად თანამშრომლობდა მრავალ ქართულ პერიოდულ გამოცემაში. დაბრკოლება ლექსების გამოქვეყნებაში გ. ტაბიძეს არ ჰქონდა.

1916—1918 წლებში (1917 წლის იანვრიდან დეკემბრამდე გალაკტიონი საქართველოშია, ქუთაისში, რის გამოც შესაძენეია მისი

⁷ იხ. „Основы текстологии“, М., 1962, стр. 171—189.

სიახლოვე ქართულ რედაქციებთან. ამ ხანებში ის ხშირად აქვეყნებს ლექსებს) გ. ტაბიძე მოსკოვსა და პეტერბურგშია, რის გამოც მისი მონაწილეობა ქართულ პერიოდულ პრესაში იშვიათია.

ლექსების I (1914 წ.) და II (1919 წ.) ტომებში ყველა ლექსი უთარილოა.

1927 წლის ლექსების კრებულში 695 ლექსიდან პოეტის მიერ დათარიღებულია მხოლოდ 95 ლექსი.

1937 წლის თხზულებათა I ტომის გამოცემიდან იწყება ავტორის მიერ ლექსების დათარიღება (განსაკუთრებით 1908—1925 წლების ლექსების მიმართ. ამ თარიღებს იმეორებენ შემდეგში გამოსული კრებულები და „რჩეული“ 1959 წ.).

1954 წელს პოეტმა მოახდინა ლექსების ხელახალი დათარიღება თავის „რჩეულში“ (შემდგენელი ბ. ჩიქობავა).

თხზულებათა II, III, IV, V, VI, VII და VIII ტომებში ლექსების ამსოლუტური უმრავლესობა უთარილოა.

1927 წლის ლექსთა კრებულში, ამ ყველაზე ავტორიტეტულ ავტორიზებულ გამოცემაში, მოთავსებულმა ლექსებმა, რომლებიც იშვიათად არიან დათარიღებულნი, გვიან სულ სხვადასხვა თარიღები მიიღეს.

არის შემთხვევები, როდესაც ავტორს ადრე დაბეჭდილი ლექსებისათვის შემდეგ მოგვიანო თარიღი აქვს მიცემული. არაიშვიათია, როდესაც ლექსების დათარიღებისას პირუკუ მოქმედებას აქვს ადგილი.

ნაწარმოების ტექსტოლოგიურ გამოკვლევაში მთავარი და არსებითია ტექსტის ისტორიის შესწავლა. შემოქმედებითი პროცესის ამსახველ დოკუმენტებს ტექსტოლოგი შეჰყავს მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში. ამ აზრით „ავტორის ნების“ დარღვევა ზოგჯერ ტექსტოლოგის კვლევა-ძიებითაა ნაკარნახევი. ტექსტოლოგიური გამოკვლევა იძლევა საფუძველს გადავსინჯოთ ავტორის ხელმოწერილი დოკუმენტები, რამდენადაც აკადემიური (მეცნიერული) გამოცემის მომზადებისას, რომელიც ჟანრობრივ-ქრონოლოგიურ პრინციპზე იგება, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა კვლევა-ძიებით დადგენილ თარიღებს ენიჭებათ.

გ. ტაბიძის მიერ მრავალი ლექსი დათარიღებულია 1915, 1916, 1917 წლებით, სინამდვილეში კი ეს ლექსები 1910—1914 წლებშია დაწერილი და გამოქვეყნებული. მაგალითად: „შემოდგომა“—პოეტის მიერ დათარიღებულია 1916 წლით—ლექსი გამოქვეყნდა 1910 წელს „სახალხო გაზეთში“.

„ყვაილები“—დათარიღებულია 1916 წლით, გამოქვეყნდა 1910 წ. ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“.

„ხომლი“—დათარიღებულია 1917 წ. გამოქვეყნდა 1912 წ. ჟურნალში „განათლება“.

„მე ამ ყვაილებს“—დათარიღებულია 1916 წლით, გამოქვეყნდა 1914 წელს ლექსების ტ. I.

„თვალწვედენელი. დაუსაბამო“—დათარიღებულია 1916 წ., გამოქვეყნდა გაზ. „განთიადი“, 1913 წ.⁸. ანალოგიური მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, მათი დასახელება შორს წაგვიყვანს.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ლექსი ადრეა დათარიღებული, დაიბეჭდა კი გვიან. მაგ.

„შემოღამება“—დათარიღებულია 1909 წლით, გამოქვეყნდა 1912 წ. ჟურნ. „განათლება“.

„სერენადა“ დათარიღებულია 1908 წ. გამოქვეყნდა 1912 წ. ჟურნ. „განათლება“.

„გამოსალმება“—დათარიღებულია 1910 წ.; გამოქვეყნდა 1912 წ., ჟურნ. „განათლება“.

„ქალალი“—დათარიღებულია 1908 წ.—გამოქვეყნდა 1952 წ. (ავტოგრაფი უჩვენებს ზუსტ თარიღს).

„გამონაკლისი“—პირველად დაიბეჭდა თხზულებათა III ტომში, 1940 წ. დათარიღებულია 1910 წ.

„იდეა“—დათარიღებულია 1922 წლით. პირველად დაიბეჭდა გაზ. „წითელ არმიელში“ 1932 წ.

„ცაზე ლეგანი სცურავს ვარსკვლავების“—პირველად გამოქვეყნდა თხზ. ტ. II, 1935 წ.

1925 წელს ჟურნალ „მნათობში“ (№ 10) გ. ტაბიძე ათავსებს ას ლექსს.

ამ ასი ლექსის გამო პოეტს გაუკეთებია საკმაოდ დიდი ჩანაწერი, რომელშიაც იგი გვიამბობს:

„—ასი ლექსი წამოიძახა მოსემ⁹—ბრავო! რამ დაგაწერინა, შე კაცო, ასი ლექსი... ძვირფასი ამბავია, მაგრამ... ამას ხომ ჟურნალის ასი გვერდი მოუნდება, ჰა, შენ ამბობ, რომ მხოლოდ თორმეტი გვერდი იქნებაო... ძალიან კარგი... რანაირად მოახზირე ახლა შენ მაი...ა? —

⁸ 1919 წელს (გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, № 63) ერთ-ერთი რეცენზენტი (მარინეტი-ტი?) წერდა: „ლექსის „შემოღამება“ უმანკო ჩასახების მამათა საუბანოში“ — თარიღი აღნიშნულია 1917 წლით, რაც ჩვენ საფუძვლიანად გვაეპყვებს. ლექსი უფრო [1919 წ.] ორიოდ თვისა ვიდრე ორიოდ წლისა“.

⁹ მოსე—მოსე გოგიბერძიძე, (1897-1949) თსუ პროფესორი, რომელიც 1925 წელს ჟურნალ „მნათობის“ პასუხისმგებელი მდივანი იყო.

—მოვახაზირე სულ უბრალოდ: ოთხ-ოთხი სტრიქონი ერთ-სტრიქონად გადავაქციე.

—მეორე რაიზა ჰქენი მაი საქმე... დარჩენილიყო ოთხ-ოთხ სტრიქონად. მე შენს ადგილზე ასე მოვიქცეოდი: ნელნელა ვბეჭდავდი თითო ლექსს, თითო ნომერში. ესეც შენი ასი ნომერი „მნათობისა“. ეხლა კი ასი ლექსია და ჰონორარს კი მიიღებ ერთი ლექსისას... რეიზა შობი ახლა მაგ საქმეს, ა?

—იმისათვის, ჩემო მოსე, რომ უმჯობესია ლექსები დაიბეჭდოს ეხლავე, თორემ სულ ერთია დაშეკარგება ან გადამაფიწყდება, მერეც ისა, რომ ლექსების ჰონორარით არავის უცხოვრია ჩვენში და მე როგორ შეიძლება, რომ ვიცხოვრო? დეე, ასი ლექსი ერთ ლექსად ჩაითვალოს, არაფერია, გავძლებთ...

—დაიცა, დაიცა. რას ამბობ, ვერ გავიგე ეს როგორაა სხვები თითო ლექსს ათ-ათჯერ ბეჭდავენ, შენ კი... ასი ლექსი გინდა ერთ ლექსად ჩაგითვალონ... მესამე კიდეც რაო?

—ისა კიდეც, ჩემო მოსე, რომ კიდეც ბევრი... მაქვს და თუ თითო თითოდ ვბეჭდე, ძან ადრე კი მოვრჩები საქმეს...

—ორიგინალური კია,—სთქვა მოსემ,—ასი ლექსი ერთად ვისმეს რომელიმე ყურნალში რომ დაებეჭდოს არ მაგონდება... მოიცა, როგორაა „პროლოგი“...?

„რა საოცარი დასრულდა წლები...“

მშვენიერია, იშვიათია... მე მეგონა, რომ შენ ეფექტის კაცი ხარ, გინდოდა გაგეოცებინა ხალხი ორიგინალური სათაურით: ასი ლექსი!

—არა, ჩემო მოსე, შეცდომაში არავინ შეგიყვანოს, რა დროს ორიგინალობაა, შეიძლება ხვალ მოგეცდეს და ეს ლექსები მაინც დაბეჭდილნი დარჩეს...

ამ საუბარში რომ ვიყავით, შემოვიდა პალო (იაშვილი— ი. ლ.), მან იმ წუთშივე მოჰკრა თვალი სათაურს,... ასი ლექსი... იცნო ჩემი ხელიც...

—მაჩვენე, თუ ძმა ხარ, შეეხვეწა მოსეს...

ა-ა-ა... არა მაქვს უფლება და მოსემ ხელნაწერი თავის უზარმაზარ პორტფელში გადაუშვა (რედაქცია ეს პორტფელი იყო)...

მეორე დღეს ასი ლექსი სტამბაში იყო გაგზავნილი ასაწყობად. მეორე თუ მესამე დღეს საგურამოში მომიხდა წასვლა, როდესაც ჩამოვედი... ყურნალი გამოსული იყო და ჩემი ასი ლექსი დაბეჭდილი... პალოს... რუსთაველის პროსპექტზე შეეხვდი. მან მითხრა:

—აი, როგორ შეგყავს ხალხი შეცდომაში...

— როგორ თუ შეცდომაში.

—შენ დაბეჭდილი გაქვს არა ასი, არამედ 98 ლექსი, ორი ლექსი აკლია!

—როგორ?

—აი, ნახე!

დავთვალე. მართლაც ასის ნაცვლად 98 ლექსი იყო.

იმწამშივე სტამბაში გავექანე. მოვიკითხე ჩემი ხელნაწერი. იქ მართლაც ამოღებული იყო ერთი ლექსი“...¹⁰.

1927 წლის ლექსების კრებულში ეს ლექსები უთარილოდ დაიბეჭდა, ხოლო 1937 წელს (თხზულებათა ტ. I), და 1954 წელს „რჩეულში“ 98 ლექსიდან 35 ლექსი გადათარილდა (ასე მაგალითად: ლექსები: „ღამე ხეობაში“, „ავადმყოფს“, „ერთი გავარდნილი კაცი“, „ყვავილების ქალი“, „მშვიდობიანი სიმღერა დების“, „გააფთრებული რომ იყოს ლომი“, „ქარმა ბუდიდან ყვავის ბახალა“, „თოვლი იყო ორიბი, აღმაცერი“ და „ყანები“ და თ ა რ ი ლ ე ბ უ ლ ი ა 1915 წლით; „ლოცვაზე უფრო“, „სულ ადვილია რწმენა“, „გზად ვეშურები მკზავრი“, „ქალაქ“, „ვარ გენია რიბანელი“, „დადგა ავეისტო“, „სასაფლაონი“, „შემოდგომის ყვავილები“, „შემოდგომის მოტივებიდან“, „წერილიდან მისადმი“, „სალამო სოფლად“, „არ დაღუპულა“, „კვადავიარეთ მრისხანე ზღვები“, „წყნარი ზღვა“, „რუს პოეტს“. „იარე, კაცი შენ არა გქვიან“. „იქით ნუში აქეთ ნუში“, „შინდისის კადრებს“ — და თ ა რ ი ლ ე ბ უ ლ ი ა 1916 წლით. „შემოდგომა“, „უბინაო ბავშვები“, „ალუჩა შვიდი წლის ბავშვი“, „ბავშვები კაფეში“, „სამი ღრუბელი“, „რა დამშვიდებით გადავცქერი მსოფლიო ღელვებს“. „მოგონება ყრუ შესახვევის“. „შუადღის გულმოდგინება“—და თ ა რ ი ლ ე ბ უ ლ ი ა 1917, 1918 წლებით; ხოლო „იქ პოეზიის ფრიალებს დროშა“. 1916, 1912 და 1908 წლებით. პოეტის არქივში დაცულმა პირვანდელმა ხელნაწერებმა გამოავლინა ზოგიერთი ამ ლექსის დაწერის ნამდვილი თარიღი. ლექსები, რომლებსაც არ მოეძებნებათ სათანადო დამადასტურებელი წყაროები თარიღების მონაცემების დასაზუსტებლად უნდა დაიბეჭდოს 1925 წ. თარიღით.

აღნიშნულ ჩანაწერში („—ასი ლექსი“) პოეტი ასახელებს პირებს და ლექსების სათაურებს. რომლებიც საზოგადოების მოწონებას იმსახურებდა. ჩამოთვლილი პირები (ირაკლი ტოფაძე, პაოლო იაშვილი, მოსე გოგიბერიძე, გ. აგარელი, გიგლა მებუჯე და ა. შ.) კარგად იცნობდნენ გ. ტაბიძის პოეზიას და შეუძლებელია მათ არ შეენიშნათ ძველი ლექსების განმეორება.

¹⁰ სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, 100 დ. გვ. 18.

ამრიგად, ეს ლექსები (რამდენიმეს გამოკლებით) უმთავრესად 20-იანი წლების ნაყოფია.

„ეპოქის“ ცალკე ლექსებად დაშლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა გამოცემაში ისინი უთარილოდ იბეჭდებოდნენ. 1954 წლის „რჩეულში“ 1914 წლის თარიღით აღნიშნულია: ლექსი „მკაცრია ამ დროს“ (პირველად გამოქვეყნდა ჟურ. „მნათობი“, 1928, № 7; ბიბლიოგრაფიულ მასალაში ლექსი დათარიღებულია 1923 წლით)¹¹. ლექსი „შორთა ყინულთა მხრები“ (ბიბლიოგრაფიაში 1910 წლით); 1916 წლით „ჰქუხდე გულისთქმავ“ (ბიბლიოგრაფიაში. 1926, ლაში 1928 წლით). „მოელვარე გზით“; 1918 წლით—ლექსი: „ფიქრი ზღვის პირას“ (ასევეა დათარიღებული ეს ლექსი—„რჩეული“, 1944 წელი, პოეტის ბიბლიოგრაფიაში 1928 წლით). 1927 და 1920 წლით: „სტანსები“; 1917 წლით—„თანასწორი“ (ბიბლიოგრაფიაში, 1926 წლით); 1916 წლით „ჰქუხდე ვულისთქმავ“ (ბიბლიოგრაფიაში 1926 წლით); 1921 წლით:—„სამაისო სიმღერებიდან“ (ბიბლიოგრაფიაში—1928 წლით); „არგონავტები ახალი დროს“— (ბიბლიოგრაფიაში—1925 წლით); „სტრიქონები“—1922 წლით; 1923 წლით—„განთიადმა სტყორცნა შუბი“; 1925 წლით „რამდენ ღამეს მოელო ბოლო“ (ბიბლიოგრაფიაში—1926 წლით); 1927 წლით—„სალამი ახალი გზით გაერთიანებულ საქართველოს“ (ბიბლიოგრაფიაში—1928 წლით); „სხივი ტალღებში“, „ინტერნაციონალი“, „სიცოცხლით მთელი შემოქმედებით“, „მაინც სწამდა გამარჯვება“, „გაუმარჯოს მებრძოლ თაობას“ (ბიბლიოგრაფიაში 1923 წლით). „გასწი იარე“. „გახსოვს ის ქარბუქი“. ჩვენ არა ვართ წინააღმდეგი 1927 წლით დათარიღებული ლექსები ამავე თარიღით დაიბეჭდონ აკადემიურ გამოცემაში, რადგანაც „ეპოქაზე“ მუშაობა 1927 წელს მიმდინარეობდა.

„რევოლუციურ საქართველოდან“ ლექსი—„ქარბუქი მუსიკის ხმათა“ 1954 წლის „რჩეულით“ 1924 წლით დათარიღდა (ბიბლიოგრაფიაში ლექსი დათარიღებულია—1930 წლით); ლექსი „ძველი და ახალი ხიდი“ დათარიღდა 1927 წლით (ბიბლიოგრაფიაში—1928 წლით).

ლექსი „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავლო ქარო“ 1954 წლის „რჩეულში“ დათარიღდა 1922 წლით (ბიბლიოგრაფიაში—1932 წლით). ამ ლექსის შესახებ არსებობს ერთი მოარული ლეგენდა,

¹¹ სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, გვ. 021370—110; III. 41 დ., ავტობიოგრაფია, „რჩეულის“ მაკეტი.

რომლის მიხედვით: „ქუთაისიდან მატარებლით მომავალმა პოეტმა ვილაცას პაპიროსის კოლოფზე წაუწერა:

წყალტუბოდან ქუთაისში
მიმავლო ქარო

უცნობმა მგზავრმა ძვირფასი წარწერა ეურნალ „მნათობის“ რედაქციაში მიიტანა; იქ გალაკტიონის ხელი იცნეს და დაბეჭდეს. შემდეგ ხალხმა ეს ლექსი აიტაცა და სიმღერად აქცია“¹². პოეტ ი. ნონეშვილის ცნობით მის პირად არქივში ინახება პაპიროსის კოლოფის სახურავზე დაწერილი ეს ლექსი. რომელიც მას პოეტმა რუსთაველის ძეგლის მახლობლად აჩუქა 1940 თუ 1941 წელს. პროფ. ა. გაწერელია სპეციალურად ეხება ამ ლექსს თავის მოგონებაში „ლერწამი და გობელუნი“. იგი წერს: „ეს იყო ომის წინ. კომუნარტა ბადის შესავალთან შეეხვდი (გ. ტაბიძეს — ი. ლ.) მთხოვა „გლეხთა სახლის“ ქვეშ, სასადილოში შეეყოლოდი. როცა მაგიდასთან დავსხვდი, მან პორტფელიდან რაღაც ქაღალდები ამოალავა.

ახალი ლექსები უნდა წაგიკითხო—მითხრა... ლექსები ლურჯი მელნით იყო ნაწერი, მხოლოდ ერთ საკმაოდ გრძელ და ვიწრო ქაღალდების დასტის პირველ ფურცელზე ფანქრით ეწერა რამდენიმე ტაეპი. ინტერესი გამოვიჩინე სწორედ ამ... სტრიქონების მიმართ, გალაკტიონმა მითხრა, რომ აპირებდა ქუთაისზე ვრცელი პოემის დაწერას... მან ნაწერი გადმომცა და მეც მივადევნე თვალი ტაეპებს:

წყალტუბოდან ქუთაისში
მიმავლო ქარო...

მე ვთხოვე გალაკტიონს არ გაეგრძელებინა იგი და სასწრაფოდ გადაეცა დასაბეჭდად. გალაკტიონი შეყოყმანდა. მე დაჟინებით გავუმეორე თხოვნა, რომელიც მან შემისრულა კიდევ. ლექსი „მნათობში“ გამოქვეყნდა დამოუკიდებელი კუპლეტის სახით“¹³

გაზ. „ქუთაისში“ დაიბეჭდა მ. ასათიანის მოგონება „ორი შეხვედრა“, სადაც ვხვდებით ასეთ ადგილსაც:

„მუხრანის ტყესთან... მოულოდნელად მსახიობებს წაავწყდით... ქარი მოგვეძალა. ჩვენი დანახვისთანავე შალვა ღამბაშიძე ყველას მიესალმა. მიესალმა გალაკტიონს და მისი ლექსი უთხრა:

წყალტუბოდან ქუთაისში მიმავლო ქარო

გალაკტიონი გაოცდა:

¹² გ. ჩიქობავა, „გალაკტიონის ახლო“. „საბჭოთა ხელოვნება“, 1960, №2.

¹³ ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, I, 1962, გვ. 630.

—უყურეთ შალვას ახლა თქვენ! ეს ლექსი მგონია არცკი დამიბეჭდია. საიდან ისწავლა ასე უცებ? რას ნიშნავს ნიჭიერი მსახიობი!“¹⁴.

აღნიშნულ შეხვედრას ადგილი ჰქონია რიონჰესის მშენებლობის პერიოდში. მარჯანიშვილის სახ. თეატრის ქუთაისში მოღვაწეობის დროს. თეატრი ქუთაისიდან თბილისში 1930 წელს გადმოვიდა ე. ი. ამ წლისათვის ლექსი დაუბეჭდავი ყოფილა. გ. ტაბიძეს ლექსი 1932 წლით აქვს დათარიღებული თავის ლექსების ბიბლიოგრაფიაში¹⁵.

აზრთა სხვადასხვაობის და თვით ავტორის მიერ რამდენიმე თარიღის მიცემის გამო გამართლებულია ლექსი დათარიღდეს პირველი პუბლიკაციის მიხედვით.

1941 წელს ჟურნ. „მნათობში“ (№1) დაიბეჭდა გ. ტაბიძის ლექსი „ლენინის ხსოვნას“ (რჩეული. 1944 წელი—„სალამო ნისლში“). რომელიც 1954 წლის „რჩეულში“ დაიბეჭდა ახალი სათაურით „მასთან არიან“ და (ლექსის შინაარსის გამო) დათარიღდა 1924 წლით.

ლექსი „ვწერ ვინმე მესხი მელექსე“ პირველად გამოქვეყნდა გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1943, №7, რომელმაც „რჩეულში“, 1959 წელი მიიღო ახალი დათარიღება 1936 წ. (!); ლექსი „პემაპულო“ პირველად გამოქვეყნდა გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ 1938 წელს, 1954 წლის „რჩეულში“ კი დათარიღდა 1941 წლით (!) ლექსი „ოცნება აპარისწყალთან“ პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „საბჭოთა აპარაში“ 1935. I, 1954 წლის „რჩეულში“ კი ლექსი 1940 (!) წლითაა დათარიღებული (ლექსი დაიწერა სინამდვილეში 1934 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში). ლექსი „მოგონება სევოსტოპოლზე“ პირველად გამოქვეყნდა ჟურნ. „მნათობში“, 1942, №11—12. 1959 წ. კი „რჩეულში“. ლექსი 1944 წლითაა დათარიღებული. ლექსი „ხარკოვს“ 1954 წლის „რჩეულში“ დათარიღებულია 1944 წლით. ნაცვლად 1943 წლისა (ამ წელს განთავისუფლდა ხარკოვი გერმანელ ოკუპანტებისაგან და ლექსშიც ამაზეა ლაპარაკი).

ცალკე შევჩერდებით ორი ლექსის თარიღზე. ეს ლექსებია: „პირველი მაისი“ და „გადანახული დროშები“. ორივე ლექსი ავტორის მიერ დათარიღებულია 1908 წლით.

„პირველი მაისი“. პირველად დაიბეჭდა ჟურნ. „მნათობში“ 1933 წელს (№5). არსებობს ამ ლექსის რამდენიმე ავტოგრაფი, რომელთაგან ერთი უთარიღოა (4763), ერთი (3265) დათარიღებულია.

¹⁴ გაზ. „ქუთაისი“, 1963, № 196, 197, 199; აგრეთვე „ცისკარი“, 1964, №5.

¹⁵ სსსმ, გ. ტაბიძის არქივი, გვ. 021370—110, 41 დ. და ავტობიოგრაფია.

1905 წლით, ხოლო ავტოგრაფი 5381. რომელიც ჩვენის დაკვირვებით პირვანდელია, დათარიღებულია ზუსტი თარიღით: 1933 წელი. 26 აპრილი.

პოეტის მიერ მესამე პირით დაწერილი ავტობიოგრაფიაში აღნიშნულია: „1905 წ.—გალაკტიონი მონაწილეობას იღებს მოწაფეთა არალეგარულ შეკრებებში. რომლებიც იმართებოდა ძველი ციხის ნანგრევებში. ექ კითხულობს ლექსს „პირველი მაისი“¹⁶.

ლექსს ავტოგრაფები ქალაღლისა და ხელის მიხედვით უღაოდ 30-იანი წლების შემდეგდროინდელია. უტრნ. „მნათობი“ და 1954 წლის „რჩეულში“ დაბეკდილ ტექსტებს ავტორის შენიშვნა: „ლექსი წაკითხული არალეგარულ საღამოზე 1908 წელს. პირველ მაისს“— არ ერთვის.

„პირველი მაისის“ ბაგრატის ციხის ნანგრევებში წაკითხვა მოწაფეობის პერიოდში დაადსტურა თავის მოგონებაში გ. მიხელიძემ¹⁷, რომლის ცნობამ იძულებული გაგვხადა შეკითხვებით მოგვემართა მოგონების ავტორისათვის. პასუხში გ. მიხელიძემ აღნიშნა:

„გადაქრით ვაცხადებ. რომ კარგად ვიცნობ გალაკტიონის ყრმობის პერიოდს... მოწაფეობის პერიოდი (1899 1910) ჩვენ ერთად განვლეთ და ვფიქრობ. რომ ამ პერიოდის მის ცხოვრებას ბევრზე უკეთ ვიცნობ... მეკითხებით: „შეგიძლიათ თუ არა დარწმუნებით თქვათ. რომ სწორედ ეს ლექსი წაკითხა ავტორმა. რომელსაც ჩვენ ვიცნობთ. თუ ის სხვა რედაქციას წარმოადგენდა?“

გიპასუხებთ: „მოგონებებში“.. მე არ მითქვამს. რომ ბაგრატის ტაძრის გაღავანში წაკითხული ლექსი „პირველი მაისი“ ზუსტად (სიტყვა-სიტყვით) იგივე „პირველი მაისი“ იყო (იმავე რედაქციით), რომელიც პირველად დაიბეკდა 1933 წელს. როგორც მახსოვს. ის „პირველი მაისი“. რომელიც გალაკტიონმა წაკითხა ვგონებ 1907 წელს... რადგან არ მახსოვს ზუსტად. მაგრამ ეს წელი უნდა ყოფილიყოს „პირველი მაისის“ წაკითხვის წელი და არა 1908 წელი. ვინაიდან ამ უკანასკნელი წლის მაისში ჩვენ დავამთავრეთ სწავლა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში და კარგად მახსოვს ის მაისი, მაგრამ არ მახსოვს. რომ „პირველი მაისი“ იმ წელს წაკითხულიყოს. უფრო პრიმიტიული უნდა ყოფილიყო როგორც შინაარსის მხრივ. ისე ფორმითაც. ეს გარემოება გასაგები უნდა იყოს: 1907 წლიდან 1913 წლამდე განვლო 26 წელმა და ამ ხნის განმავლობაში გალაკტი-

¹⁶ სსღმ. გ. ტაბიის არქივი.—გვ. 021371—110.

¹⁷ უტრნ. „მნათობი“, 1962, № 11, გვ. 175.

ონი ცხადია იზრდებოდა, ვითარდებოდა და განა ის თავის ლექსს, დაწერილს 1907 წელს, ჯერ გამოუქვეყნებელს, იმავე პრიმიტიული შინაარსითა და რედაქციით დაბეჭდავდა?¹⁵

ეს ცნობა ადასტურებს, რომ „პირველი მაისის“ ბოლონდელი რედაქცია შექმნილია 1933 წელს. რასაც ადასტურებს ავტოგრაფი 5381.

ჩვენ შეუძლებლად ვთვლით, რომ პოეტს „პირველი მაისი“ არ გამოექვეყნებინა 1933 წლამდე. თუ ის ადრე (1908 წელს) იყო დაწერილი. ლექსში გატარებული კლასობრივი თვალთახედვა და იდეური მრწამსი, თავისი მოწიფულობით, ეწინააღმდეგება ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფეთა თვალთახედვას, რომელთა უმრავლესობა სოფელი მოუმზადებელი ყმაწვილები იყვნენ და 1905 წლის ამბებს სტიქიურად მიჰყვებოდნენ, მათ ცნობიერებაში ჯერ კიდევ ბუნდოვნად იყო ასახული მიმდინარე მოვლენების ისტორიული აზრი და არსი.

არც სტილისტური ანალიზი ადასტურებს ავტორისეული თარიღის მართებულობას. ყოველი ზემოთ თქმული და განსაკუთრებით ავტოგრაფი 5381, იძლევა საშუალებას ვუარვყოთ ავტორისეული თარიღი და ბოლონდელი რედაქციით ლექსი დავათარიღოთ 1933 წლის 26 აპრილთ.

„გადანახული დროშები“ პირველად გამოქვეყნდა 1950 წ. (თხზულებათა ტ. VII), 1908 წლის თარიღით. არქივის მასალის შესწავლამ დაადასტურა, რომ ლექსი გვიანდელი ხანისაა. 40-იანი წლების დასასრულისთვის გ. ტაბიძეს მანქანაზე გადაუღია თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა ხელნაწერ ჟურნალ „შუქის“ „ასლები“. ამ ასლებში შეტანილია ლექსი „გადანახული დროშები“ და სხვა მასალაც (მაგალითად: „ამხანაგებს“, „გაყიდული სინდისი“ და ა. შ. რომელთაგან პირველი ეკუთვნის ქუჩუ ქავთარაძის („დემონის“). ხოლო მეორე ვლ. ფარნიევის („ლადო ოსის“) კალამს¹⁶.

თბილისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებმა 1908 წელს კამოსცეს ხელნაწერი ჟურნალი „შუქი“²⁰ (მისი რედაქტორი-გამომცემელი გ. ტაბიძე იყო), მასში ლექსი „გადანახული დროშები“ არ მოთავსებულა. პოეტის არქივში მრავლადაა შემონახული ამ ლექსის მანქანაზე ნაბეჭდი ასლები. ერთ-ერთ მათგანზე²¹ პოეტის ხელით

¹⁵ გ. მიხელიძის ეს წერილი ინახება ჩვენთან (დაყოფა ჩვენია—ი. ლ.).

¹⁶ ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1964, № 6. გვ. 55—58.

²⁰ სსლმ, გ. ტაბიძის არქივი. გვ. 8410—8420.

²¹ ი.ქვე, ა-30. გვ. 8.

მიწერილია: „გამოქვეყნდა ჟურნ. „შუქში“ (?) — მსგავსმა თვითდა-
მარწმუნებელმა. არგუმენტებმა განაპირობეს ამ ლექსის (ასევე ზო-
გიერთი სხვა ლექსის) დათარიღება 1908 წლით.

მსგავსი მაგალითების აღნუსხვა შორს წაგვიყვანს, ზემოთ ჩვენ
მიერ საკმარისად იქნა ილუსტრირებული ლექსების დათარიღე-
ბისადმი ავტორის დამოკიდებულება.

სწორედ ასეთმა ტექსტოლოგიურმა წანამძღვარებმა განაპირო-
ბეს გ. ტაბიძის ზოგიერთი ლექსის თარიღის გადასინჯვის საკითხი.

ერთი რომელიმე ავტორისეული თარიღის არჩევით ტექსტო-
ლოგი უარყოფს სხვა ავტორისეულ დათარიღებას (ხოლო უარყო-
ფის დოკუმენტური საბუთი მას არ გააჩნია). თარიღის ნებისმიერ
არჩევა სუბიექტივიზმის უდავო გამოვლინება იქნება.

ამიტომ, იმ შემთხვევებში, როდესაც არ მოგვეპოვება სათანა-
დო დამამტკიცებელი საბუთი, ყველაზე გამართლებული იქნება და-
ვეყრდნობა დათარიღებას პირველი პუბლიკაციის მიხედვით. ეს მე-
თოდი არ შეიყვანს შეცდომაში არც ტექსტოლოგს და არც ლიტერა-
ტურის ისტორიის მკვლევარს.

საერთოდ, გალაკტიონი, ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ისწრა-
ფოდა, რომ გამოცემებში ლექსების თარიღები სიზუსტით ყოფი-
ლიყო აღდგენილი²². ამ საკითხის მართებული გადაწყვეტა მისი
თსზულებების მეცნიერული გამომცემლების ვალია.

დათარიღების პრობლემებისადმი საგანგებო ყურადღების გამა-
ხვილება იმიტომაცაა საჭირო, რომ ამით საშუალება გვეძლევა სრულ-
ყოფილი წარმოდგენა ვიქონიოთ მწერლის შემოქმედებით განვითა-
რებაზე.

გ. ტაბიძის შესანიშნავი პოეტური მოწოდება:
დრო, დრო აღნიშნე! მოაწერე ლექსს
ეს წელიწადი, დღე და საათი

სწორედ ამას გულისხმობს.

²² სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, გვ. 6611.

ტექსტის ძირითადი წყაროს არჩევა

კლასიკოსის თხზულებათა მეცნიერული (აკადემიური) გამოცემისას ტექსტოლოგმა მისთვის ცნობილი ტექსტის მრავალრიცხოვანი ნაბეჭდი და ხელნაწერი წყაროებიდან უნდა აირჩიოს ერთი, რომელიც საფუძვლად დაედება გამოცემას. ამ შემთხვევისათვის არჩეულ ტექსტს ძირითადი ტექსტი ეწოდება.

ძირითადი ტექსტის არჩევა ტექსტოლოგიური და ლიტერატურული ანალიზის შედეგია.

ტექსტოლოგი ანალიზებს ნაწარმოების ტექსტის ხარისხს. ტექსტის წყაროს ხარისხიანობის დასადგენად ის უდარებს ერთმანეთს ყველა მისთვის ცნობილ, ჩვენამდე მოღწეულ და შემონახულ ნაბეჭდ და ხელნაწერ წყაროს. როგორც ლიტერატურათმცოდნე. იგი ანალიზს უკეთებს ნაწარმოების შინაარსს და თუ ის უდარებს არსებულ რედაქციას ნაწარმოების სხვა რედაქციას, მიიღობს იმ მიზნით, რომ დაადგინოს ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის სახეცვალება.

ტექსტოლოგის მუშაობაში ნაწარმოების ანალიზის აღნიშნული ორივე სახეობა დიალექტიკურადაა დაკავშირებული. ტექსტოლოგს არ შეუძლია ტექსტის წყაროს შესწავლისას შემოიფარგლოს მხოლოდ ტექსტოლოგიური საკითხებით, ყურადღება არ მიაქციოს ნაწარმოების იდეურ-მხატვრულ შინაარსს. ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის საკითხების უკულებეღყოფა ტექსტოლოგს მიიყვანს მცდარ დასკვნებამდე.

ტექსტოლოგის წინაშე დგას ტექსტის ძირითადი წყაროს არჩევის პრობლემა. ე. ი. ისეთი ტექსტის მოპოვების (დაძებნის. არჩევის), რომელიც სიზუსტითა და სისრულით გამოხატავს—რა სურდა უკანასკნელად ეთქვა ავტორს თავისი ნაწარმოებით.

რუსული ტექსტოლოგიის პრაქტიკაში ძირითადი ტექსტის არჩევანს განსხვავებული პრინციპები არსებობდა. მაგ. პ. ან ნ ე ნ ი კ ო ვ შ ა მის მიერ რედაქტირებულ პუშკინის თხზულებებში ვაატარა ესლუტილურ-ზნეობრივი პრინციპი. მისი აზრით. „საზოგადოებანს ესა-

ჭიროება ის პუშკინი, რომელიც ერთხმადაა აღიარებული რუსული საზოგადოების აღმზრდელად¹.

3. ე ფ რ ე მ ო ვ მ ა წამოაყენა გამოცემის აბსოლუტური და უცილობელი სისრულის პრინციპი².

1907 წელს ს. ვ ე ნ გ ე რ ო ვ მ ა უარყო ზოგადი, მთლიანი გამოცემისათვის, ტექსტის არჩევის პრინციპი და მოითხოვა ყველა ცალკეული ნაწარმოების გამოცემა „იმ ორიგინალის მიხედვით, რომელიც ითვლება ყველაზე ავტორიტეტულად მოცემულ ნაწარმოებისათვის“³.

1914 წელს მ. გ ო ფ მ ა ნ მ ა წამოაყენა პრინციპი—ნაწარმოების გამოცემისას დაყრდნობდნენ იმ რედაქციას, რომელიც გამოქვეყნდა იმ წლებში, როდესაც ავტორი ყველაზე პოპულიარული იყო⁴.

თავისებური პრინციპი წამოაყენა პ. ს ა კ უ ლ ი ნ მ ა, რომლის მიხედვითაც ტექსტის არჩევა უნდა წარმოებულყო ეპოქის ხასიათით გათვალისწინებული რედაქციით⁵.

აღნიშნული პრინციპები ძირითადადში წარმოადგენდნენ ტექსტების გამოსაცემად მომზადების წმინდა პრაქტიკულ ხერხებს და ტექსტოლოგები. რომლებიც ანხორციელებდნენ მათ თავიანთ გამოცემებში. უმრავლეს შემთხვევებში არც კი ცდილობდნენ თეორიულად დაეასაბუთებინათ მათ მიერ შემოთავაზებული ხერხები. გამოემუშავებინათ ტექსტების მომზადების საკუთარი მეთოდოლოგია.

ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში რუსეთში სამმა ტექსტოლოგმა: მ ო დ ე ს ტ გ ო ფ მ ა ნ მ ა, გ ი ო რ გ ი ვ ი ნ ო კ უ რ მ ა და ბ ო რ ი ს ტ ო მ ა შ ე ვ ს კ ი მ სკადეს გაეაზრებინათ წარსული პრაქტიკოსებისა და თავიანთი საკუთარი ცდები სპეციალურ შრომებში.

1922 წელს გამოვიდა (ორ გამოცემად) მ ო დ ე ს ტ გ ო ფ მ ა ნ ი ს წიგნი „პ ი რ ვ ე ლ ი თ ა ვ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს ა პ უ შ კ ი ნ ი ს უ ე - ს ა ხ ე ბ ო“. რომელშიაც სამართლიანად იყო მითითებული, რომ დღემდე (ე. ი. 1922 წლამდე) პუშკინოლოგიაში ვერ იქნა მიღწეული

¹ М.М. (Анненков П. Е.) Новое издание Пушкина, „Вестник Европы“, 1981 г., февраль, стр. 912.

² Пушкин А. С. Сочинения. Под редакцией П. А. Ефремова, 3 издание.

³ Пушкин А. С. Сочинения. Под редакцией С. А. Венгрова, СПб, 1907, т. I, стр. 5.

⁴ Сочинения Е. А. Барятинского. Под редакцией П. Л. Гофмана, СПб, 1914; т. I.

⁵ П. С а к у л и н. рецензия—„Голос минувшего“, 1913, № 6, стр. 259., დაწვრილებით იხილეთ Л. Д. Опульская. Эволюция мировоззрения автора и проблема выбора текста. Вопросы текстологии. 1957, ч. I стр. 98. 103.

კემშარიტად პუშკინისეული ტექსტის დადგენა. მ. გოფმანის განცხადებით „რედაქტორი... თვალყურს უნდა ადევნებდეს იმ გარემოებას, რათა პუშკინის ერთბიროვნულ-მხატვრული ნება არ დაირღვეს გარეშე ჩარევებისაგან“⁶.

მ. გოფმანმა შემოიტანა ხმარებაში ცნება—„ავტორის ნება“, რომელიც მისი გაგებით შეუზღუდავია (თვითმპყრობელურია) და მისი შენარჩუნება წარმოადგენს კანონს რედაქტორის მუშაობაში. მ. გოფმანის აზრით, „ავტორის ნებას“ გამოხატავს ნაწარმოების ძირითადი ანუ კანონიკური ტექსტი (გოფმანი თავის ტერმინოლოგიაში არ ანსხვავებს ამ ცნებებს), რომელიც უნდა გამოქვეყნდეს⁷.

კითხვაზე — რა არის ძირითადი ტექსტი? — მ. გოფმანი პასუხობს: „ძირითად ტექსტად უნდა გვემსახუროს პუშკინის ნაწარმოებთა ის დასრულებული და საბოლოო ტექსტი, რომელიც მის მიერვე აღიარებულია და რომელიც უკანასკნელად იყო მის თვალწინ ნაბეჭდი გამოცემისა თუ ხელნაწერის სახით“⁸. ასეთი მიდგომა მ. გოფმანის მტკიცებით, მუდმივი და ურღვევია. „უკანასკნელი ნაბეჭდი ტექსტი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არ ჩნდება ექვის ჩრდილი იმაში, რომ ცვლილება (ამ ტექსტში წარსულში) მოხდა ცენზურის მოთხოვნით, ანდა მაშინ, როდესაც ჩვენ ხელთაა პოეტის სუფთა ხელნაწერი, რომელიც უკანასკნელ ნაბეჭდ ტექსტზე გვიანდელ პერიოდს ეკუთვნის“⁹. არავითარი სხვა ცვლილებების შეტანა ტექსტში—მ. გოფმანის აზრით,—არ შეიძლება. თუნდაც მასში იყოს კორექტურული შეცდომა, რამდენადაც ეს კორექტურული შეცდომა ავტორის მიერ ნაპოვია და გასწორებული არ არის. ეს კი ნიშნავს, რომ ავტორის „თვითმპყრობელურ ნებას“ სურდა ყოფილიყო ტექსტში ასეთი შეცდომა და ჩვენ ვალდებულნი ვართ ქედი მოვიხაროთ მის წინაშე. მ. გოფმანის ეს გადაწყვეტილება კატეგორიულია და მასში არავითარი გამონაკლისი დასაშვები არ არის. მ. გოფმანი იმდენად დარწმუნებული იყო თავისი პოზიციის სისწორეში, რომ წერდა: „ჩვენი დებულება უკანასკნელი, საბოლოო ტექსტის შესახებ, როგორც კანონიკური ტექსტის საფუძველზე, ითვლება ყველას მიერ მიღებულ აქსიომად და თეორიაში, პრინციპში, არა-

⁶ М. Гофман. Первая глава науки о Пушкине. Пб., 1922, стр. 56.

⁷ იქვე, გვ. 148.

⁸ იქვე.

⁹ იქვე, გვ. 151.

ვის გაუხდია ის სადავოდ¹⁰. გოფმანის ამ კატეგორიულმა განცხადებამ გამოიწვია მძაფრი პასუხი პუშკინოლოგებისაგან.

მ. გოფმანის მოსაზრებათა წინააღმდეგ გამოვიდა ბო რ ი ს ტ ო მ ა შ ე ვ ს კ ი, რომელმაც სტატიისში: „ახალი პუშკინის შესახებ“¹¹ გადმოგვცა თავისი მოსაზრებანი ტექსტოლოგიის საკითხებზე: „დასაშვებია,—წერდა ბ. ტომაშევსკი,—უწინარეს ყოვლისა, ეკვი შეგვეპაროს თვით არჩევის პრობლემის მეცნიერული დაყენების კანონიერებაში.... ხომ უდავოა, პოეტის ყოველი მიმართვა პოეტური ფორმისადმი არის უეჭველი პოეტური ფაქტი, რომელიც ფიქსირებულია პოეტური დოკუმენტით... სხვადასხვა დროის „შესწორებების“ (უფრო სწორად „ცვლილებების“) არსებობა მოწმობს პოეტის მხატვრულ ცვალებადობაზე. ჯერ კიდევ არ არის ცნობილი რომელი სტადია უფრო ძვირფასია ჩვენთვის—პირველი თუ უკანასკნელი... ძალიან გაუბრალოებულია ქრონოლოგიური კრიტერიუმი: რაც გვიანდელია, ის უკეთესია.. თუნდაც შესწორება გამოიწვია გარეშე მიზეზმა (ცენზურა), თვით ფაქტი გადამუშავებისა რჩება პოეტური შემოქმედების ფაქტად“¹². ე. ი. ყოველ ცალკეულ პოეტურ ფორმას, ავტორის მუშაობის ყოველ ეტაპს ამ ფორმის შესაქმნელად; გააჩნია დამოუკიდებელი მნიშვნელობა და რადგან ეს ასეა, მაშინ უარყოფა ერთი ფორმისა და არჩევა მეორისა გამოცემისათვის არაკანონზომიერია.

მ. გოფმანის მიერ შემოტანილ „ავტორის ნებას“ ბ. ტომაშევსკი თვლის „სუსტ მეთოდოლოგიურ ხერხად“... როგორ დავადგინოთ „პოეტის ნება? რანაირი ანდერძი დაგვიტოვა მან ჩვენ? ანდა იყო თუ არა ასეთი ერთიანი „კანონიკური“ ნება? ნება იცვლებოდა და ყოველი რედაქცია აღნიშნავს ნების ცვალებადობას... ნების პრობლემა ტავტოლოგიური განმეორებაა პრობლემისა, „პირველი“ და „უკანასკნელი“ მდგომარეობისა... არ უნდა იყოს არავითარი არჩევა, არავითარი უპირატესობა“¹³.

1928 წელს ბ. ტომაშევსკიმ გამოსცა ნაშრომი—„მწერალი და წიგნი (ტექსტოლოგიური ნარკვევი)“¹⁴, რომელშიაც ის წინანდებუ-

¹⁰ მ. გოფმანი, „დასახელებული წიგნი. გვ. 151.

¹¹ Б. Томашевский, Новое о Пушкине. Журн. „Литературная мысль“, 1921, № I.

¹² იქვე, გვ. 172.

¹³ იქვე, გვ. 173 (დაყოფა ჩვენია—ი. ლ.).

¹⁴ Б. Томашевский. Писатель и книга, Л., 1928. Изд. П., 1959, под редакцией Б. Эйхенбаума.

რად უარყოფდა „ავტორის ნებას“. ეყრდნობოდა რა თავის წინანდელ წარმოდგენას ლიტერატურული პროცესის შესახებ, როგორც დამოუკიდებელს შემოქმედისაგან. ის წერდა: „ნაწარმოებს ქმნის არა ერთი ადამიანი. არამედ ეპოქა. იმის მსგავსად, როგორც არა ერთი ადამიანი. არამედ ეპოქა ქმნის ისტორიულ ფაქტებს“¹⁵. ავტორი მრავალ მიმართებაში წარმოადგენს მხოლოდ საშუალებას (იარაღს). თავის ნაწარმოებში ის ხშირად იღებს უკვე მზა მასალას, რომელიც მას ეძლევა ლიტერატურული ტრადიციით. ის უცვლელად ქმნის თავისას. ინდივიდუალურს; ე. ი. დამახასიათებელს მისთვის, როგორც ვარკვეული მხატვრული პიროვნებისათვის. შინაგანი ტელეოლოგია ასეთ გადატანითი ხერხისა ზოგჯერ განისაზღვრება ავტორის განზრახვის გარეშე“¹⁶. ეს დასკვნები სავსებით შეესაბამება იმ დებულებას, რომელიც ტომაშევსკის ადრე კჰონდა გამოთქმული: „ამოფარება“ „ავტორის ნებას“... არ შეიძლება. რადგან თვით ავტორი არაა თავისუფალი თავისი ნაწარმოების მიმართ“¹⁷.

ლაპარაკობს რა ტექსტის კრიტიკაზე, ე. ი. ოპერაციაზე. რომელზედაც ძირითადად მუშაობს ტექსტოლოგი, ბ. ტომაშევსკი ამჯერად უკვე აღარ უარყოფს ტექსტის არჩევის უფლებიანობის პრობლემას. უფრო მეტიც, თვლიდა რა ტექსტოლოგიის ამოცანად—„მივცეთ ია ტექსტი. რომელიც ყველაზე მეტად გამოხატავს ნაწარმოების მხატვრულ შენობას“. სხვაგვარად—„ის ტექსტი. რომლის მოცემას აპირებდა ავტორი“—ბ. ტომაშევსკი მიდის იმ დასკვნამდე. რომ „შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ავტორის უკანასკნელი გადაკეთებანი. ყველაზე მეტად. ზუსტად გადმოგვცემენ ნაწარმოების მხატვრულ შენობას“. მაშასადამე, აქ ბ. ტომაშევსკი ცნობს აგრეთვე „ტექსტის უკანასკნელ ავტორისეულ პრინციპს“. რომელიც მისივე სიტყვებით „საერთოდ იძლევა მართებულ შედეგს“. მაგრამ ბ. ტომაშევსკი იქვე დასძენს. რომ ეს პრინციპი „თავისთავად იმდენად მექანიკურია. რომ არ შეიძლება ემსახუროს საფუძვლად ტექსტების კრიტი-

¹⁵ ბ. ტომაშევსკის აბსტრაქტული „ეპოქა“ არავითარ „ისტორიულ ფაქტს“ არ ქმნის. ეპოქა ნასიათდება ისტორიული ფაქტებით, რომლებიც შექმნა არა ერთმა ადამიანმა, არამედ ნაღობმა.

¹⁶ Б. Томашевский. „Писатель и книга“, 1959, стр. 152. დაწვრილ. იხ.: В. С. Нечаев а. „Проблема установления текстов в издании литературных произведений XIX—XX вв. „Вопросы текстологии.“ I, М., 1957, стр. 29—88; „Основы текстологии.“ М., 1962. стр. 90—122.

¹⁷ Б. Томашевский. „Новое о Пушкине.“ журн. „Литературная мысль.“ 1921, №, I. стр. 173.

კას. ის უფრო პრაქტიკული წესია. რომელიც გამართლებულია უმრავლეს შემთხვევაში¹⁵.

უკანასკნელად შევიხო ტომაშევსკი ტექსტის არჩევის საკითხს მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამართულ ტექსტოლოგიურ საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე 1954 წელს (ქ. მოსკოვი, 10-13 მაისი). მან წინანდებურად უარყო „ავტორის ნების“ პრინციპი (მას მოჰყავს მაგალითი: პუშკინმა „გაფრილიად“ გაანადგურა, ჩვენ კი პოემას ვბეჭდავთ); ბ. ტომაშევსკის აზრით „ავტორის ნებას“ ტექსტოლოგი შეჰყავს „ფსიქოლოგიზმის ტევრში“. გარდაცვლილი მწერლის ნების განსაზღვრა მისთვის „მაგიაა“; ბ. ტომაშევსკის ტექსტოლოგიის ძირითადი პრინციპის დადგენა ახირებად მიიჩნია. „როგორი ძირითადი პრინციპია ეს, თუ მისგან შეიძლება გამონაკლისის გაკეთება. განა აკეთებენ გამონაკლისის გრამატიკის ძირითადი პრინციპებიდან? 1952 წელს ლექციებში ტექსტოლოგიის შესახებ ბ. ტომაშევსკი აღნიშნავდა: „ჩვენში დიდ მსვლელობაშია „ავტორის ნების“ ფორმულა. რა არის ავტორის ნება? სადაა ფიქსირებული ეს ნება?

ეს ცნება მერყევა. სუფთა აბსტრაქტული ფორმულაა. არც ბოლო გამოცემა და არც ავტოგრაფი ყოველთვის არ გამოხატავენ ავტორის ნებას და რომელ „ნებაზე“ უღნა ვილაპარაკოთ ჩვენ?“¹⁶...

გიორგი ვინოკურმა თავისი ტექსტოლოგიური პოზიცია ჩამოაყალიბა წიგნში — „პოეტური ტექსტის კრიტიკა“¹⁷. იგი დასაწყისშივე ეკამათება მ. გოფმანს კითხვაზე — რა არის ავტორის ნება? გ. ვინოკურის მტკიცებით: „პოეტის ნების“ კრიტიკიუმს უკავია საერთო ადგილი ტექსტოლოგიურ ლიტერატურაში... ნ. კ. პიქსანოვი გოფმანზე არა ნაკლებ დაბეჭითებით მიუთითებს პოეტის ნებაზე. როგორც ტექსტის კრიტიკის ძირითად პრინციპზე და ეს „ნება“ გ. ვინოკურის აზრით: „იმდენადვე ცვალებადია, როგორც ის ტექსტი, რომელშიც ის თავისთვის ამქლავნებს“¹⁸. ამიტომ არ არის გადაჭრილი არცერთი უტყუარი შემთხვევა, რომელშიც შეგვეძლოს დავა. რომ ამა თუ იმ პოეტური ჩანაფქრის გაფორმება არის გაფორმება ნამდვილად საბოლოო. შემოქმედებითა სწრაფვამ არ იცის არავითარი საზღვრები. ის არასოდეს არ პოულობს დამშვილებას.

¹⁵ Б. Томашевский, Писатель и книга.⁴ 1959, стр. 175. (დაყოფა ჩვენია—ი. ლ.).

¹⁶ იქვე გვ. 272. შტრ. Стеннограмма Текстологического совещания (Москва. 1954, 10—13 Мая, стр. 357—370).

¹⁷ Г. О. Винокур. „Критика поэтического текста“, М., 1927.

¹⁸ იქვე, გვ. 16.

ამიტომ თვით საკითხის დასმა, — აღნიშნავს გ. ვინოკური, — „ავტორის ნების“ შესახებ მ. გოფმანის მიერ არა სწორია (თუმცა, როგორც „სამუშაო ჰიპოთეზა“ ვინოკურის აზრით, დასაშვებია). ამასთან ერთად გ. ვინოკური შენიშნავს: გოფმანი ამ საკითხს წყვეტს სავსებით ლოგატიურად, იმ ტექსტის უკანასკნელი რედაქციის დამოწმებით, რომლის შესახებ ამ შემთხვევაშია საუბარი“...²². განსაკუთრებით ეკამათება გ. ვინოკური მ. გოფმანის მკაცრ მოთხოვნას უკანასკნელ ტექსტში შესწორებების დაუშვებლობის გამო: „მოდესტ გოფმანი, რომელიც თაყვანს ცემს ავტორის ნებას, რაშიც არ უნდა გამოიხატოს იგი. თავისი კეთილსინდისიერებით და წესიერებით იქამდე მიდის, რომ ვერ ბედავს გასწორებას იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ჩვენ წინ პოეტური შეცდომა კი არა, არამედ აშკარად სტამბური ან გრაფიკული ხასიათის შეცდომაა“²³.

გ. ვინოკურს არ აკმაყოფილებს მთლიანად არც ბ. ტომაშევსკის ტექსტოლოგიური პოზიცია²⁴, მიუხედავად იმისა, რომ ბ. ტომაშევსკის უარყოფითი დამოკიდებულება მ. გოფმანის თეორიასთან გაზიარებულია გ. ვინოკურის მიერ.

გ. ვინოკური ასე აყალიბებს თავის ტექსტოლოგიურ შეხედულებებს: „ფილოლოგიურ მეცნიერებაში დაუშვებელია ვამტკიცოთ: არავითარი მითითებანი ავტორის ნებაზე, უკანასკნელ რედაქციებზე, დანარჩენ მექანიკურ კრიტერიუმებზე და ნორმებზე; არავითარი მითითება, რომ ფაქტი არის ფაქტი, ხოლო წაკითხვა ჩვენ არ გვეხება. სათანადო ანალიზის შედეგად, რომელიც განსაკუთრებული და სპეციფიკური აზრით მსგავსი „კანონი“ მაინც არსებობს, ხოლო არჩევის პრობლემა მეცნიერულად უნდა იქნას დაყენებული“. მეტიც, იგი თანახმაა, რომ უმრავლეს შემთხვევაში უკანასკნელი რედაქცია შეიძლება ნამდვილად წარმოადგენდეს, „კანონს“, ე. ი. ყველაზე სრულად და დამთავრებულად განასახიერებდეს ავტორის მხატვრულ ჩანაფიქრს, თანხედეს „ავტორის ნებას“, მაგრამ ეს კანონიკური რედაქცია უნდა დაექვემდებაროს კრიტიკულ შეფასებას²⁵.

გ. ვინოკურის აზრით — მთავარი მეთოდოლოგიური მოთხოვნა, რომელიც მოთხოვრება ტექსტის კრიტიკულ დადგენას, მდგომარეობს იმაში, რომ „არ დავეყრდნოთ მთლიანად ერთ რომელიმე რედა-

²² გ. ვინოკური, დასახელებული წიგნი, გვ. 14.

²³ იქვე, გვ. 71.

²⁴ აღსანიშნავია, რომ გ. ვინოკური მსჯელობს ტომაშევსკის შესახებ, მხოლოდ მისი პირველი წერილის მიხედვით „Новое о Пушкине“ რადგან ტომაშევსკის წიგნი მის შემდეგ გამოვიდა.

²⁵ გ. ვინოკური, დასახელებული წიგნი, გვ. 44.

ქციას მისი შემოწმების გარეშე, ავტორის შესასწავლ ნაწარმოებზე ქრონოლოგიური სტადიის შედგისა და სხვა ყოველგვარი წყაროების გაუთვალისწინებლად“²⁶.

რა დასკვნამდე მიდის გ. ვინოკური?

მას მოჰყავს გერმანელი ფილოლოგის გ. პოსის დებულება: „ტექსტის კრიტიკის მთელი მეცნიერება მდგომარეობს იმაში, რომ ავტორისეული ტექსტის პრეტენზიის მქონედან რეკონსტრუირებული იქნას ნამდვილი, კანონიერი და უტყუარი ტექსტი (Pos. N. J. Kritische Studien, S, 13). ამ დებულებას გ. ვინოკური იღებს სახელმძღვანელო თეზად და აყალიბებს ტექსტოლოგის მუშაობის ხასიათს: „იწყებს რა ლიტერატურული ძეგლის შესწავლას, კრიტიკოსი თავის გარეშე ხედავს მხოლოდ ნამტვრევების გროვას, რომელთაგანაც ის ხელახლა აგებს მხატვრულ მთლიანს, (ნაწარმოებს), ცალკეული წვრილმანი ნაირწყაიბხვების კონკრეტული განმარტებებისა და ყველა ხელმისაწვდომი წყაროს შეპირების საფუძველზე“²⁷. მაშასადამე, საყოველთაო შემთხვევაში „ყოველი კრიტიკულად დადგენილი და ნამდვილი ტექსტი არის შენაჯერი ტექსტი“²⁸.

მ. გოფმანის, ბ. ტომაშევსკის და გ. ვინოკურის თაობის წარმომადგენელია ბ. ეიხენბაუმი, რომელიც მათთან ერთად ითვლება საბჭოთა ტექსტოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად. ბ. ეიხენბაუმს განსაზღვრული ჰქონდა დაეწერა, ორმოცწლიანი ტექსტოლოგიური მუშაობის გამოცდილების საფუძველზე, ვრცელი ნაშრომი „ტექსტოლოგიის საფუძვლები“. ავტორმა 1953 წელს გამოცემლობას გადასცა თავისი მომავალი წიგნის კონსპექტი; უეცარმა სიკვდილმა მეცნიერის განზრახვა დაუმთავრებელი დატოვა. მისი კონსპექტი საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ ავტორის მთავარ დებულებას ძირითადი ტექსტის არჩევის საკითხში. იგი ნაწარმოების ძირითად ტექსტად მიიჩნევს იმ ტექსტს. რომელიც ავტორის სიცოცხლეში უკანასკნელად იყო დაბეჭდილი: „სინამდვილეში, თუ ნაწარმოები ავტორის სიცოცხლეში უმრავლეს შემთხვევებში ექვემდებარება სხვადასხვა გარდაქმნებსა და დამახინჯებებს, მაშინ, ბუნებრივია, როგორც ძირითადი (საბოლოო) უნდა ავიღოთ უკანასკნელი ავტორისეული ტექსტი“²⁹.

²⁶ გ. ვინოკური, დასახელებული წიგნი, გვ. 91.

²⁷ იქვე, გვ. 92—93.

²⁸ იქვე, გვ. 93.

²⁹ იქვე, გვ. 9.

³⁰ Б. Эйхенбаум, Основы текстологии в сб. „Редактор и книга“, вып. III. М., 1962, стр. 65 (დაყოფა ეიხენბაუმისა—ი. ლ.).

„ავტორის ნების“ საკითხში ბ. ეიხენბაუმს საწინააღმდეგო პოზიცია უკავია. „ავტორის ნებას“ ის მიიჩნევს „იურიდიულ ცნებად“ და მას სთვლის „ზედმეტ, უადგილო და დამხლართველ საქმედ“. მისი აზრით, „ლიტერატურული ნაწარმოები არ შეიძლება გაუთანაბროთ არც „სულიერ ანდერძს“, არც პირადი საკუთრების საგნებს: რამდენადაც ის უფრო ხალხის საკუთრებაა, ვიდრე ავტორის. ამასთან ერთად „ავტორის უკანასკნელი ნება“ თავისი ნაწარმოების ტექსტების მიმართ (მათ შორის პირველიც) რჩება ჩვეულებრივ უცნობად. და რას შეიძლება ნიშნავდეს ეს წარმოასახვითი „ნება“, როცა ის, უწინარეს ყოვლისა, პარალიზირებულია ყოველგვარი ცენზურული აკრძალვებით? საქმე სავსებით არა „ავტორის უკანასკნელ ნებაშია“. არამედ უბრალო ლოგიკაში: თუ ავტორი ცვლიდა თავის ნაწარმოების ნაბეჭდ ტექსტს, მაშინ ძირითადად უნდა ჩავთვალოთ ის ტექსტი, რომელიც ავტორის სიცოცხლეში უკანასკნელად გაჩნდა...“¹¹.

ასეთია მისი დასკვნა. ის მოუწოდებს ტექსტოლოგებს, რომ „საკიროა გვახსოვდეს (რათა არ მოვექცეთ სქოლასტიკის ტევრში და მასთან ერთად შეცდომაში), ცხოვრებაში ლოგიკის გარდა არსებობენ ფაქტები, ისე როგორც გრამატიკაში მუდმივი წესების გვერდით უცვლელად არის ხოლმე გამონაკლისები“.

ამ დებულების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბ. ეიხენბაუმს ტექსტოლოგია მიაჩნია პრაქტიკულ მეცნიერებად. ფაქტების აღრიცხვის გარეშე (ფაქტები კი მრავალმხრივია: ისტორიული, ბიოგრაფიული, პალეოგრაფიული და ა. შ.) შესაძლებელია მძიმე შეცდომის დაშვება, რომ არაფერი ვთქვათ ცენზურაზე, რომლის მარწმნები შესაძლებელია სიცოცხლის უკანასკნელი გამოცემის დროს უფრო მძვინვარე იყო, ვიდრე პირველად. შეიძლება გამოცემა განხორციელებულიყო ავტორის მონაწილეობის, მისი არყოფნის ან მისი ნებართვის გარეშე? რა ვუყოთ ბეჭდვის დროს დაშვებულ შეცდომებს, ან ტექნიკურ დაუდევრობებს, რის შედეგადაც ვიღებთ მძიმე კორექტურულ შეცდომებს და არა „ვარიანტებს“ (როგორც ეს შეუძლია იფიქროს ზოგიერთმა), ცხოვრებას ასეთი კითხვები მრავლად შეუძლია წამოგვიყენოს. ტექსტოლოგი (თუ ის არ არის პედანტი, მეტაფიზიკოსი და სქოლასტიკოსი) მათ გვერდს ვერ აუვლის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ეიხენბაუმი ასკვნის: „უბრალო გადაბეჭდვა ტექსტებისა ავტორის სიცოცხლეში განხორციელებული ბო-

¹¹ Б. Эйхенбаум. там же, стр. (65 დაყოფა ეიხენბაუმისა— ი. ლ.).

ლო გამოცემიდან იმის საფუძველზე, რომ ის ბოლოა, უკანასკნელია („ავტორის უკანასკნელი ნება!“)—სრულიად დაუშვებელია“³².

ასეთია ის თეორიული შეხედულებები ძირითადი ტექსტის არჩევის საკითხში, რომელიც გაბატონებული იყო საბჭოთა ტექსტოლოგიაში უკანასკნელ ათეულ წლებამდე. დასახელებული ავტორები ცნობილი ტექსტოლოგები იყვნენ, რომლებმაც დიდი შრომა და ენერგია დახარჯეს კლასიკოსების (პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი და სხვები) თხზულებათა აკადემიური ტექსტების დადგენის საქმეში. მაგრამ მათ მიერ ტექსტოლოგიის ძირითადი საკითხების გადაწყვეტა ბევრ რამეში ჩვენ დღეს ვერ გვაკმაყოფილებს.

თანამედროვე ტექსტოლოგია, ეყრდნობა რა ნაწარმოების ტექსტის მეცნიერულ ანალიზს, თავის შრომას საფუძვლად უდებს „ავტორის ნებას“, მაგრამ აშუქებს მას სრულიად სხვაგვარად. იგი უპირისპირებს მ. გოფმანის და ბ. ტომაშევსკის თეორიებს და შეხედულებებს „ავტორის ნების“ გამოყენების დიალექტიკურ პრინციპს. თანამედროვე ტექსტოლოგია უარყოფს მ. გოფმანის მექანიკურ გაგებას და ეთანხმება გ. ვინოკურის აზრს იმაში, რომ ავტორის ნება შეიძლება დაირღვეს: „ჩვენ არ შეგვიძლია დავხუკოთ თვალი, —წერს ვინოკური,—იმ შემთხვევების მიმართ. როდესაც უკანასკნელი „ავტორის ნება“ რედაქცია არ არის ავტორიტეტული. ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ ყოველგვარი სახის ლაფსუსები, უფრო არსებითი გადახვევები, რომლებიც სხვა შემთხვევაში შეიძლება ახსნილ იქნას: ავტორის ჯანმრთელობის გაწესაკუთრებულ მდგომარეობით, მისი ტალანტის დაცემით, მსოფლმხედველობაში მკვეთრი შეშლბრუნებით“³³. „ავტორის ნების“ აღნიშნული დარღვევები აღვივლად შეიძლება მოკალათდეს უკანასკნელშიც. ე. ი. როდესაც ყველაზე ავტორიტეტულ რედაქციასთან მიდგომა მექანიკურია, ბოლო საკუთარ ამოცანებისადმი მექანიკური მიდგომა არის ძირითადი ცოდვა ფილოლოგიური მეცნიერებისა“³⁴. თანამედროვე ტექსტო-

³² ბ. ეიხენბაუმი, მითითებული ნაშრომი, გვ. 67. ბ. ეიხენბაუმის უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებლად მიიჩნევს. „როდესაც არ რჩება არაფერი თარი ხელნაწერი, არსებობს მხოლოდ ავტორის სიცოცხლეში დაბეჭდილი ტექსტი, თუ ნაწარმოები იბეჭდებოდა ავტორის სიცოცხლეში რამდენიმეჯერ, მაშინ მის ძირითად ტექსტად აღებული უნდა იქნას. ბუნებრივია, სიცოცხლეში უკანასკნელი გამოცემის ტექსტი“ (იქვე, გვ. 71).

³³ გ. ვინოკური, დასახელებული წიგნი, გვ. 45 (დაყოფა ჩვენია—ი. ლ.) ამავე თვალსაზრისზე დგას ბ. ეიხენბაუმიც, იხ. დასახელებული შრომა, გვ. 65—66.

³⁴ იქვე, გვ. 45.

ლოგია უარყოფს ბ. ტომაშევსკის სკეპტიციზმსაც, რადგანაც მას (საბჭოთა ტექსტოლოგიას) არ შეუძლია დაეთანხმოს დებულებას, რომელშიც გატარებულია აზრი, რომ შემოქმედებით პროცესში „მნიშვნელოვანი არ არის ავტორის ინდივიდუალური ფსიქოლოგია“ და რომ „მრავალმიმართებაში (ავტორი — ი. ლ.) წარმოადგენს მხოლოდ იარაღს (საშუალებას) ეპოქისას“³⁵.

მხოლოდ დიალექტიკური მიდგომა „ავტორის ნების“ საკითხისადმი, დაპირისპირება, დაფუძნებული ტექსტის მეცნიერულ კრიტიკაზე.—მცდარ, არამეცნიერულ დებულებათა მტკიცებებთან, იძლევა შესაძლებლობას ვიპოვოთ, გამოვქმენოთ მართებული გზა ძირითადი ტექსტის არჩევის პრობლემის გადაწყვეტისათვის.

რას წარმოადგენს „ავტორის ნების“ ცნება თანამედროვე ტექსტოლოგიაში?

ამ კითხვაზე სწორი პასუხის გაცემამდე საჭიროა. უწინარეს ყოვლისა, მართებული გაგება მწერლის შემოქმედებითი პროცესის არსისა, რომელიც ასეა დამახინჯებული ბ. ტომაშევსკის ზემოთ მოყვანილ დებულებაში.

რისკენ ისწრაფვის ავტორი, როდესაც იგი მუშაობს თავის ნაწარმოებზე? რა თქმა უნდა, იმისკენ, რომ შექმნას ლიტერატურული ნაწარმოები (გ. ტაბიძის თქმით „რომ შექმნას რამე დიადი“), რომელიც ასახავს ავტორის თვალსაზრისს შესაბამის ფორმაში. თავის შრომის შედეგთან ავტორი ერთბაშად არ მიდის. შემოქმედებითი მუშაობის პროცესში, როგორც აღვნიშნეთ, ავტორი ეძებს ყველაზე ზუსტი გამოთქმის, გამოსახვის ფორმას იმ შეხედულებებისას და აზრებისას, რომლებსაც იგი საჭიროდ თვლის მიიტანოს მკითხველამდე. საამისოდ იგი უარყოფს: უკუაგდებს ნაწარმოებიდან ადგილებს, ფრაზებს, ცალკეულ სიტყვებს, რომლებიც. მისი აზრით. ზუსტად ვერ გადმოსცემენ ჩანაფიქრს.

მთელი ეს მუშაობა მთავრდება გარკვეული ტექსტის შექმნით, რომელსაც ავტორი თვლის თავისი აზრის ყველაზე ზუსტ ანარეკლად და იგი აქვეყნებს მას. ის გარემოება. რომ ავტორს შეუძლია გარკვეული ვადის შემდეგ დაუბრუნდეს იმავე ნაწარმოებს და შეიტანოს ჰასში ახალი ცვლილებანი, ძირფესვიანად გადაამუშაოს იგი. არ აუქმებს პირვანდელი რედაქციის მნიშვნელობას.

ტექსტის საფუძვლიანი გადამუშავება, ახალი რედაქციის შექმნა, მეტყველებს მხოლოდ იმაზე. რომ დროთა განმავლობაში ავტო-

³⁵ Б. Томашевский, „Писатель и книга,“ 1950, стр. 152.

რი შესაძლებლობას პოულობს უკვე მოთხრობილი ამბავის ირგვლივ მკითხველს ახლებურად მოუთხროს. ყოველგვარ პირობებში, ვიმეორებთ, არსებობს თანამიმდევრული რიგი ეტაპებისა შემოქმედებით პროცესში. რომლის შედეგადაც იქმნება დამთავრებული ნაწარმოები. ეს უკანასკნელი ფაქტი რჩება რეალურ ფაქტად მწერლის შემოქმედებით ცხოვრებაში. შემოქმედებითი პროცესი უნდა გავიგოთ არა როგორც რაღაც ზემთაგონება მოუხელთებელი ადამიანური გონებისათვის. არამედ როგორც პროცესი შეგნებულ, მიზანშეწონილი ამით. რა თქმა უნდა. არ აიხსნება ის თავისებური მომენტი შემოქმედებითი პროცესისა. რასაც ჩვეულებრივ შთაგონებას, აღმაფრენას უწოდებენ. შთაგონება აუცილებელი თანამგზავრია ყოველგვარი შემოქმედებითი შრომისა³⁶.

როდესაც ვლაპარაკობთ ავტორის „ნების“ ხელშეუხებლობაზე, ჩვენ გვაინტერესებს არა ფორმალური, არამედ რეალური ფაქტი—ავტორისეული ტექსტის წარმოდგენის ფაქტი. სწორედ ამიტომ თანამედროვე საბჭოთა ტექსტოლოგიაში ძირითად პრინციპად მიღებულია ავტორის ნების დაურღვევლობის თეზისი.

მავრამ როგორ გამოვავლინოთ „ავტორის ნება“? სად, რაში, როგორც ფორმებშია დატოვებული ეს „ნება“ ავტორის მიერ? მწერალი ყოველთვის არ ტოვებს ანდერძს თავის ნაწარმოებთა შემდგომ ბედზე³⁷.

უამრავი შემთხვევაა. როდესაც ცალკეული ნაწარმოები დაბეჭდილია რამდენჯერმე. ყოველი ცალკეული ნაბეჭდი წყარო ავტორის ნების გამომხატველია. დგება საკითხი. რომელი ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ძირითადად? ბ. ტომაშევსკის მიხედვით ყველა ნება ერთნაირია და რომელიმე მათგანის არჩევა არ შეიძლება. მკვლევარისათვის ყველა რედაქცია ერთნაირად საინტერესოა. „უკანასკნელი რედაქციის არჩევა არ უნდა გამორიცხავდეს ტექსტის კრიტიკას იმ საფუძველზე, რომ ეს უკანასკნელი რედაქციაა. რაც არ ნიშნავს, რომ უკეთესია“³⁸. ეს არ არის სწორი.

³⁶ ა. პუშკინი წერდა: „Вдохновение нужно в поэзии, как и в геометрии“ (см. А. С. Пушкин, псс АН СССР. т. XI, стр. 41).

³⁷ მაგ. ი. ბუნიჩმა თვითონ დაადგინა თავისი ნაწარმოების ტექსტი და ანდერძად დატოვა: „კრებულში ტექსტი საბოლოოდაა დადგენილი და ვაძლევ მითითებას ჩემ კრიტიკოსებს მხოლოდ ამ ტექსტით იხელმძღვანელონ (იხ. Бунин И. А. Собр. соч. в XI томах, изд. „Петрополис“, 1936, т. I, стр. 7).

³⁸ Б. То м а ш е в с к и й, „Писатель и книга,“ 1959, стр. 273.

ძირითადი ტექსტის არჩევა შეიძლება და აუცილებელიცაა. „ავტორის ნების“ საკითხთან მიდგომისას საქირთა მხედველობაში ვიქონიოთ არა უბრალოდ მწერლის შემოქმედებითი ნება, მით უმეტეს არა „ნება“ საერთოდ როგორც შემოქმედების ფსიქოლოგიის ქვეცნობიერი არე, არამედ კონკრეტული ნაწარმოების ტექსტის მიმართ მწერლის უკანასკნელი ნება“.

რა არის ეს „უკანასკნელი ნება“?

ტექსტის ყოველი ახალი შესწორება-ცვლილებებისას ავტორი ისწრაფვის მისთვის დამაკმაყოფილებელი რედაქციის შესაქმნელად. უფრო მეტიც, შეიძლება პირდაპირ ვამტკიცოთ, რომ ყველა შესწორება შეტანილი ავტორის მიერ ტექსტში შემდეგდროინდელ მობრუნებისას გამოწვეულია იმით, რომ ტექსტის ყოველი წინარე რედაქცია არ აკმაყოფილებს მას. ბოლოს და ბოლოს ნაწარმოებზე ავტორის მუშაობა გარკვეულ ეტაპზე წყდება, ამ შემთხვევაში იგი თვლის, რომ ნაწარმოები მიყვანილია დამთავრების იმ საფეხურამდე, რომელიც მას მთლიანად აკმაყოფილებს. დასაშვებია ის გარემოებაც, რომ ავტორი უბრალოდ თავს ანებებს ნაწარმოებს, ეკარგება ინტერესი მისადმი, რამდენადაც მას ახალი ჩანაფიქრი აწვალებს, ახალი იტაცებს და მისი მწერლური მე ამ ახლის სფეროში ტრიალებს. და ბოლოს, ავტორი ექვემდებარება ცხოვრების კანონზომიერ მოვლენას—სიკვდილს. ავტორის გარდაცვალებით წერტილი ესმება მის შემოქმედებით პროცესს.

ამრიგად, წყდება თანამიმდევრული გამოვლენა ავტორის ნებისა და რჩება უკანასკნელი ნება.

„უკანასკნელი ნების“ ორი გამოვლენის შორის—უკანასკნელი აბსოლუტური გაგებით და უკანასკნელი ქრონოლოგიური აზრით—პრინციპული განსხვავება არ არის. ფაქტი ერთია—შემოქმედებითი პროცესი, მის იდეალთან მიახლოების აზრით, დაუსრულებელია. ავტორი შემოქმედების რომელიდაც ეტაპზე უნდა შეჩერდეს, თუნდაც დროებით და თავისთავს უთხრას: „დავამთავრე!“—რათა მიიღოს ფორმალური (უფრო სწორად—მორალური) უფლება გამოაქვეყნოს ნაწარმოები. სულ ერთია ეს „დავამთავრე!“ წარმოითქმება ავტორის მიერ სიცოცხელში, თუ ის აღი-

³⁹ დაწვრილებით იხ. В. С. Нечаева, Проблема установления текстов и изданиях литературных произведений XIX—XX веков, „Вопросы текстологии“, К, I. М., 1957, стр. 37.

ნიშნება მწერლის სიკვდილის ფაქტით. ავტორის უკანასკნელი ნება დარჩება ერთსა და მეორე შემთხვევაშიც უკანასკნელ ნებად.

„ნების“ საკითხის გარკვევისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ნ. გუძის და ვ. ჟდანოვის წერილში „ტექსტოლოგიის საკითხები“⁴⁰ წამოყენებულ მოსაზრებებს. მათი აზრით ტექსტის სისრულით დადგენ-სათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ავტოგრაფებს ენიჭებათ. რამდენადაც მწერლის „ნების“ გამოვლენის ყველაზე სანდო საშუალებაა. წერილის ავტორებს, ავტოგრაფები მიაჩნიათ. ნ. გუძი და ვ. ჟდანოვი უნდობლობას უცხადებენ ყოველ ნაბეჭდ სიტყვას, რომელიც არ დასაბუთდება ხელნაწერი წყაროთი. უნდობლობას უცხადებენ აგრეთვე ტექსტის იმ შესწორებებს, რომელთა წარმოშობა ზუსტად არ არის დადგენილი და მათდამი ავტორის დამოკიდებულება უცნობია. წერილის ავტორთა აზრით საჭიროა ნაბეჭდი ტექსტებიდან მოიხსნას ყოველივე ის, რაც არ არის ავტოგრაფებში. წერილის ავტორები აყენებენ ე. წ. რესტავრაციის თეორიას. აიგივებენ მწერლის ნებას მხატვრის ტილოსთან და კითხულობენ: თუ არსებობს „ნება“ მხატვრის ტილოს რესტავრაციისა, რატომ არ უნდა ჰქონდეს უფლება ტექსტოლოგს მოახდინოს ნაწარმოების ტექსტის რესტავრაცია?

„გავანთავისუფლოთ ტექსტი ყოველგვარი უცხო ფენებისაგან“ — ასეთია რესტავრაციის თეორიის კანონი. წერილის ავტორები „უცხოლ“ თვლიან ყველა იმ „ფენას“, რაც შეთანხმებული არ არის მწერალთან.

ფაქტი, რომ მწერალს შეუძლია ბოლო კორექტურის კითხვის დროს შეასწოროს ან შეიტანოს ცვლილებები ტექსტში. ნ. გუძისათვის და ვ. ჟდანოვისათვის არ არსებობს.

ცხადია, ასეთ „თეორიას“ საბჭოთა ტექსტოლოგია ვერ გაიზიარებს.

„ნება“ ითვალისწინებს აგრეთვე ავტორისეული ხელმოწერის დაცვასაც. გ. ტაბაძე ძლიერ განიცდიდა. როდესაც წიგნის სატიტულო ფურცელზე, ან პერიოდულ პრესაში წააწყდებოდა მისი საბეჭდის „გალაქტიონის“ ფორმით ხმარებას. მის არქივში არა ერთი ღვარძლიანი ჩანაწერია ამის გამო, პოეტი მათში სხვადასხვა პირთა „ოინებს“ ჰკრებდა. მაგალითისათვის მოვიტანთ რამდენიმე ჩანაწერს: „სახელგამის წიგნს აწერია „გალაქტიონი“, „მნათობში“ დაბეჭდილია „გალაქტიონ ტაბიძე“ — უნდა იყოს „გალაქტიონი“⁴¹. ან ასე-

⁴⁰ Н. К. Гудзний, В. А. Жданов, „Вопросы текстологии“, журн. „Новый мир“, 1953. № 3.

⁴¹ სსსრ, გ. ტაბიძის არქივი, 102, დ, გვ. 84.

თი ჩანაწერი: „როდესაც მემანქანე ქალი ბექდავდა, მან „გალაქტიონის“ მაგივრად „გალაქტიონი“ დაბეჭდა... ხელახლა გადავაბეჭდინე. ქალმა ბოდიში მოიხადა ეს რა მომივიდა, ყოველთვის გალაქტიონს ვბეჭდავდიო...“⁴².

ამრიგად, ედიციონურმა გამოცემამ უნდა დაამკვიდროს პოეტის სახელის ავტორისათვის სასურველი ფორმა „გალაქტიონი“.

ზემოთ ლაპარაკი იყო იმ დოკუმენტებზე, რომლებიც ასახავენ ავტორის ნებას. ეს საბუთები (ხელნაწერი, ნაბეჭდი წყარო და ა. შ.) არსებითად სხვა არაფერია თუ არა ტექსტის სხვადასხვა წყარო. ტექსტოლოგიისათვის, როგორც აღვნიშნეთ, ყოველ წყაროს თავისი ფასი აქვს და ის მნიშვნელოვანია ტექსტზე მუშაობის გარკვეულ ეტაპზე. რის გამოც ტექსტოლოგის დამოკიდებულება ტექსტის სხვადასხვა წყაროსთან სხვადასხვაა.

ამრიგად, ტექსტის არჩევის პრობლემა ძლიერ რთულია, მის სირთულეს აღრმავებს ის გარემოებაც, რომ ძირითადი ტექსტის არჩევანში დაშვებულმა შეცდომამ შეიძლება გამოიწვიოს დამახინჯებული ტექსტის პუბლიკაცია, ან ყოველ შემთხვევაში არა იმ ტექსტის პუბლიკაცია, რომელიც ავტორს სურდა.

საერთოდ, მწერლის ნაწარმოებები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად: დამთავრებული ნაწარმოებები—გამოქვეყნებული მწერლის სიცოცხლეში; ნაწარმოებები დამთავრებულნი, მაგრამ გამოუქვეყნებულნი მწერლის სიცოცხლეში და დაუმთავრებელი ნაწარმოებები. ძირითადი ტექსტის ნაბეჭდ წყაროდან არჩევისას ყურადღება უნდა მიექცეოდნენ იმ გარემოებას, რომ ნამდვილად ღებულობდა მონაწილეობას თუ არა ავტორი გამოცემის მომზადებასა და კორექტურის კითხვაში. თუ ეს დადასტურდება, მაშინ ძირითადი ტექსტის წყაროდ აღებული უნდა იქნას ეს უკანასკნელი. რადგანაც ის ასახავს ავტორის შემოქმედებითი შრომის ბოლო ეტაპს. ასეთ გამოცემას ავტორიზებული გამოცემა ეწოდება. სწორედ ასეთი გამოცემა ედება საფუძვლად შემდეგ გამოცემებს, მაგრამ ყოველთვის ეს არ ხერხდება. არის შემთხვევები ტექსტში რედაქტორთა ჩარევისა, ნაწარმოებებს ბეჭდვის დროს ავტორის ჩაურევლობისა და სხვა მიზეზები. რომლებმაც შეიძლება დაარღვიონ ავტორის უკანასკნელი ნება. ყოველივე ამ გარემოებათა გათვალისწინებით, შესაძლებელია ტექსტოლოგი იძულებული გახდეს უარი თქვას ავტორის ბოლო გამოცემაზე და უპირატესობა მიანიჭოს რომელიმე სხვა აღრეულ, უფრო ავტორიტეტულ გამოცემას.

⁴² სსლმ. გ. ტაბიჯის აჩქივი, 379 წ. გვ. 7.

ამრიგად, ზოგად ფორმაში შეიძლება განისაზღვროს, რომ საკუთრივ პრობლემა კანონიკური ტექსტის დადგენისა ცალკეული ნაწარმოებისათვის დაიყვანება სამი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტამდე:

პირველი—ძირითადი ტექსტის ანალიზი და მასში არსებული დამახინჯებების გამოვლენა.

მეორე —სავალდებულო შესწორებების შეტანა ტექსტში.

მესამე—ტექსტის გამართვა თანამედროვე ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის წესების შესაბამისად. ორთოგრაფიულ შესწორებებს მიემართავთ დიდი სიფრთხილით, აუცილებლობის შემთხვევაში, ყველგან ერთი წესის დაცვის მიზნით, ისე, რომ არ დაირღვეს ავტორის წერის თავისებურებანი. პოეტის მემკვიდრეობის გამოცემისას გათვალისწინებული უნდა იყოს ე. წ. *Licentia poetica* და პოეტური მეტყველების სხვა თავისებურებანიც. ყოველი ცალკეულ შემთხვევა გასწორებისა მკაცრად უნდა იქნას მოტივირებული და ზუსტად მითითებული შენიშვნებში.

ამ სამი ამოცანის გადაჭრის გარეშე ტექსტოლოგს არ შეუძლია მკითხველ საზოგადოებას მისცეს აბსოლუტურად სანდო, სათანადოდ მომზადებული ტექსტი.

გ. ტაბიძის თხზულებათა ძირითადი ტექსტის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ავტორის სურვილი ცალკეული ლექსების მიმართ, რომელთა შესახებ პოეტი ძვირფას ცნობებს გადმოგვცემს თავის ჩანაწერებსა და დღიურებში. მაგ. ჩანაწერში: „1914 წლის წიგნიდან“ პოეტს აღნიშნული აქვს შემდეგი:

„1. „პოეტი“ დაიბეჭდება ვარსკვლავებით“ (***) გვ. 5).

2. „დაკარგული ედერი“ დაიბეჭდება ვარსკვლავებით“ (***) (გვ. 22).

3. „მთაწმინდაზე“ დაიბეჭდება ვარსკვლავებით (***) .

შეიცვლება სიტყვა „ბედკრული“ სხვა სიტყვით ან ასე „მახსოვს, იმ შემწლელ მწუხარების ჟამს“—24.

4. *Ave maria* დაიბეჭდება ამავე სათაურით.

შეიცვლება „ძლიერო სულო“—სიტყვით „ნუგეშთ მწყურვალით“—28.

5. „ჩემი ქნარი“ დაიბეჭდება ვარსკვლავებით (***) 30.

6. „ძებნა“ დაიბეჭდება ვარსკვლავებით (***) . შეიცვლება მეხუთე სტრიქონი ასე—„ის კი ოცნება სამარადისოდ თვალს მიეფარა“. მეცხრე და მეთათე სტრიქონები შეიცვლება ასე:

„იგი სამუდამოდ საფლავს მიეცა,

იგი დაშორდა მშობლიურ ბაღებს“.

მეთუთხმეტე სტრიქონი შეიცვლება ასე: „ვერ დავივიწყოთ იგი ვერასდროს!“.

მეჩვიდმეტე სტრიქონი შეიცვლება ასე: „დეე, ზვირთებმა პოლად დამსხვიროს“.

მეცხრამეტე სტრიქონი შეიცვლება ასე: „რაა უმისოდ სიცოცხლე ჩემი“!

7. „შორი აღერსი“ დაიბეჭდება უცვლელად ამავე სათაურით.

8. „ვარდის ფოთოლი“ ღროებით წიგნში არ შეიტანება (ეს სტრიქონი გადახაზულია პოეტის მიერ—ი. ლ.).

9. „არ მინდა სიტყვა“ დაიბეჭდება უცვლელად.

10. „ტყის პირად“ დაიბეჭდება ვარსკვლავებით (***) . პირველი სტრიქონი შეიცვლება—„ტყის პირად შორსა გზას მიმავალი“. მეათე სტრიქონი შეიცვლება ასე „სიმდიდრე დიდი, ქება დიდება“ მეთვრამეტე სტრიქონი შეიცვლება ასე—„ვთქვი ვისთვის მინდა მე ამის ვარდა ან სხვა სიმდიდრე დაუღვევი“.

ოცდამეცხრე სტრიქონი შეიცვლება ასე—„ზეგ ისევ ცის ქვეშ“.

11. „სიმღერა“ დაიბეჭდება უსათაუროდ, უცვლელად.

12. „მწუხარება“—შეიცვლება სათაურით „თასი“ დანარჩენი დარჩება უცვლელად.

13. „როგორც აჩრდილნი“ დაიბეჭდება უცვლელად.

14. „მდინარის პირზე“ დაიბეჭდება უსათაუროდ, ტექსტი უცვლელად.

15. „მომაკვდავი“ დაიბეჭდება უსათაუროდ. მეორე სტრიქონი შეიცვლება „ეხლა გროვდება“.

16. „შორეულს“ დაიბეჭდება უცვლელად, მხოლოდ უსათაუროდ.

17. „გახსოვს“ დაიბეჭდება უსათაუროდ. მეშვიდე სტრიქონი შეიცვლება ასე: „როგორ გვყვარდა ჩვენ ერთმანეთი“. მეცხრამეტე სტრიქონი შეიცვლება ასე: „იგივ ღამეა, იგივ ნათელი“.

18. „იმ ნეტარ ღამეს“ დაიბეჭდება უცვლელად.

19. „სიზმარი“ დაიბეჭდება უსათაუროდ. მეორე სტრიქონი შეიცვლება ასე: „რალაც უცნობი მესმის ვედრება“, მესამე სტრიქონი: „თვალთაგან ჩვენებას ცრემლები სცივია“, მეოთხე სტრიქონი—„განთიადისას ის მიდის, ჰქრება“, მერვე სტრიქონი „უბედურება, ბედნიერება“. მერვე სტრიქონის შემდეგ გამოტოვებული იქნას ოთხი სტრიქონი. მეთუთხმეტე სტრიქონი შეიცვლება ასე: „შუქი ეცემა ჩემ სარეცელზე“ მეთექვსმეტე ასე: „გათენდა, სულში კი არ ინთება“.

20. „ლაურა“ დაიბეჭდება უსათაუროდ. არაა საჭირო ქვესათაური „სონეტი“. ტექსტი კი უცვლელად დარჩება.

21. „გული სწუხს“—პირველი სტრიქონი შეიცვლება ასე: „გადაუღებლად კოკისპირულად გარეთ წვიმს და წვიმს“; მეშვიდე სტრიქონი—„და მის ქვითანში შემოდგომათა“ მეთვრამეტე—„მე ყვაველები მესიზმრებოდა, შენც ყვაველებში მესიზმრებოდი“.

22. „ახალი წელი“ დაიბეჭდება უცვლელად. არ უნდა სათაური და არც ეპიგრაფი.

23. „თვლები“ დაიბეჭდება უსათაუროდ, უცვლელად.

24. „ბედნიერება“ ახლა არ ვარგა (გადახაზულია ნაწერი მთლიანად ავტორის მიერ—ი. ლ.).

25. „სთვლემს ტყის ნაპირი—გადავერცხლილი“ დაიბეჭდება უცვლელად.

25. „პოეტი“ დაიბეჭდება უსათაუროდ, უცვლელად.

27. „რომანსი“ დაიბეჭდება უცვლელად.

28. „ო. როგორ მსურდა“—არ ვარგა (გადახაზულია ნაწერი ავტორის მიერ—ი. ლ.).

29. „ის ჩამომშორდა“ დაიბეჭდება ცვლილებით მეოთხე სტრიქონი ასე „უსაკო“.

30. „ჩვენება“ დაიბეჭდება უსათაუროდ (***) უცვლელად.

31. „როგორც სიზმარი“ დაიბეჭდება ასეთი ცვლილებით მეთუთსმეტე სტრიქონში—„მე ახალგაზრდას მომესმის მხოლოდ“.

32. „მე ცის ვარსკვლავს“ უნდა „დღეს ცის ვარსკვლავს“. 5 სტრიქონი შეიცვალოს ასე „მე ზღვის ნელ ზვირთს არ შევნატრი“.

33. „კვენესა“ დაიბეჭდება მეშვიდე, მერვე, მეცხრე სტრიქონების გამოტოვებით.

34. „არავინ არის“ დაიბეჭდება უსათაუროდ, მეექვსე სტრიქონი შეიცვლება: „მარად მღელვარ გულის ნადებს“. მეშვიდე სტრიქონი (ტაეპი) „არავინ არის რომ ვუამბო შემფოთებულ სულზე, გულზე“.

35. „და გაფითრდა“ დაიბეჭდება უცვლელად.

36. „ქალის ლანდი“ დაიბეჭდება 1927 წლის წიგნის მიხედვით.

37. „მაისის ღამე“—ვნახოთ!

38. „ესკიზი“ დაიბეჭდება 1927 წლის წიგნის მიხედვით.

39. „რაა წამება“ დაიბეჭდება უსათაუროდ.

40. „ალბომში“ დაიბეჭდება უსათაუროდ.

41. „პოეტს“ დაიბეჭდება უსათაუროდ

42. „ჩემს ირგვლივ“ დაიბეჭდება უცვლელად.

43. „თვით მიმოზა“—უნდა დიდი შესწორება.

44. „იდეალს“ დაიბეჭდება უცვლელად.

45. „მე მესიზმრება“ დაიბეჭდება უცვლელად.

46. „სიყვარული და ხელოვნება“ დაიბეჭდება გასწორებით.

47. „ქალწულის ოცნება“ დაიბეჭდება შესწორებით“⁴³.

როდისაა შესრულებული ეს ჩანაწერი? მასში მითითებულაია: „ლექსი დაიბეჭდოს 1927 წლის წიგნით“, ე. ი. ის გვიანდელია. ზოგიერთი შესწორება პოეტს გამოყენებული აქვს 1944 წლის „რჩეულში“. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ჩანაწერი „1914 წლის წიგნიდან“ დაწერილია 1944 წლის „რჩეულის“ მომზადების წინა ხანებში. აღნიშნულ „რჩეულში“ ყველა ლექსი 1914 წლის წიგნიდან ვერ განმეორდა, ამ ჩანაწერში აღნიშნულმა სავარაუდო ცვლილებებმა კიდევ განიცადეს ნაწილობრივი ცვლილებები (სათაურების შეცვლა, სიტყვების შენაცვლება), რაც გარკვეული ლექსების მიმართ ავლენს კიდევაც ავტორის „უქანასკნელ ნებას“, მაგრამ ის ლექსები, რომლებიც არ მოხვდნენ 1944 წლის „რჩეულში“ ავტორის „უქანასკნელი ნება“ მათ მიმართ ამ ჩანაწერში გამოსკვივის, მაგრამ მათი მთლიანი გაზიარება სათანადო ანალიზის გარეშე შეუძლებელი იქნება“⁴⁴.

პოეტის არქივი ვერაღადაა გაფანტული ათასგვარი შენიშვნა ამა თუ იმ ლექსზე, რა მიაჩნია პოეტს შესაცვლელად, შესასწორებლად, რა მიუმატოს, თუ დასტოვოს ლექსი უცვლელად. ყოველ ამ ცნობას ზედმიწევნით უნდა შესწავლა. დადგენა, თუნდაც მიაწლოვებით თარიღისა, როდისაა დაწერილი შენიშვნა, ლექსის გამოქვეყნების შემდეგ თუ გამოქვეყნებამდე.

ქრონოლოგიის დადგენით ნათელი მოეფინება ავტორის უქანასკნელი ნების გამოვლენას კონკრეტული ლექსის მიმართ (მაგალითად, ერთ-ერთ ჩანაწერში, რომელიც 1944 წლის შემდეგაა დაწერილი პოეტს აღნიშნული აქვს: „შავი ზღვიდან ნიავი ჰქრის“—გავატაროთ „ლაზისტანი“, „მობჰუცი მთასვლელი“—მიუმატოთ „იალბუზი“, „მელიქიშვილის ქუჩაზე“—ეახსენოთ „ია ეკალაძე“, „ბარათაშვილის აღმართზე“—დაუმატოს „სიხარულს ცრემლი“ და ა. შ.)⁴⁵.

აღრინდელი ლექსების დიდი რაოდენობისადმი პოეტის უქანასკნელი ნება 1927 წლის ლექსების კრებულში გამოიხატა. მაგრამ ზოგიერთ ლექსზე მუშაობა ავტორს შემდეგაც არ შეუწყვეტია. მაგა-

⁴³ სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, გვ. 2919—2922.

⁴⁴ რა თქმა უნდა, ავტორის მითითებებს დიდი პასუხისმგებლობებით უნდა გაეწიოს ანგარიში, თუმცა დასაშვებია, ვერ გავიზიაროთ გლავტიონისეული ყველა ბოლოდროინდელი გასწორება რამდენადაც ეს გასწორებანი, ზოგჯერ ტექსტის სრულყოფას არ უწყობს ხელს მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით.

⁴⁵ სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, 72 დ. გვ. 5—6; 1. დ. გვ. 1; 68 დ., გვ. 13 და ა. შ.

ლითად, ცნობილი ლექსი „მოვა... მაგრამ როდის?“ 1954 წლამდე იბეჭდებოდა იმ რედაქციის მიხედვით, რომელიც 1919 წლის ლექსების II ტომში დაიბეჭდა სათაურით „მარიამ ანტუანეტა“, 1927 წლის გამოცემაში პოეტმა ლექსს სათაური შეუცვალა—„მოვა... მაგრამ როდის“, რომლითაც ეს ლექსი დღესაც იბეჭდება. 1954 წელს ლექსმა საგრძნობი რედაქციული ცვლილება განიცადა. საილუსტრაციოდ მოვიტანთ ორივე რედაქციას:

1954-ამდე

1954-ით

შორეული ქალის ეშხი
 მოვა... მაგრამ როდის?
 სიყვარული სახალღეში:
 მხოლოდ ერთხელ მოდის!
 ასეთია ნაზი ბედი,
 ბედი რჩეულ ფერის:
 სიცოცხლეში თეთრი გედი
 მხოლოდ ერთხელ მღერის!
 ყუ ვ ე ლ ე ბ ი უ ხ ე ა დ ა რ ი ს :
 დ ე ნ ღ ი ს ... მ ე უ ე . მ ო ნ ი ს .
 ქ ა რ შ ა ა თ რ ო ბ ს ა რ ე - მ ა რ ე .
 ო ხ ე რ ა ტ რ ი ა ნ ო ნ ი ს .
 დ ა ლ ა ნ ღ ე ბ ა თ ე თ რ ს ა რ ;
 ჩ ნ დ ე ბ ა ს ა ხ ე მ ქ რ თ ა ლ ი :
 შ უ ა ზ ე ლ ი , ე ს ტ ე რ გ ე ზ ე .
 დ ა თ ვ ი თ დ ე ღ ო ფ ა ლ ო .
 ზ რ დ ი ლ ი , ნ აზ ი და მ ი ფ ე რ ი
 ჩ ე მ ი ძ ე უ ლ ი ს - ძ ე უ ე ლ ი
 ლ ე ქ ს ი ა რ ი ს უ ნ ე ბ ე რ ი
 ს ი ს მ რ ი თ შ ე მ მ ო ს ე ე ლ ო .
 მ ო ლ ო დ თ ე თ რ ი შ ა ზ რ ე ე ნ ე ბ ი :
 მ ე ვ ე რ ს ა ლ ი ს ბ რ ო ლ ი ,
 მ ა ც დ ე რ თ ე ა ლ ს გ ა ღ ე ე ნ ე ბ ი თ .
 მ ტ ა ნ ჯ ა ე ს მ ს ე ბ ე მ ქ რ ო ლ ი .
 დ ე დ ო ფ ა ლ ო ! ლ ე რ ჯ ა რ ა მ ი
 მ ი ქ რ ი ს ს ა შ ი - მ ჩ ქ ა რ ი
 და ბ ი ლ ი თ ა ლ ე რ ჯ კ ე რ შ ა შ ი
 მ ი ა ქ ე ს მ მ ა ფ რ ი ქ ა რ ი !
 მ ი ქ რ ი ს და ლ ა ლ - გ ა დ ა ყ რ ი ლ ი
 დ ო ვ ი ნ - დ ო ვ ი ნ - დ ო ვ ლ ი :
 თ ო ვ ლ ი , ფ ი ფ ჯ ი და ა პ რ ი ლ ი
 ვ ა რ დ ი ს ფ ე რ ი თ ო ვ ლ ო .

შორეული ქალის ეშხი
 მოვა, მაგრამ როდის?
 სიყვარული სიციცხლეში
 მხოლოდ ერთხელ მოდის!
 ასეთია თითქო ბედი,
 ბედი რჩეულ ფერის—
 სიცოცხლეში თეთრი გედი
 მხოლოდ ერთხელ მღერის!
 ზრდილი, ნაზი და მიფერი
 ჩემი ძველისძველი
 ლექსი იყო უნებური
 სიხშირით შემოსველი.
 მხოლოდ თეთრი შაღრეენებთ
 მოციქვისე ბროლი,
 მაცდურ თვალს გაღვენებით.
 მტანჯავს მსუბუქქროლი.
 ამაღნე და ელერჯა რაში
 მიქრის საშიშ-ჩქარი.
 და ბილეთა ლერჯ ქერაში
 მიქეს მძაფრი ქარი!
 მიქრის დაღაღადყრილი:
 დოვინ, დოვინ, დოვლი...
 დოვლის ფიფქი და აპრილი,
 ეარდისფერი თოვლი.
 შორეული ქალის ეშხი
 მოვა მაგრამ როდის?
 სიყვარული სიციცხლეში
 მხოლოდ ერთხელ მოდის!

1916
 (გვ. 174)

1954 წლის „რჩეულის“ შემდგენელი ბ. ჩიქობავა აცხადებს, რომ 1954 წლისათვის გადამუშავებული რედაქცია მიჩნეული უნდა

აქნას პოეტის უკანასკნელ ნებად⁴⁶. ჩვენ ექვი არ გვეპარება, რომ ლექსში შეტანილი ცვლილებები ავტორისეულია. მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ეს გადამუშავება რედაქტორის მოთხოვნის შედეგია. აღნიშნული ლექსის 1954 წლის რედაქცია პოეტის უკანასკნელ ნებად მაინც ვერ ჩაითვლება.

არსებობს 1944 წ. „რჩეულის“ ავტორისეული ცალი⁴⁷, სადაც 1956 წლის შემდეგ გ. ტაბიძეს მასში შემავალ ლექსებისთვის ახალი რედაქცია გაუკეთებია, რისთვისაც გამოყენებული აქვს 1954 წლის რჩეულის შესწორება-ცვლილებანიც, მაგრამ ლექსი „მოვა... მაგრამ როდის?“ 1954 წლის წინა რედაქციითაა წარმოდგენილი, პოეტს ლექსი სტროფებად დაუყვია და შეუსწორებია პუნქტუაცია.

იმ შემთხვევაში თუ პოეტის არქივში აღმოჩნდება ბოლო ავტორიზებული გამოცემის ხელნაწერი, რომელიც ასახავს პოეტის უკანასკნელ ნებას (გამოქვეყნების შემდეგ პოეტმა კვლავ გადაამუშავა ლექსი, მაგრამ გადამუშავებულის გამოქვეყნება ვერ მოასწრო), ტექსტოლოგი ვალდებულია ძირითად ტექსტად ის მიიჩნიოს.

გ. ტაბიძემ 1935 წელს თხზულებათა II ტომის გამოცემისას „ეპოქა“, „რევოლუციონური საქართველო“ და „პაციფიზმი“ დაშალა ცალკე ლექსებად და დაასათაურა ისინი. პოეტის ერთ-ერთ გვიანდელ ჩანაწერში (1949 წლის შემდგენლობიდან უნდა იყოს, რამდენადაც მასში მითითებულია ამ ხანებში გამოქვეყნებული ნაწარმოებები: „აფეთქება“, „ქუჩა და ასიდა“ და ა. შ.) ჩამოთვლილია: „ეპოქა“, „რევოლუციონური საქართველო“ და „პაციფიზმი“, რომლებსაც ცალკეულად ფრჩხილებში მიწერილი აქვს—„გ ა ე რ თ ი ა ე ბ ა ლ ე ქ ს ე ბ ი ს“⁴⁸. ე. ი. პოეტი გამოხატავს თავის „ნებას“, გვიანდელს, ამ ნაწარმოებთა მიმართ. დადგენა, სახელდობრ, როდისაა კონკრეტულად შესრულებული ეს ჩანაწერი, არ ხერხდება, მაგრამ 1954 წლის „რჩეულში“ პოეტმა აღნიშნული ციკლების ლექსები კვლავ დამოუკიდებელ ლექსებად დაბეჭდა (ახლებურათაც დაათარიდა); ასევე დამოუკიდებელ ლექსებადაა წარმოდგენილი ამ ციკლის ლექსები „რჩეულის“ დიდ მაკეტში, რომელიც შედგენილია ავტორის მიერ 1954—1955 წლებში⁴⁹. მასში „ეპოქიდან“ დასახელებულია 222 ლექსი. აქ „ეპოქის“ ის ლექსებიცაა, რომლებიც 1954 წლის „რჩეულში“ და ავტორისეულ ბიბლიოგრაფიაში აღრეული თარიღით

⁴⁶ გაზ. „თბილისი“, 1960, № 124.

⁴⁷ სსსრ, გ. ტაბიძის არქივი, 021369—8776, გვ. 339.

⁴⁸ სსსრ, გ. ტაბიძის არქივი, 44 დ გვ. 21.

⁴⁹ მაკეტი დაეულია შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილებაში.

არიან ნაჩვენები („თანასწორი“, „პოეტი და მასა“, „ჰქუხდე გულის-
თქმავ“, „მოელვარე გზით“ და ა. შ.).

უკრნალ „მნათობში“ 1928 წელს დაბეჭდილ „ეპოქიდან“, 1930
წელს „პაციფიზმიდან“ და 1930—31 წლებში „რევოლუციონურ სა-
ქართველოდან“ შემდეგ—ყველა სიცოცხლის დროინდელ გამოცემა-
ბში (1930, 1931, 1935 და ა. შ.) გამორჩენილია 150 ლექს-ერთეული
ოდესლაც მთლიანი ნაწარმოების ეს ნაწილები მივიწყებულია და
უეუურადღებოდაა მიტოვებული. პოეტის არქივში აღმოჩნდა ზოგი-
ერთი ამ ლექსის გვიანდელი ავტოგრაფი, რომლებიც ხელახლად
არის დამუშავებული პოეტის მიერ (დასათაურება, რედაქციულ-სტი-
ლისტური შესწორებანი), აღნიშნული ლექსების უმრავლესობა კი
სელშეუხებელი დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ ავტორმა მათი ბე-
დიდბალი კარგად იცოდა და მათ შესაებე არაერთი შენიშვნა გააკეთა.

გ. ტაბიძის თხზულებათა მეცნერულ გამოცემაში ამ ლექსებმა
ქრონოლოგიის შესაბამისად თავისი ადგილი უნდა მონახოს სათანა-
დო ტომში იმ ადგილის ზუსტი ჩვენებით, თუ სად იყო მოთავსებუ-
ლი ის პირვანდელი პუბლიკაციის დროს (იქნება ის ძირითად კორ-
ქუსში თუ ვარიანტულ ჩვენებაში).

გ. ტაბიძეს მოეპოვება პოემა „ათს ცხრაას ორმოცი წელი“. არ-
სებობს ამ პოემის სამი ვარიანტი: მოკლე, საშუალო და ვრცელი.
პირველი დაიბეჭდა 1940 წელს⁵⁰, მეორე—1952 წელს თხზულებათა
V ტომში. ვრცელი რედაქცია (არქივი 7040—7104). რომელიც ყვე-
ლაზე გვიან დამუშავდა. არ დაბეჭდილა. ამ პოემის შესახებ გ. ტაბი-
ძეს 1950 წლის 23 დეკემბერს ასეთი ჩანაწერი გაუკეთებია:—„დამ-
თავრდა პოემისა ამის გასწორება 23 ნოემბერს 1950 წელს... ვწერდი
ორი დღე. გენიალური პოემა გამოვიდა... წარედგინა პოემა ესე
„მნათობის“ რედაქციას დასაბეჭდად 1950 წელს“⁵¹. მაგრამ ეს რედა-
ქცია ავტორს არ გამოუქვეყნებია. გ. ტაბიძემ ამ ვრცელი რედაქციი-
დან ცალკე ნაწარმოებად (პოემად) გამოჰყო ნაწილი, რომელიც იმავე
1950 წლის დეკემბერში გაამზადა სათაურით „მშვიდობა და კაცთა
შორის სათნობა“, ეს უკანასკნელი პოეტის სიცოცხლეში არ გამო-
ქვეყნებულა.

1940 წელს გამოქვეყნდა ცალკე წიგნად პოემა „აკაკი წერეთე-
ლი“. ამ პოემის სრულყოფაზე პოეტი ბევრს მუშაობდა. პოეტის არ-
ქივში დაცულია პოემის ნაბეჭდი ცალი⁵², რომელშიც ავტორს შეუ-

⁵⁰ დაიბეჭდა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოცემულ მხატვრულ
კრებულში.

⁵¹ სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, გვ. 466.

⁵² იქვე, გვ. 021369—5776.

ტანია ცვლილებები. ახლად გადაუმუშავებია ზოგა ადგილი, გადაუხაზავს დაწუნებული სტრიქონები. ერთი სიტყვით ეგზემპლარი. რომელიც ავტოგრაფის მნიშვნელობას ატარებს და მასში კარგადაა გამოხატული ავტორის ე. წ. „უქანასკნელი ნება“, უნდა დასდებოდა ძირითად ტექსტად ახალ გამოცემას, მაგრამ თხზულებათა VI ტომში (1949 წელი) გ. ტაბიძემ პოემის დაბეჭდვისას, გამოიყენა რა მრავალი გასწორება აღნიშნული ტექსტიდან. უარყო ზოგიერთი შესწორება და პოემა ისე დაბეჭდა. ამით მან გამოავლინა თავისი „უქანასკნელი ნება“ პოემის ტექსტის მიმართ და ამდენად ედიციონურ გამოცემაში ძირითად ტექსტად თხზულებათა VI ტომში წარმოდგენილი ტექსტი უნდა იქნას არჩეული.

გ. ტაბიძეს განზრახული ჰქონდა შეექმნა დიდი მოცულობის ნაწარმოები (ლაპარაკია სიდიდეზე ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით). პოეტი წერდა: „მინდა დავწერო პოემა „პირველი მაისი“, პოემის გმირი მესხია. იგი საქართველოს შვილია. დაბადებული სოფლად, ნამუშევარი ქალაქში მკედლად, ბევრი პირველი მაისი ახსოვს მას. ის არის მუშა, რევოლუციონერი, არმიელი. მშობელი.

- გეგმა: 1) მესხი სოფლად,
 2) შეხვედრა ევასთან
 3) მოგონება პრომეთეზე
 4) მესხი ქალაქში.
 5) მესხი რევოლუციაში
 6) მესხი კოლმეურნეობების მშენებლობაში
 7) მესხი ფინეთის ფრონტზე
 8) მესხი დიდ ომში
 9) მესხი დაჭრილი ღროებით თბილისში
 10) მესხი ისევ მესხეთში“⁵³.

გეგმა დიდი ეპოპეის საწინდარი იყო. გ. ტაბიძის არქივის შესწავლამ ცხადყო, რომ ასეთი ნაწარმოების შექმნაზე პოეტი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა. ამ განზრახული პოემის შედგენა ციკლი ევასა და რატიზე. მასალის შესწავლამ ცხადყო, რომ პოეტმა მართლაც შექმნა ეს ციკლი, მაგრამ თვითონვე უარყო იგი და შემდეგ თავის თხზულებათა ტომებში (V, VI, VII) ცალ-ცალკე პოემებად დაბეჭდა. ამ ციკლის შემადგენლობაში შედიოდა პოემები: „გამოგონება“, „ამირანი“, „უუგა და ასიდა“, „პური“, „ბამბურა მურა“, „გაერ-

⁵³ სსსრ, გ. ტაბიძის არქივი, 276 დ გვ. 7.

თიანება მშენებლობისათვის“, „ამბავი ერთი ღამისა“. სწორედ მათ დამოუკიდებელ ნაწარმოებებად გამოქვეყნებაში გამოიხატა ავტორის უკანასკნელი ნება. არავითარი ცდა ამ საერთო პლასტის აღდგენის მიზნით დასაშვები არაა. დასახელებული პოემების ძირითად ტექსტებად აღებული უნდა იქნას ავტორის სიცოცხლეში უკანასკნელად დაბეჭდილი ტექსტები. ერთ პერიოდში შექმნილი ეს ნაწარმოებები პოეტს ადრეული წლებით აქვს დათარიღებული, პოეტისეული ცნობა კი შესაძლებლობას იძლევა დავათარილოთ ისინი.

სიცოცხლის ბოლო წლებში დაწერა ავტორმა პოემა „მშვიდობის წიგნი“, რომლის მიმართ ავტორი დიდი სიყვარულითაა გამსჭვალული“⁵⁴.

პოემა ავტორმა დაამთავრა 1956 წელს. ჩანს საზოგადოებრივმა აზრმა ბიძგი მისცა პოეტს გადაემუშაებინა ვრცელი რედაქცია. 1957 წელს თავის თხზულებათა VIII ტომში ავტორმა დაბეჭდა ამ პოემის ახალი. შემოკლებული რედაქცია, გარკვეული კომპოზიციური ცვლილებებით. თვით ფაქტი შემოქმედებითი პროცესისა მეტყველებს იმაზე, რომ ახალი რედაქცია თითქოს საბაბს გვაძლევს ვეძიოთ მასში პოეტის უკანასკნელი ნება (რამდენადაც ეს გადაემუშაება ქრონოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე გვიანდელია). მაგრამ მდგომარეობა, რთულდება იმ გარემოებითაც, რომ პოემის ნაბეჭდი ტექსტის ქვესათაური („ლეგენდა—პოემიდან“) მიგვითითებს, რომ დაბეჭდილია ნაწილი და მისი გამოქვეყნება არ არის აღსრულება ავტორის უკანასკნელი ნებისა.

1957 წელს პოეტმა ტექსტოლოგიის განყოფილებას გამოსაცემად წარმოუდგინა პოემის სრული ტექსტი და გამოსთქვა სურვილი „მშვიდობის წიგნი“ ახალ გამოცემაში დაბეჭდილიყო სრული სახით. 1957 წლის 4 თებერვლის ჩანაწერში პოეტი ადასტურებს, რომ „შეიძლება პოემის მთლიანად იმ სახით დაბეჭდვა. რა სახითაც წარმოდგენილია“⁵⁵. პოეტის არქივში დაცულია ამ პოემის სრული ავტოგრაფი, რომელიც უნდა დაედოს საფუძვლად, ძირითად ტექსტად პოემას ედიციონურ გამოცემაში.

საგანგებო მსჯელობის საგანია ე. წ. „ყრმობის დროინდელი ლექსები“. ეს ციკლი რამდენიმე ხელნაწერის სახითაა დაცული პოე-

⁵⁴ სსლმ, გ. ტაბიძის არქივი, გვ. 021371—129 აგრეთვე 527 დ. გვ. 16.

⁵⁵ იქვე, 527 დ, გვ. 16.

როგორც ფაქტი, უნდა აღვნიშნათ: ტექსტოლოგიის განყოფილებაში პოეტს სთხოვეს აღვნიშნა პოემის დაწერის თარიღი. გ. ტაბიძემ მის მიერ წარმოდგენილ ცალზე წააწერა: „1915—1917 წწ.“.

ტის არქივში. თუ როდისაა დაწერილი ეს ლექსები ამის დადგენა ძნელდება. თუმცა პოეტის მუშაობის კვალი კი ციკლზე დიდია. ამ ციკლის ზოგიერთი ხელნაწერი დაწერილია სქელ ქაღალდზე ფანქრით. დამოუკიდებელი ლექსების სახით (ქაღალდი ომისდროინდელია). ზოგი ხელნაწერი კი (მაგ., გვ. 7918—7984) მთლიან შთაბეჭდილებას ტოვებს. ერთ-ერთ ხელნაწერზე (გვ. 6062—6131) აწერია „პოემა“. სიუჟეტური ქარგა „დიდდღის“ გარშემო იხლართება. ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დადგენა გულდასმითი შესწავლისა და ანალიზის შედეგადაა შესაძლებელი. როგორ უნდა გადაწყდეს ამ ნაწარმოების გამოქვეყნების საკითხი? გარკვეული ლექსები: „ნიკორა და ნიშა“, „ოთხი დრო“, „მგელი ბატკანს“, აგრეთვე ლექსები რუბრიკით „ყრმობის დროინდელი ლექსები“ დაბეჭდილია სხვადასხვა დროს 1940, 1953 და 1957 წლებში. ამდენად, პოეტის „ნება“ ამ ნაწარმოებზე ნაწილობრივ გამოსატულია იმით, რომ პოეტი მათ ლექსების სახით აქვეყნებდა და არა განზრახული პოემის სახით. ამიტომ ჩვენ მართებულად მიგვაჩნია გამოქვეყნებული ლექსები თარიღების მიხედვით მოთავსდეს შესაბამის ტომებში, ხოლო კამოუქვეყნებლები დაიბეჭდოს ტომში, რომელშიც მოთავსდება არქივის მასალა რუბრიკით—„ყრმობის დროინდელი ლექსები“. პოეტი რომ ამ ციკლს ლექსებად მიიჩნევს ჩანს ჩანაწერიდან: „34—89 ყ რ მ ო ბ ის დ რ ო ი ნ დ ე ლ ი ლ ე ქ ს ე ბ ი ა“ (55 ლ ე ქ ს ი ა)⁵⁶ მათი ძირითადი ტექსტის არჩევა ხელნაწერ წყაროთა შეპირისპირება—შესწავლით უნდა მოხდეს.

